ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1.1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

1985 N 1

თბილისი
ТБИЛИСИ

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-86-82 Телефон

გადაეცა წარმოებას 28.I.85; შეკვ. № 567; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.IV.85;
ანაწყობის ზომა 7×11; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირობ. ნაბეჭდი თაბახი 16.8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.0;

უე 05237; ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

•

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ 5
მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი 6
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს 7
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო 9

წერილები

ვ. თოგოშვილი, რესპუბლიკის მეცნიერები სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში 11
მ. რიდე-ჩიჯავაძე, სამკურნალო ფიზკულტურა საქართველოში დიდი სამამულო ომის წლებში 23
გ. ჯავახიშვილი, ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის საქართველოში 39
ა. ლეკიაშვილი, ქართველ მთიელთა გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის . 47

ცნობები და შენიშვნები

გ. გიგინეიშვილი, ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში 56
კ. ჩარაძე, საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელი ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში 64
დ. ხოშტარია, კვირიკეწმიდის მდებარეობის საკითხისათვის 70
ბ. ქანთარია, მიწათმოქმედების ტრადიციული წესები და საშუალებანი ჩაჩნეთ-ინგუშეთში 83
დ. ჟღენტი, ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში . 101
გ. ღამბაშიძე. ავარიის ქრისტიანული კულტურისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები 110
მ. გაბუნია. გვიანპალეოლითურ ქვის იარაღთა მეორადი დამუშავების ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხისათვის . . 122
მ. ფოფელია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთი სასანური გემის შესახებ 130
მ. შაბიდელი. კავკასიის საზღვარი. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში 134

დისკუსია და განხილვა

ო. ლორთქიფანიძე. ძვ. წ. V—I საუკუნეების ქართლის (იბერიის) ისტორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხის შესახებ 141

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

შ. ხანთაძე. ეროვნული ისტორიის დიდი მკვლევარი 163

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. ბრეგაძე, ვ. მარინოვი, სარაჯობა ბულგარეთში 175
ვ. ვინოგრადოვი, ს. დუდარევი, ხ. მამაევი, მეცნიერული სერიალის „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების“ გამოსვლისათვის 178

ქრონიკა და ინფორმაცია

ვ. ქადაგიძე, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია 185
ბ. ჯორბენაძე, სამეცნიერო კონფერენცია დუშეთში 188
დ. კლდიაშვილი. თ. ოთხმეზური, ბ. ოთხმეზური, დავით გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ 189

СОДЕРЖАНИЕ

Информационное сообщение о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза . 5
Михаил Сергеевич Горбачев 6
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу . . . 7
Константин Устинович Черненко . . . 9

СТАТЬИ

В. ТОГОШВИЛИ. Ученые Грузии в борьбе за осуществление продовольственной программы 11
М. РОДЭ-ЧИДЖАВАДЗЕ, Лечебная физкультура в Грузии в годы Великой Отечественной войны 23
Г. ДЖАВАХИШВИЛИ. К этнографическому изучению нового быта и культуры в Грузии 39
А. ЛЕКИАШВИЛИ. К интерпретации религиозных пережитков горцев Грузии 47

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Б. ГИГИНЕЙШВИЛИ. О происхождении некоторых этнографических терминов в картвельских языках 56
К. ХАРАДЗЕ, Гидрографическая сеть Грузии в трудах Вахушти Багратиони 64
Д. ХОШТАРИЯ. К вопросу о местонахождении Квирикецминда . 70
М. КАНТАРИЯ, Традиционные средства и способы обработки земли в Чечено-Ингушетии 83
Д. ЖГЕНТИ, О роли царицы Картли Марии в государственном управлении 101
Г. ГАМБАШИДЗЕ. Вопросы христианской культуры и исторической географии Аварии 110
М. ГАБУНИЯ, О некоторых вопросах техники вторичной обработки каменных орудий, позднего каменного века и связанной с ней терминологии 122
М. ЦОЦЕЛИЯ, Об одной сасанидской гемме Государственного музея Грузии 130
М. ШПАЙДЕЛЬ, Кавказская граница. Горнизоны II века в Апсаросе, Петра и Фасисе 134

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

О. ЛОРДКИПАНИДЗЕ. О некоторых спорных вопросах истории Картли (Иберии) V—I вв до н. э. 141

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Ш. ХАНТАДЗЕ, Видный исследователь истории Грузии 163

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. БРЕГАДЗЕ, В. Маринов. Шорное ремесло в Болгарии . . 175
В. ВИНОГРАДОВ, С. ДУДАРЕВ, Х. МАМАЕВ. К выходу научного сериала «Археологические памятники Иорского ущелья» . . . 178

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

М. КАЛАГИДЗЕ, Научная сессия, посвященная вопросам изучения письменных источников истории Грузии 185
В. ДЖОРБЕНАДЗЕ, Научная конференция в Душети 188
Д. КЛДИАШВИЛИ, Т. ОТХМЕЗУРИ, Г. ОТХМЕЗУРИ, Об эпиграфических памятниках Давида Гареджи . . 189

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევრული მებრძოლი კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა ხსვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაუღალავი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობა მიაჩნდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, განუხრელი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას ხაზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობელ-ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტბიუროს წევრმა ამხ. ა. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად აირჩია ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ ს. გორბაჩოვი. მან უღრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს სკკპ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში.

მალე 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის შემდეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან მ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივნად.

1962 წლის მარტში მ. ს. გორბაჩოვი დაამტკიცეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს პარტორგად, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივნად.

მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნა პოლიტბიუროს წევრად. არის სსრ კავშირის მე-9—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ მე-10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომლებიც მისთვის პარტიას მიუნდვია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერგიითა და თავდადებით, თავის ცოდნას, დიდ გამოცდილებასა და

ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მ. ს. გორბაჩოვი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი ცხოვრება ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეალია, სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის რიგებშიც იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომკავშირული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნამდე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერნენკოს ცხოვრების გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისავსით გამოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების კურსი. პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, საკადრო პოლიტიკის, საბჭოების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად ხმარდებოდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კ. უ. ჩერნენკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, გადაჭრით უკუაგდებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხების საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კო-

მიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომელები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განზრახვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უკვდავი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრელად მიაბიჯებს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიაჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების საფუძველზე. მთელი გულმოდგინებით სულ უფრო სრულად განხორციელდება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრელად გატარდება ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და ბხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცების გეზი. პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას, რაც ჩვენი საზოგადოების ცხოველმოქმედების საფუძველს წარმოადგენს, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზენაეს სულიერ ღირებულებად მიაჩნდა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრელად ვესწრაფვით გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად იღვწოდა და იღვწის კონსტრუქციული დიალოგისათვის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა მეშვეობითაც შემცირდება საერთაშორისო დაძაბულობა, დამყარდება ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფოთა კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. ეი ამიტომ ჩვენ კვლავაც და ცხრომლად გავაძლიერებთ სიფხიზლეს, განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით და მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს.

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაზღვრო ნდობა მოუპოვებინეს. ხალხთან ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეალია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში. იგი დარჩება ჩვენს ხსოვნაში როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იშრომებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

1965 წლის 10 მარტს სამოცდაცამეტი წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო. შეწყდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გულისცემა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მოახმარა პარტიისა და ხალხის საქმის თავდადებულ სამსახურს, ბრძოლას სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი სრულყოფისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს გლეხის ოჯახში კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში. შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ სიყრმიდანვე დაიწყო, მოჯამაგირედ ხუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავშირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს იგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში, სადაც 1931 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

არმიაში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოს და უიარის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის პარტიული განათლების სამხარეო სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, მდივნად.

1945 წლიდან სკკ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1948 წლიდან — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1956 წელს იგი დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგის თანამდებობაზე. 1960 წლიდან კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს იგი დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში კ. უ. ჩერნენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე, 1971 წლის მარტში იგი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც გაიმართა პარტიის XXV ყრილობის შემდეგ, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1977 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

1984 წლის 13 თებერვალს გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა კ. უ. ჩერნენკო აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

კ. უ. ჩერნენკო იყო სსრ კავშირის 7—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და რუსეთის სფსრ 10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1984 წლის აპრილში სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე კ. უ. ჩერნენკო აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მაღალ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, მან თავი გამოიჩინა როგორც ერთგულმა და მტკიცე მარქსისტ-ლენინელმა, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის აქტიურმა მებრძოლმა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ, რომელსაც უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება, საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილის განვითარება-განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, სხვა გამოსვლებში კ. უ. ჩერნენკომ ყოველმხრივ დაასაბუთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — სსრ კავშირში აშენებული სოციალიზმის სრულყოფის კურსი. მის სახელთან არის დაკავშირებული პარტიის მიერ შემუშავებული განვითარებულ სოციალიზმის კონცეფციის შემდგომი გაღრმავება და დაკონკრეტება, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებისათვის მუშაობას.

კ. უ. ჩერნენკო დიდ ძალ-ღონესა და ყურადღებას უთმობდა მასებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მის საკადრო პოლიტიკას, საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია კ. უ. ჩერნენკოს წვლილი სკოლის რეფორმის შემუშავებაში.

კ. უ. ჩერნენკო დიდად ზრუნავდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის, ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში შემდგომი განვითარება პოვა პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ, განისაზღვრა სასურსათო პროგრამის შესრულების, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების აქტუალური ამოცანები.

კ. უ. ჩერნენკომ. რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს მეთაურობდა, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში კ. უ. ჩერნენკო დაუცხრომლად მუშაობდა ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. ამ პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

კ. უ. ჩერნენკო ყურადღებას უთმობდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობისა და შეკავშირების განვითარებასა და განმტკიცებას. იგი თანამიმდევრულად იღვწოდა მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერისათვის.

კ. უ. ჩერნენკოს ინიციატივით იყო შემუშავებული საბჭოთა კავშირის ბევრი კონსტრუქციული წინადადება, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სამგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ოთხი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით, აგრეთვე მოძმე ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატი იყო.

კ. უ. ჩერნენკოს საბჭოთა ხალხის, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების დიდი პატივისცემა და ნდობა ჰქონდა მოპოვებული. იგი მუდამ გამოირჩეოდა გულისხმიერი დამოკიდებულებით მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, პრინციპულობითა და პირადი თავმდაბლობით.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მთელი ცხოვრება არის ლენინური პარტიის დიადი საქმისადმი ურყევი ერთგულების, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის თავდადებული შრომის მკაფიო მაგალითი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

3. თოგოშვილი

რესპუბლიკის მეცნიერები სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე მეტად აქტუალურად დადგა საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა წარმოუდგენელია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეთანასწორებული განვითარების გარეშე. ამ ამოცანის რეალიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას და, კერძოდ მეცხოველეობას. მეცხოველეობის შემდგომმა აღმავლობამ გარკვეულწილად უნდა განაპირობოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დასახულ ღონისძიებათა შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეცხოველეობაზე ზრუნვა კვლავ უნდა დარჩეს საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეცნიერო და სხვა მრავალ დაწესებულებათა ყურადღების ცენტში, რათა აღმოიფხვრას არსებული დეფიციტი ხორცზე, რძეზე და რძის ნაწარმზე[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა და დადგენილებათა შესაბამისად, ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის — მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები და პრობლემები არაერთხელ გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სერიოზული მსჯელობის საგნად, შემუშავებული იქნა ამ დარგის განვითარების კომპლექსური ღონისძიებანი.

უკანასკნელ ყრილობებზე და პლენუმებზე შემუშავებულ დადგენილებათა განხორციელების შედეგად მეცხოველეობაში წლითიწლობით დადებითი ძვრები შეინიშნება. ფართო და ღრმა ცვლილებები მოხდა ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად ხორციელდება მეცხოველეობაში ინტენსიფიკაციის კურსი, ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოეს მიღწევათა დანერგვის პროცესი, დაჩქარებულად ხორციელდება საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ფართო ხასიათი მიიღო მუშაობამ ახალი მაღალპროდუქტიული სახორცე და სარძევე ჯიშების გამოყვანაზე. მაგრამ, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, არსებითი გარდატეხა ამ დარგის განვითარებაში ჯერ კიდევ ვერ არის მიღწეული.

მეცხოველეობის განვითარება, როგორც ცნობილია, შეუძლებელია მტკი-

---

[1] სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა და მისი რეალიზაციის ღონისძიებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მასალები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1982 გვ. 41.

ცე საკვები ბაზის შექმნის გარეშე. საკვებწარმოების ზრდა და მისი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება არის ის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი, რომელსაც ძალუძს ამ დარგის ჩამორჩენილობის დაძლევა და მისი აყვანა სახალხო მეურნეობის ყველა სხვა მაღალგანვითარებული დარგების დონეზე.

მეცხოველეობის განვითარების საკითხი სასურსათო პროგრამის შემადგენელი ორსებითი ნაწილია და ამიტომ მისი წარმატებით გადაჭრა სასურსათო პრობლემის გადაჭრის გზაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიგს განეკუთვნება.

აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემისადმი მიძღვნილ საკავშირო ეკონომიკურ თათბირზე (1983 წლის 26 მარტს) სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა: „საბჭოთა ხალხი თვალნათლივ რწმუნდება, რომ პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამა ეტაპობრივად ხორციელდება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. წინ ბევრი მნიშვნელოვანი და დიდი მასშტაბის საქმეები გველის".[2]

საქართველოში წლების მანძილზე მეცხოველეობას ყურადღება მოაკლდა. რესპუბლიკისათვის ამ დარგის უპერსპექტივოდ მიჩნევამ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის და ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. 1967—1971 წწ. საქონლის სულადობა 105 ათასით (მათ შორის ძროხისა 36 ათასით), ხოლო ცხვრისა 327 ათასით შემცირდა[3]. ამ ხარვეზის შესავსებად წარმოებული მიზანმიმართული და დაძაბული მუშაობის შედეგად 1982 წლისათვის ძროხის სულადობა აღდგენილ იქნა, ხოლო ცხვრისა კი დღემდე არ არის აღდგენილი. სწორედ ამიტომ მოითხოვა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ე. ა. შევარდნაძემ აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ეკონომიკურ თათბირზე (1984 წლის 28 ივლისს) პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან „ნუ დავუშვებთ შეცდომებს, რომელთა გამოსწორებაც მოკლე დროში ვერ ხერხდება".[4]

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე (1982 წლის 19 ოქტომბერს) განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმას, რომ „სოფლის მეურნეობის პროდუქტების, უწინარეს ყოვლისა ხორცისა და რძის წარმოების ყოველმხრივი გადიდება საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე".[5]

საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისა და მისი განვითარების ფართო პერსპექტივას იძლევა მომავალში ისეთი დიდმიშვნელოვანი რეზერვების ამოქმედება და გამოყენება, როგორიცაა კოოპერირება მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებთან, დამხმარე აგრარული საამქროების ფართო მასშტაბით შექმნა, შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების ახალი, პროგრესული ფორმების და მეთოდების დანერგვა.

ამ საქმეში დიდი როლი ეკისრება ქართულ მეცნიერებასაც, რომელმაც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას რესპუბლიკაში ამ დიდი საქმის წარ-

---

[2] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1983 წ., 28 მარტი, № 73.

[3] გაზ. „კომუნისტი", № 176, 1984 წ., 1 აგვისტო.

[4] იქვე.

[5] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1982 წ. 22 ოქტომბერი, № 243.

მატებით დაგვირგვინებაში. ამიტომ ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა როლს ასრულებს მეცხოველეობის განვითარებაში ქართული მეცნიერება, კერძოდ შეეცდებით წარმოვაჩინოთ ის, თუ რა გაკეთდა რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის (1982 წლის) VI და VII პლენუმების დადგენილებათა შესასრულებლად.

აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე აღინიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი ინსტიტუტების არსებითი შემობრუნება აგრარული პრობლემებისაკენ. მაგრამ ეს მიღწევად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ცხოვრება მეცნიერებას სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს უყენებს და რომ მეცნიერება მოვალეა მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციალი მოახმაროს სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებას და სასურსათო პროგრამის რეალიზაციას.[6] ეს მოთხოვნა სრულად ეხება ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის და სხვა დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსაც.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მიზნობრივ-კომპლექსური, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებაში. თავის საქმიანობაში ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ისეთ საჭირბოროტო და საკვანძო პრობლემებზე, როგორიცაა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებთან სამეცნიერო კვლევის დაახლოება, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან კავშირურთიერთობების განმტკიცება-გაღრმავება და მეცნიერული კვლევის ინტენსიფიკაცია.

რესპუბლიკის მეცნიერების მიღწევები ფართოდაა ცნობილი და აღიარებული. უკანასკნელი წლების მანძილზე შეინიშნება რესპუბლიკის მეცნიერების მუშაობის გააქტიურება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მაგრამ მათი საქმიანობის ნაყოფიერების და ეფექტურობის მიუხედავად რესპუბლიკაში ისევ მწვავედ დგას მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთობების ფორმების სრულყოფის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერული კვლევის შედეგების დაჩქარებული დანერგვის ამოცანა.

უკანასკნელ წლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ფართოდ იკიდებს ფეხს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ნაკლებად განვითარებულ დარგში მეცხოველეობაში. იგი უფრო და უფრო ხდება „ჩვენი ეკონომიკის ინტენსიური განვითარების საფუძველთა საფუძველი“.[7] აღნიშნული თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მითითებათა შესაბამისად შექმნილ მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საბჭოებს, რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან, ასევე თბილისში, ქუთაისში, გარდაბანში, მახარაძეში, თელავში, ფოთში, ხობში, დუშეთში. ამ საბჭოების მიზანმიმართული საქმიანობა უზრუნველყოფს სწორედ იმ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში, რადგან, როგორც ცნობილია,

---

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1984, წ., 27 მარტი, № 73.

[7] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983 წ., 14 მაისი, № 114.

დასახული მიზნების განხორციელება წარმოუდგენელი იქნება მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გაძლიერების და გაღრმავების გარეშე.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდის, მისი პროდუქტიულობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ახალი მაღალპროდუქტიული სახორცე და სარძევე ჯიშების მიღება, აგრეთვე საქართველოში არსებული, გადაგვარების გზაზე მყოფი და ამავე დროს დადებითი ნიშანთვისებების მქონე ენდემური ჯიშების შენარჩუნება. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები.

საქართველოს ეკონომიკაში და, განსაკუთრებით მისი მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკაში განუზომლად დიდია მეცხვარეობის როლი. რესპუბლიკაში ძალზე პოპულარული ცხვრის სახეობის — თუშური ცხვრის აღდგენა-მომრავლების საქმეში დიდ პრაქტიკულ მუშაობას ეწევა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ცხვრის ეს სახეობა, გარდა იმისა, რომ ბრწყინვალედ არის შეგუებული ადგილობრივ პირობებს, ამავე დროს საუკეთესო ხორცით, რძით და მატყლით გამოირჩევა. ამ ჯიშის შემდგომი სრულყოფის მიზნით ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შესწავლილია ჯიშის შიდა ტიპები, რძის, ხორცის თვისებები და სხვა მრავალი საკითხი.[8]

წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კოლმეურნეობის, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის თუშური ცხვრის საჯიშე-სანაშენე მეურნეობებში ინსტიტუტის მეცნიერთა ხელმძღვანელობით ფართოდ ინერგება რეკომენდაციები, რომლებიც პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებათა მთელ კომპლექსს ითვალისწინებენ და ამავე დროს თუშური ცხვრის ხორცის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრ ამაღლებას განაპირობებენ[9].

ცხვრის ხორცის უწყვეტი წარმოება მეცხვარეობის პირველხარისხოვან პრობლემად რჩება დღეისათვის არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვისაც, სადაც მეცხვარეობას წამყვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში და სადაც ინტენსიურად მისდევენ ამ დარგის განვითარებას. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს იმერული ჯიშის ცხვარი, რომელიც სწორედ ასეთი უწყვეტი წარმოების უნარით არის დაჯილდოვებული. ამ ჯიშის ცხვარი წელიწადში ორჯერ დოლდება და რამდენიმე ბატკანს იგებს. ასეთი სწრაფი ბრუნვის წყალობით 3,5 თვის ასაკში უკვე დიდ შთამომავლობას ითვლის და ამავე დროს შედარებით მცირე წონის მიუხედავად იაფ და მეტად ხარისხოვან ხორცს იძლევა, ვიდრე სხვა ჯიშის ცხვრები.[10] ამ ძვირფასი ჯიშის ცხვრის შენარჩუნებისათვის და შემდგომი სრულყოფისათვის მეცნიერთა რეკომენდაციით თერჯოლის რაიონში შეიქმნა იმერული ცხვრის ჯიშთსაშენი, კორბოულში კი — სანაშენე ფერმები.[11]

სანაშენე მუშაობის სრულყოფის მიზნით ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა ახალი სამგორის საბჭოთა მეურნეობაში შემოიყვანეს ბაგური შენახვისათვის გათვალისწინებული ცხვრის ახალი ჯიში.[12]

---

[8] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1983 წ., 2 აგვისტო, № 178.
[9] იქვე.
[10] გაზ „კომუნისტი", 1934 წ., 24 აგვისტო, № 195.
[11] იქვე..
[12] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1982 წ, 26 სექტემბერი, № 222.

ქმედითი ღონისძიებების გატარების, მეცნიერთა მიერ მოწოდებული რეკომენდაციების ეფექტური და დროული დანერგვის შედეგად, მეცხოველეობის განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე პირუტყვისა და ცხვრის სულადობის ზრდის ასეთი დინამიკა შეინიშნება: ძროხების სულადობამ 1982 წელს 1976 წელთან შედარებით 38 ათასით იმატა, ხოლო 1983 წელს კი — 58 ათასით; ღორებისამ 1982 წელს 1976 წელთან შედარებით 119 ათასით იმატა, ხოლო 1983 წელს კი 249 ათასით; ცხვრის და თხის სულადობამ 1982 წელს 1976 წელთან შედარებით 29 ათასით იმატა, ხოლო 1983 წელს ისევ სულადობის შემცირებასთან გვაქვს ადგილი, რაც სტიქიური მიზეზებით აიხსნება.[13]

პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელოვან და ეფექტურ საშუალებად გვევლინება ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერთა მიერ მოწოდებული ჰორმონალური ანუ ენდოკრინული სტიმულატორები, რომელთა კანქვეშ ერთჯერადი იმპლანტაციის შედეგად (მაგალითად, კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონის — ინსულინის) წონა-მატება საქონელში 16—20%-ით იზრდება[14].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე (1984 წლის 6 აპრილს) აღნიშნული იყო, რომ სამეცნიერო პოტენციალის უკუგება რესპუბლიკაში არსებითად მატულობს მეცნიერებისა და წარმოების ფორმების და სხვა სიახლეების წყალობით[15].

ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერები პარტნიორობის პრინციპზე დაფუძნებით ეფექტურ მეთოდურ და პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან გარდაბნის, საგარეჯოს, მცხეთის, ხობის, ლანჩხუთის, დმანისის რაიონებში. ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ კომპლექსურ-მიზნობრივ თემატიკაში ინსტიტუტის ყველა განყოფილება და ლაბორატორია მონაწილეობს.

რძის წარმოების გაზრდისა და ფურების პროდუქტიულობის ამაღლების, რძის და საქონლის ხორცის წარმოების ტექნოლოგიის განყოფილების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა მეცხოველეობის კომპლექსებში ერთ სულ პირუტყვზე წელიწადში 107,6 მან. შეადგინა[16].

ინსტიტუტში ძროხის ხორცის წარმოების გაზრდის მიზნით მუშავდება სამრეწველო შეჯვარების საკითხები. ამ მიზნით ჩატარებული ფართო მუშაობის შედეგად გარდაბნის, წალკისა და ბოგდანოვკის მეურნეობებში ძროხის ხორცის გამოსავალმა 54—60%-ით იმატა.[17]

1983 წელს რესპუბლიკის მეცხოველეობის კომპლექსებში გამოყენებულ იქნა ამავე ინსტიტუტში დამზადებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჰიპოდერმატოზის საწინააღმდეგო საშუალება — ჰიპოდერმიციდი, რომლის ეკონომიკურმა ეფექტმა 600 ათასი მანეთი შეადგინა.[18]

მეცნიერული მიღწევების დანერგვით გარდაბნის რაიონში, რომელიც რესპუბლიკაში „მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის პოლიგონად“ არის აღიარებული, სახელმწიფოსადმი ხორ-

---

[13] Народное хозяйство Грузинской ССР в 1982 г., ЦСУ, Тб., 1983. გვ. 100—101.

[14] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983 წ. 22 ნოემბერი, № 268.

[15] იქვე, 24 მარტი, № 71.

[16] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983 წ., 24 მარტი, № 71.

[17] იქვე.

[18] იქვე.

ცის მიყიდვა 1983 წელს 1980 წელთან შედარებით 2,5 ათასი ტონით გაიზარდა, ანუ 20,2 %-ით, რძის — 350 ტონით, ანუ 2,3 %-ით, კვერცხის —2,6 მილიონი ცალით, ანუ 3 %-ით. ბოლო სამი წლის მანძილზე აქ 100-ზე მეტი მეცნიერული ნამუშევარი დაინერგა.[19].

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე წველადობა თითოეული ძროხიდან 144 კგ-ით გაიზარდა და 2355 კილოგრამს მიუახლოვდა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა-მატება 36 კგ-ით გაიზარდა და 330-ს მიაღწია, ხოლო ღორისამ შესაბამისად 27-ით და 110-ს მიაღწია. თითო ქათმის კვერცხმდებელობა 32 კვერცხით გაიზარდა და 190 ცალს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა სახის საქონლის და ფრინველის სულადობა.[20].

გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსში და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკაში ზოოვეტინსტიტუტის ვირუსოლოგიის განყოფილების მიერ რეკომენდებული ბაქტერიული ვირუსოლოგიის გამოყენებამ ცხოველთა და ფრინველთა ცოცხალი წონის მატება 15—20 %-ით გაზარდა და მკვეთრად გაზარდა პროდუქტიულობა. ამ პრეპარატის დამზადება ახლა ადგილებზე წარმოებს.[21].

გიორგიწმინდის კომპლექსმა, რომელიც წლების მანძილზე ზარალიანი იყო, XI ხუთწლედში თავი დააღწია ზარალიანთა რიცხვს. ეს კი შესაძლებელი გახდა მეცნიერული მიღწევების ფართო დანერგვით. მეცხოველეობის ზრდის დინამიკა ამ კომპლქსში წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 1981 წელს კომპლექსში 1876 ტონა ხორცი აწარმოეს ნაცვლად გეგმიური 1800-სა, 1982 წელს 2213 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1850 ტონისა, ხოლო 1983 წელს — 2500 ტონა აწარმოეს და სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებულზე 300 ტონით მეტი ჩააბარეს. 1983 წელს ცენტნერი ხორცის წარმოება გეგმით გათვალისწინებულზე 12 მანეთით ნაკლები დაუჯდათ, შესაბამისად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც. კომპლექსმა 1981 წელი 332 ათასი მანეთის მოგებით, ხოლო 1983 წელი კი 600 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა.[22].

ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკაში ზოოვეტინსტიტუტის ფრინველთა დაავადებების შემსწავლელი ლაბორატორიის რეკომენდაციით დაინერგა ფრინველთა ვაქცინაციის ჯგუფური და კომბინირებული ასოცირებული მეთოდები, რამაც ფაბრიკას 100 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.[23] აქვე დაინერგა ცხიმის გამოყენების მეთოდი კომბინირებულ საკვებთან, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ფრინველის წონამატი, შენარჩუნების პროცენტი, გააუმჯობესა ხორცის შეფერილობა. მშრალი აეროზოლის გამოყენებამ კი, როგორც ფრინველთა დაავადებების ეფექტურმა პროფილაქტიკურმა საშუალებამ ფაბრიკას 120 ათასი მანეთი ეკონომია მისცა.[24].

რესპუბლიკის მეფრინველეობის განვითარებაში ზრდის შემდეგი დინამიკა შეინიშნება: ყველა კატეგორიის მეურნეობებში ფრინველის სულადობამ 1981

---

[19] газ. «Заря Востока», 1983 г., 2 декабря, № 276.

[20] იქვე.

[21] იქვე, 22 января, № 18.

[22] газ. «Заря Востока», 1984 г., 8 января, № 7.

[23] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1982 წ., 19 ოქტომბერი, № 240.

[24] газ. «Заря Востока», 1983 г., 19 октября, № 240.

წელს 18 781 ათასი, 1982 წელს — 19 394 ათასი, ხოლო 1983 წელს — 19 831 ათასი ფრთა შეადგინა, 1976 წელთან შედარებით 1982 წელს 4 536, ხოლო 1983 წელს 4 973 ათასი ფრთით გაიზარდა[25].

ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული ქიმიურ-თერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხანა, რომელიც თავისი პროფილით ერთადერთია მთელს ჩვენს ქვეყანაში, ერთგვარ სამეცნიერო-საკვლევ ბაზას წარმოადგენს, ვინაიდან აქ მზადდება ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ გათვალისწინებული მძლავრი პროფილაქტიკური საშუალებები, საკვები კომპონენტები რომელთა ფართო გამოყენება ცხოველთა და ფრინველთა კვების რაციონში მკვეთრად ზრდის პროდუქტიულობას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. მაგალითად, ამ ქარხანაში ბოლო წლებში შემუშავდა და მზადდება მოზარდეულის საკვებად რძის შემცვლელი პასტა-კონცენტრატი, რომელიც სოიის შრატისგან მზადდება და დიდი რაოდენობის რძის ეკონომიას უზრუნველყოფს.[26]. ამავე ქარხნის რეკომენდაციით მსგავსი საამქროები რძის შემცვლელი პასტა-კონცენტრატის დასამზადებლად უკვე აშენდა ბოგდანოვკის, ხობის, გურჯაანის, მახარაძის, აბაშის, საჩხერის, ახალქალაქის რაიონებში და უკვე დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

ქარხანა ამჟამად 16 დასახელების პრეპარატს უშვებს, რომელთა გამოყენება 11 მილიონი მანეთის დამატებით შემოსავალს იძლევა.[27]

სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში ამ ინსტიტუტის მეცნიერთა რეკომენდაციით დანერგილმა ხბორების რძის შემცვლელით კვების ტექნოლოგიამ მეურნეობას საშუალება მისცა სახელმწიფოსათვის დამატებით ჩაებარებინა 250—300 ტონა რძე, ხოლო ახალი მეთოდით ფურების ხელოვნური განაყოფიერების განხორციელებამ აღმოფხვრა ბერწიანობა. ეს მით უფრო საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდია ფერმებში ფურების ბერწიანობის პროცენტი არამარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო მასშტაბითაც.[28].

ამავე კომპლექსში ბრიგადამ ქეთევან ქარჩაიძის ხელმძღვანელობით თითო ბოხისაგან 4000 კგ რძე მოწველა. ეს რეკორდული მაჩვენებელია არამარტო რაიონული, არამედ რესპუბლიკური მასშტაბითაც. მაღალ მაჩვენებელს ამ ბრიგადამ პროგრესული ტექნოლოგიის ფართო დანერგვით და საკვების მომზადების სექციის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების დანერგვით მიაღწია.[29].

კომპლექსში წველადობის შემდგომი ზრდის მიზნით ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერებმა განახორციელეს ადგილობრივი ჯიშების შეჯვარება გოლშტინო-ფრიზულ ჯიშთან. უკვე მიღებულია ჰიბრიდული ჯიშის პირველი თაობა. იგი წველადობას 4000 კგ-მდე ზრდის.[30].

მეცნიერული მიღწევების დანერგვას დიდად უწყობს ხელს რაიონულ აგ-

---

[25] Народное хозяйство Грузинской ССР и 1982 г., ЦСУ, Тб., 1983, გვ. 102.

[26] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ., 28 მარტი,

[27] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1982 წ., 17 ოქტომბერი, № 239.

[28] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983 წ., 25 სექტემბერი, № 225.

[29] газ. «Заря Востока», 1984 г., 1 августа, № 175.

[30] იქვე.

როსამრეწველო გაერთიანებებთან შექმნილი მეცნიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის განყოფილებები, რომლებიც თავის მხრივ დანაწევრებულია სექციებად — მიწათმოქმედების, მელიორაციის, მეცხოველეობის, შრომის ორგანიზაციის, მატერიალური სტიმულირების და სხვ. მათი საქმიანობა მიმართულია მეცნიერული კვლევის შედეგების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დროულ და ეფექტურ დანერგვისკენ, რათა სასურველი შედეგები იქნეს მიღწეული ოპტიმალურ ვადებში.

თელეთის მეცხოველეობის კომპლექსი, რომელსაც შეფობას უწევს კ. ამირაჯიბის სახ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გარდა იმისა, რომ ყოველწლიურად 30 ათას ტონა რძეს აბარებს სახელმწიფოს, ამავე დროს ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის ექსპერიმენტულ პოლიგონად გვევლინება.[31] აქ მინიმუმამდეა დაყვანილი ხელით შრომა, ყველა საწარმოო პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. ასევე კომპლექსში მოქმედებს ქლორელას ბიომასის წარმოების საამქრო, სადაც წარმოებული მაღალცილოვანი ბიომასა, რომელიც წყალმცენარეებისაგან მზადდება, ზრდის პირუტყვის ცოცხალ წონას 20 დან 22 %-მდე და ასევე ზრდის წველადობასაც.[32]

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორიამ პროფ. მ. რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით წნორის მეცხოველეობის კომპლექსში განახორციელა კუბიდან შემოყვანილი ზებუს ჯიშის შეჯვარება ადგილობრივ ჯიშებთან. პირველი შედეგები დამაიმედებელია და ამტკიცებს ამ მეთოდის მიზანშეწონილობასა და ეფექტურობას.[33]

1975 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა 1981—1982 წწ. 16—16 კილოგრამით გაიზარდა.[34].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ექსპერიმენტული ზოოლოგიის ლაბორატორია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ყველა სახის ფრინველის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკაში ამავე ლაბორატორიის რეკომენდაციით განხორციელდა ფრინველთა კვების რაციონში ერთ-ერთ ძირითად საკვებ კომპონენტად გუმბრინის თიხის გამოყენება, რომელიც ორგანული საკვების ეკონომიას იძლევა და ამავე დროს განაპირობებს ფრინველთა სწრაფ ზრდას, მნიშვნელოვან წონამატს და საგრძნობლად ამცირებს გაწყვეტის პროცენტს.[35]. მსგავსმა ექსპერიმენტებმა, ჩატარებულმა წყალტუბოს მეფრინველეობის ფაბრიკაში, ნათლად ცხადყვეს ამ მეთოდის პროგრესულობა[36]. ამჟამად ეს მეთოდი ფართოდ ინერგება, ვინაიდან მისი დანერგვით იზრდება არამარტო ხორცის წარმოების რაოდენობრივი, არამედ მკვეთრად უმჯობესდება მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები.

---

[31] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1982 წ., 20 ოქტომბერი, № 241.

[32] იქვე.

[33] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1982 წ., 4 აგვისტო, № 179.

[34] Народное хозяйство Грузинской ССР в 1982 г., ЦСУ, Тб., 1983. с. 104.

[35] გაზ. „კომუნისტი“, 1983 წ., 12 იანვარი, № 9.

[36] იქვე.

გარდაბნის მეფრინველეობის ფაბრიკაში დაინერგა ამ ლაბორატორიის მიერ შემუშავებული ინკუბატორში კვერცხის ჩადების ახალი მეთოდი, რომელიც ინკუბატორების ახალი მეთოდით დამზადებას ითვალისწინებს და 10—12%-ით ზრდის წიწილების გამოჩეკვას. ამ მეთოდის დანერგვამ ფაბრიკაში გამოჩეკვის პროცენტი 92-მდე გაზარდა, მაშინ, როცა 80 % მაქსიმუმად ითვლებოდა, წარმოების მოგებამ კი შესაბამისად 10—11 %-ით იმატა.[37].

მეცხოველეობის დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება არა მარტო იმ ინსტიტუტებს, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ მეცხოველეობის დარგის ზრდის უზრუნველყოფა, არამედ იმ სასოფლო-სამეურნეო პროფილის ინსტიტუტებსაც, რომლებიც უშუალოდ არ მუშაობენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის პრობლემებზე, მაგრამ ამუშავებენ ისეთ მომიჯნავე თემატიკას, რომლის დანერგვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გახდება ამ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, შეუქმნის მყარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ამ დღემდე ჩამორჩენილ დარგს.

კ. ამირაჯიბის სახ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიმდინარეობს ფართო მუშაობა მეცხოველეობაში მზის ენერგიისა და „მეორადი" ენერგორესურსების გამოყენებისათვის. აქ შეიქმნა თბური ტუმბო მეცხოველეობის ფერმებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა გამოაცალოს სითბო 25—30°C ტემპერატურის რძეს და გააციოს იგი 5—7°C-მდე, გამორთმეული სითბოს ხარჯზე კი აცხელებს წყალს, რომელიც ტექნოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური საჭიროებისათვის გამოიყენება[38]. ამ მეთოდის დანერგვა 2—2,5— ჯერ ზოგავს ელექტროენერგიას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეისათვის ენერგორესურსების ეკონომიის საკითხი ძალზე მწვავედ დგას დღის წესრიგში და რომ სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციაში ყველა სახის რესურსების და მათ შორის ენერგორესურსების ყაირათიანმა ხარჯვამაც უნდა შეასრულოს გარკვეული როლი.

თელეთის მეცხოველეობის კომპლექსში დასახელებული ინსტიტუტის მიერ დანერგილია კომბინირებული ჰელიოდანადგარი, რომელიც წყლის გასაცხელებლადაა გათვალისწინებული. უკვე 1982 წელს ამ დანადგარის წყალობით კომპლექსში 267000 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგა.[39].

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა, მისი პროდუქტიულობის ზრდა ორგანულ კავშირშია საკვებწარმოების ზრდასთან. საკვებწარმოების ზრდა უნდა განაპირობოს არსებული სათიბ-საძოვრების ძირეულმა და ზედაპირულმა გაუმჯობესებამ, ბუნებრივი სათიბ-საძოვრების სრულყოფილმა გამოყენებამ და ათვისებამ, აუთვისებელი, მელიორირებული და გაუმლაშურებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართვამ. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ნორმების დაცვას, ბრძოლას საკვები კულტურების მავნებლობის წინააღმდეგ, რესპუბლიკის მაღალმთიანი და დაჭაობებული რეგიონებისათვის, რომლებიც მეცხოველეობის განვითარების მძლავრ რეზერვს წარმოადგენს, საკვების დამამზადებელ მობილურ მანქანათა კომპლექსის შექმნას.

---

[37] გაზ. „კომუნისტი", 1983 წ., 12 იანვარი, № 9.

[38] газ. «Заря Востока», 1983 г., 27 октября, № 247.

[39] იქვე.

ასეთი რთული და მნიშვნელოვანი ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელება, რომელიც ერთ საბოლოო მიზანს — მეცხოველეობის დარგის აღმავლობას ემსახურება, შეუჭლებელი და წარმოუდგენელია მეცნიერების ჩარევის გარეშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე მითითებული იყო, რომ რესპუბლიკაში სამთო მეცხოველეობის განვითარების გზაზე ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების სამუშაოების კომპლექსური წარმართვა.[40].

რესპუბლიკაში სათიბ-საძოვრების საერთო ფართობი დაახლოებით 1800 ათას ჰექტარს შეადგენს, აქედან სათიბები 150 ათასამდე ჰექტარია. ზაფხულის საძოვრების 3/4 კი რესპუბლიკის მაღალმთიან ზონაშია თავმოყრილი.[41] საკვებწარმოების შემდგომი ზრდის და მისი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ყველა არსებული რეზერვის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას ითვალისწინებს, დიდ მეთოდურ და პრაქტიკულ მუშაობას ეწევა საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტების და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტი, რომელიც ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერებთან ერთობლივად წარმატებით და ეფექტურად ახორციელებს ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონების საკვები ბაზის განმტკიცებას, როგორიცაა ბორჯომის რაიონის ქცია — ნარიანის მასივების, ონის რაიონის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების, ჩოხატაურის რაიონის სათიბ-საძოვრების დამუშავება — ათვისებას, ხოლო ყაზბეგის რაიონში თერგის და სნოს ხეობაში ახორციელებს დიდი ფართობების რეკულტივაციას. გარდა ამისა ეფექტურად ნერგავს ამ ფართობებზე თივის აღების ინდუსტრიულ ტექნოლოგიას სამაჯულო და საზღვარგარეთული ტექნიკის გამოყენებით.[42]

ამ ინსტიტუტების მიერ გატარებულ ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად უკვე 1982 წელს თივის საშუალო მოსავლიანობა ქციის სათიბებში 300—400 %-ით გაიზარდა და ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა თვითღირებულება. ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გუჯარეთის სათიბ-საძოვრები, ხოლო დაჩქარებული გამდელოების მეთოდის გამოყენების შედეგად ქციის სათიბებზე 1982 წელს 4,2 ჰექტარ ფართობზე 5,4 ტონა თივა მოიყვანეს, მაშინ როცა მთის პირობებში საშუალო მოსავლიანობა 1,2 ტონას არ აღემატება.[43]

უკანასკნელ წლების მანძილზე სართიჭალის საბჭოთა მეურნეობამ მტკიცე საკვები ბაზის შექმნით მთლიანად უზრუნველყო მეცხოველეობის ფერმები უხეში და წვნიანი საკვებით. ასეთ მნიშვნელოვან წარმატებებს მეურნეობამ ყველა არსებული რეზერვის ეფექტური გამოყენებით მიაღწია. კერძოდ, წარმატება მრავალწლოვანი ბალახების ნათესი ფართობების ზრდამ, იონჯის პირუტყვის საკვებად ფართო გამოყენებამ განაპირობა. იონჯით კვების დროს მატულობს პირუტყვის სადღეღამისო წონა უფრო მეტად ვიდრე სხვა საკვებით კვების დროს (3 კგ მეტია) და ამავე დროს უზრუნველყოფს უწყვეტი წველადობის შენარჩუნებას მთელი ზამთრის განმავლობაში.[44]. უკვე 1982

[40] газ. «Заря Востока», 1984 г., 19 июля, № 165.
[41] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983 წ., 12 აგვისტო, № 197.
[42] იქვე.
[43] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983 წ., 12 აგვისტო, № 197.
[44] გაზ. „კომუნისტი“, 1983 წ., 5 იანვარი, № 3.

წელს მეურნეობაში მწვანე მასის ჰექტარობრივი მოსავლიანობა ერთწლოვანი ბალახების შერევის თესვის შედეგად 250—300 ცენტნერამდე გაიზარდა, ხოლო შუალედური კულტურების თესვით 1982 წელს მეურნეობამ 5 ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა მიიღო.[45].

საკვები ბაზის განმტკიცების შედეგად რესპუბლიკაში შეინიშნება რძის წველადობის საშუალო წლიური ზრდა თითოეული ძროხისაგან, რომელიც ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1981—82 წლებში 1975 წელთან შედარებით 57 და 89 კგ-ით გაიზარდა[46].

მცირე კავკასიონის სათიბ-საძოვრებზე გავრცელებული სარეველის — მინდვრის გვირილის წინააღმდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერების მიერ დანერგილ იქნა ამავე ინსტიტუტში შემუშავებული ჰერბიციდების რეგლანის და მეკოპრონის გამოყენება, რომლის დადებითი თვისება იმაში გამოიხატება, რომ იგი სრულიად სპობს ამ მავნე სარეველას, მაშინ როდესაც აბსოლუტურად არ აზიანებს სასარგებლო ბალახებს. სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ამას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ამ პრეპარატის ფართო გამოყენება თითოეულ ჰექტარზე 65,5 მანეთის დამატებით წმინდა შემოსავალს იძლევა.[47].

მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დანერგვამ ბოგდანოვკის კოლმეურნეობა-კომპლექსს საუშალება მისცა დაეძლია მრავალწლიანი ჩამორჩენილობა და მტკიცე საკვები ბაზის შექმნით მთლიანად უზრუნველეყო 3.5 ათასი სული პირუტყვი საკუთარი საკვებით, რამაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა კომპლექსში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება[48].

ქმედითი ღონისძიებების გატარების შედეგად მეცხოველეობაში ზრდის შემდეგი დინამიკა შეინიშნება: 1981 და 1982 წლებში ხორცის წარმოება 1976 წელთან შედარებით 6.6 ათასი და 14, 8 ათასი ტონით გაიზარდა, რძის წარმოება 1976 წელთან შედარებით 67,5 და 77,7 ათასი ტონით გაიზარდა, ხოლო კვერცხის წარმოება 1976 წელთან შედარებით შესაბამისად 106, 5 და 156. 2 მილიონი ცალით.[49].

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე ამ დარგისკენ რესპუბლიკის მეცნიერთა ძირეული შემობრუნების დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა. მათი აქტიური თანამშრომლობის ფორმები და მეთოდები დღითიდღე იხვეწება, სრულყოფილი ხდება და მომავალში უფრო დიდი წარმატებების მიღწევის პერსპექტივებს ქმნის.

---

[45] გაზ. „კომუნისტი", 1983, 5 იანვარი. № 3.

[46] Народное хозяйство Груз. ССР в 1982 г., გვ. 103

[47] გაზ. „კომუნისტი", 1984 წ., 17 აპრილი,

[48] газ. «Заря Востока», 1984 г., 25 сентября, № 220.

[49] Народное хозяйство Грузинской ССР в 1982 году, გვ. 102—103.

В. Г. ТОГОШВИЛИ

УЧЕНЫЕ ГРУЗИИ В БОРЬБЕ ЗА ОСУЩЕСТВЛЕНИЕ ПРОДОВОЛЬСТВЕННОЙ ПРОГРАММЫ

Резюме

В статье освещена деятельность ученых республики в деле успешного решения республиканской продовольственной программы. В частности, показаны комплексные мероприятия научно-исследовательских институтов системы Академии наук Грузинской ССР и НИИ различных ведомственных подчинений, направленные на дальнейший подъем животноводства республики, дальнейшее углубление и совершенствование форм интеграции науки и производства, существенный поворот грузинской науки к аграрным проблемам и первые положительные результаты этого.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ.

მერი როდე-ჩიჯავაძე

სამკურნალო ფიზკულტურა საქართველოში დიდი სამამულო ომის წლებში

დიდი სამამულო ომის წლებში ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთ-ერთი ამოცანა იყო დაჭრილი მებრძოლების ჯანმრთელობისა და ბრძოლისუნარიანობის აღდგენა სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებით.

ჯერ კიდევ ომამდე ჩვენს ქვეყანაში სამკურნალო ფიზკულტურას, როგორც სამკურნალო მეთოდის დანერგვას, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს საქმე შემდგომ განვითარდა და თეთრფინელებთან ომის დროს ყველა ჰოსპიტალში გათვალისწინებული იყო სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი. სამკურნალო ფიზკულტურის შექმნა-განვითარება ჩვენს ქვეყანაში მოსკოვისა და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული. პირველად აქ შეიქმნა სამკურნალო ფიზკულტურის კათედრები, აქვე ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადეს, რომლებიც სამამულო ომის დროს ნაყოფიერად მუშაობდნენ ჰოსპიტლებში.

სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის 1941 წლის 3 ივლისის ბრძანებით განისაზღვრა ჰოსპიტლებში სამკურნალო ფიზკულტურის, როგორც სავალდებულო მეთოდის გამოყენება. ბრძანება ითვალისწინებდა ამ დარგის სპეციალისტების მომზადებას, იძლეოდა ძირითად მითითებებს ჰოსპიტლებში სამკურნალო ფიზკულტურის განვითარების თაობაზე[1].

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1941 წლის 30 ივლისის ბრძანებისა და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის № 192 ბრძანების თანახმად ყველგან დააჩქარეს სამკურნალო ფიზკულტურის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების შექმნა[2].

1941 წლის 27 ივლისს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა წითელი არმიის მთავარ სანიტარულ სამმართველოსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამედიცინო სანიტარულ სამმართველოსთან ერთად გამოსცა მითითებები და პროგრამები სამკურნალო ფიზკულტურის შესახებ, რომლებიც დაეგზავნათ სამხედრო ოლქების, ფრონტების სანიტარული სამსახურის უფროსებს, არმიებისა და ფლოტების უფროსებს, ჰოსპიტლების, სანიტარულ დაწესებულებათა უფროსებს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებს, უმაღლეს და საშუალო ფიზკულტურულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რათა ფართოდ დაენერგათ სამკურნალო ფიზკულტურა[3].

1941 წლის 15 აგვისტოს მონაცემებით, მოსკოვსა და ლენინგრადში მომ-

---

[1] Военная медицина в Великой Отечественной войне, В—I, М., 1944, გვ. 101.

[2] იქვე, გვ. 102.

[3] И. М. Саркизов-Саразини, Итоги Всесоюзного совещания по лечебной физкультуре при травмах военного времени, М., 1944, გვ. 6—7.

ზადდა 162 ექიმი და 1140 ინსტრუქტორი სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტი[4].

1942 წლის დეკემბერში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა შეაჯამა სამკურნალო ფიზკულტურის ხაზით ჩატარებული მუშაობის შედეგები, აღნიშნა ძირითადი ნაკლოვანებანი და დასახა მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი ფიზკულტურული აქტივის სწავლების საკითხებს.

ომის პირველ თვეებში მომზადდა სამკურნალო ფიზკულტურის 1300 საზოგადოებრივი აქტივისტი[5]. მაგრამ თავდაპირველად წარმატებებთან ერთად ამ საქმეში ნაკლოვანებებიც იყო. მაგალითად, ზოგიერთი ექიმი ნაკლებად ერკვეოდა სამკურნალო ფიზკულტურის საკითხებში ანდა ჯეროვნად არ აფასებდა მას; მთელ რიგ ჰოსპიტლებში სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობა ამოიწურებოდა 10—15-წუთიანი სეანსებით, რასაც არ შეეძლო მოეცა საჭირო ეფექტი[6].

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დააწესა მკაცრი კონტროლი ბრძანების შესრულებაზე, მოხდა ჰოსპიტლებში სამხედრო ფიზკულტურის დარგში მუშაობის რეგლამენტაცია. გათვალისწინებულ იქნა ჰოსპიტლების მომარაგება გამოქვეყნებული მეთოდური მასალით სხვადასხვა ტრავმის შემთხვევაში სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენების შესახებ, დასახა აგრეთვე კადრების მომზადებისა და სრულყოფის ღონისძიებანი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზოგადოებრივ აქტივს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ჰოსპიტლებში სამუშაოდ ჩაებათ გოგონები საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მოსამზადებლად, სამკურნალო ფიზკულტურის დარგში მოეწყოთ 96 საათიანი სემინარები და სხვ.

სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენება დაიწყეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის საევაკუაციო ჰოსპიტლების მთელ რიგ სისტემებში, ამასთან ამ საქმეში სულ უფრო მეტ ადამიანს აბამდნენ სვერდლოვსკის ოლქის საევაკუაციო ჰოსპიტლებში[7].

ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტების ქმედითი მონაწილეობით სამკურნალო ჰოსპიტლები დაკომპლექტდა სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტებით. ძირითადად 1942 წლის გაზაფხულისათვის მომზადდა სპეციალისტების დიდი რაოდენობა. მაგალითად, მოსკოვში ამ დარგში მუშაობის უფლება მიიღო 85 ექიმმა, 650 ინსტრუქტორმა და 25 მედიცინის დამ[8]. 1943 წელს ჩვენი ქვეყნის ევაკოჰოსპიტლებისათვის მომზადდა 4373 მედიცინის და სამკურნალო ფიზკულტურის დარგში სამუშაოდ[9].

საქართველოში ასეთი მდგომარეობა იყო: დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რესპუბლიკის მთელი სამკურნალო ქსელის მუშაობა სამშობ-

---

[4] История Физической культуры и спорта, М., 1975, გვ. 219.

[5] Военная медицина в Великой Отечественной войне, გვ. 103.

[6] პროფ. მ. ზანდუკელის არქივიდან.

[7] იქვე, გვ. 107.

[8] Краткое руководство по лечебной физкультуре при травмах военного времени, М., 1942, გვ. 15.

[9] У. Л Поляков, Лечебная физкультура в военных госпиталях, М., 1945, გვ. 12.

ლოს დაცვის ინტერესებს დაექვემდებარა. საქართველოს კურორტებზე განლაგებულ ჰოსპიტლებში მხოლოდ ქირურგიული ავადმყოფები იყვნენ მოთავსებული იმ დროს, როცა სხვა ქალაქებისა და რაიონების ჰოსპიტლებში მყოფ ავადმყოფ მეომართა უმეტესობა ბალნეოლოგიურ მკურნალობასა და ფიზკულტურის მკურნალობას საჭიროებდა[10].

ამ მდგომარეობის თანდათანობით გამოსწორებაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფ. მიხეილ ოთარის ძე ზანდუკელს. მან 1941 წლის 28 ივნისს სათანადო ინსტანციების წინაშე აღძრა საკითხი, რომ ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი თვითონ იყო ორჯონიკიძის ქ. № 30 გადაკეთებულიყო ჰოსპიტლად[11]. მოხსენებით ბარათში იგი აღნიშნავდა: „ამ ისტორიულ ჟამს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია... საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისა და სამედიცინო სამყაროს წინაშე დავაყენო საკითხი იმის წინაშე, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ფიზიოთერაპიის ყველა სახეობა ჩვენს ჰოსპიტალსა და სამკურნალო დაწესებულებებში, რომლებიც მოწოდებული არიან ემსახურონ წითელ არმიას... ჩვენი ინსტიტუტის კედლებში დაარსდეს ფიზიოთერაპიული ჰოსპიტალი, დაახლოებით ასი საწოლი, ორთოპედიული განყოფილება ქვედა სართულზე“[12].

მოხსენებით ბარათში იგი იმოწმებდა გამოჩენილი საბჭოთა ექიმების მოსაზრებებს და აღნიშნავდა, რომ ყველაზე გამოცდილი დასტაქრის დანა ვერ შეძლებს ყოველივე იმას, რასაც იძლევა ფიზიოთერაპიული დანადგარების გამოყენება და სამკურნალო ფიზკულტურა. მ. ზანდუკელი აყენებდა საკითხს, რომ დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა მკურნალობის მიზნით გამოეყენებინათ ბალნეოლოგიური ტალახის აბაზანები და სამკურნალო წყლები[13].

მ. ზანდუკელის მოხსენების საფუძველზე მალე ინსტიტუტი გადაკეთდა ევაკოჰოსპიტლად (№ 3771). გარდა ამისა, საქართველოს ყველა ჰოსპიტალში შეიქმნა ფიზიოთერაპიული კაბინეტები და ამბულატორიები, მოეწყო სპეციალური მოკლევადიანი კურსები, სადაც ამზადებდნენ უფროს და საშუალო სამედიცინო პერსონალს[14].

ამასთანავე აღნიშნული ჰოსპიტალი საქართველოს ყველა ჰოსპიტლიდან კრებდა მძიმედ დაჭრილებს, რომელთა ექვსთვიანი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა. აქ მათ უტარდებოდათ ასამდე სხვადასხვა წყლის, ელექტრო და სხივური მკურნალობის პროცედურები, მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. ომის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ ნაწილებში გაიწერა მეომართა დაახლოებით 40%. თითქმის ყველა ომის ინვალიდი შრომისუნარიანი დაბრუნდა შინ[15]. ეს იმის შედეგი იყო, რომ ჰოსპიტალში მაღალ დონეზე იდგა დაჭრილთა მკურნალობა. ჰოსპიტალში მუშაობდნენ ცნობილი პროფესორები, კონსულტანტებად მოწვეული იყვნენ კვალი-

---

[10] ს. საყვარელიძე, საქართველოს მეცნიერ-მედიკოსები დიდ სამამულო ომში, თბ., 1966, გვ. 11.

[11] პროფ. მ. ზანდუკელის არქივიდან.

[12] იქვე.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] ს. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ფიციური სპეციალისტები, რომლებიც ეხმარებოდნენ ჰოსპიტლის ექიმებს კიდევ უფრო დახელოვნებულიყვნენ თავიანთ საქმეში, იმართებოდა კონფერენციები, მუშაობდა კურსები, კითხულობდნენ ლექციებს და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ თბილისის ჰოსპიტლებისათვის გამოუშვეს 100-ზე მეტი ექიმი, 200-ზე მეტი სამედიცინო და, მასაჟისტი და ა. შ.[16].

მტერზე გამარჯვების საქმეში ქართველმა მედიკოსებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს ჯერ კიდევ ხასანის ტბისა და ხალხინ—გოლის ბრძოლებში, ხოლო შემდეგ თეთრფინელებთან ომში. თეთრფინელების წინააღმდეგ ომში მიღებული გამოცდილება განაზოგადეს და დანერგეს ევაკოჰოსპიტალში დარია ბერეჟიანმა და სხვებმა[17].

პირველი ქართველი დოქტორი ქალი დ. ბერეჟიანი დიდი სამამულო ომის დროს საევაკუაციო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგე იყო. ის პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ჰოსპიტალში. 1944 წელს საევაკუაციო ჰოსპიტლის ქირურგთა კონფერენციაზე დ. ბერეჟიანმა წაიკითხა მოხსენება „ბარძაყის ძვლის ცეცხლმსროლელი იარაღით მოტეხილობის შესახებ". დ. ბერეჟიანმა ქართველ მედიკოს მეცნიერთა შორის პირველმა მიუთითა ამგვარი მოტეხილობის შემთხვევაში წყალტუბოს წყლებისა და სამკურნალო ფიზკულტურის დადებით გავლენაზე[18].

სოციალისტური შრომის გმირი, დოქტორი ს. საყვარელიძე ამ საკითხზე ასეთ ცნობას გვაწვდის: პროფ. მ. ზანდუკელის თაოსნობით ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ფიზკულტურაში რესპუბლიკის მასშტაბით სასწრაფოდ აიმაღლა კვალიფიკაცია 250 ექიმმა და 300 ექთანმა[19].

ფიზიოთერაპიული ჰოსპიტალი, რომელსაც სათავეში ედგა პროფ. მ. ზანდუკელი, განკუთვნილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საევაკუაციო ჰოსპიტლებიდან გამოწერილ დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა შემდგომი მკურნალობისათვის. ჰოსპიტალმა და მისმა მთელმა აპარატმა დიდი დახმარება გაუწია საევაკუაციო ჰოსპიტლებს ფიზიოთერაპიული განყოფილების ორგანიზაციით და კადრებით დაკომპლექტებით. ავადმყოფებს მასობრივად უტარდებოდათ ფიზიოთერაპიული მკურნალობა. ფიზიოთერაპიულ ჰოსპიტალში და დანარჩენ საევაკუაციო ჰოსპიტლებში სპეციალური მომსახურება გაეწია მრავალ ათას დაჭრილ და ავადმყოფ მეომარს[20]. ამრიგად, ფიზიოთერაპიულმა მკურნალობამ სასიკეთო შედეგები მოგვცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით მეტი იქნებოდა განკურნებული მებრძოლთა ნაწილში დაბრუნების პროცენტი, რომ დაჭრილ და დასახიჩრებულ მებრძოლთა მკურნალობისათვის ომის დაწყებისთანავე გამოეყენებინათ სამკურნალო ფიზკულტურა და საკურორტო ფაქტორები.

ომის პერიოდში ჰოსპიტლებში მომუშავე მეცნიერმუშაკი და რიგითი ექიმები პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად მეცნიერულ კვლევასაც ეწეოდ-

---

[16] პროფ. მ. ზანდუკელის არქივიდან.
[17] ს. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.
[18] იქვე, გვ. 96.
[19] იქვე.
[20] იქვე გვ. 21.

ნენ და სიახლეს ნერგავდნენ დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მკურნალობის დაჩქარების მიზნით[21].

ამიტომ საქართველოს კურორტებზე და ქ. თბილისში განლაგებულ ჰოსპიტლებში დიდი იყო დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა განკურნებისა და ფრონტზე მათი დაბრუნების პროცენტი საბჭოთა კავშირის მასშტაბით[22].

ფიზიოთერაპია და სამკურნალო ფიზკულტურა, როგორც მთელი კომპლექსის ერთ-ერთი რგოლი, თავის საქმეს კარგად ასრულებდა. არასრული მონაცემებით ჰოსპიტალში ფიზიოთერაპია გაიარა დაახლოებით 450 ათასმა დაჭრილმა და ავადმყოფმა, ე. ი. 84%-მა. მათ ჩაუტარდათ დაახლოებით 5 მილიონი პროცედურა. ეს ციფრები მეტყველებენ, რომ საქართველოს საევაკუაციო ჰოსპიტლებში ფიზიოთერაპიამ და სამკურნალო ფიზკულტურამ თავისი წელილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში[23].

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის 24 კურსდამთავრებულმა ფიზიკურ ზრდის მასწავლებელმა 1941—1945 წლებში საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და მიენიჭათ ინსტრუქტორ-მეთოდისტის წოდება[24].

საქართველოს ფიზკულტურის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ სამკურნალო ფიზკულტურის მუშაობაშიც, რათა აღედგინათ ჯანმრთელობა დაჭრილი მეომრებისათვის და ოფიცრებისათვის და მწყობრში ჩაეყენებინათ ისინი...

სპორტის დამსახურებული ოსტატი და მწვრთნელი, პროფესორი ვლადიმერ მიხეილის ძე დიაჩკოვი იგონებდა: „ომის პირველმა დღემ თბილისში მომისწრო, სადაც ვმუშაობდი საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. სამშვიდობო საქმეები, ხანგრძლივი სამეცნიერო გეგმები გადავდეთ. ყველა ერთი აზრით ვსულდგმულობდით: როგორ მოგვეტანა ქვეყნისათვის, ფრონტისათვის მაქსიმალური სარგებლობა. როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანი, მეც სამხედრო კომისარიატში მივედი და ფრონტზე გაგზავნა ვითხოვე, მაგრამ საევაკუაციო ჰოსპიტალში მიმავლინეს სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტად, რომელიც ომის პირველ დღეებიდანვე გაიხსნა თბილისში.

პირდაპირ ვიტყვი, პირველ ხანებში ჰოსპიტალის უფროსობას მაინცდამაინც არ სჯეროდა ჩვენი და მით უფრო ავადმყოფებს.

მაგრამ აზრი თანდათან შეიცვალეს. განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში კაზაკ ლეონიდ სტოვბუნის ამბავი. მან ფრონტზე მძიმე ჭრილობა მიიღო. მედსანბატში და ჰოსპიტალში პირველადი ოპერაციის შემდეგ აღინიშნა ფეხების სრული უმოქმედობა მუხლის არეში. ექიმებს ეს შემთხვევა უიმედოდ მიაჩნდათ, მე კი ასე როდი ვფიქრობდი, და ერთი სული მქონდა ეს დამემტკიცებინა. დავუწყე კომბინირებული მკურნალობა: წყლის პროცედურები, მასაჟი, სპეციალური ტანვარჯიში. ასე თანდათანობით გავუაქტიურე მოძრაობა და ერთი თვის შემდეგ სასწაული მოხდა: ქირურგებმა, რომლებიც მებრ-

---

[21] З. П. Фирсов, Возвращение в строй М., журн. «ФИС», 1942, გვ. 7.

[22] ს. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[23] იქვე, გვ. 96.

[24] საქართველოს სსრ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის არქივიდან.

ძოლს ინვალიდობას უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა თამამად მოაწერეს ხელი ცნობას, მისი მწყობრში დაბრუნების შესახებ.

ამას სხვა წარმატებები მოჰყვა. ჩვენმა განყოფილებამ გააჩაღა მუშაობა სამკურნალო ფიზკულტურის დარგში და გაზარდა ინტერესი ჩვენი საქმიანობისადმი. ერთხელ ევაკოჰოსპიტალის უფროსმა ექიმმა მოითხოვა გამოვსულიყავი ლექციების ციკლით სამედიცინო პერსონალის წინაშე. ასე, თანდათან სრული აღიარება მოვიპოვეთ და მკურნალ ექიმებთან ერთად ვმონაწილეობდით დილის შემოვლაში, სათანადო ჩანაწერები შეგვქონდა ავადმყოფების ისტორიაში"[25].

ასევე ნაყოფიერად შრომობდნენ სამკურნალო ფიზკულტურის დარგში საქართველოს ევაკოჰოსპიტლების სხვა ფიზკულტურის მეთოდისტებიც და ათასობით ჯარისკაცსა და ოფიცერს დაეხმარნენ აღედგინათ ჯანმრთელობა და მწყობრში დაბრუნებულიყვნენ.

1942 წლის დამდეგს ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში გაიხსნა კვალიფიკაციის ამაღლებელი კურსები, რომლებიც დაამთავრა ათასმა კაცმა[26].

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა, წითელი არმიის მთავარმა სამხედრო-სანიტარულმა სამმართველომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტრომ და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამედიცინო სანიტარულმა სამმართველომ 1942 წლის 7 აპრილიდან 8 მაისამდე ჩაატარეს პირველი საკავშირო თათბირი ომის დროს ტრავმების ფიზიოთერაპიის საკითხებზე[27].

თათბირის ძირითადი საკითხები იყო სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენების ორგანიზაციაში გამოცდილების გაცვლა, სამკურნალო ფიზკულტურის ყველაზე ეფექტიანი მეთოდების გაცნობა. თათბირმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან მკურნალ ექიმებს და სამკურნალო ფიზკულტურის დანიშვნის ვადები ზოგიერთი სახის მკურნალობის დროს დაეზუსტებინათ, გაეძლიერებინათ ფიზკულტურული მუშაობა, მაგალითად, სამხედრო გამთყენებითი სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ცურვა, ნიჩბოსნობა, თხილამურებით სრიალი, შუბისა და ბადროს ტყორცნა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ტანვარჯიშს[28].

სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი იუსტინე ჯანელიძე ომის დაწყებისთანავე დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ჩვენი ქვეყნის ყველა ჰოსპიტალში სამკურნალო საქმის ორგანიზაციას.

იგი ჯერ კიდევ 1939 წელს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ ქირურგად დაინიშნა. ოკეანეებსა და ზღვებზე დარაჯობდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობასა და ცხოვრებას ჩვენი მეზღვაურები. სწორედ მათი ჯანმრთელობის საქმე ებარა ი. ჯანელიძეს, საჭირო იყო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, განსაკუთრებული

---

[25] საუბარი ჩაიწერა ავტორმა 1979 წელს სსრ კავშირის რეკორდსმენთან ე. მ. დიაჩკოვთან.
[26] Жур. «ФИС", 1944, № 6, გვ. 6.
[27] ЦГАОР СССР, Ф. 8009, оп. 31, ед. хр. 6, გვ. 1.
[28] იქვე, გვ. 8—9.

ენერგია და ენთუზიაზმი, რომ უკვე ხანში შესულ აკადემიკოსს ეკისრა ეს მეტად პასუხსაგები თანამდებობა[29].

ი. ჯანელიძე ომის დროს მთელი თავისი არსებით ჩაება სამშობლოს დამცველთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. არ დარჩენილა არც ერთი ზღვა, არც ერთი ფლოტი, ფლოტილია (გარდა წყნარი ოკეანისა), რომ ჯანელიძე პირადად არ მისულიყო ადგილზე და უშუალოდ არ გაეწიოს იქ სამედიცინო დახმარება, კერძოდ ქირურგიული პერსონალისათვის, მან შესანიშნავად წარმართა მუშაობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ევაკოჰოსპიტლებში და მეტად მაღალ დონეზე დააყენა დაჭრილ და ავადმყოფ მეზღვაურთა სამედიცინო დახმარების საქმე[30].

სწორედ მისი ინიციატივით გაიხსნა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის შენობაში 1942 წლის 15 მაისს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ევაკოჰოსპიტალი (№ 2454), სადაც დაჭრილთა მკურნალობასთან ერთად წარმოებდა ინტენსიური მუშაობა, მათ შორის სამკურნალო ფიზკულტურის დარგშიც.

აკადემიკოს ი. ჯანელიძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ჰოსპიტლების რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია და შეჯამდა მათი მუშაობის შედეგები. იგი სისტემატურად ჩამოდიოდა თბილისში და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა საევაკუაციო ჰოსპიტლებს[31].

სამხედრო-საზღვაო საევაკუაციო ჰოსპიტლის პირველ-ორ სამკურნალო ფიზკულტურისა და გამოჯანმრთელების განყოფილებას ხელმძღვანელობდა ექიმი შუშანა ნუცუბიძე, მესამე განყოფილებას ფიზიოთერაპიას — ეკატერინე ჩილინგარიშვილი.

ინიციატივიანმა ადმინისტრატორმა, კვალიფიციურმა ექიმმა შუშანა ნუცუბიძემ სანიმუშოდ მოაწყო სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილება. მოატანინა დიდი სპარსული ხალიჩა, ზედ დაალაგა ტანვარჯიშული სკამები, იშოვა დატენილი ბურთები (მედიცინბოლები), სახტუნავო თოკები, ტანვარჯიშული ჯოხები და სხვა ინვენტარი. მალე მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია[32].

„ჩვენს ჰოსპიტალში, — იგონებს შუშანა ნუცუბიძე, — ლენინგრადის პ. ფ. ლესგაფტის სახელობის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის 19 კურსდამთავრებული მეთოდისტი მოავლინეს. მახსოვს ა. რომანოვი, სვისტუნოვი და სხვები, ისინი თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლებს. 1942 წლის ბოლოს ჩვენთან ორი მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს, ერთი აღმოჩნდა ადმირალი ი. ს. ისაკოვი, მეორე კი სევასტოპოლის გმირი არკადი გეგეშიძე. საბჭოთა კავშირის გმირი არ. გეგეშიძე თეძოში იყო დაჭრილი, ისაკოვი კი — ფეხში. სასწრაფოდ ჩამოფრინდა ი. ჯანელიძე და თავს დაადგა მათ. არკადი რომ გამოკეთდა, ჩემს განყოფილებაში გადმოიყვანეს და ჩვენც სათანადოდ მოვუარეთ და ისევ მწყობრში ჩავაყენეთ“.

სოციალისტური შრომის გმირის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ი. ჯანელიძის მუშაობა დიდი სამამულო ომის პერიოდში არ შემოფარგლულა სამხედრო-საზღვაო ფლოტით. ის აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკასა და ოლქში ჩატარებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ

---

[29] დ. მამამთავრიშვილი, ოსტინე ჯანელიძე, თბ., 1954, გვ. 30.

[30] იქვე, გვ. 31.

[31] იქვე.

[32] შ. ნუცუბიძის არქივიდან, გვ. 34.

კონფერენციებსა და თათბირებში, სადაც განიხილებოდა დაჭრილ ავადმყოფ მებრძოლთა საექიმო დახმარების საკითხები, დაუღალავად ასწავლიდა ჩვენი ქვეყნის ექიმებს, ხელს უწყობდა და წარმართავდა მათ დახელოვნებას[33].

ი. ჯანელიძე 1942 წელს გაეცნო შუშანა ნუცუბიძის მიერ შემუშავებულ ვარჯიშების კომპლექსს, მეთოდებს, შედეგებსა და კმაყოფილი დარჩა. „წასვლისას, — იგონებს შ. ნუცუბიძე, — მირჩია კარგად გამეანალიზებინა ყველაფერი ეს, დამეწერა მოხსენება კონფერენციისათვის, რომელზედაც მიმიწვია, ოღონდ მოხსენების კონსულტანტი ჰოსპიტლის მთავარი ექიმი პროფ. ალ. პეტროვი უნდა ყოფილიყო.

1943 წლის თებერვალში მივიღე დეპეშა და ადმირალ სტეპანოვის თვითმფრინავით გავფრინდი. გადავუარეთ დანგრეულ სტალინგრადს და მეექვსე დღეს ჩავფრინდით ქ. კიროვში. ჯანელიძემ ლენინგრადიდან აქ გადმოიტანა თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის კლინიკა. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ ფლოტებისა და ფლოტილიების წამყვანი ექიმები. მე წავიკითხე მოხსენება „სამკურნალო ფიზკულტურის სხვადასხვა წარმოშობის კონტრაქტურების დროს“. მოხსენება მოიწონეს და დაიბეჭდა მედიცინის საკავშირო კონფერენციის შრომებში[34].

„დაუვიწყარია, — იგონებს პროფ. დ. მამამთავრიშვილი, — პროფ. ი. ჯანელიძის მონაწილეობა საქართველოს ევაკოჰოსპიტლების ექიმთა კონფერენციებში 1944 წელს. მან დიდი ყურადღებით, მკაცრი კრიტიკული თვალთახედვით შეაფასა ჩვენი ექიმების მიერ წარმოებული მუშაობა და ბევრი სასარგებლო, საჭირო რჩევა-დარიგება მისცა ექიმებს პრაქტიკული მუშაობის წარმატებით ჩატარებისათვის“[35].

სწორედ ერთ-ერთ ასეთ კონფერენციაზე შ. ნუცუბიძემ წაიკითხა მეორე მოხსენება „სამკურნალო ფიზკულტურა ცეცხლმსროლელი იარაღით ბარძაყის ჭრილობების შემთხვევაში“. ამავე სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა მ. ზანდუკელიც.

№ 2454 ევაკოჰოსპიტლის უფროსის მოადგილის მიხეილ მოსეს ძე კიკნაძის მიერ შ. ბ. ნუცუბიძის სახელზე 1946 წლის 11 თებერვალს გაცემულ დახასიათებაში ვკითხულობთ: „მან ბევრი შრომა და გარჯა მოახმარა სამკურნალო ფიზკულტურის საქმის თეორიულ და პრაქტიკულ ორგანიზაციას, რამაც შესაძლებლობა შექმნა კვალიფიცირებულ ექიმთა და სამედიცინო დებით დაკომპლექტებულიყო აღნიშნული განყოფილება“[36]. სწორედ ომის დროს ჩატარებული სამკურნალო ფიზკულტურაში მოპოვებული მასალების საფუძველზე დაიცვა შ. ნუცუბიძემ საკანდიდატო დისერტაცია.

ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდნენ აგრეთვე მარიამ სულხანიშვილი, ნინო მაღალაშვილი, ოლიკო მიქელაძე, რაისა კოგანი-ზაალიშვილი, ივანე მაჭავარიანი, ლევან ყანჩაველი, გოგლიკა ბაბილოძე და სხვ.

სპორტისა და სამკურნალო ფიზკულტურის განვითარებაში თავისი წვლილი მიუძღვის მარიამ მიხეილის ასულ სულხანიშვილს, იგი 1908 წელს დაიბა-

---

[33] Газ. «Красная Звезда», 1984, 19 февраля.

[34] Труды, Ученого Совета МСУ ВМФ; Эвако-госпитали Наркомзвода СССР, М., 1943, გვ. 70.

[35] დ. მამამთავრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[36] შ. ნუცუბიძის, არქივიდან.

და ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. სკოლაში სწავლის დროს გიორგი და თამარ ნიკოლაძეების ხელმძღვანელობით „შევარდენის“ სპორტულ საზოგადოებაში ვარჯიშობდა. როდესაც დაოსტატდა, მარიამი ერთ-ერთი ტანვარჯიშული ჯგუფის მწვრთნელად დანიშნეს. ახალგაზრდა სპორტსმენი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო. სწავლის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალთა ტანვარჯიშული სექცია ჩამოაყალიბა და ავარჯიშებდა მათ. პირადად მონაწილეობდა სხვადასხვა სპორტულ გამოსვლებსა და სპარტაკიადებში[37].

მარიამ სულხანიშვილი სპორტულმა მედიცინამ გაიტაცა და 1931 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახლადგახსნილ ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გაიგზავნა მეცნიერ-თანამშრომლად. მან რესპუბლიკაში ახლად ფეხადგმულ სამკურნალო ფიზკულტურის განვითარება-დამკვიდრებაში თავისი წვლილი შეიტანა. ინსტიტუტში მარიამ სულხანიშვილმა ათი წელი იმუშავა დირექტორის პროფესორ გიორგი მღებრიშვილის ხელმძღვანელობით[38].

1932 წელს მარიამ სულხანიშვილმა მონაწილეობა მიიღო პირველ სათხილამურო გადარბენაში კავკასიონის მთავარ ქედზე[39].

1933 წელს რესპუბლიკის ათი ტანმოვარჯიშე გაიგზავნა მოსკოვში ტანვარჯიშის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ესენი იყვნენ ჩვენი სასიქადულო სპორტსმენების მეორე თაობა: გულო რცხილაძე, ლევან ყანჩაველი, პავლე რომანიშვილი, გოგლიკა ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, მარიამ სულხანიშვილი, მარიამ ბეჟანიშვილი, იულია ფარეშაშვილი და ოლიკო მიქელაძე. ვაჟებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს[40].

კალინინის ქუჩაზე ერთ-ერთ სკოლაში დიდი სამამულო ომის დროს (№ 1434) ევაკოჰოსპიტალი გაიხსნა, სადაც სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის გამგედ დანიშნეს მარიამ სულხანიშვილი.

„ჩვენს ჰოსპიტალში, — იგონებს იგი, — ძირითადად ძვალ-სახსართა დაზიანებას ვმკურნალობდით. ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ სპორტსმენი მეთოდისტები ივანე მაჭავარიანი, ლევან ყანჩაველი, კვალიფიკაცია გაიარა № 2454 ევაკოჰოსპიტლის სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილების უფროსმა, ექიმმა შ. ნუცუბიძემ და სხვებმა. ომის პერიოდში 200-ზე მეტი ექიმი, მასაჟისტი და მეთოდისტი მოვამზადეთ“[41].

მ. სულხანიშვილი, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, ვარჯიშობდა, პარალელურად ალპინისტურ ბანაკებსა და მაშველი სადგურის ექიმად მუშაობდა და სპორტის ამ სახეობაში მაგალითის მიმცემი იყო[42].

ომის პერიოდში მან შექმნა სხვადასხვა სამედიცინო აპარატები, როგორიცაა ორთოპედიული მაგიდა, ტერფის დაზიანების შემსწავლელი ხელსაწყო — კიფოსკოლიოზიმეტრი, რისთვისაც საბჭოთა კავშირის გამომგონებელ-

---

[37] ექიმ მ. სულხანიშვილის არქივიდან.

[38] იქვე.

[39] გაზ. „ლელო“, 1980 წლის 22 მაისი.

[40] შ. ნ. ახვლედიანი, ჯ. ი. ბაგრატიონი, ნ. ე. გუგუშვილი, სპორტი საქართველოში (ცნობარი), თბ., 1980, გვ. 310.

[41] მ. სულხანიშვილის არქივიდან.

[42] გაზ. „ლელო“, 1980, 22 მაისი.

თა და რაციონალიზატორთა სახელმწიფო კომიტეტმა საავტორო უფლება მიანიჭა[43] და სხვ.

ომის დროს გაწეული დაუღალავი შრომისათვის სამედიცინო სამსახურის კაპიტანი სულხანიშვილი დაჯილდოვდა საბრძოლო მედლებითა და სიგელებით.

ექიმმა-სპორტსმენმა შექმნა 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ომის წლებში დაგროვილი გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად ჩატარებული მუშაობის განზოგადოების საფუძველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომები ხერხემლის გამრუდების საკითხებზე[44].

1977 წელს მ. სულხანიშვილი საქართველოს სსრ სპორტის, მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

ქართული სპორტის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ნინო ზაქარიას ასულმა მაღალაშვილმაც. იგი 1906 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში მოსამსახურის ოჯახში. ის თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში სწავლობდა. ნინომ ვარჯიში უფროსი ძმების ცნობილი ფეხბურთელების ხელმძღვანელობით დაიწყო, მათ შეაყვარეს ტანვარჯიში. პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, როგორც პერსპექტული ტანმოვარჯიშე „შევარდენის“ პირველ ჯგუფში გადაყვანეს, სადაც მწვრთნელ გ. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით დაოსტატდა, ხოლო შემდეგ ტანვარჯიშის მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებიც დაამთავრა.

1927 წლიდან ნინო ერთ-ერთ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. ამავე დროს იგი გატაცებული იყო სპორტული მეჯლისების, ტანვარჯიშული საღამოების, გამოსვლების მოწყობით და მის პოპულარიზაციას ეწეოდა. ნინო სამკურნალო ფიზკულტურით დაინტერესდა. სკოლას თავი მიანება და 1936 წლიდან სამუშაოდ გადადის ქალაქის ფიზკულტურის დისპანსერში მეთოდისტად.

„ომი რომ დაიწყო, — იგონებს ნინო მაღალაშვილი, — კამოს ქუჩაზე მდებარე სამხედრო სასწავლებელი გადაკეთდა № 1561 ევაკოჰოსპიტლად. მობილიზაციის წესით აქ გამოგვაგზავნეს ინსტრუქტორ-მეთოდისტებად მე და სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ტანმოვარჯიშე გოგლიკა ბაბილოძე.

როდესაც გმირი ქალაქი სევასტოპოლი დავტოვეთ ევაკუირებულ იქნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის № 40 ევაკოჰოსპიტალი. აქ მუშაობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ექიმები სამკურნალო ფიზკულტურის დარგში. განყოფილების გამგე იყო პროფესორი ს. ი. კაპილევიჩი, ექიმები კიტაევი, ფირსოვი და სხვ. ევაკოჰოსპიტალში შესანიშნავი ფიზკულტურის კოლექტივი გვქონდა და აქტიურად ვმონაწილეობდით ქალაქისა და რესპუბლიკის სპორტულ ღონისძიებებში, კერძოდ, ჰადრაკში, შაშში, ფრენბურთში და კალათბურთში.

მინდა აღვნიშნო, რომ ს. კაპილევიჩმა კიდევ უფრო გამიღრმავა ცოდნა

---

[43] Авторское свидетельство № 162285 14—11—64 год.

[44] М. М. Сулханишвили, К вопросу учета эффективности лечения искривления позвоночника, Сборник трудов, Тб., 1976, том. VIII, გვ. 87; Физиологические изменении альпиниста в условиях учебно-альпинистского лагеря, Сборник трудов, том. IX, გვ. 35.

სამკურნალო ფიზკულტურის დარგში. ვკითხულობდი მოხსენებებს და ვატარებდი საუბრებს"[45].

ნ. მაღალაშვილი, როგორც საუკეთესო სპეციალისტი, 1944 წელს, დაინიშნა საქართველოს ევაკოჰოსპიტლების ინსპექტორ-მეთოდისტად და ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ევაკოჰოსპიტლების მეთოდისტებსა და მასაჟისტებს.

მის სამსახურებრივ დახასიათებაში ვკითხულობთ: „ნ. მაღალაშვილს აქვს დიდი პრაქტიკული სტაჟი, მოსწავლეებთან მუშაობდა 1927—1936 წლებში, შემდეგ კი სამკურნალო ფიზკულტურის დარგში. თავისი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე მომზადებულ სპეციალისტთა პრაქტიკული მუშაობის პროცესში იგი ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა. ავადმყოფებში და დაჭრილ ბეზღვაურებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. მუშაობაში აკურატული და თავისი საქმის კარგი სპეციალისტია"[46].

დამთავრდა ომი. ნინოს ღვაწლი დაფასდა. ის დააჯილდოვეს საბრძოლო მედლებითა და სიგელებით. იგი დამსახურებულ პენსიაზეა. ამჟამად თბილისის მე-18 ბავშვთა პოლიკლინიკაში მუშაობს მეთოდისტად. 1977 წელს ნინო საქართველოს სსრ სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

ოლიკო მიქელაძე ტანვარჯიშის დაუცხრომელი პოპულარიზატორი იყო. 20—30-იან წლებში იგი აქტიურად მუშაობდა სპორტის კლასიკურ სახეობათა დანერგვა-აღორძინების საქმეში. ოლიკო ლევან ყანჩაველმა დააოსტატა ტანვარჯიშში. გარდა ამისა თამაშობდა ფრენბურთს, კალათბურთს, მონაწილეობდა ტანვარჯიშულ გამოსვლებში და სპარტაკიადებში.

ო. მიქელაძე ძირითადად მაინც ტანვარჯიშს მისდევდა. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შეიყვანეს საქართველოს ტანვარჯიშის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, გ. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით ხვეწდა ტანვარჯიშულ ილეთებს. ნაკრების მწვრთნელმა ეგნატაშვილმა ასე დაახასიათა იგი: „ოლიკო მიქელაძე ყოველმხრივ განვითარებული სპორტსმენი ქალია, ის ტანვარჯიშის „მერცხალია". ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ო. მიქელაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიგზავნა სამუშაოდ. ამავე წელს იგი სპორტსაზოგადოება „ელვის" აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა[47].

დიდი სამამულო ომის დროს უფ. ლეიტენანტი მიქელაძე ერთ-ერთ ევაკოჰოსპიტალში მუშაობდა სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტად. 1943 წლის დასასრულს ჰოსპიტალს გაჰყვა ყირიმის ფრონტზე და სწორედ აქ მუშაობდა ძირითადად სამკურნალო ფიზკულტურის დარგში. თუმცა ბევრჯერ უშუალოდ ფრონტიდანაც გამოჰყავდა დაჭრილი მებრძოლები და ხშირად ისე გამოაჯანმრთელებდა ხოლმე, რომ ისინი კვლავ ფრონტს უბრუნდებოდნენ და მიჰქონდათ მადლობის გრძნობა მამაცი და გულისხმიერი ქალისადმი.

---

[45] საქ. სსრ ორმსცა (თბილისის ფილიალი), ფონდი 18, ანაწ. 1, ფურც. 44.

[46] ნ. მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს არქივიდან.

[47] გაზ. „ფიზკულტურული", 1939 წლის 18 ივლისი.

ჯერ კიდევ ხარკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი იყო რაისა კოგანი, როდესაც საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ტანვარჯიშში[48]. შემდეგ წელსაც გაიმეორა ეს შედეგი[49]. ის 1939 წელს საქართველოში მოიწვიეს ტანვარჯიშში მწვრთნელად. აქვე შექმნა ოჯახი, ცოლად გაჰყვა სპორტის ოსტატს ტანვარჯიშში კონსტანტინე ზაალიშვილს.

ომის წლებში რ. ზაალიშვილი ერთ-ერთ ევაკოჰოსპიტალში მუშაობდა ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტად, თან პარალელურად განაგრძობდა ინტენსიურ წვრთნას და შედეგებმაც არ დააყოვნა — იგი იყო საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ბჯენით ხტომებში 1944—1946 წლებში[50].

არც საქართველოში თმობს პირველობას და ოთხი წლის განმავლობაში 1944—1946 და 1950 წელს ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონია[51].

საგულისხმოა, რომ იგი ჩვენი რესპუბლიკის ქალთა შორის პირველი სპორტის დამსახურებული ოსტატია. ამჟამად რ. ზაალიშვილი ისევ თავის საყვარელ საქმეს — სამკურნალო ფიზკულტურას ემსახურება.

განსაკუთრებით კარგად იყო ორგანიზებული სამკურნალო ფიზკულტურა ლენინგრადის ოლქში... საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ჰოსპიტლებში[52], სადაც იგი ორგანულად იყო დაკავშირებული სხვა სამკურნალო პროცესების კომპლექსებთან. ამასთან ყურადღება ეთმობოდა არა მარტო დაზიანებული ორგანოების ლოკალურ მკურნალობას, არამედ მთელი ორგანიზმის წრთობას. აქვე ავარჯიშებდნენ თხილამურებით სრიალში, ფარიკაობაში, ხიშტით ბრძოლაში, სამწყობრო მომზადებაში[53].

დიდი სამამულო ომის წლებში სამკურნალო ფიზკულტურით მკურნალობის მეთოდები, ვარჯიშთა კომპლექსები ინერგებოდა არა მარტო ღრმა ზურგში, არამედ ფრონტისპირა და ალყაში მოქცეულ შენაერთებსა და ჰოსპიტლებში. მედიცინისა და სპორტის ამ დარგის ერთ-ერთი პროპაგანდისტი მეზღვაური სანდრო ერასტის ძე არონიშიძე იყო.

არონიშიძე დაიბადა 1908 წელს დაბა ოზურგეთში (დღევანდელ მახარაძეში) გლეხის ოჯახში. ცოცხალი და მოუსვენარი ყმაწვილი შეუმჩნეველი არ დარჩა ფიზალზრდის მასწავლებელს და პატარა სანდროს ტანვარჯიშის სიყვარული ჩაუნერგა. არასრული საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, მათი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ახალბედა ტანმოვარჯიშე ყმაწვილი აქ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში მოეწყო. ეს სასწავლებელი მაშინ ტანვარჯიშის მექა იყო. აქ ავარჯიშებდნენ სტუდენტებს სახელმოხვეჭილი მწვრთნელები, შევარდენისტები გ. ეგნატაშვილი, დ. მაჭავარიანი, ხოლო სპორტის სხვა სახეებში მუშაობდნენ უაღრესად კვალიფიციური მწვრთნელები.

ს. არონიშიძე მოეწონა გ. ეგნატაშვილს და სამი წელი ავარჯიშა ტანვარჯიშში. მან ტექნიკუმი 1937 წელს დაამთავრა და მუშაობდა ქალაქ ქუთაი-

---

[48] შ. ახვლედიანი, ჯ. ბაგრატიონი, ნ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 314.

[49] იქვე, გვ. 314.

[50] იქვე, გვ. 314.

[51] იქვე, გვ. 315.

[52] Журн. «ФИС», 1945, № 8, გვ. 20.

[53] იქვე.

სის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში. ჰაბუკი აპირებდა სწავლის გაგრძელებას ფიზკულტურის ინსტიტუტში, მაგრამ მასაც დაუმსხვრია ოცნება ომმა. ს. არონიშიძე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს, გაიარა საყოველთაო-სამხედრო სწავლების 110-საათიანი პროგრამა შემჭიდროებულ ვადაში, ზედმიწევნით შეისწავლა ხელჩართული ბრძოლის ილეთები, ყუმბარის ტყორცნა, სნაიპერული სროლა, სანიტარული ჰიგიენისა და სხვა სამხედრო ჩვევები. 1941 წლის ოქტომბერში ლენინგრადის ფრონტზე გაიგზავნა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმში ფიზიკურზრდის ინსტრუქტორად დაინიშნა.

დიდ სამამულო ომში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლენინგრადის დამცველთა გმირობას. 1941 წლის სექტემბერში მტერი შემოიჭრა ფინეთის ყურესთან. ხელთ იგდეს ქალაქი შლისელბურგი[54] და ლენინგრადი ალყაში მოაქციეს. გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ქალაქს მატერიალური და სასურსათო მარაგი მალე შემოაკლდებოდა და იძულებული იქნებოდა დანებებულიყო. ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ალყის შედეგად, ლენინგრადი მოსწყდა ქვეყანას. ერთ-ერთი გზა გადიოდა ლადოგის ტბის ყინულზე, მას „სიცოცხლის გზა“ უწოდეს[55]. ეს გზა კვებავდა ლენინგრადის ფრონტს, მოსახლეობას და წითელდროშოვან ბალტიის ფლოტს. ამ გზამ დიდი როლი შეასრულა ლენინგრადის დაცვაში[56].

სწორედ ს. არონიშიძის განსაკუთრებულ რაზმს დაევალა ამ მეტად მნიშვნელოვან სასიცოცხლო არტერიის დაცვა. დღე და ღამე მიმდინარეობდა გააფთრებული, მომქანცველი ბრძოლები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე მეზღვაური, სპორტსმენი ს. არონიშიძე. ის ახალბედა მეზღვაურებს ასწავლიდა ხელჩართული ბრძოლის ილეთებს, ყუმბარების ტყორცნას, აირწინაღის ხმარებას, დაბრკოლებების გადალახვას, ცურვას, თხილამურებით სრიალს, ჭიდაობის ილეთებს, მიზანში სროლას, უვლიდა მსუბუქად დაჭრილ მეომრებს. თავისუფალ დროს კი გამოჯანმრთელებულ მებრძოლებს უტარებდა სამკურნალო ფიზკულტურის კურსს. ამ საქმეში თანაშემწედ რ. ერქომაიშვილი ჰყავდა. დროის უმეტეს ნაწილს ბრძოლაში ატარებდა, იგი რამდენჯერმე დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ მალე მწყობრში დგებოდა.

ძნელი იყო გარემოცვაში ყოფნა, ბრძოლა, შიმშილი, მაგრამ ფიზიკურად ნაწრთობი არონიშიძე იტანდა ყველაფერს. სწორედ ამ დაძაბული პოზიციური ბრძოლების დროს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

1941 წლის დასასრულს ბალტიის ზღვაზე ძალზე შეიზღუდა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედების არე. ზედიზედ გამოდიოდნენ მწყობრიდან სამხედრო გემები, სანაპირო მძიმე არტილერია, იქმნებოდა მეზღვაურთა დამკვრელი სახმელეთო ბრიგადები, საგანგებო რაზმები. ჩვენს სიმაგრეთა ზღუდეებთან უკვე მრავალმა რჩეულმა გერმანულმა დივიზიამ და პოლკმა პოვა სამარე. ჩვენი დანაკლისიც დიდი იყო. მტერს დიდი უპირატესობა ჰქონ-

---

[54] В. Михайлов, Ленинград М., 1918, გვ. 91.

[55] Советская Военная Энциклопедия, М., 1977, т. 3, გვ. 249—250.

[56] Дорога жизни, М., 1980, გვ. 12—13.

და როგორც ზღვაზე, ისე ჰაერში, მაგრამ ლენინგრადი მაინც არ ნებდებოდა[57].

უფროსი მეზღვაური არონიშიძე 1942 წლის დასაწყისში მე-16 გამაგრებულ რაიონში გადაიყვანეს. აქ იგივე ფუნქციები ევალებოდა, რადგან სნაიპერულად ისროდა სარდლობა ხშირად აგზავნიდა დაზვერვაზე. ეს რაიონი ორიენბაუმის (ახლანდელი ქალაქი ლომონოსოვი) ტერიტორია თუმცა ჩვენს ხელთ იყო, მაგრამ ხმელეთის ეს მომცრო ნაგლეჯი გერმანელებით იყო გარშემორტყმული, ამიტომ მას მეზღვაურები „ერთ მუჭა მიწას“ ეძახდნენ. მეთაურმა მაიორმა ბორის ივანეს ძე ანდრეევმა არონიშიძეს ტყვიამფრქვევი გადასცა და უთხრა: „მოუარე და არც ეგ გიმტყუნებს, კარგი ვაჟკაცი სჩანხარ და ამიტომაც განდობ ამ „მაქსიმკას“.

ლენინგრადსა და ჩვენს „ერთ მუჭა მიწას“, ორიენბაუმის ამ პატარა ნაწილის გარდა კრონშტადტთან დამაკავშირებელი გზისა, ყოველმხრივ ალყა ჰქონდა შემორტყმული. ესე იგი ლენინგრადი და ორიენბაუმის ეს ნაწილი იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან. ასე რომ, არც ლენინგრადსა და არც კრონშტადტს არ შეეძლო რაიმე დახმარება აღმოეჩინა ამ პლაცდარმისათვის[58]. „მალე, — იგონებს ს. არონიშიძე, — პატარა პურის ნაჭერიც კი სანატრელი გაგვიხდა, ვჭამდით კოპტონს, ხის ქერქს, მიუხედავად ამისა ვიბრძოდით თავგამოდებით. უეჭველია ბლოკადის მძიმე დღეები გადამატანინა ჩემმა ნაწრთობმა ძლიერმა ორგანიზმმა, ჩვენი სამართლიანი საქმისადმი რწმენამ. განსაკუთრებით დიდ სიხარულს მანიჭებდა ჩემი მუშაობა, ჩემი ექსპერიმენტები, რომლის ნაყოფიც იყო მიღწევები სამკურნალო ფიზკულტურაში და იმის შეგნება, რომ ჩემი მეთოდით განკურნებული მებრძოლები კვლავ მწყობრში დგებოდნენ და მტერს მუსრს ავლებდნენ. ერთ-ერთი მორიგი შეტევის დროს მძიმედ დავიჭერი, გამაგზავნეს ჰოსპიტალში, სადაც ჩემი მკურნალი ექიმი იყო ქირურგი, თბილისელი გიორგი გოცაძე. მან მოკლე ხანში მწყობრში ჩამაყენა და კვლავ ჩემს რაზმში დავბრუნდი.

ნევის მუხნარის რაიონში, ნევის „ერთ მუჭა მიწაზე“ პოზიციური ბრძოლები გაგრძელდა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევამდე 1943 წლის 18 იანვრამდე[59].

ლენინგრადის ოლქის გმირმა დამცველებმა ჩაშალეს ელვისებური ომი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებაზე. საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა და შიმშილისაგან განაწამებ ქალაქის დამცველებს შეუერთდნენ ხმელეთით. შეერთდა ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტის ჯარები, აქაც, ამ პატარა პლაცდარმზე გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა, მტერი ასობით ტონა გავარვარებულ რკინას არ იშურებდა, ყოველდღე ბომბავდა ჰაერიდან. მორიგი დაბომბვის დროს არონიშიძე ჰაერის ტალღამ აიტაცა და შორს გადაისროლა, დაიჭრა კისერში და კონტუზია მიიღო. იგი ლენინგრადის ჰოსპიტალში გაიგზავნა. გამოჯანმრთელების შემდეგ იქვე დატოვეს სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტად, შემდეგ გადაიყვანეს სოფელ კარლოვკაში განლაგებულ ჰოსპიტალში. მან ამ სოფელ-

---

[57] Ленинград — город-герой, М., 1981, გვ. 145.

[58] Герой Советского Союза, Маршал Советского Союса К. А. Мерецков, На службе народу, М., 1983, გვ. 283.

[59] Журн. „Военно-исторический журнал“, М., 1984, № 21, გვ. 7.

ში სპორტული ქალაქი მოაწყო, მართავდა შეჯიბრებებს ფრენბურთში, კალათბურთში, ყუმბარის ტყორცნაში, სირბილში და სხვ. ამავე დროს ატარებდა ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი ჰოსპიტლების გამოჯანმრთელებულ მებრძოლებთან[60].

როდესაც ლენინგრადის ოლქი განთავისუფლებულ იქნა მტრისაგან ჰოსპიტალი ფრონტისაკენ დაიძრა, გაიარა პოლონეთის ქალაქები, შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში გადავიდა და ომის დამთავრებას აქ შეხვდა. ორი თვის შემდეგ ს. არონიშიძე თავის ჰოსპიტალს გაჰყვა შორეულ აღმოსავლეთში მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჰოსპიტალი განლაგებული იყო ხარბინის რაიონში.

აქაც ვაჟკაცურად იბრძოდა და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, ჰკურნავდა დასახიჩრებულ მებრძოლებს. გმირული ბრძოლისა და მკურნალის მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის სერჟანტი ს. არონიშიძე დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენითა და საბრძოლო მედლებით.

ს. არონიშიძე თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისის ფარმაცევტულ ტექნიკუმში. 1950 წელს იგი სამუშაოდ მიიწვიეს სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზაღზრდის მასწავლებლად და მწვრთნელად. ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა და მუშაობს სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში და განაგრძობს მოსწავლეთა აღზრდას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდების კომპლექსის დანერგვას მოჰყვა ის, რომ შემცირდა მკურნალობის ვადები, გაიზარდა ჰოსპიტლებიდან გამოწერილთა რიცხვი. საშუალოდ ჰოსპიტლებში სამკურნალო ფიზკულტურას ბისდევდა დიდი სამამულო ომის წლებში დაჭრილთა 60—70 პროცენტი. ზოგიერთ ჰოსპიტლებში კი — 96—98 პროცენტი[61].

სამკურნალო ფიზკულტურის სხვადასხვა სახეობათა შორის, რომლებსაც იყენებდნენ საევაკუაციო ჰოსპიტლებში, ყველაზე დიდი ადგილი ეკავა სპორტულ ტანვარჯიშს[62].

საბჭოთა სამხედრო მედიცინის დიდი მიღწევა იყო ჰოსპიტლებში სამკურნალო ფიზკულტურის ფართოდ გავრცელება. ომის დროს იგი გახდა სამხედრო ტრავმების მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, რომლის მეოხებით ათასობით დაჭრილმა მებრძოლმა აღიდგინა ჯანმრთელობა, შეძლო დაბრუნებულიყო მოქმედ არმიაში და განეგრძო მტერთან ბრძოლა გამარჯვებამდე. ასე რომ სამკურნალო ფიზკულტურამ, როგორც კომპლექსური მკურნალობის შემადგენელმა ნაწილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრონტისა და ზურგის ჰოსპიტლებში დაჭრილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ჯანმრთელობისა და ბრძოლისუნარიანობის აღდგენის საქმეში.

---

[60] ს. ე. არონიშიძის არქივიდან.

[61] პროფ. მ. ზანდუკელის არქივიდან.

[62] З. П. Фирсов, Краткое руководство по лечебной физкультуре при травмах военного времени. М., 1943, გვ. 10—11.

М. РОДЭ-ЧИДЖАВАДЗЕ

ЛЕЧЕБНАЯ ФИЗКУЛЬТУРА В ГРУЗИИ В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ

Резюме

Одной из важнейших задач физкультурных организаций в годы Великой Отечественной войны являлось восстановление здоровья и боеспособности раненых воинов средствами лечебной физической культуры.

Еще до войны проблеме внедрения ЛФК как лечебного метода придавалось в нашей республике большое значение. В дальнейшем развитии ЛФК в годы Великой Отечественной войны был использован опыт применения ее в период войны с белофинами. С 1942 года ЛФК стали применять во всей системе эвакогоспиталей, причем процент охвата ЛФК раненых постепенно возрастал и в 1945 году достиг 65%; ЛФК в комплексе с другими лечебными мероприятиями завоевала прочное место и положительно влияла не только на исход лечения, но и значительно сокращала продолжительность пребывания раненого на госпитальной койке.

Опыт военных лет показал, что в системе комплексного лечения раненых и больных в эвакогоспиталях НКЗ ГССР ЛФК являлось одним из важнейших методов. Она способствовала улучшению качества, исходу лечения, сокращению его срока, уменьшению инвалидности и увеличению числа воинов, возвращенных в строй.

Огромная заслуга в развитии ЛФК в годы войны принадлежала видным грузинским ученым: М. Зандукели, В. Дьякову, М. Сулханишвили, Ш. Нуцубидзе и многим другим, знания и практический опыт которых послужили прочной основой для дальнейшего развития и внедрения лечебной физической культуры, одного из основных методов лечения раненых в годы Великой Отечественной войны.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის ინსტიტუტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილებამ.

გივი ჯავახიშვილი

ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის საქართველოში

ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლა საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ამ საკითხების კვლევას საბჭოთა ეთნოგრაფებმა ჯერ კიდევ 1930-იან წლებში მოკიდეს ხელი, თუმცა აქტიური საველე მუშაობა და მით უმეტეს, მისი შედეგების მეცნიერული პუბლიკაცია 1940-იანი წლების დასასრულსა და 1950-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ცნობილი ფაქტიც, რომ ეთნოგრაფიული მეცნიერება საკმაო დროის განმავლობაში ახალი ყოფისა და კულტურის პრობლემების კვლევისას, საჭიროდ არ თვლიდა შეესწავლა მუშათა კლასი. ბურჟუაზიული ეთნოგრაფების მტკიცების თანახმად, რასაც თავდაპირველად საბჭოთა ეთნოგრაფების ერთი ნაწილიც უჭერდა მხარს, მუშათა კლასს არ გააჩნია ეთნიკური სპეციფიკა, იგი წარმოადგენს ნიველირებულ მასას და მხოლოდ გლეხობა შეიძლება ჩაითვალოს ნაციონალური კულტურის მატარებლად. ამდენად, ისევე როგორც ჩვენს საზღვრებს გარეთ, ასევე ჩვენში ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული კვლევისას, თავდაპირველად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ გლეხობის ყოფის შესწავლას ენიჭებოდა.

მუშათა კლასის ეთნოგრაფიულ შესწავლას საფუძველი საბჭოთა მეცნიერებამ ჩაუყარა. მუშათა ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლისას, საბჭოთა მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის იმ დებულებით, რომ თავისი სოციალური ბუნებით მუშათა კლასი ყველაზე მოწინავე და რევოლუციურია და იგი მთელი მშრომელი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების გამომხატველია.

ქართველი ეთნოგრაფები, ახალი ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევისას, ამოდიოდნენ იმ დებულებიდან, რომ ეს კვლევა-ძიება გულისხმობს ხალხის შრომითი ჩვევების, საწარმოო გამოცდილების, ხალხური კულტურის თვითმყოფადი ხასიათის იმ დამახასიათებელი ნიშნების ჯამს, რომელთა კვლევა თანამედროვე ეთნოგრაფიული მეცნიერების უპირველესი ამოცანაა კოლმეურნე გლეხობისა და მუშათა კლასის ახალი, სოციალისტური კულტურის კვლევისას. კოლმეურნე გლეხობისა და მუშათა კლასის ყოფისა და კულტურის შესწავლა მის თავდაპირველ ეტაპზე და დღესაც, წარმოებს აკად. გ. ჩიტაიას მიერ, ჯერ კიდევ 1926 წ., შემუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით.

ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლისას, ქართველი ეთნოგრაფები, როგორც მიუთითებდა პროფ. ალ. რობაქიძე[1], ამოდიოდნენ იქიდან, რომ ერის,

---

[1] А. Робакидзе, К некоторым спорным вопросам этнографического изучения нового быта, СЭ, 1952, № 2.

ყოფისა და კულტურის სპეციფიკური ელემენტების ბუნებისა და რაობის სწორი გაგებისათვის, საჭიროა სოციალისტური გარდაქმნების პროცესების თავისებურებათა გაგება-შესწავლა. ამ პროცესების შესწავლაში, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თანმიმდევრული ისტორიზმის პრინციპი. თანამედროვე ყოფის შესწავლა აუცილებლად გულისხმობს იმ პერიოდსაც, რომელიც წინ უსწრებდა სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების ეტაპს ჩვენს ქვეყანაში. თანამედროვე ყოფისა და კულტურის ელემენტების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, უპირატესობა მიენიჭა ორ თანმიმდევრულ სტადიას — თემატურს და მონოგრაფიულს, რომელიც გამოკვლევას საბოლოოდ უფრო სრულად წარმოაჩენს.

საქართველოში, მცირე გამონაკლისის გარდა, კოლმეურნე გლეხობისა და მუშათა სოციალისტური ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლა მატერიალური და სულიერი კულტურის სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. დაწყებული 1950-იანი წლებიდან ქართველმა ეთნოგრაფებმა არა ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი უძღვნის ამ პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ სოციალისტური ხასიათის გარდაქმნებს, რომლებიც მიმდინარეობდა და დღესაც განაგრძობს თავის სახეცვლილებებს საოჯახო, საზოგადოებრივ, საწარმოო ყოფასა და კულტურაში. არანაკლები ყურადღება მიექცა მატერიალურ კულტურაში მიმდინარე სახეცვლილებებს.

ზემოაღნიშნული საკითხების კვლევა-ძიება მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება ერთი რომელიმე სოფლის, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის, სამრეწველო ობიექტისა თუ საწარმოს მაგალითზე. რაც შეეხება მატერიალური კულტურის ზოგიერთი საკითხის კვლევას (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, საკვები და სხვ.)— ის შეისწავლებოდა უფრო ფართო ეთნოგრაფიული მასალის მოშველიებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

რაც შეეხება უშუალოდ მუშათა ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლის სფეროს, აღვნიშნავთ, რომ უკვე 1950-იან წლებში მეტ-ნაკლები სიცხადით იყო გარკვეული ის ძირითადი ეთნოგრაფიული საკითხები, რომლებიც უნდა შეესწავლათ ქართველ ეთნოგრაფებს. ეს საკითხებია: საბჭოთა კავშირის ხალხების ყოფისა და კულტურის ტრადიციული და ზოგადსაკავშირო ხასიათი, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის კულტურულ-საყოფაცხოვრებო სპეციფიკა, მუშათა კლასის ფორმირების თავისებურების საკითხები, მის ტერიტორიულ და სოციალურ ფესვებთან კავშირში, ხალხის საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის თავისებურებანი და სხვ. აღნიშნული საკითხების კვლევა ჩვეულებრივ ერთი რომელიმე საწარმოს ან კოლმეურნეობის მაგალითზე ხდება, თუმცა ამ ბოლო დროს იგი უფრო გაფართოვდა და მთლიანად სამრეწველო დასახლებულ დაბას, ქალაქს ან სასოფლო-სამეურნეო რაიონს მოიცავს. აღნიშნული გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ მუშათა და გლეხთა კოლექტივები იზოლირებულად არ ცხოვრობენ და მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან.

საქართველოში მრეწველობის განვითარების სხვადასხვა სტადიასთან კავშირში, სამრეწველო მუშათა კადრების ფორმირების კონკრეტული პირობების შესწავლის მიზნით, ა. რობაქიძის წინადადებით, წინასწარ დაიგეგმა შე-

სასწავლი საწარმოების სამი ჯგუფი, რომელთაც შემდგომში სხვა საწარმოებიც მიემატა.[2].

შესასწავლი ობიექტების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება უძველესი სამრეწველო საწარმოები და სარკინიგზო ტრანსპორტი, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში წარმოიქმნენ და სოციალიზმთან მათი შემქმნელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციებით მივიდნენ (ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მარგანეცის მაღაროები, ამიერკავკასიის რკინიგზა); მეორე ჯგუფი წარმოდგენილი იყო იმ სამრეწველო საწარმოებით, რომლებიც ექსპლუატაციაში საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში შევიდა (კასპის ცემენტისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა), მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ომის შემდგომი ხუთწლედების უმსხვილესი ობიექტები (ქუთაისის აეტოქარხანა და რუსთავის მეტალურგიული კომბინატი).

ოღვისათვის სამივე ჯგუფში შემავალი საწარმოები ეთნოგრაფიულად მეტ-ნაკლები სიცხადითაა შესწავლილი, მათ დაემატა საქართველოს არაერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრის საწარმოებიც (ბათუმი, ფოთი). მიღებულია მნიშვნელოვანი ხასიათის სამეცნიერო დასკვნები, თუმცა განმაზოგადოებელი ნაშრომი, აღნიშნული საწარმოების მუშათა ყოფისა და კულტურის შესახებ ჯერჯერობით არ დაწერილა. ასეთი ნაშრომის შექმნა ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული და შესაძლოა ნაადრევიც იყოს, ვინაიდან აღნიშნული საწარმოები თუ სამრეწველო ცენტრები ყოველმხრივ არაა შესწავლილი.

როგორც აღვნიშნეთ, კოლმეურნე გლეხობის, სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო მუშათა ყოფისა და კულტურის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ამ ნაშრომების ჩამოთვლა, თუ არაფერს ვიტყვით მათს მოკლე ანალიზზეც კი, ძალიან შორს წაგვიყვანს და იგი რამდენიმე სტატიაშიც კი არ მოთავსდება. აქ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თუ ახალი ყოფის საკითხების კვლევას თავდაპირველად თბილისელი ეთნოგრაფები აწარმოებდნენ, შემდგომში მათ შეუერთდნენ სოხუმელი და ბათუმელი მეცნიერებიც და საგულისხმო შედეგიც მივიღეთ.

მოკლედ შევჩერდებით იმ ეტაპებზე, რომლებიც ჩვენში ახალი ყოფისა და კულტურის კვლევამ განვლო. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში აკად. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ეთნოგრაფიული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ხევსურეთისა და სვანეთის მოსახლეობის ყოფა და კულტურა. ამ ექსპოზიციებში შეძლებისდაგვარად ასახული იყო ხევსურებისა და სვანების ყოფის ამსახველი თემატიკა. ეს თემატიკა მოცემული იყო დინამიკაში და ნაჩვენები იყო ის მიღწევები, რომელსაც ამ კუთხეების მოსახლეობამ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძველ დროსთან შედარებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1950-იან წლებში საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე გაიშალა მუშათა ახალი ყოფისა და კულტურის ამსახველი ფართო ექსპოზიცია, რომელიც დღესაც მოქმედებს.

შემდგომი ეტაპია 1950-იანი წლები, როდესაც დაიწყო ახალი ყოფისა და კულტურის საკითხების ინტენსიური და ნაყოფიერი კვლევა საქართველოში. 1950-იან წლებში ზედიზედ გამოქვეყნდა ახალი ყოფისა და კულტურის სა-

[2] А. И. Робакидзе, СЭ, 1958, № 1, გვ. 172. წაკითხულ იქნა მუშათა კადრების ეთნოგრაფიული შესწავლისადმი მიძღვნილ თათბირზე.

კითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომლებშიც ასახულია როგორც კოლმეურნე, ისე სამრეწველო მუშების ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგები.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებიდან ერთ-ერთი პირველი იყო ქართლის საკოლმეურნეო სოფლის — თორტიზასადმი მიძღვნილი გ. ჩიტაიას, მ. გეგეშიძის და ი. ჭყონიას გამოკვლევები, სადაც ნათლად გამოჩნდა საბჭოთა წყობილების მიერ სოციალურ, კულტურულ თუ საწარმოო ურთიერთობების შედეგად შექმნილი ახალი ურთიერთობები და მათი რევოლუციური ხასიათით გამოწვეული დადებითი ძვრები სოფლად. ასეთივე ხასიათის ნაშრომთა რიცხვს მიეკუთვნება კახეთში თუ გურიაში შესწავლილი საკოლმეურნეო სოფლის ახალი ყოფისა და კულტურის ამსახველი პუბლიკაციები. ამ დროის გამოკვლევათა შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი. ჭყონიას ნაშრომი, მიძღვნილი სასოფლო-სამეურნეო მუშების ახალი ყოფისა და კულტურისადმი.[3] ამ გამოკვლევის შედეგად, პირველად საბჭოურ ეთნოგრაფიაში, შესწავლილ იქნა საბჭოთა მეურნეობის მუშათა ყოფა და კულტურა, რომელმაც წარმოაჩინა საკოლმეურნეო გლეხობისა და სასოფლო სამეურნეო მუშების ცხოვრების წესში არსებული ზღვარი. სოფლად საბჭოთა მეურნეობის არსებობა, მუშისა და კოლმეურნე გლეხობის მეზობლად ცხოვრება აჩქარებს სოფლად ყოფისა და კულტურის გარდაქმნას, ხელს უწყობს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი ხასიათის განსხვავებების გაქრობას. ამ მიმართულებით მუშაობა შემდგომში აღარ გაგრძელებულა და მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინ დაუბრუნდით მას ქიზიყის სოფლის — ხირსის საბჭოთა მეურნეობის მაგალითზე, სადაც სხვა საკითხებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო მუშების ინტერნაციონალური ურთიერთობებიც იქნა შესწავლილი.

ქართველმა ეთნოგრაფებმა, ახალი ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევისას დიდი ყურადღება დაუთმეს, იმავე ხანებში, ცვლილებებს ხალხის მატერიალური კულტურის სფეროში. ამგვარი ხასიათის გამოკვლევები საკმაოდ ბევრია, ისინი შეეხებიან ტანსაცმელს (თ. ოჩიაური, ც. ბეზარაშვილი და სხვ.), საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს (ა. რობაქიძე, ნ. თოფურია, თ. ოჩიაური, ე. ითონიშვილი, ჯ. რუხაძე, მ. ჩართოლანი, თ. ჩიქოვანი და სხვ.). ამ ნაშრომებში შესწავლილი და აღწერილია სოციალისტური ყოფის პირობებში, მატერიალური კულტურის ელემენტების ტრანსფორმაციის გზები, ქალაქისა და სოფლის ურთიერთგავლენები.

1951 წ. მწყობრში ჩადგა სამგორის სარწყავი სისტემა. სამგორში ადრე არსებულ სოფელთა რიცხვს მიემატა ახალი დასახლებებიც, სადაც საქართველოს მთისწინა და მთის რეგიონების მოსახლეობის ჩასახლება განხორციელდა. დაწყებული 1950-იანი წლებიდან, სამგორში ჩამოსახლებულთა ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლის მიზნით არაერთმა ეთნოგრაფმა იმუშავა (გ. ჩაჩაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, ს. ბედუკაძე, მ. ჩართოლანი, ე. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, ე. ერიაშვილი, მ. კანდელაკი და სხვ.). ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გამოქვეყნებულ ნაშრომებში გამოვლენილია ზოგიერთი ზოგადი ხა-

[3] ი. ჭ ყ ო ნ ი ა, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში საექსპედიციო სამუშაოების ზოგიერთი შედეგები (1957—1958), ისტ. ინსტ. შრ., ტ. VI, ნაკ. 1, 1961.

სიათის კანონზომიერება, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ყოფის გარდაქმნებისათვის.

1960-იან წლებში, ახალი ყოფისა და კულტურის კვლევის შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომებიდან გამოვყოფთ მონოგრაფიულ გამოკვლევას „სოფ. აკურა".[4] ეს ნაშრომი წარმოგვიდგება, როგორც კოლმეურნე გლეხობის ხანგრძლივი კვლევის შედეგი. აქ შეჯამებულია გლეხობის საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები სოციალისტური წყობილების პირობებში, ძველისა და ახლის შედარების შედეგად, ახსნილია ახალი სოციალისტური ფსიქოლოგიის წარმოქმნის გზები და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ამ პერიოდის ნაშრომებიდან ასევე აღსანიშნავია ნ. ტკაჩის და ი. ჭყონიას ნაშრომი, რომელიც ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობას ასახავს ვენიჩესკისა და მახარაძის რაიონის მშრომელთა მაგალითზე. ეს ნაშრომი პირველია ეთნოგრაფიულ გამოკვლევათა რიგში, რომელიც ხალხთა მეგობრობას ეხება და სადაც ასახულია ქართველი და უკრაინელი ხალხების ურთიერთგავლენები ეთნოგრაფიული მასალების შუქზე. აღნიშნული გარემოება ყოფითი ხასიათისაა და ცხოვრების სხვადასხვა მხარეში აისახა.

1960-იანი წლების დასასრულიდან საგრძნობლად შემცირდა სპეციალური ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები, რომლებიც კოლმეურნე გლეხობის ახალ ყოფასა და კულტურას ასახავს. მართალია, ჩვენი ეთნოგრაფების მიერ შესრულებულ ბევრ ნაშრომში ახალი ყოფისათვის დამახასიათებელი საკითხები ასახული და კვალიფიცირებულია, მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე, სპეციალურად ახალი ყოფის საკითხებზე თითქმის აღარავინ მუშაობს მცირე გამონაკლისის გარდა. ისიცაა აღსანიშნავი და შეიძლება მისასალმებელიც, რომ ამ ბოლო დროს ტრადიციულად შესასწავლი საკითხების სფერო ახალი ყოფის ხაზით (საზოგადოებრივი, საოჯახო, საწარმოო ყოფა) ბევრად გაფართოვდა და თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების დონემდე ამაღლდა. მხედველობაში მაქვს ისეთი თემატიკა როგორიცაა: თანამედროვე დღესასწაულები და მათი ორგანიზაციის პრინციპები, თანამედროვე ეთნიკური პროცესები და სხვა, რომელიც ახალი ყოფისა და კულტურის კვლევის ფონზე შეისწავლება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშათა კლასის ყოფისა და კულტურის შესწავლა კოლმეურნე გლეხობის ახალი ყოფის შესწავლასთან ერთად დაიწყო. 1953 წ. გამოქვეყნდა ალ. რობაქიძის მონგრაფიული გამოკვლევა ჭიათურის მაღაროელთა ყოფისა და კულტურის შესახებ, რომელიც იმ დროისათვის მუშათა ახალი ყოფის კვლევის ხაზით დიდ ნაბიჯს წარმოადგენდა საბჭოურ ეთნოგრაფიაში.

შემდგომშიც, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდებოდა, მაგრამ 1960-იანი წლების დასაწყისამდე კვლევის შედეგები არ გამოქვეყნებულა. ამ დროიდან დაწყებული მუშათა ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიულ გამოკვლევას მიეძღვნა რიგი ნაშრომებისა, რომლებშიც აისახა ტყიბულის, ქუთაისის, თბილისის, თელავის, ბათუმის, კასპის, ფოთის, რუსთავის მშრომელთა ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები.

მუშათა ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლაში უპირატესობა ენიჭე-

[4] ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, ი. ჭ ყ ო ნ ი ა, სოფ. აკურა, თბ., 1964.

ბოდა ისეთი საწარმოების ყოფის ასახვას, რომელთაც შედარებით ხანგრძლივი რევოლუციამდელი ისტორია ჰქონდათ. ასეთი საწარმოების მუშათა კლასს ჰქონდა ის რევოლუციური ძალა და შემართება, რომელიც ხელს უწყობს მის აქტიურ ბრძოლას მოწინავე ნაციონალური ტრადიციების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. სწორედ ამის შედეგად დაიკავა მან მოწინავე პოზიციები ახალი ყოფის ფორმირების პროცესში. აღნიშნული ვითარება, პირველ რიგში, ეხება ჭიათურისა და ტყიბულის მუშათა კლასს, რომლის ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლას რამდენიმე მონოგრაფია და ცალკეული გამოკვლევა მიეძღვნა (ალ. რობაქიძე, თ. ოჩიაური, მ. გეგეშიძე, ო. გაბუნია, რ. თოდუა, ნ. კახიძე, გ. ჯავახიშვილი), აღსანიშნავია, რომ ჭიათურისა და ტყიბულის მუშათა კლასის და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ყოფისა და კულტურის კვლევა ორჯერ წარიმართა 25—15 წლის ინტერვალით, რამაც საშუალება მოგვცა ნათლად წარმოგვეჩინა იმ ტრადიციებისა თუ ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ამ პერიოდში მოხდა მუშათა ყოფასა და კულტურაში.

იგივე ვითარება აღინიშნება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სამრეწველო ცენტრის, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა ყოფისა და კულტურის შესწავლის საქმეში. აქაც 15 წლიანი ინტერვალით, ორჯერ იქნა შესწავლილი ამ ქარხნის მუშათა ყოფა, რამაც გარკვეული შედეგები მოგვცა თანამედროვე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ცხოვრების ეთნოგრაფიული შესწავლის საქმეში (ნ. ბრეგაძე, ლ. ბერიაშვილი, მ. კანდელაკი, ჟ. ერიაშვილი (1957 წ.) და ახლა ლ. ბერიაშვილი, ქ. სიხარულიძე და სხვ.). დაახლოებით ასეთივე დროის მონაკვეთში სწავლობდნენ ჩვენი ეთნოგრაფები, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მუშათა კულტურისა და ყოფის საკითხებს (გ. ჯავახიშვილი, ბ. ნანობაშვილი).

შესწავლილი ობიექტებისადმი ასეთმა მიდგომამ, გარკვეული დროის მანძილზე მათი ორჯერადი შესწავლა, ბევრი დადებითი ხასიათის ამსახველი მასალა წარმოაჩინა, რომელიც თანამედროვე სოციალისტური საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი. ნათლად გაირკვა ის გზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესს. არანაკლები ყურადღება დაეთმო მუშათა ეროვნული შემადგენლობის შესწავლას, მათს ურთიერთობებს ყოფასა და კულტურაში და სხვ.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის პირმშოა. ამ საწარმოს ყოფისა და კულტურის შესწავლამ, სადაც ძირითადად ქალები არიან დასაქმებული, წარმოაჩინა მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრების სფეროში (ნ. აბესაძე). ასევე საგულისხმო შედეგები იქნა მიღებული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ხელოსნური წარმოების ცენტრის — თელავის მუშა-მოსამსახურეთა ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის საქმეშიც (ნ. აბესაძე, ლ. ბერიაშვილი).

ომისშემდგომ წარმოქმნილ საწარმოთა რიგს განეკუთვნება ქუთაისის ორი უმსხვილესი საწარმო — ავტოქარხანა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა. ამ საწარმოების მუშათა კადრი უმთავრესად ადგილობრივი კოლმეურნე გლეხობის ბაზაზე წარმოიქმნა, რომელთაც პროფესიული განათლება სპეციალურ სკოლებში გაიარეს, ამ საწარმოების მუშათა კონტიგენტი ძირითადად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული და მთელი მუშათა კადრის დაახ-

ლოებით 90%-ს შეადგენდა. ასეთი ვითარება კი, რასაკვირველია, ბევრ საინტერესო მასალას აძლევდა ეთნოგრაფებს ახალი, სოციალისტური ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევისას. (ს. ბედუკაძე, მ. გეგეშიძე, გ. ჩაჩაშვილი, რ. თოდუა, გ. ჯავახიშვილი).

ქართველმა ეთნოგრაფებმა ამ უკანასკნელ ათწლეულში, საკმაო ყურადღება დაუთმეს დრომოჭმული გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმების დამკვიდრების საკითხს — პასუხად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ. 1975 წ. 25 ნოემბრის დადგენილებისა. შესწავლილია მთელი რიგი ტრადიციული ხალხური დღესასწაულების ბუნება, დამუშავებულია მათი თანამედროვე პირობებში შესრულებისათვის რიგი რეკომენდაციებისა (ალ. რობაქიძე, მ. გუგუტიშვილი, ჯ. რუხაძე, ირ. სურგულაძე, გ. ჯავახიშვილი, ვ. ჩიქოვანი, თ. ცაგარეიშვილი, მ. ბექაია და სხვ.).

სტატიის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევდა ფართოდ წარმოგვედგინა ის დიდი სამუშაო, რომელიც ქართველმა ეთნოგრაფებმა ჩაატარეს ახალი, საბჭოთა ყოფისა და კულტურის კვლევის სფეროში. ამ მუშაობის დასაწყისს ეტაპზე უკვე ნათლად გამოჩნდა ქართველ ეთნოგრაფთა ღვაწლი ახალი ყოფისა და კულტურის კვლევის სფეროში, მათ დამოკიდებულებაში თანამედროვე ცხოვრების საკვლევი პრობლემებისადმი. ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასასრულს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წ./კ. ს. ტოლსტოვი ე. „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ ფურცლებზე საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ახალი ყოფისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ ქართველ ეთნოგრაფთა გამოკვლევებს, და ეს დამსახურებული შეფასება დღესაც ძალაშია.

დღეისათვის, შესაძლოა, იკლო ჩვენმა მუშაობამ ამ მიმართებით, ნაკლებად ვსწავლობთ თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს სპეციალურად. შესაძლოა ტრადიციული თემატიკა გადასინჯვას მოითხოვს, გასაფართოებელია მისი ფარგლები. დღევანდელობა აქტიურად აყენებს ეთნოგრაფთა ჩარევის საკითხს ჩვენი ხალხის სოციალისტური ცხოვრების წესის ყველა სფეროში. ის არა მარტო კვლევას, არამედ სათანადო რეკომენდაციების გამომუშავებასაც მოითხოვს.

თანამედროვე ეთნოგრაფიული მეცნიერების დონე მოითხოვს აქამდე არსებული კრიტერიუმებისა და ჩარჩოების გაფართოებას, ახალი, უფრო ფართე საკითხების შესწავლას ახალი ყოფისა და კულტურის კვლევის ხაზით. ალბათ, უკვე დროულია ისევე, როგორც 1950-იან წლებში, წინასწარ დაიგეგმოს და განისაზღვროს იმ პრობლემების კვლევის მიმართულება, რომლებიც ქართველი ეთნოგრაფების შემდგომ მუშაობაში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ახალი სოციალისტური ცხოვრების წესის ეთნოგრაფიული შესწავლა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება ამ მიმართულებით, ახალ მიდგომას მოითხოვს საკვლევი საკითხებისადმი, რომელსაც თანამედროვე მეცნიერების შესაფერისი თეორიული საფუძვლებიც უნდა ჰქონდეს.

ყოველივე ამისათვის ქართველ ეთნოგრაფებს აქვთ, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხებიც ისევე კარგად იქნება გადაჭრილი, როგორც ეს იყო ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლის დასაწყის ეტაპზე.

Г. ДЖАВАХИШВИЛИ

К ЭТНОГРАФИЧЕСКОМУ ИЗУЧЕНИЮ НОВОГО БЫТА И КУЛЬТУРЫ В ГРУЗИИ

Резюме

В работе рассмотрены этапы изучения социалистического быта колхозного крестьянства и рабочего класса в Грузии с 1930 года по сей день.

Первым шагом в этом направлении явилась выставка, устроенная в Государственном музее Грузии в 30-ые годы под руководством акад. Г. С. Читая, которая была посвящена новому быту и культуре населения Хевсурети и Сванети.

С 1950 г. началось интенсивное исследование быта и культуры как колхозного крестьянства, так и рабочих совхозов и промышленных предприятий. Среди работ, посвященных современному быту колхозного крестьянства и рабочих совхозов, надо отметить статьи о селе Тортиза (Г. Читая, М. Гегешидзе), с. Цинандали (И. Чкония), с. Самгори (Г. Чачашвили, В. Итонишвили, Т. Очиаури и др.), монография «Село Акура» (Дж. Рухадзе, А. Лекпашвили, И. Чкония). В итоге этнографического исследования выявлены некоторые закономерности общего порядка, которые характерны для перестройки современного быта.

В 60-ых годах расширилась тематика изучения нового быта и культуры. Объектом исследования стали следующие вопросы: современные праздники и принципы их организации, современные этнические процессы и др.

Изучению социалистического быта рабочих крупных промышленных объектов — Ткибули, Чиатура, Тбилиси, Телави посвящены монографии (А. Робакидзе, Г. Джавахишвили) и статьи (Н. Абесадзе, Л. Бериашвили и др.).

Некоторые производства, в том числе Чиатуры и Ткибули, Тбилисского паровозо-вагоноремонтного и электровозо-строительного заводов были изучены дважды с 5—15-летним интервалом. Это дало возможность показать процесс трансформации некоторых традиций в быту и культуре рабочих.

В статье намечены новые направления исследования социалистического быта и культуры, которые подготовят почву для разработки соответствующих рекомендаций.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ანდრო ლეკიაშვილი

ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის

უკვე გასული საუკუნის ავტორები ყურადღებას მიაქცევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების სინკრეტულ ხასიათს. გ. რადე და რ. ერისთავი, ნ. ხიზანიშვილი და ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ თხზულებებში საგანგებოდ მიუთითებდნენ ფშავ-ხევსურებთან, ერთი მხრივ, ქრისტიანული და, მეორე მხრივ, წარმართული რწმენის ელემენტების არსებობას. ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში ურყევად დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ქრისტიანობა „შესამჩნევად სუსტი და ადვილად გამოსაცალკევებელი დაფენებაა" (ლ. ბოჭორიშვილი) ქართველ მთიელთა რელიგიური სისტემისა. ეს გვიანდელი დანაშრევი უმთავრესად ვლინდება ღვთაებათა, სალოცავების, ხატობა-დღეობების სახელებში.... არსებითად კი ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენებში ქრისტიანული წმინდანებისა და ანგელოზების უკან უძველესი წარმართული ღვთაებები დგანან, მათი ტრადიციული სალოცავების სახით წინარექრისტიანულმა საკულტო ძეგლებმა მოაღწიეს ჩვენამდე, ხატობა-დღეობებში კი უმთავრესად წარმართულმა რიტუალებმა შემოინახეს თავი...

მაგრამ ამ პრობლემის კრიტიკულ შესწავლას განსხვავებულ დასკვნამდე მივყავართ. როგორც ირკვევა, ქრისტიანობას გაცილებით უფრო ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული ქართველ მთიელთა რელიგიურ ყოფაში, ვიდრე ეს აქამდე იყო მიჩნეული. დღემდე გაბატონებული თვალსაზრისი ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების რამდენიმე ცალმხრივ ინტერპრეტაციას ემყარება: როგორც ჩანს, შორეული წარმართობის ძიებით გატაცებული მკვლევრები, უნებლიედ ამ გადმონაშთების გადაჭარბებული არქაიზაციის გზას დაადგნენ, რის გამოც მათ ზოგჯერ შეუმჩნეველი დარჩათ აშკარად გვიანდელი, ქრისტიანული ელემენტები ქართველ მთიელთა რწმენასა და კულტებში...

ამავე დროს, ისიც ირკვევა, რომ ქრისტიანულ მოძღვრებას და საეკლესიო კულტს, გარდატეხილს ხალხური რწმენა-წარმოდგენების და ყოფითი ტრადიციების პრიზმში, საგრძნობლად უცვლია სახე და სპეციფიკური ფორმები მიუღია...

სანიმუშოდ განვიხილოთ ღვთაება კ ვ ი რ ი ა ს კულტი,

ჯერ კიდევ ახლო წარსულში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოფენილი იყო კვირიას სახელობის სალოცავებით: ეკლესია-საყდრებით, ტრადიციული ჯვარ-ხატებით და მათი ნიშებით.

კვირიას კულტს საპატიო ადგილი ეკავა მთიელთა რელიგიურ ყოფაში. მასთან იყო დაკავშირებული საგანგებო ხატობა-დღეობები, უქმეები. კვირიას

ერთ-ერთს პირველს ადიდებდნენ ლოცვა-საევედრებლებში, ხშირად ახსენებდნენ დალოცვისა თუ წყევლის ფორმულებში...

კვირიას კულტი საგანგებოდ შეისწავლეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა, პროფ. ვ. ბარდავლიძემ და გ. შარაშიძემ, საფრანგეთში მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ. სამივე მკვლევარმა კვირია უყოყმანოდ აღიარა ქართველ მთიელთა უძველეს წარმართულ ღვთაებად.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ავტორთა გამოკვლევებში ერთი საერთო ტენდენცია შეიმჩნევა: კვირიას კულტი ისეა განხილული, რომ არ არის მკვეთრად გამიჯნული მასში ადრინდელი და გვიანდელი, წარმართული და ქრისტიანული ელემენტები, თითქოსდა, ეს უკანასკნელი სრულიად უცხო იყოს ამ კულტისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების ინტერპრეტაციისას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ გვიანდელი, ქრისტიანული დანაშრევები უნდა გამოვყოთ და გავითვალისწინოთ, რათა, ივ. ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, „ახალი ძველად არ გვეჩვენოს“ და შორეული წარმართობის გადმონაშთებს უტყუარად მივაკვლიოთ.

ქვემოთ სწორედ ამგვარი მიდგომით განვიხილავთ კვირიას კულტის ზოგ ძირითად კომპონენტს.

ჯერ ამ ღვთაების სახელწოდებაზე შევჩერდებით.

რას ნიშნავს კ ვ ი რ ი ა? საიდან წარმოდგება ეს უჩვეულო თეონიმი? ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი სავარაუდო მოსაზრებაა გამოთქმული. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილის ეტიმოლოგიური ძიება. მან „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში ამ თეონიმის წარმოშობის რამდენიმე შესაძლებლობა დაუშვა; სხვათა შორის ისიც ივარაუდა, რომ „კვირია“ კვირა დღის სახელიდან იყო წარმომდგარი, იმის გამო, რომ ამ სახელის მატარებელ ღვთაებას კვირეულის „შვიდეულში სწორედ ეს დღე ჰქონდა მიკუთვნილი“.[4] აღსანიშნავია, რომ მის გვიანდელ ნაშრომში მკვლევარი მხოლოდ ამ ვარაუდს დაუბრუნდა. ამასთან, იმ მოტივით, რომ კვირადღე ქრისტიანული „შემოქმედი ღმერთისათვის არის განკუთვნილი“, მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ კვირია ქრისტიანობის ხანის თეონიმი იყოს, რომელმაც შესცვალა მისი მატარებელი ღვთაების „ძველი, წარმართული სახელი“.[5]

ამ თვალსაზრისში ფასეულია კონკრეტულად ეტიმოლოგიური მიგნება („კვირიას“ ამოსავალია კვირადღის სახელი), რომლის სისწორეს ქვემოთ მოტანილი ფაქტებიც ადასტურებს.

მთიელთა მეტყველებაში ერთმანეთს ზუსტად ემთხვევა ამ თეონიმისა და კვირადღის სახელის ფორმები: კვირა, კვირე, კვირია, კვირიე, კვირაე, კვირეა...

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მესამე გამოცემა, თბ., 1928; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

[2] В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957.

[3] J. C h a r a c h i d z e, Le systeme religieux de la Georgie paienne, Paris, 1968.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1928, გვ. 70.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და... თბ., 1950, გვ. 204.

თვით მთიელთა შეხედულებით, ეს თეონიმი კვირადღის სახელიდან მომდინარეობს: „კვირადღე რომ არის, იმის სახელობისაა კვირია“. ამასთან, ისიც აშკარაა, თუ რა უდევს საფუძვლად ღვთაების ამგვარ სახელდებას: მთიელთა რწმენით: „კვირა დღე — კვირიასია“, „კვირას საპატიოდაა კვირა უქმედ“;[6] აქვე უნდა გახსენოთ ვაჟა-ფშაველას ცნობაც: „კვირა ძლიერი ანგელოზი ყოფილა ფშავლების წარმოდგენით და იმის სადიდებლად და მოსახსენებლად არის დიდებული კვირა-დღე უქმედ“.[7] ამავე წარმოდგენას გამოხატავს ამ ღვთაების პარალელური ზედწოდება — „კვირეთ-ანგელოზი“, რომელიც მოხევეებში დასტურდება.

ამრიგად, ირკვევა, რომ კვირია ადგილობრივი ზედწოდებაა მთიელთა ღვთაებისა, მის კულტში კვირადღის განსაკუთრებული როლის გამო. ამ ნიშნის მიხედვით ეს თეონიმი ივ. ჯავახიშვილმა ქრისტიანულ მამა-ღმერთს დაუკავშირა. მაგრამ კვირა-უქმე ხომ ქრისტიანული ეკლესიის მიერ უმთავრესად ქრისტეს მოსახსენებლადაა დაწესებული. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ამ თეონიმში, უწინარეს ყოვლისა, იესო ქრისტეს ადგილობრივი ზედწოდება დავინახოთ.

რომ „კვირიას“ ქვეშ მართლაც ქრისტე იგულისხმება, ამაზე ცხადად მიგვანიშნებს მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ეპითეტები და ზედწოდებები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ფშავ- ხევსურულ ლოცვებში კვირიას ერთ-ერთი ძირითადი ეპითეტია „კარავიანი“. აქ კვირია ხშირად მოიხსენიება, როგორც „ღვთის კარზე კარავიანი“,[8] ანდა „ღვთის მოკარვე“.[9] ხოლო ერთი ხევსურული სადიდებლის ტექსტში გვხვდება ამ ეპითეტის (უფრო რთული) სახესხვაობა „საბამ-კარავიანი“.[10]

კვირიას ამ ეპითეტთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრალური სიმბოლო — „ზეციური ანუ წმიდა კარავი“, რომელიც გამოხატავს ციურ სამლოცველოს (ტაძარს) და აგრეთვე, ღვთის ციურ სამყოფელს (ბერძ. სკენე, რუს. скиния). „კარავი უფლისა“ ბიბლიური ღმერთის (იაჰვეს) სამყოფელია; სახარების თანახმად, მას შემდეგ, რაც ქრისტე „ზეცად აღმაღლდა“, მან მამა-ღმერთთან „მოიკარვა“ — მასთან დამკვიდრდა. ამავე დროს, „კარავი“ განუყრელად უკავშირდება ქრისტეს, როგორც ახალი რელიგიის დამაარსებლის სახელს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ „ზეციური კარვის“ ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია „კრეტსაბმელი“—ე. ი. „კარის ფარდა“ (საბა). მათეს სახარებაში მის შესახებ ნათქვამია: „კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად...“, მყისვე, როგორც კი ჯვარცმულმა ქრისტემ „განუტევა სული“.

ამრიგად, სრულიად აშკარაა კვირიას ეპითეტის „კარავიანის“ ქრისტიანული შინაარსი. ისიც საფიქრებელია, რომ ამ ეპითეტის ხევსურული ვარიანტის

---

[6] ნ. ომარაშვილი, კვირიას კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხელნაწერი.

[7] ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1937, გვ. 193.

[8] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, თბ., 1938, გვ. 28.

[9] იქვე, გვ. 14, 29.

[10] იქვე, გვ. 31.

„საბამ — კარავიანის“ პირველი კომპონენტი „საბამი“ ემთხვევა ძველ ქართულ სიტყვას „კრეტსაბმელს“[11].

ინტერესს იწვევს კვირიას მეორე ეპითეტი, რომელიც უმთავრესად ხევში დასტურდება. მოხევეები ამ ღვთაებას, ხშირად „კვირეღვთისშილის“ სახელით მოიხსენიებენ. ხევში ზოგან ამავე სახელს ატარებს მისი სალოცავიც.

ამავე დროს, სიტყვა „ღვთისშვილი“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ღვთაებათა, ანგელოზთა და აგრეთვე წმინდანთა ზოგად სახელადაც გვევლინება.

ვნახოთ, ვის მიეწერება იგივე ეპითეტი ქრისტიანულ მოძღვრებაში?

უკვე ძველ აღთქმაში „შვილნი ღმრთისანი“. ანუ „ძენი ღმრთისანი“ აღნიშნავენ ანგელოზებს, იაჰვეს მოციქულებს. ასევე სახარებაშიც „შვილნი ღმრთისანი“, ანუ „ძენი ღმრთისანი“ წარმოგვიდგებიან, როგორც ციური არსებანი, ანგელოზები, რომლებიც მამა-ზეციერს ემსგავსებიან. ამავე ნიშნით, „ძე ღმრთისა“ ქრისტეს ერთ-ერთ ძირითად ზედწოდებად იქცა. მოგვიანებით ეს ზედწოდება ქრისტიან წმინდან-მოწამეებსაც მიაწერეს. ასე მაგალითად, უძველეს ქართულ იადგარში წმინდა მოწამეთა შესახებ ნათქვამია: „რომელნი სულითა ღმრთისაჲთა ვლენან, იგი არიან შვილნი ღმრთისანი“.[12]

როგორც ვხედავთ, ქართველ მთიელთა რელიგიური ტერმინიც „ღვთისშვილიც“ აგრეთვე ქრისტიანული წარმოშობისაა და ამასთან, კვირიას და ქრისტეს იგივობაზე მიგვანიშნებს.

მთიელთა რწმენა-წარმოდგენებით კვირიას უმთავრესად „სამართალი ეკითხება და აბარია“ (ივ. ჯავახიშვილი). ლოცვის ტექსტებში ხშირად მეორდება ფორმულა: „ძალი ღვთისა, სამართალი კვირიასი“. ამასთან, კვირია, როგორც მსაჯული, „სამართლის მიმცემი“ მორიგე ღმერთის ნების აღმსრულებელია: იგი „შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის“. კვირიას თავისი „სამწერლო“ — სამსჯავრო ღვთის კარზე აქვს გამართული. ერთ ფშაურ საგედრებელში მას ასე მიმართავენ:“ სიმართლის პასუხის გამცემელო ღმერთთანა და წყალობის გამომტანელო ხმელზე ხორციელთათვის“.[13] ხოლო მეორე სადიდებელში მას ასე მიმართავენ“: სიმართლის პასუხის გამცენელო ღმერთთანა და წყალტანელო, წყალობის გამომტანელო, გამაუწერე უფალთანითა საკეთილო, სამშვიდობო ფურცელი და წყალობა“.[14]

აღსანიშნავია, რომ ფშავ-ხევსურულ მითოლოგიურ თქმულებებშიც კვირია უმთავრესად მსაჯულის როლში გვევლინება. ასე მაგალითად, ერთი ფშაური გადმოცემით, ღვთისშვილთა შორის ატეხილ დავას ღვთის კარზე მორიგე ღმერთი, „დამბადებელი“ და კვირია არჩევენ და სამართლიანი განაჩენი გამოაქვთ.[15] გარდა ამისა, ღვთსიშვილთა შორის, ანდა მათსა და დევებს შორის

---

[11] ამ სიტყვების მიმართებაზე მიგვითითა ზ. ალექსიძემ.

[12] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, გვ. 108.

[13] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, თბ., 1938, გვ. 34.

[14] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაელებში (დღიური), ენიმკი-ს მოამბე XI, თბ., 1941ì, გვ. 130.

[15] თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 147.

ფალავნური შეჯიბრების დროსაც „სამართლის მიმცემი“ კვირაა. კერძოდ სიმძიმეების აწევაში შეჯიბრებისას კვირია „სასწორის მცევლია“ (ივ. ჯავახიშვილი) და მეთვალყურეობს „სასწორ-ჩარექით“ სიმძიმეების აწონვას: შეჯიბრების მონაწილე ღვთისშვილნი კვირიას შესთხოვენ სიმძიმეების მომატებას[16]...

გავიხსენოთ, რომ ქრისტიანული ესქატოლოგიის თანახმად ქრისტეა „მსაჯული სიმართლის“, რომელიც მეორედ მოსვლისას „განიკითხავს ცოცხალთა და მკვდართა“ და „განარჩევს ცოდვილთა მართალთაგან“. ამასთან, იგია „მსაჯული ღმრთისა“, ღმერთის წინაშე ადამიანთა „მეოხი და შუამდგომელი“, ღმრთისაგან „მადლის გამომტანელი“ და მისი ნებით „ცოდვათა მიმტევებელი“...

აქვე უნდა გავიხსენოთ ქრისტეს „მართლმსაჯულების“ სიმბოლო — „სასწორი სიმართლის“, რომლის გამოსახულებაც შემოგვინახა კლასიკური ხანის ქართული ეკლესიების კედლის მხატვრობამ „სასშინელი სასჯელის“ სცენებში... ქრისტეს, როგორც „განმკითხველის“ ატრიბუტად წარმოგვიდგენს მას ხალხური სასულიერო ლექსიც:

„დალოცვილი ქრისტე ღმერთი
ოქროს ტახტზე დაბრძანდება,
ზედ უდგა ოქროს სასწორი,
ცოდო-მადლი იწონება“.

როგორც ვხედავთ, „მსაჯულის“ როლშიც კვირიასა და ქრისტეს შორის საგულისხმო მსგავსებაა.

რაც შეეხება კვირიას მსაჯულობის მოტივის ზოგ თავისებურებას ფშავხევსურთა მითოლოგიურ გადმოცემაში, ეს უთუოდ კვირიას ამ ფუნქციასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების' გულუბრყვილო ფოლკლორული გადახრებითა და მათი მეორადი მითოლოგიზაციით აიხსნება. ეჭვგარეშეა, რომ ამ გადმოცემებში მოხსენიებული სასწორ-ჩარექი, რომელიც საფალავნო სიმძიმეების ასაწონადაა განკუთვნილი, იგივეა, რაც ქრისტიანული „მადლის სასწორი“, რომელსაც მთიელთა წარმოდგენებში აღნიშნული ხასიათის სახეცვლილება განუცდია.[17].

აღმოსავლეთ საქართველოში მთიანეთში კვირიას კულტთან დაკავშირებულია ხატობა-დღეობების მთელი წყება, რომელთა შორის უმთავრესია აღდგომა, კვირიაობა ანუ კვირაცხოვლობა და ამაღლება. როგორც ვხედავთ, სამივე მათგანი ქრისტეს სახელზე დაწესებული „საუფლო“ დღესასწაულია! მაგრამ, იქნებ, ამ ხატობა-დღეობების სახით, მხოლოდ ოდნავ ქრისტიანიზირებულმა, არსებითად კი უძველესმა წარმართულმა რიტუალებმა შემოინახეს თავი?

---

16 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თბ., 1967, გვ. 145, 154; ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ა. შანიძის გამოცემა, თბ. 1931, გვ. 223, 575—587.

17 საგულისხმოა, რომ ამ მითოლოგიური მოტივის ანალოგიურ ახსნას იძლევა გასული საუკუნის ერთი კორესპოდენტი, რომელმაც ამ თქმულების ფშაური ვარიანტი გამოაქვეყნა. აქ მოხსენიებულ „სასწორ-ჩარექთან“ დაკავშირებით, ტექსტისადმი დართულ კომენტარებში ვკითხულობთ: „ფშაველსა სწამს, რომ როცა კაცი ამიერ სოფლიდამ მიიცვლება და საიქიოს მივა, იქ პირველად ღვთისა და მის წმინდანთა წინაშე წარსდგება, სადაც სასწორზე ასწონენ და ისე გაიგებენ, მის კეთილსა და ბოროტს ჩანადინარს“. იხ. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 583.

სანიმუშოდ განვიხილოთ კვირიას უმთავრესი ხატობა-დღეობა—კვირაობა ანუ კვირაცხოვლობა.

მთიულეთ-გუდამაყარში და ერწო-თიანეთში ამ ხატობისათვის დამახასიათებელია შემდეგი წეს-ჩვეულება. ამ ხატობაში მისული მლოცველი ქალები სალოცავის ეზოში წითელი ფერის ქათმის მამალებს „შეაფრენდნენ“ და, ზოგჯერ, მათ კიდეც კლავდნენ. როგორია ამ რიტუალის აზრი?

როგორც ცნობილია, თუმცა მამლის სიმბოლო ქრისტიანობამ წარმართობიდან ისესხა, მაგრამ მას სპეციფიკური მნიშვნელობა მიანიჭა: მზის ამოსვლის მაუწყებელი ეს ფრინველი აღდგომის სიმბოლოდ აქცია. ამასთან დაკავშირებულია უძველესი ლეგენდები, თითქოსდა, ქრისტე მკვდრეთით აღდგა მამლის პირველ ყივილზე... ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მამლის შეფრენის რიტუალში კვირაცხოვლის დღესასწაულის ძირითადი იდეის — ქრისტეს აღდგომის სიმბოლიური გამოხატულება დავინახოთ... შემთხვევითი არ არის, რომ ანალოგიური რიტუალი ამ დღესასწაულის განუყრელ კომპონენტად გვევლინება ბარის საქართველოს სხვა მხარეებშიც: მაგალითად, ქართლ-კახეთში.

გარდა ამისა, ვ. ბარდაველიძეს მთიულეთში დადასტურებული აქვს კვირაცხოვლობასთან დაკავშირებული შემდეგი წეს-ჩვეულება: „მთიულეთში ჭართლის ხევის სოფელ ჭალისოფლის ქრისტიანული საყდარი და მცირე მიწის ნაკვეთი მის გარშემო კვირაცხოვლის ხატის სახელწოდებით ღვთაება კვირიას სალოცავად ითვლებოდა... კვირაცხოვლის ხატის მთავარი დღეობა კვირაცხოვლობას იცოდნენ. წინა დღეს ხატის დეკანოზები აგებდნენ ოთხ ეგრეთწოდებულ ფათვლის (ფოთლის) ქოხს — ოთხი კარვის ჩონჩხს ფოთლოვანი ხის ტოტებისაგან. ხატში ღამისთევაზე ამოსულ სოფლელებს შემზადებული ქოხების მოსაბურავად თან ფარდაგები მიჰქონდათ. თითო სოფელი თითო კარავში ბინავდებოდა. იმ ღამეს ბქ ათევდა და მეორე დღეს სოფლის სუფრაც იქვე იშლებოდა. ხალხის შეხედულებით, ამ კარვების მოწყობა ძველთაგანვე დამკვიდრებული წესი ყოფილა“.[18]

უნდა ითქვას, რომ ვ. ბარდაველიძემ ამ წეს-ჩვეულებაში წარმოდგენილი ფოთლის ქოხი ან კარავი დაუკავშირა კვირიას „კარავს“, რაც ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება. ხოლო თუ ამოვალთ იქიდან, რომ მის ქვეშ ქრისტეს „ციური კარავი“ იგულისხმება, მაშინ, შესაძლოა ასე აიხსნას აღწერილი რიტუალის შინაარსი: კვირაცხოვლობის დროს ფოთლის კარვების დადგმა და შიგ ღამისთევა. სიმბოლურად განასახიერებს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, ადამიანთა შორის ქრისტეს „დაკარვებას“ — დამკვიდრებას, ხოლო ამ კარვების მწვანეფოთლოვანი ტოტები ამ დღესასწაულის ძირითად იდეას — ქრისტეს „აღდგომასა და განახლებას“, და ამით, ყოველივეს განახლებასა და აღორძინებას გამოხატავს.

დაბოლოს, ყურადღებას იქცევს ფშაური კვირაცხოვლობის, „ახალკვირეს“ დღეობა, რომელიც იმართებოდა ლაშარის ჯვარში და რომლის ცენტრალურ რიტუალს შეადგენდა ფშავის, თორმეტივე თემის მედღეობეთა მსვლელობა ლაშარის ჯვარიდან საკვირაოს (კვირიას) ხატში ლიტანიითა და ფერხისული

---

[18] ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბ., 1959, გვ. 169.

სიმღერით... მისი აღწერა მოცემული აქვს ვ. ბარდაველიძეს ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით[19]...

ამ აღწერილობაზე თვალის ერთი გადავლებითაც კი ცხადი ხდება, რომ ჩვენს წინაშეა ქრისტიანული ლიტანია ანუ „დიდებით სიარული". ქართლსა და კახეთში მოხუცებს ახლაც ახსოვთ ძველად ზოგი საეკლესიო დღესასწაულის დროს ამგვარი ლიტანიობა, ანუ „დიდებაზე სიარული" ეკლესიის ჯვრებით, ხატებითა და დროშებით... ამგვარ ლიტანიობასთან შედარებით ფშაური რიტუალის თავისებურება ძირითადად ისაა, რომ მედღეობენი მსვლელობის დროს საეკლესიო საგალობელის ნაცვლად, ასრულებენ „ფერხისულ სიმღერას". ეს კი, ცხადია, ოდნავადაც არ ცვლის ამ რიტუალის თავდაპირველ ქრისტიანულ შინაარსს...

კვირიას კულტში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე კვირა-უქმეს და „კვირაძლობას" — შაბათ საღამოს უქმობას.

ზემოთ უკვე მოტანილი გვქონდა ამასთან დაკავშირებით ეაჟა-ფშაველას ცნობა: „კვირა ძლიერი ანგელოზი ყოფილა ფშავლების წარმოდგენით, და იმის სადიდებლად, მოსახსენებლად არის დადებული კვირა-დღე უქმედ".

ტრადიცია ბოლო დრომდე მკაცრად მოითხოვდა კვირა — უქმის „შენახვას", ხოლო მისი გატეხვა, „შერევა" დიდ ცოდვად მიაჩნდათ. მთიელთა რწმენით, თვით კვირია სასტიკად სჯიდა მის სახელზე დაწესებული უქმის გამტეხს: კვირადღეს ვინც „სამუშაოდ ხელს გააქანებდა, იმის სახლ-კარს ცეცხლს გადაუსვამდა და გადასწვავდა".[20]

კვირიას სახელთან იყო დაკავშირებული აგრეთვე „კვირაძალის" — შაბათ საღამოს უქმეც.

კვირაუქმობისა და კვირაძლობის მოტივაციასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ფშავ-ხევსურეთში დადასტურებული გამოთქმა: „კვირამ თქვა: ნაცულარი ისე არ მტკიოდა, როგორც ნათხორალიო"[21].

კვირა-უქმე ანალოგიურ როლს ასრულებს ქრისტიანულ კულტში. როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა ეკლესიამ ადრიდანვე კვირადღე გამოაცხადა „საუფლო" დღედ: ჯერ ერთი, მამა-ღმერთის მიერ „ქვეყნის შესაქმისათვის" და აგრეთვე, „უმეტეს დიდებული აღდგომისათვის ქრისტეისა". მანვე დაადგინა ყოველკვირეული ღვთის მსახურება, განსაკუთრებით, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნად. ამასთან, ძველთაგანვე ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში კვირა იწყებოდა წინა საღამოდან, „კვირაძალიდან", ღამისთევით: „რამეთუ უფალ არს ძეჲ კაცისა შაბათისაცა" (მთ. 12,8).

ამის შესაბამისად, ქრისტიანული ეკლესიის მიერ დიდ ცოდვად იქნა აღიარებული კვირა — უქმის გატეხვა, რაც, ქრისტიანული მოძღვრებით, იწვევდა „ღვთის რისხვას" — ღმერთის მიერ ცოდვილთა ცეცხლით დასჯას. ამგვარი ძალაუფლება განსაკუთრებით მიეწერებოდა ქრისტეს, როგორც ადამიანთა მსა-

---

[19] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I, თბ., 1974, გგვ. 33, 51—53.

[20] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების... გვ. 169.

[21] ამ გამოთქმაში „ნაცულარის" ქვეშ იგულისხმება ცულით ან სხვა მჭრელი იარაღით მიყენებული ჭრილობა. „თხორი" მთის დიალექტებში ნართის ძაფს, ბაწარს აღნიშნავს. „ნათხორალის" ქვეშ თხორისათვის მატყლის ჩეჩვა იგულისხმება. ფშაველი მთხრობელის განმარტებით: „მატყლის ჩეჩვის დროს, თიოქოს, კვირიას ჩხელეტავენ ტანზე".

ჯულს მეორედ მოსვლის დღეს, „განკითხვის დღეს“ და რომელსაც ცოდვილთა დასასჯელად „ხელ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისასა“.

საგულისხმოა, რომ ამ ქრისტიანულმა რწმენა-წარმოდგენებმა თავისებური ასახვა პოვა გვიანი ფეოდალიზმის ხანის ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში. აქ ხშირად გვხვდება ამგვარი წყევლის ფორმულები:

„ვინცა... წმიდათა კრებათაგან განაჩენი უქმი დღენი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს, მისთვის განწესებულ არს რისხუა ღმრთისა... ცეცხლი უშრეტი...“[22]

როგორც ვხედავთ, ქართველ მთიელებთან კვირა — უქმესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებიც უდავოდ ქრისტიანული ბუნებისაა, და კვირიას. ცეცხლის სტიქიასთან დაკავშირებული ამ „მრისხანე ღმერთის“, უკან კვლავ ქრისტე დგას. ამასთან, გამონათქვამში, რომელიც კვირიას მიეწერება: „ისე ნაცულარი არ მტკიოდა, როგორც ნათხორალიო“, უთუოდ, ქრისტეს ჯვარცმა-წამებასთან დაკავშირებული წარმოდგენების თავისებური ანარეკლი უნდა დავინახოთ. ქრისტეს სახელთან დაკავშირებული ანალოგიური ხასიათის გამოთქმები ხომ თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული...[23]

დაბოლოს, ბუნებრივია, ვიკითხოთ: ვინღაა ქართველ მთიელთა პანთეონის სათავეში მდგომი მ ო რ ი გ ე ანუ გ ა მ რ ი გ ე ღ მ ე რ თ ი, რომელთანაც ასე განუყრელადაა დაკავშირებული კვირია-ქრისტე?

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში „მორიგე ღმერთი“ ქართველ მთიელთა უმთავრეს წარმართულ ღვთაებად არის აღიარებული და არაფერია ნათქვამი იმ განსაკუთრებული მსგავსების შესახებ, რომელსაც იგი ქრისტიანულ მამა-ღმერთთან ამჟღავნებს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კვირია მორიგე ღმერთის „შვილია“ და მას ემორჩილება, მისი ნების აღმსრულებელია... ქრისტეც ხომ სავსებით ანალოგიურ მიმართებაშია მამა-ღმერთთან!

მორიგე ღმერთსა და ქრისტიანულ მამა-ღმერთს შორის სხვაც ბევრია საერთო. ქრისტიანული მამა-ღმერთი ადვილად შეიცნობა აგრეთვე მორიგე ღმერთის ადგილობრივ ეპითეტებსა და ზედწოდებებში, მისდამი მიმართულ ლოცვის ფორმულებში, მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში, მისი კულტის ძირითად თავისებურებებში...

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიური გადმონაშთების კრიტიკულ შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მთიელთა პანთეონის სათავეში დგას ქრისტიანული მამა-ღმერთი, იგივე „მორიგე ანუ გამრიგე ღმერთი“, ხოლო ამ პანთეონში მეორე ადგილი უკავია ქრისტეს, იგივე „კვირიას“.

კვირიას კულტის მაგალითზე იმაშიც ვრწმუნდებით, რომ წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებისა, ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები უმნიშვნელო, ზედაპირული დაფენება კი არ არის მთიელთა რელიგიური სისტემისა, არამედ, მისი ძირითადი და ორგანული კომპონენტია.

---

[22] ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსი (ხელნაწერი, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

[23] აღსანიშნავია, რომ კვირიას სახის ქრისტიანულ ნიშნებზე სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა მიუთითა ფოლკლორისტმა ბ. აბაშიძემ. იხ. ლიტერატურული საქართველო, 1970, № 7, „კვირია—მზე“.

А. С. ЛЕКИАШВИЛИ

К ИНТЕРПРЕТАЦИИ РЕЛИГИОЗНЫХ ПЕРЕЖИТКОВ ГОРЦЕВ ГРУЗИИ

Резюме

До недавнего времени в религиозной жизни горцев восточной Грузии исключительную роль играл культ божества Квириа. Почти в каждом селении имелось его святилище, с его почитанием был связан целый ряд религиозных праздников.

В специальной научной литературе Квириа единогласно признан одним из главных языческих божеств, однако при этом ничего не говорится о явно христианских чертах в его образе.

Проанализировав в свете соответствующих данных многочисленные эпитеты и прозвища Квириа, приписываемые ему функции и свойства, а также праздники и ритуалы, связанные с его почитанием, мы приходим к иному заключению относительно природы этого божества: Квириа не кто иной, как Христос, почитание которого у горцев восточной Грузии приняло специфическую бытовую форму.

Очевидно, что христианские верования являются не поверхностным наслоением в религиозной системе горцев Грузии, как это утверждается в научной литературе, а ее основным, органическим компонентом.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ.

ბ. ბიბინეიშვილი

ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში

1. მევენახეობის ერთი ძველი ტერმინი ქართველურ ენებში

ვაზის კულტურას საქართველოში, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. თუ დღემდე არ შემოგვრჩა თვით ვაზის უძველესი. ქართველური წარმომავლობის მქონე სახელი, ეს ხარვეზი შევსებულია სხვა ტერმინთა, კერძოდ, ვაზის მოვლასთან დაკავშირებული ნომენკლატურის არსებობით. წინამდებარე წერილში განხილული იქნება ტერმინი **აჯოჯვა,**

ი, ჯავახიშვილის აზრით, **აჯოჯვა** განსხვავდება თავისი მნიშვნელობით **ასარვისაგან.** პირველი „ვაზის გაფურჩქვნას“ ნიშნავს, ხოლო მეორე — ახალნერგი ვაზის დაყრდნობას სარზე[1]. **აჯოჯვის** განმარტების დროს ი. ჯავახიშვილი ს. ორბელიანის ლექსიკონს ემყარება, სადაც წარმოდგენილია ლექსიკური ერთეული **ჯოჯვა (აჯოჯვა** ფორმა არ დასტურდება) ასეთი თარგმანებით: „ვენაჯის შტოს მოტეხა“. რამდენადაც საბას განმარტება ვენახისათვის შტოს მოტეხას გულისხმობს, ი. ჯავახიშვილმა იგი, ბუნებრივია, დაუკავშირა ვაზის „გაფურჩქვნის“ ანუ მის განთავისუფლებას ზედმეტი შტოებისაგან (ზოგჯერ ფოთლებისაგანაც), რომლებიც ხელს უშლიან ვაზის ნორმალურ ზრდასა და მომწიფებას, რადგან ართმევენ მას სარჩო-საკვებს და უფარავენ მზეს. ამ დროს სანაყოფო რქები ხელშეუხებელი რჩება და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ტოტების ჩამოცლასთან ერთად ახლად გამოტანილ რქებს სარზე ამაგრებენ[2].

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან **აჯოჯვა,** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დასტურდება მხოლოდ „იოვანესა და უფთუმეს ცხოვრებაში“, რომელსაც იმოწმებს ივ. ჯავახიშვილი. მოვიტანთ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს აღნიშნული თხზულებიდან: „და მისთა შრომათა და ღუაწლთა ზედა, ოდესმე რაჲმე საეროჲ საქმე არნ მონასტრისაჲ, თჳნიერ უცალოებისა თანავე გაჴიდის გინათუ ნავისა გამოზიდვასა გინათუ ნავი მოვიდის ხუარბლითა გინათუ ვენაჯთა **ასარვასა** გინათუ **აჯოჯვასა** გინათუ **სთულებასა.** რამეთუ ვინაჲთგან ახალნერგ იყვნეს წუთღა ვენაჯნი, ყოველთა **სარითა განგებაჲ** უნდა“ (ი.—ე. 41—42). რამდენადაც აქ სხვადასხვა სახის სამუშაოს ჩამოთვლასთან გვაქვს საქმე, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ **გინათუ** კავშირით ერთმანეთთან შეერთებული ფორმები **ასარვა** და **აჯოჯვა** სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სინონიმურ წყვილთან გვაქვს საქმე. ჩამოთვლის დროს არც

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, ტფილისი, 1934, გვ. 362.

2 იქვე.

თუ იშვიათად ერთგვარი მოქმედების გადმოსაცემად სინონიმური ლექსიკური ერთეულებით სარგებლობენ, რომლებიც, ჩვეულებრივ, უშუალო მიმდევრობაში იმყოფებიან. ერთი ნიმუში ამისა შეიძლება მოვიტანოთ ესაიას წინასწარმეტყველების იერუსალიმური ნუსხიდან: „და მოუღოს ღმერთმან ღიდებაჲ სამოსლისა მათისაჲ და სამკაული მათი... და **სამკლავები** და **სავლტეები**...“ (ესაია 3,18—3,20). **გინათუ** მაცალკევებელი კავშირის არსებობა პირველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისა არაა.

„იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ მოტანილ ფრაგმენტში ბაზვალმელია ახალნერგი ვენახის **სარით განგების** საჭიროება, საინტერესოა, რომ „სარით განგება“ ანუ იგივე **ასარვა** დასტურდება იმავე იერუსალიმურ ხელნაწერში: „**სარითა განვაგე** საკენაჴ“ (ეს. 5,2 I), რაც მოწმობს მევენახეობის ამ ტერმინის არსებობას ქართული ენის ძველ ძეგლებში. თვით **სარი** უფრო ფართო მნიშვნელობით აგრეთვე ფიქსირებულია, მაგრამ ახლა ამას არ გამოვუდგებით.

რა გვაფიქრებინებს, რომ **ასარვა** და **აჴოჴვა** ერთი და იგივე პროცედურაა? აქეთკენ გვიბიძგებს მეგრული ფორმა **ჴგუნჴგი**, რომლის მნიშვნელობაა „ენახის ლერწის საყრდენი“[2]. ამ ტერმინს ივ. ჯავახიშვილი კარგად იცნობს, ისევე როგორც მისგან ნაწარმოებ სასარეს ანუ სახარდნეს მეგრულ სახელს **ოჴგუნჴე-ს**, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს **გ** ამ სიტყვაში შენაზარდად მიაჩნია და შესაძლებლად თვლის მის დაკავშირებას, ერთი მხრივ, ჭანურ **ჴუნჴული** ფორმასთან („მოგლეჯილი“, „დასახიჩრებული“), მეორე მხრივ, კი — ქართულ **ჴგვერ**-თან, რომელიც „ხის სადგისის“, „ჯოხის წვერის“ აღმნიშვნელია[3]. ამავე დროს სრულიად უყურადღებოდაა დარჩენილი მეგრული **ჴგუნჴგი**-ს მიმართება ქართული **აჴოჴვა** ზმნის **ჴოჴ** ძირთან. ქართული **აჴოჴვა** შეიძლება ვარაუდით ისეთივე ნასახელარ ზმნად მივიჩნიოთ, როგორიცაა **ა-სარ-ვ-ა**. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ისეთი სახელური ფორმის აღდგენა, როგორიცაა ***ჴოჴი** ქართულში. ქართული ***ჴოჴი**-ს ზუსტ შესატყვისს, დამყარებულს კანონზომიერ ფონემურ ფარდობაზე, წარმოადგენს მეგრული **ჴგუნჴგი** (ქართ, **ჴ**: მეგრ. **ჴგ**, ქართ. **ო**: მეგრ. **უ**)[4]. თუ ამ დაკავშირებას მივიღებთ, ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის უნდა აღვადგინოთ ფორმა ***ჴოჴ-ი** „სარის“, „ხარდანის“ მნიშვნელობით.

რამდენად დასაშვებია ქართულ-ზანური პერიოდისათვის ისეთი სიტყვის აღდგენა, რომლის ძირი (CVC სტრუქტურისა) ორ ერთგვარ თანხმოვანს (მეღერ შიშინა აფრიკატს **ჴ**-ს) შეიცავს? ჰ. ფეენრიჰის აზრით, სტრუქტურა **ჴvჴ** ადრინდელი საერთოქართველური ძირეული მორფემისთვის გამორიცხულია[5]. მაგრამ უნდა მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ ავტორი ძირეულ მორფემათა სტრუქტურებს იკვლევს ადრინდელი საერთო-ქართველურისთვის და არა იმ პერიოდისთვის, რომელიც უშუალოდ უძღოდა წინ მის დაშლას

---

[2] И. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914, გვ. 412.

[3] დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

[4] გ. კლიმოვი მეგრ. **ჴგუნჴგი** ფორმას უკავშირებს ქართულ **ჴუარ**-სა და ჭანურ **მზგუჴ**-ს Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964). ფონემური ფარდობის არარეგულარული ხასიათი ამგვარ დაკავშირებას საეჭვოდ ხდის.

[4] გ. კლიმოვი მეგრ. **ჴგუნჴგი** ფორმას უკავშირებს ქართულ **ჴუარ**-ს დ ჭანურ **მზგუჴ**-ს **დელი საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი**, თბილისი, 1978, გვ. 110-113.

ცალკეულ ქართველურ ენებად, მით უფრო ნაკლებ— ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის, ამრიგად, *ჯოჯ-ი ტერმინის რეკონსტრუქცია ქართულ-ზანურ ქრონოლოგიურ დონეზე (დაახლოებით VIII ს. ძვ. წ.) „საყრდენი სარი“-ს მნიშვნელობით დაბრკოლებას არ ხვდება.

2. სალოცავი რიტუალისა და შესაწირავის აღმნიშვნელი ზოგი ქართველური ტერმინი

ქართველური ტომების უძველესი (ქრისტიანობამდელი) სარწმუნოების ისტორიის შესწავლას დიდმნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს ქართველმა ისტორიკოსებმა და ეთნოგრაფებმა, რომელთა შორის უპირველესად უნდა გამოვყოთ ივ. ჯავახიშვილი და ვ. ბარდაველიძე. მაგრამ თვით პრობლემა იმგვარი ბუნებისაა, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივ მუშაობას, კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ ლინგვისტის როლი არცთუ უკანასკნელია. რა თქმა უნდა, სარგებლობა საქმისათვის მეტი იქნება, თუ ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი და ენათმეცნიერი ცალ-ცალკე კი არ ასრულებს მთლიანი სამუშაოს თავ-თავის ნაწილს, არამედ ერთმანეთთან კავშირში, რითაც ივსება ის ხარვეზები, რომლებიც სხვა დისციპლინის არასაკმარისად ღრმა ცოდნით არის გამოწვეული. ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ ზოგი ტერმინის ეტიმოლოგიურ გააზრებას და დასკვნებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლის შიგნით ლინგვისტს შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა.

ქართველურ ენათა დასავლურ არეალში შემორჩენილია კანონზომიერი ფონემური ფარდობით დაკავშირებული ფორმები: ჭან. **ო-ხვამ-ე** „სალოცავი“, „ეკლესია“ (||ოხვამუ||ოხვამბე), მეგრ. **ხვამ-ა** „ლოცვა“, **ო-ხვამ-ე** „სალოცავი“ (ობიექტი და ადგილი ლოცვისა), **ხვამერი** „დალოცვილი“, „კურთხეული“ (||ხვამირი), **ო-ხვამ-ერ-ი** „სალოცავი“, „სალოცავი რიტუალი ძღუენითა და შესაწირავით“, სვან. **ლაკუშმ** (ბზ., ლნტ.), **ლა-კუმი** (ბქვ.) „სალოცავი“, „საყდარი“. ამ ფორმების აგებულება საკმაოდ გამჭვირვალეა, მეგრულში გამოყენებულია **ო-ე** (←***ო-ა-ი**) ცირკუმფიქსი (რომლის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია სვანური **ლა-ა**) ან, შესაძლოა, ოდენპრეფიქსული წარმოება ***ო-ხვამ-ავ-ი** (***ხვამ-ავ**, ფუძიდან), რომელიც ქართული **კუმ-ევ** ფუძეზე დამყარებული ***სა-კუმ-ევ-ი-ს** ზუსტი შესატყვისი იქნებოდა (მეგრ. **-ავი→ეე→ე**). სვანური **ლა-კუშმ** ფორმა, ერთი შეხედვით, ოდენპრეფიქსული წარმოებისად გამოიყურება, მაგრამ აშკარაა, რომ ბოლოკიდური ელემენტი მას ამოკვეცილი აქვს. თუ რომელი ხმოვანი უნდა გვქონოდა აქ, ამას გაგვირკვევს ძირეული მორფემის **ა** ხმოვანი ბალსზემოურ და ლენტეხურ ფორმებში. საქმე ისაა, რომ მეგრული **ხვამ-** ძირის შესატყვისად სვანურში (ისევე როგორც ქართულში) მოსალოდნელია მხოლოდ **კუმ-** ძირი, რომელიც ქართულს არც ამ მნიშვნელობით და არც სრული სახით არ დაუცავს, სვანურმა კი შემოინახა **კუშმ-** სახით. ხმოვნის გადაბგერება **ე→ა** სვანურ ფორმაში შეიძლება აიხსნას მხოლოდ უკანა მიმართულების უმლაუტის საფუძველზე, რომლის გამოწვევა შეეძლო სიტყვის მომდევნო ნაწილში არსებულ **ა** ან **უ** ფონემებს. ამ შემთხვევაში ორივეს არსებობა არის შესაძლებელი — **ლა-ა** მოდელისაც და **ლა**-სიც (**ლა-კუემ-უ**): შდრ. **ლა-თრ-ა** „დასალევი“ (ადგილი), **ლა-ტხ-ა** „დასაბრუნებელი“ (გზა) და სხვა[6]. პირ-

[6] ვ. თოფურია, შრომები, I, თბ., 1967, გვ. 218.

ველი ქართველურ ***სა-ხუემ-ე**-ს გვავარაუდებინებს, მეორე კი ***სა-ხუმ-ევ-ი**-ს (←***სა-ხუემ-ევ-ი**). ჭანური, მეგრული და სვანური ფორმები ერთმანეთთან დაკავშირებული აქვს ა. ჩიქობავას, აღნიშნულია, რომ მათ ქართული შესატყვისი არ მოეპოვებათ და რომ ძირეული მასალაა **ხვ**- მეგრულსა და ჭანურში. სვანური ადრინდელი ფორმა აღდგენილი არაა[7]. ზანურ დიალექტებში **ხვამ**- ძირი დაუშლელი ოდენობაა, ისევე როგორც სვანური **ჯუამ**. როგორც პარადიგმიდან ჩანს, -**ამ** მეგრულში თემის ნიშანი არაა, რადგან ის აორისტის ფორმაშიც დასტურდება, ხოლო აწმყოში ზედ თემის ნიშანს დაირთავს: აორ.**ბ-ხვამ-ი** „ვილოცე“, „ვაკურთხე“ — აწმყო: **ბ-ხვამ-ან-ქ** „ვლოცულობ“, „ვაკურთხებ“. ქართულში შესატყვისი ძირი არ ჩანს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებას უნდა მოჰყოლოდა ბუნებრივი პროცესი ძველი წარმართული რწმენისა და წეს-ჩვეულებათა დევნისა მათი საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით, გასაგები იქნება, რომ წარმართული ღმრთისმსახურებითი ტერმინოლოგიაც უნდა გამოძევებულიყო ქართული სალიტერატურო (resp. სახელმწიფო) ენიდან, ან კიდევ იმდენად უნდა შეეცვალა მნიშვნელობა, რომ მისი ცნობა შეუძლებელი გამხდარიყო. ამიტომ ამ ნაწილში ქართული ლექსიკისა საგრძნობი სემანტიკური გადაწევებია საგულვებელი. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, აღმოჩნდება, რომ მიუხედავად სემანტიკური ცვლილებებისა კვალი ოდინდელი კავშირისა მთლად არ წაშლილა. მეგრ.-ჭან, **ხვამ**- და სვან. **ჯუამ**- (←***ჯუემ**-) ძირების შესატყვისი თავისი თავდაპირველი ფონემური სახითა და მნიშვნელობით არაა დაცული, მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია იგი ვიგულვოთ **ჯუმ** (←***ჯუემ**-) ძირში, რომელსაც ემყარება, ერთი მხრივ, ზმნა **ჯუმ-ევ-ა**, მეორე მხრივ, კი — **გ**ასუბსტანტივებული მიმღეობა **სა-ჯუმ-ილ-ი**. **ჯუმევა** ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, „ხმარება — გამოყენების“ მნიშვნელობით გვხვდება. როგორც ჩანს, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს მნიშვნელობის გაფართოებას: [ხმარება სარიტუალო საგნებისა]→[ხმარება ზოგადად]. სიტყვა **საჯუმილი** ნიშნავს „ღუმელს“, „ქურას“, „ბრძმედს“ ილ. აბულაძის განმარტებით[8]. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, „ესე არს ცეცხლთა საგზებელი კაცთა დასაწვავად, გინა აბანოს საგზებელი და მისთანათა“[9]. საფიქრებელია, **საჯუმილი** თავდაპირველად მიუთითებდა ნაწილებზე რიტუალისა (შესაწირავზე, მსხვერპლის შესაწირავად წინასწარი მომზადების საშუალებებსა და საგნებზე), ე. ი. იმაზე, რაც მოიხმარებოდა მსხვერპლშეწირვის ცერემონიალის პროცესში. ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი მსხვერპლშეწირვისა იყო ცეცხლი. საყურადღებოა, რომ **საჯუმილი** არის არა თვით ცეცხლი, არამედ, ასე ვთქვათ, **სა-ჯმ-არი**, ამჯერად, **სა-ცეცხლ-ე**: რაც დანიშნული იყო შესაწვავად და შემდგომ შესაწირავად, ან კიდევ ადგილი, სადაც უნდა დაენთოთ ცეცხლი მსხვერპლშეწირვის რიტუალისთვის. ამდენად, **ჯუმ-ევ-ა** ზმნის მნიშვნელობა სავსებით შესაძლებელია აღნიშნულ რიტუალს დავუკავშიროთ. მეორე მხრივ, **სა-ჯუმილი** ფორმა (თავისი ადრინდელი მნიშვნელობით „მსხვერპლშეწირვის რიტუალი“) ზუსტ ფონემურ შესატყვისობას ავლენს მეგრულ ფორმასთან

---

7 არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 152—153.

8 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973. გვ. 396.

9 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 309.

ო-ხვამერი || ო-ხვამირი („სალოცავი რიტუალი ძღვენითა და შესაწირავით") მეგრული **ოხვამერი** აღწერილი აქვს არქანჯელო ლამბერტისა და ჟან შარდენს. მოვიტანთ ამ რიტუალის აღწერას მათი ნაშრომებიდან. ა. ლამბერტის სიტყვით, შობა დღის ნაშუადღევს „...მოისმენენ რამდენსამე ლოცვას, რომელსაც... მღვდელი იტყვის და მაშინვე თვითეული ოჯახის პატრონი განკარგულებას მოახდენს და დაამზადებინებს კარგ ყველულებს, ქათმებს და ხოხბებს. ამ მზადებაში გაატარებენ დანარჩენ ღამეს. შუაგულ ოთახში უნთიათ დიდი ცეცხლი. ცეცხლზე ტრიალებს მრავალი შამფური, რომლებზედაც წამოცმულია იმდენი ყველული, ქათამი და ხოხობი, რამდენიც ამ საღმრთო ლოცვის მსურველია. ამ ლოცვას მათებურად ეძახიან **ოხვამირი** და ასრულებენ შემდეგი წესით: ფრინველი რომ შეიწვება, თვითეული აქ მყოფი თავის კერძს აიღებს, მოითხოვს აგრეთვე თბილ ხაჭაპურს, დააწყობს ამაებს ჯამზე, მივა ხატთან და იტყვის მის წინაშე რამდენსამე ლოცვას, რის შემდეგ ცალკე კუნჭულში დაჯდება და დიდის სასოებით შესჭამს მთელს ყველულს. ამ შემთხვევაში არ არის მიღებული, რომ ერთმა მეორეს თავისი არჩივიდან რამე უთავაზოს... და უკეთუ ვინმემ რამე გითავაზათ, ეს ნათავაზები ვითარცა საკურთხი ცეცხლში უნდა ჩააგდოთ"[10]. ამ აღწერიდან ჩანს, რომ ეს რიტუალი წარმართობისა და ქრისტიანობის ნაზავს წარმოადგენს. რაც შეეხება გამომცემლის მიერ შეტანილ შესწორებას ა. ლამბერტის ტექსტში (**ოხვამირი** გასწორებულია **ოხვამერი** ფორმად), ჩვენ იგი არ მიგვაჩნია აუცილებლად, რადგან — **ერი** სუფიქსის ძველი სახე (რომელიც, შესაძლოა, ა. ლამბერტის დროს ცოცხალი იყო ამ სიტყვაში) არის სწორედ — **ირი.** ამრიგად, **ო-ხვამ-ირ-ი** სავსებით რეალური ფორმაა.

ჟან შარდენის გადმოცემით, მეგრელებს წესად აქვთ მსხვერპლის შეწირვა, რასაც „ოხვამირი"-ს უწოდებენ. შეწირულება მრავალგვარია. ერთ-ერთი მდგომარეობს იმაში, რომ „მღვდელი კითხულობს ლოცვას სამსხვერპლოდ განკუთვნილ ცხოველზე. ანთებული სანთლით ხუთ ადგილას ამოუწვავს კანს. შემოატარებს მას იმ ხალხის ირგვლივ, რომელთა საკეთილდღეოდაც ხდება შეწირვა; შემდეგ შესაწირავს კლავენ და შეწვავენ ან მთლიანად ან მის უდიდეს ნაწილს. შემწვარს დებენ მაგიდაზე, რომელიც ოთახის შუაში დგას, შინაურები და სტუმრები ანთებული სანთლებით ხელში შემოუსხდებიან ირგვლივ... ლოცვების კითხვის დამთავრების შემდეგ შეწირულების გამღები და მისი ნათესავები მცირეოდენ საკმეველს აგდებენ ნაკვერჩხალზე, რომელიც კრამიტზე ან სხვა რამეზე დევს ზვარაკის გვერდით. მღვდელი მოჭრის ერთ ნაჭერ ხორცს, შემოავლებს თავზე იმას ან იმათ, ვინც შეწირულება გაიღო და შემდეგ აძლევს ხორცს საჭმელად. დამსწრეებიც მიუახლოვდებიან მათ, შემოავლებენ თავზე თავიანთ სანთლებს, **რომელთაც შემდეგ ჩააგდებენ ცეცხლში, იქ, სადაც საკმეველია**"[11]. (ხაზი ჩვენია — ბ. გ.). სხვა სახის მსხვერპლის გაღების დროს სწირავენ წვრილფეხა საქონელს ან ღორს, ან კიდევ სისხლს, ზეთს, პურს და ღვინოს[11]. ყურა-

---

10 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 136—137.

11 ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975. გვ. 183—184.

დღეგას იქცევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად **ოხვამირი||ოხვამერი**-ს საკმაოდ განსხვავებული აღწერილობისა ა. ლამბერტსა და ჟ. შარდენთან, ერთი რამ ორივეგან თავს იჩენს: ესაა მსხვერპლშეწირვის აუცილებელი კომპონენტის — **ცეცხლის** წამოწევა და ისეთი დეტალი, როგორიცაა **ცეცხლში ჩაგდება** სანთლისა ან შემოთავაზებული ნაჭრისა მისი კურთხევის მიზნით. ამრიგად, ქართ. **საკუმილი** და მეგრ. **ოხვამირი||ოხვამერი** იყო, ასე ვთქვათ, „საკურთხი საშუალება", რომლის ფუნქციას ამ კონკრეტულ რიტუალში ცეცხლი ასრულებდა. საინტერესოა ამ მხრივ მეგრ. **ხვამ-ერ-ი** და **ო-ხვამ-ერ-ი** ფორმების მიმართება: პირველი ნამყო დროის მიმღეობაა და ნიშნავს „დალოცვილს", „კურთხეულს", მეორე კი მყოფადის მიმღეობაა და „დასალოცავს" (წესს, რიტუალს), „საკურთხეველს" (საშუალებას)" შეესაბამება.

რაც შეეხება წარმოებას **ო-ხვამ-ე**, ის, როგორც ჩანს, ან სალოცავ, მსხვერპლშესაწირავ ადგილზე მიუთითებდა (***ო-ხვამ-ა-ი**) ან თვით რიტუალსა და შესაწირავზე (***ო-ხვამ-ავ-ი**). შესაბამისად სვანური, როცა ის „საყდარზე", „სალოცავ ადგილზე" მიუთითებდა ***ლა-ჯუემ-ა** ფორმას გვიჩვენებდა, ხოლო შესაწირავის აღნიშვნისას *ლა-ჯუემ-უ ფორმას. ქართულში პირველ შემთხვევაში გვექნებოდა ***სა-ჯუემ-ე**, მეორეში კი — ***სა-ჯუემ-ევ-ი**.

ქართული **საკუმილი** და მეგრ. **ოხვამირი||ოხვამერი** ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაურადაა ნაწარმოები: მყოფადის მიმღეობის **სა- : ო-** პრეფიქსებთან სუფიქსად მოსალოდნელი არაა **-ილ : -ირ**. ქართულში **სა-ილ** წარმოება არაა ჩვეულებრივი, თუმცა ვ. ბერიძის მიერ იმერულსა და რაჭულ დიალექტებში ფიქსირებულია ფორმა **სა-ლოცვ-ილ-ი**, რაც განმარტებულია როგორც „საღვთოს მოხდა". მას ასეთი კომენტარი ახლავს: „წლის განმავლობაში რამდენიმე **სალოცვილი** იციან: ალილორტობა, საუცოდინარო ანუ საარიცო, სასაფლაო, საჭაბუკო და სხვა"[12]. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი „სალოცვილი"—ალილორტობა ასეა აღწერილი: „დაურწყვებას ოჯახის თითოეული წევრისათვის იკვლება თითო ყველული: დაკურთხებისა და ლოცვის შემდეგ თითოეული თავის კერძს სჭამს"[13]. ეს პროცესი, ამ მოკლე აღწერით, ემთხვევა ა. ლამბერტის მიერ გადმოცემულ „ოხვამირის" რიტუალს. თუ **სალოცვილი** ფორმა **სალოცველი**-ს დამახინჯებას არ წარმოადგენს, აქ გვექნება იგივე **სა-ილ**, წარმოება, რაც დასტურდება **საკუმილ**-ში, რომელიც ***სა-ჯუემ-ილ**-ისაგან მოდის.

საკუმილი, შესაძლოა, საფუძვლად დაედო **მ-ჯუმილი, მ-ჯუმილ-ავ-ი, სა-ჯუმილ-ავ-ი, ჯუმილ-ვ-ა** ფორმებს. **სა-ჯუმილ-** ამოსავალ ფორმაში მოგვიანებით, საფიქრებელია **-ილ** ძირის კუთვნილებად ჩაეთვალათ, მით უფრო, რომ ამის საფუძველი (**სა-ილ** მოდელის იშვიათობა) არსებობდა. ამის შედეგად **სა-ჯუმილი** ოდენპრეფიქსულ წარმოებად იქნებოდა მიჩნეული და **სა**-ს ადგილი თავისუფლად შეეძლო დაეკავებინა აქტიური მიმღეობის წარმოქმნისას **მ**-ს, რაც მოგვცემდა **მჯუმილი** ფორმას. **ჯუმილ-** ფუძის დაუშლელ ოდენობად მიჩნევამ, ე. ი. ძირად ჩათვლამ, გამოიწვია ახალი ტიპის აწმყოსა და მისი რიგის ფორმათა ჩამოყალიბება პროდუქტიულ **-ავ** თემის ნიშნის დართვით: **ჯუმილავს, ჯუმილვედ, ჯუმილვიდეს** და სხვა (თუმცა ამათ გვერდით დარჩა უთემისნიშნო **ჯუმილდეს** ფორმაც ნამყო უწყვეტლისა: ლ. 2,8c). ხსენებული ფორმების წარ-

---

[12] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. МЯЯ, VI. с.-Тб. 1912, გვ. 27.

[13] იქვე, გვ. 1.

მოქმნამ **მკუმილი**-ს გვერდით **მკუმილავი** ფორმაც უფლებამოსილი გახადა. აქ შეიძლება გაჩნდეს სავსებით კანონზომიერი კითხვა: რა კავშირია **საკუმილი** სიტყვასა, ერთი მხრივ, და **საკუმილავი, მკუმილი, კუმილვა** ფორმებს შორის, მეორე მხრივ? უკანასკნელი ჯგუფი სიტყვებისა ხომ „საყარაულო", „ყარაული", „ყარაულობა" მნიშვნელობის მქონეა, ხოლო **საკუმილი** სულ სხვა მნიშვნელობისაა როგორც ძველ სალიტერატურო ქართულში, ისე უფრო ადრეც (ეტიმოლოგიურად)? ვფიქრობთ, ასეთი კავშირი დასაშვებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ **საკუმილავი** არის არა მარტო „სადარაჯო, საყარაულო დრო", „გარკვეული დროის მონაკვეთი ღამით, როცა ხდება ყარაულთა შეცვლა"[14], არამედ ისეთი ცვლა საყარაულოსი, რომელიც ვარსკვლავთა გადანაცვლებაზეა დამყარებული[15]. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ **კუმილვა** თავდაპირველად იყო არა რისამე დაცვა-დარაჯობა მხოლოდ, არამედ ის დრო, რომელიც ორგანულად უკავშირდებოდა გარკვეულ რელიგიურ რიტუალს. ვარსკვლავთა გადანაცვლების (გამობრწყინება-გამკრთალების) ჟამი განაპირობებდა **კუმილვის** (წარმართული ღმრთისმსახურების) რიტუალის პერიოდულობას. ასეთი ვარაუდი, მართალია, თამამად გამოიყურება, მაგრამ აშკარაა, რომ **საკუმილისა** და **საკუმილავის** საოცარი მსგავსება შემთხვევითად ვერ ჩაითვლება, ამოსავალი ოდენობა — ძირი ***კუემ** — ქართულში შეკუმშულადაა წარმოდგენილი (**კუმ-**), რაც სავსებით გასაგებია ქართული მორფონოლოგიის შუქზე. ცალკეულ გადახვევებს იმ ტიპისა, როგორიცაა **ჰ-ხუედ-ა, ღუემელ-ი** და სხვა, თავისი ახსნა აქვს.

შესაწირავი, როგორც ითქვა, სხვადასხვა ხასიათისა იყო, რაც განპირობებული იყო რიტუალის სხვადასხვა დანიშნულებით. ი. ყიფშიძის მიერ ჩამოთვლილია ძირითადი სალოცავი-საძღვნო რიტუალები, რომლებიც წელიწადის სხვადასხვა დროს სრულდებოდა სამეგრელოში. ესაა ოთხნაირი „ოხვამერი": 1. **საღორონთო** (ღვთის პატივსაცემად), 2. **სამგარიო** („საგლოვი" — მიქელ მთავარანგელოზის პატივსაცემად), 3, **საჯგეგო** (წმ. გიორგის პატივსაცემად) და 4. **საკაპუნო** (ღვთაება **კაპუნიას** პატივსაცემად[16]).

მ. მაკალათიას მასალების მიხედვით ირკვევა, რომ არსებობდა ე. წ. „ოხვამერი ჩხოუ" (სალოცავი ძროხა), რომელსაც „პატენიას" ეპითეტით მოიხსენიებდნენ და სახელად „სამგარიოს" უწოდებდნენ. მას არ წველიდნენ, ბაგას ცალკე აკეთებდნენ. იგი ოჯახის უფროსის სახელზე ჰყავდათ დაყენებული. სალოცავ „სამგარიოს" ლაგვანთან სხვა შესაწირავებთან ერთად მიჰქონდათ მხოლოდ მსხვერპლად შეწირული ხბოს **გულ-ღვიძლი**. საინტერესოა, რომ მ. მაკალათია ამასთან დაკავშირებით წერს: „აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოსა და სვანეთში რიტუალის შესრულების დროს ღვთაებას უშუალოდ მსხვერპლის **გულ-ღვიძლს** — „ჩონჩხს" სწირავდნენ"[17]. ამასთან ჩანს დაკავშირებული

---

14 ი. იმნაიშვილი ,ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 531.

15 შდრ. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1970, გვ. 463, 296.

16 И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 402.

17 მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, „სამეგრელო" (მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის), თბ., 1979, გვ. 69—70.

მსხვერპლის სვანური სახელწოდება **ლე-ყუუ-ი** („საღვიძლე“), შემწირველის აღმნიშვნელი ტერმინი **მგყუუი** (მეღვიძლე); აქვე შემოდის — **ლიყუუარი** „მსხვერპლშეწირვა“ (=ღვიძლობა?) სვანურად **ყუიყე** ღვიძლს ნიშნავს და ზემოთ დასახელებული ფორმები მისგან არის ნაწარმოები. მსხვერპლისა და მსხვერპლშეწირვის სხვა ტერმინების არსებობა (**ლიტბგლი, ლიმზგრი**) იმაზე მიგვანიშნებს, რომ ღვიძლის შეწირვა მხოლოდ სპეციფიკურ რიტუალთან არის დაკავშირებული. ჯბოს **ცმელის, ღუძლის ძირის, ღუძლის ყურის, თირკუმელთა, ნაწლევისა და ფუშნიერის** დაწვა და შეწირვა ცნობილია ძველი აღთქმიდანაც (იხ. ლევიტ. 3,15 და 4,8—12).

Б. К. ГИГИНЕЙШВИЛИ

О ПРОИСХОЖДЕНИИ НЕКОТОРЫХ ЭТНОГРАФИЧЕСКИХ ТЕРМИНОВ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

I. В работе мегрельский виноградарский термин ǯgunǯi «кол», «подпорка для винограда» связывается с древнегрузинской основой ǯoǯ-, которая сохранилась в отымённом глаголе a-ǯoǯ-v-a «прикрепление виноградной лозы к опорному колу».

II. В мегрельском, чанском и сванском сохранились дохристианские термины для обозначения места и принадлежностей совершения обряда жертвоприношения: чан. o-xvam-e «молельня», «церковь»; мегр. o-xvam-e «место и средства для совершения обряда»; сван. la-qwäm «молельня»/<*la qwem-a/. Эти производные опираются на корень *qwem- (срв. сван. qwäm← *qwem, мегр. xvam-a «молиться»). Сюда же относятся мегр. xvam-er-i «благословенный» и o-xvam-er-i//o-xvam-ir-i «молебенный обряд с жертвоприношением». Грузинский эквивалент этих форм до сих пор не был выявлен

В работе высказано предположение, согласно которому с указанными занскими и сванскими основами этимологически связана древнегрузинская основа qum-<*qwem-/, сохранившаяся с некоторым изменением значения в глаголе qum-ev-a «употребление», а также в отглагольных именах sa-qum-il-i «печь», «место для сожжения жертвы», sa-qum-il-av-i «ночной караул, разделенный на 4 смены, по три часа каждая».

Мегр. o-xvam-er-i является точным фонетическим соответствием грузинскому sa-qum-il-i/<*sa-qwem-il-i/. В грузинском имеет место расширение исконного значения: qum-ev-a изначально обозначало употребление (использование) только лишь предметов (принадлежностей) конкретного ритуала, впоследствии же оно получило более общее значение «употреблять», «использовать» (вообще).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

კობა ხარაძე

საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელი ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში

XVIII საუკუნის ისტორიკოსსა და გეოგრაფ-კარტოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს სრულიად საპატიო და გამორჩეული ადგილი უკავია ქართული მეცნიერების აზროვნების ისტორიაში. იგი სამართლიანად ითვლება ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებლად, რომელიც ამასთან, XVIII საუკუნის მსოფლიო გეოგრაფ-კარტოგრაფთა თვალსაჩინო მემკვიდრეა. ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომები — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", საქართველოს ატლასები, მსოფლიო გეოგრაფიის ქართული თარგმანი ატლასითურთ და სხვ. ძნელია მოიძებნოს საქართველოს მკვლევარი, ვახუშტის ნაშრომებს რომ არ იყენებდეს. უფრო მეტიც, ვახუშტის შრომები მთელი საუკუნის მანძილზე ქვეყნის გეოგრაფიული ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მან გეოგრაფია და კარტოგრაფია სრულიად ახალ გზაზე დააყენა და ქართულ სინამდვილეში მათი ცოდნა მეცნიერებად აქცია. თავი მოუყარა ქართველთა მთელ ცოდნას ამ დარგებში, იკვლია მშობლიური ბუნება, დაეხმარა რუსეთისა და ევროპის მეცნიერებს საქართველოსა და კავკასიის სწორი და სრული გაცნობის საქმეში.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელის აღწერილობას და გამოსახულებას. მის მიერ განხილულია მნიშვნელოვანი მდინარეები, ტბები, ჭაობები, მყინვარები, წყაროები და სხვ. აქედან ყველაზე მეტ მნიშვნელობას მდინარეებს ანიჭებს. ეს არც არის გასაკვირი. რადგან მისი საქართველოს გეოგრაფიის ჩონჩხს მდინარეები წარმოადგენენ. რომლებზედაც ხორცშესხმულია გეოგრაფიის დანარჩენი კომპონენტები. მდინარეების ესოდენ დიდი მნიშვნელობა და ყურადღება იმითაც გამოიხატება, რომ დასახლებული პუნქტები უმეტესად მდინარეთა ხეობების მიხედვით აქვს განხილული. გათვალისწინებულია და დახასიათებელი მდინარეთა მნიშვნელობა—თევზიანობა, რწყვისათვის გამოყენება და სხვ.

ვახუშტის შრომის ტექსტში 440-ზე მეტი მდინარე და ნაკადული იხსენიება. გაცილებით მეტი უსახელოდ აღნიშნულია მისსავე რუკებზე. განსაკუთრებით დაწვრილებითაა მოცემული და აღწერილი ქართლის მდინარეები. აქ ავტორი ყოველი პატარა ხევის მდებარეობასაც იძლევა და ამით ჰიდროგრაფიული აღწერილობა ძლიერ გამდიდრებულია. მდინარეთა აღწერილობა დამყარებულია თავისებურ მეთოდზე; მეცნიერი იხილავს მდინარის შესართავს და სათავის მდებარეობას და მის დამოკიდებულებას აუზთან, მდინარის მიმართულებას და შენაკადებს. მდინარეთა უმრავლესობისათვის მოცემულია სხვა ხასიათის ცნობებიც, განსაკუთრებით მდინარეთა სამეურნეო მნიშვნელო-

ბა: ნაოსნობა, ირიგაცია, თევზიანობა, წყლის თვისებები და სხვ. ზოგან აღნიშნავს მდინარეში გამავალ ფონებსაც.

ვახუშტის შრომების ჰიდროგრაფიულ ნაწილზე ვრცლად შეჩერდა ი. შაქარიშვილი[1], რომელიც აღნიშნავდა იმ დიდ მნიშვნელობას, რაც ვახუშტის შრომებსა და განსაკუთრებით მათს ჰიდროგრაფიულ ნაწილს აქვთ.

მიუხედავად ამისა, ვახუშტის, ზოგიერთი მდინარის დახასიათების დროს, დაშვებული აქვს მცირე უზუსტობანი, რაც კარტოგრაფიულ ნამუშევრებშიც მეორდება. ზოგი ასეთი უზუსტობა აღნიშნული აქვს ლ. მარუაშვილს,[2] ი. მათურელს[3] და სხვ. ერთ-ერთ შრომაში აღნიშნულია, რომ „ზოგიერთი მკვლევარი ვახუშტის ამ შეცდომაზე დაყრდნობით აგებს ჰიპოთეზას აქ ვითომცდა მომხდარი ჰიდროგრაფიული ცვლილებების შესახებ"[4]. ჩვენ მიერ შემჩნეულ იქნა რამდენიმე უზუსტობა ვახუშტის საქართველოს ჰიდროგრაფიულ აღწერილობაში. ქვემოთ აღვნიშნავთ ზოგ მათგანს და იმ მიზეზებს რამაც ეს უზუსტობანი გამოიწვია ვახუშტის შრომებში. ამ უზუსტობათა აღნიშვნა საჭიროდ ვცანით, რათა საქართველოს მკვლევრებმა გაითვალისწინონ ისინი.

მდინარეთა ერთი ნაწილის უზუსტობა გამოწვეულია დასავლეთ საქართველოს კირქვიან ზოლში მდინარეთა „დაკარგვით". ასე მაგალითად, „...ძევრისწყალზედ, ხიდს ზეით, არიან ქვაბნი დიდ-დიდნი, გამოკვეთილნი, მრავალნი, კლდესა შინა, დასავლით. და არს ქვაბი ერთი დიდ ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირველად. ამ ქვაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადელი წყაროდ, და არს მას შინა კალმახნი მრავალ"[5]. აქ ჩვენი მეცნიერი გულისხმობს ძევრის მღვიმეთა კომპლექსს (თერჯოლის რ.), რომელიც ცნობილი გახდა აქ აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალებით (საგვარჯილეს ეხი). აქვე ახლო გამოედინებოდა „მყვინთავი" მდინარე ტყიბულა, რომელიც მღვიმიდან გამოსვლის შემდეგ ძევრულას სახელითაა ცნობილი (ამჟამად, ჰიდროელექტროსადგურის აგებასთან დაკავშირებით, მდინარე მღვიმეში თითქმის აღარ გაედინება და მისი ლაბირინთები მკვლევართა ობიექტი გახდა). მის შემდინარედ ვახუშტის მოხსენიებული აქვს მდ. ქვევრულა და ტყირბულის ხევი. „...ძევრულასვე ეყრების ტ ყ ი რ ბ უ ლ ი ს - ხ ე ვ ი"[6]. ამ შემთხვევაში ჩვენს გეოგრაფს არ აქვს წარმოდგენილი მიწისქვეშა კავშირი, რომელიც არსებობდა ტყიბულასა და ძევრულას შორის. ასეა აღნიშნული მის ატლასშიც. მსგავს შემთხვევას ვხვდებით ცუცხვათისა და ეკლარის ხევების შესახებ (ტყიბულისა და თერჯოლის რ-ბი). ცუცხვათის ხევი (ახლანდელი შაბათაღელე) მიჩნეულია მდ. წყალწითელას მარცხენა შენაკადად, ხოლო ეკლარის წყალი (ახლანდელი ჭიშურა) დამოუკიდებელ მდინარედ.. „სად მოერთვის ყვირილას, მის ჩრდილოთ ერთვის ამ წყალწითელას, კვაცხუთს ზეით მთაში, ც უ ც ხ ვ ა თ ი ს —

[1] ი. შ ა ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჰიდროგრაფიული აღწერილობანი ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947, გვ. 45—60.

[2] ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი, თბ. 1956.

[3] И. В. Матурели, Материалы по грузинской картографии, М., 1961.

[4] ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 152.

[6] იქვე, გვ. 153.

ჭ ე ვ ი, აღმოსავლიდამ დასავლეთად მიმდინარე"[7]. ხოლო ეკლარის წყლის შესახებ აღნიშნავს: „ხოლო კვალად ყვირილას მოერთვის წყალწითელას შესართავს ზეით, აღმოსავლეთისკენ, ე კ ლ ა რ ი ს—წ ყ ა ლ ი. ეს გამოსდის, ჭალის თავს ზეით"[8]... სინამდვილეში, ცუცხვათის წყალი იკარგება კირქვებში და კლდის მეორე მხრიდან გამოდის, სადაც უკვე ჭიშურის სახელს ატარებს. ამჟამად, რა თქმა უნდა, არსებობს მთელი რიგი საშუალებანი ასეთი ურთიერთობის განსაზღვრისათვის, მაგრამ იმ პერიოდში კარსტული კავშირი შედარებით ძნელი დასადგენი იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ეს უზუსტობანიც.

მეორე სახის უზუსტობა გამოწვეულია მდინარეთა არამდგრადობით; საქმე ისაა, რომ ქვემო ქართლის ზოგი მდინარე, ზაფხულის პერიოდში, შესართავამდე ვერ აღწევს. ვახუშტის შრომებში კი ზოგი ასეთი მდინარე შეცდომით სხვა მდინარის შენაკადად არის აღნიშნული. ასე მაგალითად, „ღ ო უ ბ ნ ი ს—ჭ ე ვ ი გამოსდის კოჟრის ციხის გორას და ერთვის ასურეთის — ბევს"[9]. სოფელი ღოუბანი თანამედროვე სოფელთან შედარებით ძველად გაცილებით ჩრდილოეთით მდებარეობდა. ამასთან, აქ ჩამომავალი მდინარე სოფ. კოდის ახლო მიდამოებში იკარგება და მშრალ ხევად იქცევა. მხოლოდ წვიმებისა და ნიაღვრების დროს ივსება იგი. ღოუბნის ხევი, ახლანდელი კიტრეულის ხევი (სათავეში ნახშირა ხევი) არ შეიძლება ასურეთის ხევს შერთვოდა რელიეფის ხელშემშლელი პირობების გამო თვით სოფ. ღოუბანი მდინარის მარცხენა მხარეზეა გაშენებული; მართალია, კიდევ ერთი მდინარე გაედინება ღოუბნის დასავლეთით, მაგრამ, ჯერ ერთი, იგი კოჯრის კლდიდან არ გამოედინება (იქვე, სოფლის დასავლეთით ღებულობს სათავეს), და მეორეც, არც იგი უერთდება მდ. ასურეთის წყალს (სოფ. ძველ მარაბდასთან შეერთვის მდ. ალგეთს).

უზუსტოდ არის აღნიშნული სარკინეთის ხევი (ბოლნისის რ.), რომელიც თითქოს ტალავრის ხევის მარცხენა შენაკადია სარკინეთის ხევი (ახლანდელი ყარაჩაი). ამასთან, ეს ხევი არ ჩაუვლის არც ხატისოფელს (წითელსოფელს) და არც ძველად უნდა ჰქონოდა ამ მდინარეს სხვა მიმართულება. ამის შესაძლებლობას გეომორფოლოგიური პირობები არ იძლევა. ეს უზუსტობა ძირითადად იგივე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული, რაც ღოუბნის ხევის შესახებ აღვნიშნეთ.

ერან-თურანის ხევის შესახებ (თრიალეთში, ახლანდელი წალკის რ-ნი) ვახუშტი აღნიშნავს: „მას ზეით (ბარეთის ტბა — კ. ხ.) ერთვის ქციას ჭ ე ვ ი ე რ ა ნ-თ უ რ ა ნ ი ს ა, გამოსდის ერჯევნის მთას, მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს (ახლა ეს ადგილი წალკის წყალსაცავითაა დაფარული — კ. ხ.), ქციას"[10]. ეს მდინარე ახლანდელ ქიარაკ-სუს და მის მარჯვენა შენაკადს შეესაბამება წალკის რაიონში, შეერთვის ბეშტაშენ-ჩაის (ძველად ბეშქენაშენის ხევი) მარჯვენა მხრიდან. უზუსტოდ არის დატანილი თვით რუკაზედაც უშუალოდ ქციას შემდინარედ[11], რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ეს ადგილი მთლიანი სერითაა გადაღობილი.

---

[7] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
[8] იქვე, გვ. 152.
[9] იქვე, გვ. 48.
[10] იქვე, გვ. 42.
[11] ვახუშტის პირველი ატლასის (1735 წ.) ღედანი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერება-

ზემოთ განხილული უზუსტობისაგან განსხვავებულია შიდა ქართლში მდებარე სურამის წყლის აღნიშვნა. ვახუშტით იგი მტკვარს ოსიაურს ზემოთ შეერთვის. სინამდვილეში, სურამის—ფრონე, იერთებს რა მდ. მდ. ტილიანს და ალის ფრონეს, უერთდება ფციის ფრონეებს, რომლის მტკვართან შესართავი ქარელის ახლოსაა. ეს უზუსტობა აიხსნება იმით, რომ ვახუშტის რუკაზე[12] სურამულას ქვემოთ (განედური) მონაკვეთი მტკვრის ტოტადაა გამოსახული. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება[13], რომლის მიხედვით 250 წლიან პერიოდში მტკვრის კალაპოტის ერთმა ტოტმა შეიცვალა მიმდინარეობა. მაგრამ ეს მოსაზრება სარწმუნოდ არ მიიჩნიათ[14]. თუმცა იგივე ავტორი კვლავ ადრინდელ შეხედულებას დაბეჯითებით იცავს. „...250 წლის განმავლობაში მდ. მტკვრის სამხრულ ტოტს, სიღრმითი ეროზიული მოქმედების შედეგად, ალუვიურ მასალაში კალაპოტი 5—7 ათეული სანტიმეტრით გაუღრმავებია, რაც წელიწადში საშუალოდ 0,2 სმ-ს შეადგენს. მაშასადამე, მტკვრის პირველი ტერასა, რომელიც ვახუშტის დროს მდ. მტკვრის კალაპოტში ორი სამი ათეული კილომეტრის სიგრძის კუნძულის სახით იყო წარმოდგენილი, დაახლოებით ორნახევარი საუკუნის ასაკისაა“[15]. აქვე რედაქტორი შენიშნავს, რომ „ავტორის მსჯელობას ამ საკითხზე არ ვიზიარებთ. ჩვენი შეხედულებით აქ საქმე გვაქვს ვახუშტის რუკების საფუძვლად დადებულ ტოპოგრაფიული აგეგმვის ან თვით რუკის შედგენის დროს დაშვებულ შეცდომასთან“[16]. შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული XVIII ს-ის დასასრულისა და XIX ს-ის ყველა რუკაზე მდ. სურამულა თანამედროვე მოხაზულობით არის აღნიშნული. ამდენად, ვახუშტის მიერ შედგენილ რუკასა და ჩვენ ხელთ არსებულ რუკებს შორის 30—40 წელი გამოდის სხვაობა. ის ფაქტი, რომ ეს მხარე (შიდა ქართლი) საქართველოს შუაგულს წარმოადგენდა და მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო, ამასთან, ვახუშტი შესაძლოა პირადად იყო ნამყოფი ამ ადგილებში[17], მტკიცების არგუმენტად არ გამოდგება. რადგან ქვემო ქართლი უფრო მჭიდროდ დასახლებული მხარე, უფრო ახლო, და რაც მთავარია თვით ვახუშტის სასარდლო მხარე იყო, რომელმაც აღწერა ქვემო ქართლის ყველა სოფელი და მისი მოსახლეობა; მიუხედავად ამისა, ზემოთ აღვნიშნეთ ამ მხარის მდინარეთა რამდენიმე უზუსტობა.

ვახუშტის მიხედვით, „ხოლო ციკარის (ახლანდელი წკერე — კ. ხ.) აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქვეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარხელის (ახლანდელი ხარხეთი — კ. ხ.) ზეით და ქვეით ჩრდილოდამ“[18]. ვახუშტის მიერ ეს მდინარე აღ-

---

თა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო მეორე (1745 წ.) საქართველოს სსრ ცენტრალურ არქივში.

[12] იქვე.

[13] Ш. Цховребашвили, К вопросу о изменении устья реки Сурамулы, Известия ВГО, т. 85, вып. I, 1953.

[14] Л. И. Маруашвили, Современные географические процессы, в кн. Геоморфология Грузии, Тб., 1971, გვ. 521.

[15] შ. ცხოვრებაშვილი, აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილის გეომორფოლოგია, ნაწ. I, თბ., 1978, გვ. 143—144.

[16] იქვე, რედაქტორის შენიშვნა, გვ. 144.

[17] შ. ცხოვრებაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140—141.

[18] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

ნიშნულია როგორც ბიფურკაციის მოვლენა (მდინარისა და მისი ხეობის გაყოფა ორ ტოტად, რომლებიც ქვემოთ აღარ ერთდებიან და სხვადასხვა მდინარეს ერთვიან). ციკარის წყალი (ახლანდელი ხადის წყალი) მდ. თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადია სოფ. ქვეშეთთან (დუშეთის რ.). მდინარის მეორე ტოტად კი მიღებული აქვს იგივე თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადი კაიშაურის ხევი.

საქართველო-თურქეთის საღვართან ტბა კარწახს (ახლანდელი ხოზაფინი) ვახუშტის მიხედვით ერთვის ფოსოს წყალი. „ამ ტბას (კარწახი — კ. ხ.). მოერთვის წ ყ ა ლ ი ფ ო ს ო ს ი, რომელი გამოსდის ყარსის მთას და მოდის ჩრდილოთ კერძოთ. ამ წყალზედ არს, ტბის მჭვრეტი, წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ს, ეკლესია ფრიად დიდ-შვენიერი...“[19] სინამდვილეში ეს მდინარე (ახლანდელი ყარა-ჩაი) მტკვრის მარჯვენა შენაკადია.

ბამბაკის ხევი მდ. ბერდუჯის ანუ დებედა-ჩაის სისტემაში ვახუშტის მცდარად აქვს წარმოდგენილი, როგორც ბერდუჯის გრძელი მარჯვენა შენაკადი ტაშირის წყლის ქვემო მდებარე შესართავით. სინამდვილეში, მდ. ბამბაკი (ფამბაკი) ეწოდება ბერდუჯის ზემო წელს ტაშირის წყლის (ძორაგეთის) შესართავს ზემოთ.

ძველ ტაო-კლარჯეთში ვახუშტის აღნიშნული აქვს ბანა-ფანასკერტის მდინარე (ფანასკერტის წყალი), როგორც ჭოროხის შენაკადი: „ამას ზეით (კალმახის ციხე — კ. ხ.)მოერთვის ჭოროხს მდინარე ბანა-ფანასკეტისა...“[20]. სინამდვილეში ბანა (ახლანდელი პენიაკ-ჩაი) და ფანასკერტი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მდინარეებია, რომლებიც მარჯვნიდან შეერთვიან ჭოროხის მარჯვენა შენაკადს ოლთუ-ჩაის.

უზუსტობაა დაშვებული ზოგი ტბის განლაგებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ჯავახეთის ტბებზე, რომელთა განლაგება და შეფარდებითი სიდიდეები სინამდვილეს არ შეესაბამება. ასე მაგალითად, საღამოს ტბა ვახუშტის რუკაზე[21] კარწახის ტბასთან (ახლანდელი ხოზაფინი) შედარებით თითქმის ხუთჯერ მეტია. სინამდვილეში პირიქითაა, საღამოს ტბა დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებია კარწახის ტბაზე.

ქნოღოს ტბის (ახლანდელი ყელის ტბა) შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო ტ ბ ა ქ ნ ო ღ ო ს ი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი“[22]. ასევეა დატანილი მის რუკებზე[23]. ქნოღოს ტბა ახლანდელი ყელის ტბაა, რომელიც ვახუშტის უზუსტოდ პატარა ლიახვის სათავედ მიაჩნია; სინამდვილეში ამ ტბიდან მდ. ქსანი გამოედინება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის შრომის ტექსტი ზუსტად იმეორებს რუკების უზუსტობას. ამის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ვახუშტი თავის აღწერილობას ძირითადად რუკების მიხედვით აწარმოებდა. საილუსტრაციოდ უნდა დავასახელოთ მისივე „მსოფლიო გეოგრაფიის“ თარგმანი[24].

---

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[20] იქვე, გვ. 138.

[21] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[22] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71

[23] ვახუშტი, დასახ. ატლასები.

[24] დედანი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში: A — 717.

მასში ოთხ გვერდზე წარმოდგენილია რუსეთის დახასიათება, რაც ძირითადად რუსეთის რუკის აღწერას ემყარება. ცნობილია, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა რუსეთის ვრცელი გეოგრაფიული აღწერა. ამასთან, გამოცემული იყო რუსეთის გეოგრაფიული ატლასი. თვით ვახუშტის წერს: „თუმცა არა არს აღწერილება რუსეთის სახელმწიფოსი ჯერეთ სივრცელისათჳს, გარნა კარტანი მოხაზულნი ორს წილსა ზედა განყოფილნი ესენი აცნობენ ყოველსავე განთჳთვებულებასა მას წინა“[25]. ამდენად, ჩანს, რომ ვახუშტის რუსეთის გეოგრაფიული დახასიათება რუკებიდან აქვს მოცემული:

ზემოთ აღნიშნული უზუსტობანი, რომლებიც ვახუშტის შრომებშია, ოდნავადაც ვერ ამდაბლებს მისი მეცნიერული შრომების ღირებულებას. ვახუშტი რჩება თავის დროის უდიდეს ისტორიკოს და გეოგრაფ-კარტოგრაფად, რომლის შრომებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

К. П. ХАРАДЗЕ

ГИДРОГРАФИЧЕСКАЯ СЕТЬ ГРУЗИИ В ТРУДАХ ВАХУШТИ БАГРАТИОНИ

Резюме

В трудах Вахушти Багратиони особое место занимает описание и изображение гидрографической сети Грузии. Он сообщает обо всех значительных реках, озерах, болотах, ледниках, источниках и др. В тексте труда Вахушти упоминает более 440 рек и ручьев. Гораздо больше отмечено, только без названий, на его же картах.

В статье отражены неточности в гидрографической сети, допущенные в трудах и картах Вахушти, изложены причины, вызвавшие их.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტმა.

[25] ვ ა ხ უ შ ტ ი, მსოფლიო გეოგრაფიის თარგმანი, დასახ. ფონდი, გვ. 259.

დავით ხოშტარია

კვირიკეწმიდის მდებარეობის საკითხისათვის

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული ლიტერატურის იმ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მნიშვნელობაც მარტო მხატვრული ღირსებებით არ შემოიფარგლება. ეს შესანიშნავი ნაწარმოები უზარმაზარ ინფორმაციას შეიცავს VIII—X საუკუნეების საქართველოს კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური ცხოვრების შესახებ და ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს როგორც ზოგადი ისტორიის, ისე კულტურისა და ყოფის სხვადასხვა სფეროების ისტორიის მკვლევართათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულებაში მრავლად დაცული ცნობები გრიგოლ ხანძთელის ინიციატივით გაშლილი სამონასტრო მშენებლობის თაობაზე. ისინი საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ წარმოვიდგინოთ ამ მშენებლობის მასშტაბები, ხასიათი და მატერიალური პირობები, არამედ საკმაოდ ზუსტად განვსაზღვროთ ცალკეული მონასტრის დაარსების დროც.

იმისათვის, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში დაცული ცნობები სწორად იქნეს გამოყენებული, აუცილებელია მათი შეჯერება-დაკავშირება რეალურ არქიტექტურულ ძეგლებთან, იმ სამონასტრო ნაგებობებთან, რომლებიც ახლა არსებობს ნაწარმოებში დასახელებულ პუნქტებში. ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევარს არც თუ ისე ხშირად ეძლევა შემთხვევა არქიტექტურული ანალიზის შედეგები დააზუსტოს და განამტკიცოს წერილობითი წყაროს მონაცემების მეშვეობით და, ბუნებრივია, ყოველი ასეთი იღბლიანი შესაძლებლობა მაქსიმალურ გამოყენებას საჭიროებს. სამწუხაროდ, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ძირითადი ასპარეზი — კლარჯეთი — და, შესაბამისად, უდიდესი ნაწილიც მის მიერ დაარსებული მონასტრებისა დღეს ქართველ მკვლევართათვის მიუწვდომელია. აქ არსებული ნაგებობები, საუკეთესო შემთხვევებში, ჩვენდვის ცნობილია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სწავლულთა და მოგზაურთა აღწერებით ან თანამედროვე დასავლელ მეცნიერთა თითო-ოროლა ნაშრომით[1].

---

[1] რევოლუციამდელ ნაშრომთა შორის უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ნ. მარის შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური, რომელიც ერთვის მერჩულეს თხზულების პირველ გამოცემას (Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра, с Дневником поездки в Шавишю и Кларджию, С-Петербург, 1911). ის შეიცავს უდიდეს მასალას კლარჯთის სამონასტრო ხუროთმოძღვრების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ა. პავლინოვის 1888 წლის მოგზაურობის ანგარიშს, რომელსაც ერთვის ვრცელი გრაფიკული და ფოტომასალა (А. М. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Мос-

დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მონასტრების რიცხვი გაცილებით მცირეა. მერჩულეს თხზულებაში მოხსენიებულ სავანეთაგან მხოლოდ სამი არის ახლაც საქართველოს ფარგლებში მოქცეული. ამათგან უძველესია უბეს (ახლანდელი უბისი) მონასტერი იმერეთში. ის დააარსა თვით გრიგოლ ხანძთელმა IX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს, აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ ახლო ხანებში, აფხაზთა მეფის დემეტრეს თხოვ-



ფოთოლეთი.. გეგმა

ковского археологического общества, вып. III. М., 1893, გვ. 1—91, ტაბ. XXIII—XLVII), ცალკეულ ძეგლთა შესახებ ცნობები მოეპოვებათ უფრო ადრინდელ ავტორებსაც (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე). თანამედროვე ავტორთაგან აღსანიშნავია ნ. და ჟ.-მ. ტიერების, ვ. ჯობაძის, დ. უინფილდის გამოკვლევები (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, Тб., 1981, გვ. 9—17).

ნითა და აქტიური მატერიალური ხელშეწყობით[2]. უბისის მონასტრის ეკლესია (უფრო ცნობილი XIV ს-ის კარგად შემონახული მოხატულობით) სტილისტური ანალიზით IX ს-ით თარიღდება, რაც უფლებას გვაძლევს მისი ძირითადი ბირთვი თავდაპირველად მივიჩნიოთ[3], თუმცა მოგვიანო ხანის გადაკეთებების კვალიც აშკარაა.

სხვა ორი სავანე — ნეძვი და კვირიკეწმიდა გაშენდა ცოტა მოგვიანებით, IX ს-ის 40-იანი წლებისათვის, ქართლში, სამცხის მოსაზღვრე მხარეში. მათი დამაარსებლები იყვნენ გრიგოლ ხანძთელის მოწაფენი თეოდორე და ქრისტეფორე[4].

ნეძვის მონასტერი კარგადაა ცნობილი. ის მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, ახალდაბიდან 12 კილომეტრზე. ნეძვში იდგა გრანდიოზული სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც ახლა თითქმის მთლიანად დანგრეულია. ეს ნაგებობაც IX ს-ით თარიღდება[5] და, ამგვარად, ისიც, უბისის მსგავსად, თავდაპირველი, ე. ი. თეოდორეს აშენებული უნდა იყოს.

რაც შეეხება კვირიკეწმიდას, მისი ლოკალიზაციის საკითხი ჯერჯეროობით გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის გადაჭრა უკავშირდება მთელ რიგ პრობლემებს, ერთი მხრივ, ისტორიული გეოგრაფიის, ხოლო, მეორე მხრივ, არქიტექტურის ისტორიის სფეროებიდან. ერთადერთი წყაროს მონასტრის მდებარეობის დასადგენად წარმოადგენს მერჩულეს თხზულება. მისი ცნობებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, სამწუხაროდ, მწირია. სავანეთა დაარსების ამბავი მერჩულეს საკმაოდ დეტალურად აქვს მოთხრობილი, მაგრამ მათ მდებარეობას ძალიან მოკლედ და ზოგადად განსაზღვრავს.

თეოდორე და ქრისტეფორე გრიგოლ ხანძთელის უახლოესი მოწაფეები იყვნენ და მხარში ედგნენ თავიანთ მოძღვარს მისი საქმიანობის პირველივე დღეებიდან. VIII ს-ის 70-იანი წლების მიწურულს ისინი საბასთან (შემდგომში იშხნის ეპისკოპოსთან) ერთად თან ახლდნენ გრიგოლს კლარჯეთს მოგზაურობაში[6], ხოლო ხანძთის მონასტრის დაარსების (782 წელი)[7] შემდეგ მასთან ერთად მოღვაწეობდნენ იქ დიდი ხნის მანძილზე.

საბას იშხანში დამკვიდრება და იქ სამონასტრო ცხოვრების აღორძინება თეოდორესა და ქრისტეფორესაც უღვიძებს ახალი მონასტრების დაარსების სურვილს. თავიანთი მიზნის განსახორციელებლად ისინი პირველად აფხაზეთს გაემგზავრნენ (826 წლის ახლო ხანებში), მაგრამ ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა — გრიგოლმა არ ისურვა „კრავთა მათ რჩეულთაგან“ განშორება და ისინი ხანძთაში დააბრუნა (სწორედ მათ დასაბრუნებლად გრიგოლის აფხა-

---

[2] Г. Мерчул... დასახ. ნაშრომი, გვ. კვ. აშოტ კურაპალატი 826 წელს გარდაიცვალა (იხ. ა. ბროგვერაძე, ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ). საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 1970, გვ. 131—138).

[3] Р. Шмерлинг, К вопросу датировки храма в Убиси, Сообщения АЧ ГССР, т. XVI, № 2, Тб., 1955, გვ. 169—174.

[4] Г. Мерчул, გვ. ლვ. თარიღთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

[5] რ. მეფისაშვილი., გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში. საქ. სსრ. მეცნ. აკად. საზ. განყ-ბის მოამბე, თბ., 1963, № 4, გვ. 232—240.

[6] Г. Мерчул... დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[7] Г. Мерчул... დასახ. ნაშრომი, ვვ. ზი. თარიღთან დაკავშირებით იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1955, გვ. 303.

ფოთოლეთი. შუა ეკლესიის დასავლეთ კედელი შიგნიდან



ფოთოლეთი. ეკლესიის გათხრის დროს ნაპოვნი კრამიტი (ფოტო რ. მეფისაშვილისა)



ფოთოლეთი. შუა ეკლესიის კარი დასავლეთიდან



ფოთოლეთი. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდილოეთისაკენ



განივი ჭრილი. ხედი აღმოსავლეთისაკენ

ზეთში წასვლის შედეგად დაარსდა ზემოთნახსენები უბისის მონასტერი). ამის შემდეგ თეოდორე და ქრისტეფორე კარგა ხანს ისევ ხანძთაში მოღვაწეობდნენ, ვინაიდან სიტყვა მისცეს გრიგოლს, რომ არ მიატოვებდნენ აფხაზეთიდან ჩამოყვანილ ყმაწვილებს—ეფრემსა და არსენს სრულასაკოვნებამდე. პირვანდელ განზრახვას ისინი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებოდნენ, როცა მიბარებული ყმაწვილები დაჭაბუკდებოდნენ, ე. ი. პირველი მცდელობიდან დაახლოებით 10—12 წლის შემდეგ (არსენი ხანძთაში მიყვანის დროისათვის ექვსი წლის იყო[8], ეფრემი ალბათ ცოტა მეტისა), IX ს-ის 30-40-იანი წლების მიჯნაზე. ამჯერად გრიგოლს აღარ დაუშლია მათთვის, პირიქით, ყოველნაირად დაეხმარა დასახული მიზნების შესრულებაში. ისინი ერთად „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა“ და იქ „პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ“[9]. შემდეგ სამივენი დაბრუნდნენ ხანძთაში, საიდანაც თეოდორესა და ქრისტეფორეს უნდა წამოეყვანათ ბერების ნაწილი თავიანთი ახლადდაარსებული მონასტრებისათვის. შორეულ მხარეში ახალი სავანეების დაარსებას კლარჯელი ბერ-მონაზვნობა სიხარულით შეხვდა. თვით გრიგოლი ბოლომდე გაჰყვა მოახალშენეებს და მონაწილეობა მიიღო ეკლესიათა ადგილების კურთხევაში და საფუძვლების ჩაყრაში. უფრო ადრე გიორგი მერჩულეს მოჰყავს გრიგოლის მიერ ხანძთის ძმობის წინაშე წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ნეძვი და კვირიკეწმიდა ქართლში მოიხსენიება[10].

ამრიგად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ ნეძვი და კვირიკეწმიდა დაარსდა ქართლში, სამცხის მოსაზღვრე მხარეში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კვირიკეწმიდის მდებარეობის შესახებ რამდენიმე განსხვავებული აზრია გამოთქმული. ტრადიციულად მას აიგივებენ პუნქტ საკვირიკესთან[11]. ამ სახელწოდების სოფელი დღეს აღარ არსებობს, მაგრამ აღნიშნულია ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისის ხუთვერსიან რუკებზე ის მდებარეობდა სოფელ დვირს ზემოთ ორიოდე კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ნასოფლარის მახლობლად შემონახულია დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები ეკლესიით.

შემდგომ ჯერ პ. ინგოროყვამ[12], მერე კი ს. ჯიქიამ[13] ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ XVI ს-ის თურქულ წერილობით ძეგლში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ახალციხის ლივის აწყურის ნაჰიეს სოფლების სიაში დასახელებულია კვირიკეწმიდაც (რიგით მეშვიდედ) და საკვირიკეც (მეთვრამეტედ)[14]. ამით გამოირიცხა მათი ინდენტიფიკაციის შესაძლებლობა. პ. ინგოროყვამ უეჭველად მიიჩნია, რომ სწორედ დავთარში აღნიშნული კვირიკე-

---

[8] Г. Мерчул... დასახ ნაშრომი, გვ. კბ.

[9] Г. Мерчул... დასახ. ნაშრომი, გვ. ლვ.

[10] Г. Мерчул... დასახ. ნაშრომი გვ. ლვ.

[11] ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (ღღიური, 1947 წელი), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I (ისტორიული გეოგრაფია) თბ. 1964, გვ. 250; ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბ. 1983, გვ. 23—27. იგივე აზრი უნდა ჰქონოდა გატარებული გ. ჩუბინაშვილსაც, იხ. მისი შრომა: ძველი ბაზილიკა ქვაბისხევში, თსუ შრომები, ტ. XXXIV, თბ., 1968, გვ. 396.

[12] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი გვ. 394.

[13] ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III (გამოკვლევა), 1968, გვ. 124

[14] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II (ხელნაწერის ქართული თარგმანი), თბ. 1941 გვ. 9,93. სოფელი კვირიკეწმიდა დავთრის სარჩევში კვირიკედ არის მოხსენიებული.

წმიდა უნდა იყოს ქრისტეფორეს დაარსებული სავანე. „დავთრისა“ და სხვა რამდენიმე საბუთის მეშვეობით მან საკმაო მიახლოებით განსაზღვრა ამ პუნქტის მდებარეობა — საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპეთთან (ახლანდელი კოპაძე)[15].

მალე ამ ვერსიასაც საფუძვლიანი კონტრარგუმენტები გამოუჩნდა. საყუნეთისა და კოპეთის მიდამოებში ნამონასტრალის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა[16]. ეჭვს იწვევდა ნეძვისა და დავთრისეული კვირიკეწმიდის დიდი დაშორებაც (ნეძვსა და საყუნეთის თემს შორის მანძილი 70 კილომეტრს აჭარბებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ, რომ კლარჯეთის თორმეტ სავანეთაგან ყველაზე განაპირანიც კი ურთიერთისაგან არაუმეტეს 20—25 კილომეტრითაა დაცილებული). ამ გარემოებათა გათვალისწინებით რ. მეფისაშვილმა წამოაყენა ახალი ვარაუდი, რომლის მიხედვით ქრისტეფორეს დაარსებული სავანე არის არა ახლანდელი საკვირიკე და არა დავთრისეული კვირიკეწმიდა, არამედ მონასტერი ჩითახევში, ბორჯომს ზემოთ 15-ოდე კილომეტრზე. აქ შემოინახა მოზრდილი სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც სტილისტური ანალიზით აგრეთვე IX საუკუნით თარიღდება[17]. იდენტიფიკაციის ეს ვერსია ემყარება იმ აზრს, რომ თეოდორესა და ქრისტეფორეს მშენებლობის საკითხებისადმი ერთნაირი მიდგომა უნდა ჰქონოდათ, ხოლო რაკი ნეძვს—თეოდორეს გაშენებულ სავანეს ადგილის შერჩევით, ცალკეული ნიშნებითა და ხუროთმოძღვრების საერთო ხასიათით სხვებზე მეტად ჩითახევი უახლოვდება, სწორედ ის უნდა იყოს ქრისტეფორეს მონასტერი, ყოფილი კვირიკეწმიდა[18].

დაეუბრუნდეთ ისევ „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრებას. მის მიხედვით, როგორც ვნახეთ, ნეძვი და კვირიკეწმიდა ადმოცენებულა „ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა... ქართლსა შინა“.

მდებარეობის ამგვარი განსაზღვრა შესაძლოა ძალიან დეტალური არ იყოს, მაგრამ ერთ რამეზე კი აშკარად მიუთითებს — აღნიშნული მონასტრები გაშენდა ერთიმეორის უშუალო სიახლოვეს[19]. ვფიქრობთ, უეჭველია, რომ სასაზღვრო ზონა („ზოგადი არე“) არ შეიძლება ათეულობით კილომეტრებზე

---

[15] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი გვ. 395; ს. ჯიქია, დავთარი, წიგნი III, გვ. 125. ამ კვირიკეწმიდას ერთგან ახსენებს ჟამთააღმწერელიც (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით., თბ., 1959., გვ. 266). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც აქ უნდა ყოფილიყო ქრისტეფორეს მონასტერი.

[16] რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა..., გვ. 233 (სქოლიო 8).

[17] Р. Меписашвили, Основные особенности развития трехцерковных базилик Грузии (Доклад на II международном симпозиуме по грузинскому искусству), Тб., 1977, გვ. 6—7. ჩითახევის არქიტექტურის შესახებ იხ. აგრეთვე: დ. ხოშტარია, ჩითახევის, მონასტრის ეკლესია (IX ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი). „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1983, № 4. გვ. 141—157.

[18] Р. Меписашвили, Основные особенности..., გვ. 6.

[19] ალბათ ამავე აზრს უნდა ამტკიცებდეს ერთი საყურადღებო ფაქტიც, რომელიც არაერთგზის არის ხაზგასმული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. თეოდორესა და ქრისტეფორეს თავიდანვე განსაკუთრებით მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდათ. თხზულებაში ეს ორი პერსონაჟი განუყოფელია. ისინი ორჯერვე ერთად იპარებიან, ყოველთვის შეთანხმებულად მოქმედებენ. მერჩულე ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ ხანძთაში მათ სენაკებიც ეკერდიგვერდ ჰქონდათ, სხვა ძმებისაგან მოშორებით (Г. Мерчул..., გვ. კზ). ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ისინი ეცდებოდნენ საკუთარი მონასტრებიც ახლო-ახლო აეგოთ, რათა მუდმივი კონტაქტის შესაძლებლობა ჰქონოდათ

იყოს გადაჭიმული, მით უმეტეს ისეთ ხეობაში, რომელსაც შუაზე მთავარი სატრანზიტო არტერია — მტკვარი ჩამოუდის.

ქართლ-სამცხის მოსაზღვრე პუნქტი მტკვარზე VIII—X საუკუნეებში არის ტაშისკარი[20], ხოლო მერჩულეს მიერ „ზოგად არედ" განსაზღვრული ქართლის ნაწილი უნდა იყოს მიმდებარე მთიანი მხარე, კერძოდ, ვიწრო ხეობები, რომლებიც სერავს მესხეთისა და თრიალეთის ქედებს ტაშისკარის მიდამოებში და მტკვრისაკენ ეშვება. ამგვარ განსაზღვრულობას სავსებით ეთანხმება ნეძვის მონასტრის მდებარეობაც. ის განლაგებულია სწორედ ერთ-ერთ ასეთ ხეობაში, რომელიც, როგორც ითქვა, დღევანდელ ახალდაბასთან ერთვის მტკვარს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნაკლებად მოსალოდნელია ქრისტეფორესეული სავანის საკვირიკესა და ჩითახევის მონასტრებთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, ვინაიდან ეს ორივე პუნქტი ტაშისკარზე ბევრად მაღლა, ე. ი. უკვე სამცხეშია განლაგებული. და, რა თქმა უნდა, სრულიად არარეალურია საყუნეთის სექტორის კვირიკეწმიდასთან ქრისტეფორეს მონასტრის გაიგივების ვერსია. საყუნეთი მდებარეობს აწყურს ზემოთ, ლამის შიგ შუა სამცხეში და გიორგი მერჩულე ამ მხარეს ქართლს ვერ უწოდებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ქართლ-სამცხის საზღვარი VIII—X საუკუნეებში მუდამ ტაშისკარზე არ გადიოდა, ერთხანს მან თითქოს ბევრად ზემოთ, დეირისკენ გადაინაცვლა, რის შედეგადაც მთელი ხეობა ქართლში მოექცა[21]. თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, იმავე საკვირიკეს ან ჩითახევს შეიძლება, მართლაც, მივუყენოთ ის გეოგრაფიული განსაზღვრება, რომელსაც გიორგი მერჩულე აძლევს კვირიკეწმიდას, მაგრამ მაშინ იგივე განსაზღვრება აღარ მიუდგება ნეძვს — ის აღმოჩნდება არა სასაზღვრო ზონაში, არამედ საზღვრიდან დაახლოებით 45—50 კილომეტრით დაშორებული ქართლის სიღრმისაკენ. ნეძვი კი, როგორც ზუსტად ლოკალიზებული პუნქტი, წარმოადგენს ყველაზე მტკიცე დასაყრდენს ჩვენთვის საინტერესო საკითხის რკვევისას და მისი იგნორირება არაფრით არ შეიძლება. ამიტომ უფრო საფუძვლიანია ვიფიქროთ, რომ გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ქართლ-სამცხის საზღვარი სწორედ ტაშისკარი იყო[22].

ამრიგად, გიორგი მერჩულეს თხზულებაში დაცული ცნობების მიხედვით კვირიკეწმიდა უნდა მდებარეობდეს ახალდაბის სექტორში, ნეძვის მეზობლად.

---

[20] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ. 1980, გვ. 71—72. უმთავრესი წყარო საზღვრის დასადგენად არის: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 9, 24.

[21] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ. 1975, გვ. 276—277.

[22] სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ეს მოსაზრებაა მიღებული (იხ. ზემოთ, სქოლიო 20). VIII-X საუკუნეთა საქართველოს ისტორიულ რუკებზეც ბორჯომის ხეობა ტაშისკარიდან მოყოლებული მთლიანად სამცხის შემადგენლობაში შედის. იხ. მაგალითად: საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 249—250. რუკა „საქართველო IX—X საუკუნეებში" (შემდგენელები მ. ბერძნიშვილი, ნ. შოშიაშვილი, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1970, გვ. 384. რუკა „საქართველო X საუკუნეში".

ახალდაბის მიდამოებში რამდენიმე ნამონასტრალია. მათგან ჩვენს საკითხთან დაკავშირებით ყველაზე საყურადღებოდ გვეჩვენება ფოთოლეთის მონასტერი, რომელიც მდებარეობს ახალდაბის სამხრეთ-დასავლეთით ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით. აქ შემოინახა დიდი ნახევრადდანგრეული ეკლესია და რამდენიმე სხვა სამონასტრო ნაგებობის უმნიშვნელო ნაშთები. სამეცნიერო ლიტერატურაში ფოთოლეთი ძირითადად ცნობილია X საუკუნით დათარიღებული შესანიშნავი კანკელის წყალობით, რომლის ფრაგმენტებიც ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული[23].

მონასტერი განლაგებულია ოდნავ დამრეც ფერდობზე ხეებს შორის. მისი ძირითადი ნაგებობა — ეკლესია ნაშენია სასიამოვნო მოვარდისფრო — მოყავისფრო ტონის უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით, რომლებიც მხოლოდ პირითი მხრიდანაა მოსწორებული. შედარებით წესიერად გათლილი დიდრონი ქვები ნახმარია პილასტრებისა და ღიობთა წირთხლებისათვის. რიგების ჰორიზონტალობა მხოლოდ ალაგ — ალაგ არის დაცული.

შენობა სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპისაა[24]. შუა ძირითადად სივრცეს სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ერტყმის ერთიანი სამმხრივი გარშემოსავლელი, რომელსაც მხოლოდ ჩრდილოეთის ფრთის აღმოსავლეთ ბოლოში გამოეყოფა მოგრძო აფსიდიანი ცალკე სათავსი — სამკვეთლო[25]. ეკლესიის შუა ნაწილს გარშემოსავლელთან ორი კარი აკავშირებს — სამხრეთისა და დასავლეთისა. მათ პირდაპირ არის გაჭრილი თვით ეკლესიის შესასვლელებიც, რომელთაგან მთავარია დასავლეთისა (ახლა სამხრეთის კარი ამოქოლილია). სამკვეთლო თითო კარითაა დაკავშირებული ცენტრალურ ნაწილთან და გარშემოსავლელთან.

გარშემოსავლელის დასავლეთ ნაწილი შუა „ნავის" გაგრძელებაზე ორი თაღითაა გამოყოფილი. ეს თაღები წარმოადგენდა გარშემოსავლელის განივი და გრძივი მონაკვეთების კამარათა საზღვრებს. მათი საშუალებით დასავლეთ ნაწილი, რომელშიც ხვდება თავდაპირველად ეკლესიაში შემსვლელი, ერთგვარად გამოცალკეევებულია, როგორც თავისებური „ნართექსი". აქედან შე-

---

[23] Р. Шмерлинг. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962. გვ. 53—54. 90—91. таб. 22, 23. ეს ფრაგმენტები მოპოვებული იქნა 1939 წელს სიძველეთა დაცვის კომიტეტის მიერ ეკლესიის შენობაში ჩატარებული გათხრების შედეგად. გათხრებს ხელმძღვანელობდნენ რ. მეფისაშვილი და ზ. მაისურაძე. იმავე წელს აიზომა ნაგებობა. მოტანილი ნახაზები შესრულებულია რ. მეფისაშვილის მიერ.

[24] ტერმინ „სამეკლესიიან ბაზილიკას" აქ გარკვეულად პირობითად ვხმარობთ, არა იმდენად ფუნქციური, რამდენადაც სივრცობრივ მოცულობითი სპეციფიკის აღსანიშნავად. ბოლო ხანებში მსგავს ნაგებობებს ზოგჯერ „გარშემოსავლელიან დარბაზულ ეკლესიებსაც" უწოდებენ (იხ. მაგალითად: Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии—Шида Картли, Тб. 1975, გვ. 30, 44; М. Асратян. Раннесредневековые зальные церкви с обходом Грузии и Армении, Доклад на IV-м международном симпозиуме по грузинскому исскуству, Тб., 1983, გვ. 4—7. ამავე ტერმინთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Н. Чубинашвили, Шашанис Самеба. Доклад на IV-м международном симпозиуме по грузинскому искусству, Тб. 1983, გვ 1—9). თუმცა ნაწილობრივიზოლირებული „ნართექსის" არსებობა ფოთოლეთში გვათფიქრებინებს, რომ შესაძლოა გარშემოსასვლელის სამხრეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ ნაწილის დასავლეთ მონაკვეთს ერთგვარად დამოუკიდებელი ღვთისმსახურებრივი დანიშნულება ჰქონოდა, ე. ი. აქ, მართლაც, სამი „ეკლესია" ყოფილიყო.

[25] ახლა სამხრეთის ფრთაც ორადაა გატეხილი, მაგრამ ეს აშკარად მოგვიანო გადაკეთების შედეგი ჩანს.

იძლება უკვე გასვლა როგორც ცენტრალურ ნაწილში, ისე გარშემოსასვლელის გვერდითა ფრთებში.

ძირითადი სივრცე, რომელიც აღმოსავლეთიდან ღრმა საკურთხევლის აფსიდით ბოლოვდება, პილასტრების წყვილით ორ თანაბარ მონაკვეთად იყოფა. პილასტრები სადა მოყვანილობისაა, ცალსაფეხურიანია და საკმაოდ ძლიერად არის შვერილი[26] მათ ეყრდნობა საბჯენი თაღები (ის ახლა მთლიანად ჩანგრეულია, ისევე, როგორც დასავლეთის კედელთან შერწყმული კიდევ ერთი საბჯენი და სატრიუმფო თასები და, საერთოდ, მთელი კამარა) და გრძივი კედლების თაღები — ორ-ორი თითო კედელზე. ამჟამად კედლის თაღების კვალი არ ჩანს (კედლების ზედა ნაწილებიც მორღვეულია), მაგრამ ისინი უეჭველად უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს პილასტრების ძლიერი შვერილობაც და მათი ამოყვანის თავისებური ტექნიკაც.

შუა „ნავში" კარგად შემოინახა მხოლოდ ერთი სარკმელი — აფსიდისა. მეორის კვალი ჩანს დასავლეთის კედელში, კარსზემოთ. ამათ გარდა, ერთი სარკმელი უნდა ყოფილიყო სამხრეთის კედელშიც, პილასტრის მარჯვნივ (აქ გამოირჩევა მხოლოდ ქვედა წირთხლის კონტური). სამკვეთლოსა და გარშემოსავლელში შემორჩა თითო მცირე სარკმელი აფსიდებში.

ეკლესია თითქმის სრულიად შეუმკობელია, ყველა არქიტექტურული ფორმა უაღრესი ლაკონურობითა და სისადავით ხასიათდება. ფასადებზე ერთადერთი დეკორაციული ელემენტი უნდა ყოფილიყო საკურთხევლის აფსიდის სარკმლის მარტივი ორქანობიანი თავსართი აღმოსავლეთ ფასადზე, რომელსაც უთითებს რ. შმერლინგი ზემონახსენებ სტატიაში უბისის ეკლესიის შესახებ — ის მოჰყავს უბისის სარკმლის ანალოგიური სამკაულის პარალელად (დღესდღეობით ამ თავსართის კვალიც არ ჩანს, ხოლო ქვა, რომელზედაც ის იქნებოდა ნაკვეთი, თითქოს ატკეჩილია. ეტყობა დაზიანება ბოლო ხანებში მოხდა)[27]. დეკორაციულ ელემენტთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე რელიეფიანი კრამიტები, რომელთა ნიმუშებიც მოპოვებული იქნა 1939 წლის გათხრების შედეგად[28].

მთლიანად ნაგებობის მხატვრული სახის შექმნაში ძირითად როლს ასრულებს უხეშად დამუშავებული ქვის წყობა, რომელსაც თავისებურ გამომ-

---

[26] ახლა საპირე წყობის ჩამოშლის გამო ისინი საკმაოდ შებრტყელებულია და შვერილობა ნაკლებად თვალშისაცემია.

[27] Р. Шмерлинг, К вопросу... გვ. 127. აქ ფოთოლეთის ეკლესია მოხსენიებულია, როგორც IX—X საუკუნეთადროინდელი ნაგებობა.

[28] მოგვყავს ამონაწერი რ. მეფისაშვილის საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც წაკითხული იყო ფოთოლეთის ეკლესიის გათხრის შემდეგ „მეტეხის" მუზეუმში: „ეკლესიის გათხრის დროს მიწაში აღმოჩნდა სამნაირი კრამიტი: ბრტყელი, ოთხკუთხედის ფორმის ამოწეული გვერდებით, შემდეგ მრგვალი და ბოლოს მრგვალი კრამიტი წვეტიანი ბოლოთი, უფრო მცირე ზომისა, ვიდრე წინა.

თუ როგორ იყო პირველი ორი ტიპის კრამიტები დალაგებული, აშკარა ხდება ჩრდილოეთის ეკლესიის თავზე შერჩენილი სახურავის ნაწილიდან (ახლა მთლიანად ჩანგრეულია,—დ. ხ.): ბრტყელი კრამიტი მწკრივად არის დალაგებული, ამოწეული გვერდები ერთი-მეორეს ედება, ხოლო მრგვალი გადაფარებულია მათი შეერთების ადგილას და ვერტიკალურ რიგებში ერთმანეთზე გადადის.

წვეტიანი კრამიტი კარნიზის მიყოლებით უნდა ყოფილიყო დალაგებული. ამ ტიპის კრამიტი მოინახა რამდენიმე, ყველა ერთნაირია, ბოლოები სამკუთხედის ფორმისა აქვს, სამკუთხედის შუაგული ოდნავ ჩაღრმავებულია და ზედ რელიეფურად ერთმანეთთან პირით მდგომი ირმებია გამოსახული. კრამიტი ყალიბით არის გაკეთებული თუკი ასეთი კრამიტი კარნიზს მიჰყვებოდა, უეჭველია, ის გარკვეულ დეკორატიულ მორთულობას წარმოადგენდა და ტაძრის საერთო ხუროთმოძღვრებასთან ერთად იყო მოფიქრებული" (საანგარიშო მოხსენების ხელნაწერი, გვ. 7—8).

სახველობას ანიჭებს საშენი მასალის ცოტა უჩვეულო მოვარდისფრო ტონი. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია შუა „ნავის“ დასავლეთი კარი. ეს დიდი სწორკუთხა ღიობი გამოყვანილია სუფთა წირთხლებითა და ზღუდარის უზარმაზარი ქვით, ხოლო შიგნიდან დაგვირგვინებული არის თანაბარი ზომის მომცრო ქვებით ნაგები რიგიანი თაღით. ყველა ქვა მუქი მოყავისფრო-ვარდისფერია და თითქოსდა „დაღარულია“ — ქვის ეს ჯიში შედგება თხელი შრეებისაგან, რომლებიც გაშლილ ზედაპირზე ზუსტი პარალელური ხაზების ლამაზ ნახატს ჰქმნიან.

ფოთოლეთის ეკლესიის აგების ხანის დასადგენად გასათვალისწინებელია მისი ხუროთმოძღვრების რამდენიმე თავისებურება. გარშემოსავლელის დასავლეთ ნაწილის გამოყოფა თაღების მეშვეობით (მთლიანად ან მხოლოდ შუა „ნავის“ გაგრძელებაზე) გვხვდება ბორჯომის ხეობის ეკლესიებში, რომლებიც IX ს-ის შუახანებითა და II ნახევრით თარიღდება — ნეძვში, ჩითახევში (აქ ორმალიანი თაღედია)[29], ასევე უნდა ყოფილიყო ლიკანშიც გადაკეთებამდე. გარდამავალი ხანის (VIII—IX საუკუნეები და X საუკუნის I ნახევარი) მრავალი სამეკლესიიანი ბაზილიკისთვის არის დამახასიათებელი სადიაკვნეს არარსებობა (სამკვეთლო თითქმის ყოველთვის ეწყობა) — ამის მაგალითები საკმაოდ მოიძებნება ბორჯომის ხეობაში, კახეთში[30]. IX ს-ისა და X ს-ის I ნახევრისთვისაა ნიშანდობლივი უგუმბათო სივრცის გაფორმება მძლავრი პილასტრებისა და კედლის თაღების მეშვეობით. მსგავსი გადაწყვეტის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ იგივე ნეძვი, ჩითახევი, ლიკაწი, სხვა რეგიონებიდან — ერედვის წმ. გიორგი (906 წელი)[31], ბერის საყდარი (X ს-ის შუახანები)[32], ქვემო ყარაბულახი (IX საუკუნე)[33]. გარდამავალ ხანაზევე მიუთითებს შერეული მასალის ხმარება (თლილი ქვისა—პილასტრებისა და წირთხლებისათვის, უხეშად ნატეხისა — შენობის ყველა დანარჩენი ნაწილისათვის), ნაგებობის შეუმკობლობა, საერთო ლაკონურობა და სისადავე. ეს თვისებები ახასიათებს ბორჯომის ხეობის IX—X საუკუნეთა ყველა სამონასტრო ეკლესიას. რაც შეეხება სარკმლის დაკარგულ ორქანობა თავსართს, მის პარალელებს თავად რ. შმერლინგი ასახელებს[34]. ესენია უბისი (IX საუკუნის 20-იანი წლები) — რომელსაც ეძღვნება წერილი, ქსნის არმაზი (864 წელი)[35], ჟალეთი (IX—X სა-

---

29 დ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

30 Г. Чубинашвили., Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 188—190, 193—195.

31 რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ზძეგლი, Ars Georgica, 4; თბ., 1955, გვ. 101—138.

32 რ. მეფისაშვილი. ბერის საყდარი, Ars Georgica 7, თბ. 1971, გვ. 91—111.

33 რ. რჩეულიშვილი. მოხსენება წაკითხული საქ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა XIII სამეცნიერო სესიაზე (მითითებული აქვს რ. მეფისაშვილს, იხ. Ars Georgica, 4, თბ. გვ. 123).

34 Р. Шмерлинг, К вопросу ..., გვ. 172.

35 Г. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье, Ars Georgica, I, Тб. 1942, გვ. 3—11.

უკუნეთა მიჯნა)[36]. ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით ფოთოლეთი თარიღდება გარდამავალი ხანით, უფრო კი მისი მოგვიანო ეტაპით — IX საუკუნე —X საუკუნის I ნახევარი[37]. ამ თარიღს კიდევ უფრო ამტკიცებს და აზუსტებს ფოთოლეთის ეკლესიის განსაკუთრებული მსგავსება ნეძვთან. ეს მსგავსება საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. მეფისაშვილი, თეოდორესა და ქრისტეფორეს მშენებლობის საკითხებისადმი ერთნაირი მიდგომა უნდა ჰქონოდათ და მათი მონასტრების ეკლესიებს შორის ბევრი რამ იქნებოდა საერთო[38]. სიახლოვე ნეძვსა და ფოთოლეთს შორის მეღავნდება არა მხოლოდ ერთი და იმავე კომპოზიციის გამოყენებაში (ოღონდ ნეძვისა, ბუნებრივია, უფრო გართულებულია — ზომების შესაბამისად[39]), არამედ პროპორციებშიც, ძირითადი შესასვლელების ერთნაირ განლაგებაში და მთელ რიგ ცალკეულ დეტალებშიც.

ამრიგად, ფოთოლეთის ეკლესია, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ზუსტად უდგება კვირიკეწმიდის მდებარეობის მერჩულესეული განსაზღვრა, არქიტექტურითაც შეეფერება ქრისტეფორეს სავანის დაარსების ხანას და თანაც ძლიერ წააგავს ნეძვის ტაძარს. ამ მომენტების დამთხვევა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს გავაიგივოთ ვირიკეწმიდის მონასტერი დღევანდელ ფოთოლეთთან. რა თქმა უნდა, იდენტიფიკაციის ეს ვერსია უეჭველი არ არის და ზოგიერთ პირობითობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ცოდნის დონეზე, ყველა არსებული მონაცემის გათვალისწინებით ის ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს.

ზემოთ შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა ნეძვისა და კვირიკეწმიდის დაარსების ისტორია და გაგვერკვია ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. სამწუხაროდ, არც „გრიგოლ ხანმთელის ცხოვრება“ და არც სხვა ქართული წერილობითი წყაროები თითქმის არ იძლევა საშუალებას, რომ ზოგადად მაინც გავადევნოთ თვალი ამ მონასტრების შემდგომ ისტორიას. სავანეთა დაარსების ამბის მოთხრობის შემდეგ გიორგი მერჩულე შენიშნავს: „ესე მცირედი ვახსენე სამთა მათ წმიდათა,, თეოდორესი, და ქრისტეფორესი, და საბა იშხნელისა ცხოვრებაჲ ამით, რამეთუ ფრიად განაგრძობაჲ იქმნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერითა ჰეშმარიტადო“ (საბა იშხნელის ამბავი უშუალოდ წინ უძღვრის თეოდორეს და ქრისტეფორესას)[40]. ცალკეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ისევ თვით არქიტექტურა გვაძლევს. ასე

---

[36] ნ. ქადეიშვილი, ჟალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ.. 1964, სარკმლის თავსართის შესახებ, იხ. გვ. 48, ტაბ. 20.

[37] ასევე აქვთ დათარიღებული გაკერით ფოთოლეთი რ. შმერლინგს (იხ. ზემოთ, სქოლიო 27) და რ. მეფისაშვილს (იხ. მისი, Основные особенности, გვ. 7).

[38] Р. Меписашвили, Основные особенности... გვ. 6—7. თვით ავტორი, როგორც ითქვა, ამ დებულებიდან გამომდინარე ყველაზე რეალურად მიიჩნევს კვირიკეწმიდის ჩითახეთთან გაიგივების შესაძლებლობას.

[39] საერთოდ, ლაპარაკი ნეძვის და ფოთოლეთის მსგავსებაზე, ანალოგიურ მხატვრულ გადაწყვეტაზე გარკვეულად პირობითია, ვინაიდან ფოთოლეთი (და საერთოდ, ბორჯომის ხეობის IX—X საუკუნეთა ყველა ეკლესია) გაცილებით პატარაა ნეძვზე. თავისი ზომებით ნეძვი ბევრად სჭარბობს არა მხოლოდ ამ „მეზობელ“ ნაგებობებს, არამედ ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებსაც, როგორიცაა ოპიზა, არტანუჯი, ხეითი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, კუმურდო და დაახლოებით უტოლდება VIII-X საუკუნეთა უდიდეს ქართულ ტაძრებს—სამშვილდის სიონს, ბიჭვინთას, ოთხთა ეკლესიას.

[40] Г. Мерчул... დასახ. ნაშრომი, გვ. ღზ.

მაგალითად, აშკარაა, რომ ხანძთიდან წამოსული ბერების უდიდესი ნაწილი თეოდორეს გაჰყოლია ნეძვში (ეს ფაქტი უეჭველია, მიუხედავად იმისა, მივიღებთ თუ არა ფოთოლეთ-კვირიკეწმინდის იგივეობის ვერსიას, ვინაიდან ნეძვი, როგორც ითქვა, გაცილებით აღემატება ზომით ბორჯომის ხეობის ყველა სამონასტრო ეკლესიას). ნეძვის მონასტრისათვის თავიდანვე გარკვეული უპირატესობის მინიჭებაზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ აქ წამოვიდა თეოდორესა და ქრისტეფორეს საერთო საყვარელი მოწაფე ეფრემი[41]. მომდევნო ხანებშიც, როგორც ჩანს, ნეძვი უფრო მსხვილი და დაწინაურებული მონასტერია. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში" ის იხსენიება, როგორც „დიდებული ლავრა" (შატბერდის გვერდით!)[42]. კვირიკეწმინდის შესახებ არც ერთი ამგვარი ცნობა არ გაგვაჩნია, მაგრამ თუ ზემოთგადმოცემულ ვერსიას სარწმუნოდ მივიჩნევთ, ფოთოლეთის ეკლესიის რამდენიმე გვიანი დანამატი საშუალებას მოგვცემს მონასტრის შემდგომი ისტორიის ზოგიერთი მომენტი წარმოვიდგინოთ. X ს-ის II ნახევარში ეკლესიაში მოუწყვიათ კანკელი, რომელიც მდიდრული ორნამენტაციით, „რაფინირებული დახვეწილობითა"[43] და საერთო დეკორაციული ხასიათით მკვეთრად განსხვავდება ეკლესიის შენობის მკაცრი ფორმებისაგან. ფოთოლეთის კანკელი თავისი ეპოქის ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშია და მის აღმართვა, ვფიქრობთ, იმის დადასტურება უნდა იყოს, რომ X საუკუნეში მონასტერი აღმავალ გზაზეა და მატერიალურად ძლიერია.

უფრო გვიანი ხანის ცვლილებათაგან აღსანიშნავია შენობის სამხრეთ შესასვლელის ამოქოლვა და გარშემოსავლელის სამხრეთ ფრთის გადატიხრვა, რის შედეგადაც ამ მხარის აღმოსავლეთ ბოლოში გამოიყო მხოლოდ ეკლესიის შუა ნაწილთან დაკავშირებული ცალკე სათავსი. ეს რემონტი, რომელიც XV—XVI საუკუნეებისდროინდელი ჩანს, ალბათ გამოწვეული იყო ახალი ფუნქციური მოთხოვნებით, კერძოდ, სადიაკვნეს საჭიროებით უშუალოდ ეკლესიის შენობაში. სამუშაოთა შესრულების ხარისხი ნათლად მეტყველებს სამშენებლო ხელოვნების დონის დაქვეითებაზე, რაც საერთო მოვლენაა ამ ეპოქის მთელი ბორჯომის ხეობის ხუროთმოძღვრებისათვის[44]. ის აშკარაა ნეძვის ტაძრის ამავე ხანებში ჩატარებულ რეკონსტრუქციაშიც, რომელიც საგულისხმოა იმ მხრივ, რომ გვიჩვენებს არა მხოლოდ არქიტექტურული შემოქმედების დაცემას, არამედ საერთო კრიზისსაც — ეკლესიას შემცირებულად აღადგენენ, ვინაიდან მისი მთლიანად აღდგენისათვის არც საჭირო სახსრები არსებობს და აღარც მოთხოვნილება[45]

XVI ს-ის დასასრულისათვის, მეტად მძიმე ისტორიულ ვითარებაში ბორჯომის ხეობის სავანეები და მათ შორის ფოთოლეთიც თანდათან დაიცალა და

---

[41] Г. Мерчул, ... დასახ. ნაშრომი, გვ. ლვ. ეფრემი ნეძვში ცოტა ხანს დარჩენილა— 845 წლის ახლო ხანებში ის აწყურის ეპისკოპოსი გახდა.

[42] ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 93.

[43] Р. Шмерлинг., Малые формы..., გვ. 53.

[44] დაბალი მხატვრული და ტექნიკური დონე ჩანს თვით იმ ნაგებობებშიც, რომლებსაც ხეობის მაშინდელი მფლობელები — ავალიშვილები აშენებენ, კერძოდ, ლიკანის სამრეკლოში (იხ. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 216—218).

[45] რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა..., გვ. 235.

გაუკაცრიელდა[46]. ალბათ ამ დროს დაიკარგა მონასტრის ძველი სახელწოდებაც (ფოთოლეთს მონასტერს ეძახდნენ იმ ტყის სახელის მიხედვით, რომელიც გარს არტყია).

ასე გვესახება ზოგად ხაზებში ისტორია ფოთოლეთის მონასტრისა, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავისი მდებარეობითა და არქიტექტურული იერით საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ გრიგოლ ხაძთელის მოწაფის ქრისტეფორეს მიერ IX საუკუნის 40-იან წლებში დაარსებულ კვირიკეწმიდის სავანედ.

---

46 საერთოდ, ბორჯომის ხეობისათვის, სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა XV—XVI საუკუნეთა მძიმე პერიპეტიები (დაწვრილებით ამის მიზეზის შესახებ იხ. Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятникак христианства, Тифлис, 1895, стр. 110). 1595 წლის ახლო ხანებში, როცა დგება „გურჯანისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", აქ მხოლოდ 8 დაუცლელი სოფელია დარჩენილი სულ 37 (!) კომლით, ე. ი. მთელი ხეობის მოსახლეობა 100—150 კაცს არ აჭარბებს (დავთარი, წიგნი III, გვ. 469—470). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ხეობის მონასტერთაგან არც ერთს არ ატყვია XVII—XVIII საუკუნეთადროინდელი აღდგენის ან შეკეთების კვალი, ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ჭობისხევი და დვირი) განაახლეს მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევარში.

Д. Э. ХОШТАРИЯ

К ВОПРОСУ О МЕСТОНАХОЖДЕНИИ КВИРИКЕЦМИДА

Резюме

Из агиографического памятника X века «Житие св. Григория Хандзтийского» известно, что ученики св. Григория Теодор и Христофор в 40-х годах IX века в районе границы Картли и Самцхе основали два монастыря: Недзви и Квирикецмида. Вопрос локализации последнего до сих пор остается спорным в научной литературе.

Исходя из сведений «Жития», представляется целесообразным искать монастырь Квирикецмида в окрестностях Ташискари — пограничного пункта Картли и Самцхе, в непосредственной близости от Недзви. По архитектурным данным его можно идентифицировать с монастырем в Потолети, близ Ахалдаба, церковь которого на основе стилистического анализа датируется IX веком.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ბერიძემ

მედეა ჭანთარია

მიწათმოქმედების ტრადიციული წესები და საშუალებანი ჩაჩნეთ-ინგუშეთში

ეთნოგრაფიის წინაშე წამოყენებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი წამყვანია კავკასიის მთიანეთის მეურნეობის ფორმათა თავისებურების განსაზღვრა. მიწათმოქმედების საკითხების კომპლექსური შესწავლა, მისი განვითარების დონის, მასშტაბებისა და მიმართულების ტენდენციების დადგენა, აღნიშნული პრობლემის შემადგენელი ნაწილია. იგი კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ზოგადი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. მიწათმოქმედების მატერიალური კულტურის ელემენტების ტიპოლოგიზაციისათვის საკმაო მასალა არსებობს კავკასიაში. ტიპოლოგიზაცია კი კარტოტოგრაფირების საფუძველია და აღიარებულია თანამედროვე კვლევის რაციონალურ მეთოდად. მნიშვნელოვანია კომპლექსში შემავალი კომპონენტების იზოპრაგმების დადგენა. მასალა ნათლად წარმოაჩენს, რომ გავრცელების არეალი მუდამ არ ემთხვევა ანალოგიური ელემენტების სინქრონულ იზოპრაგმებს და არც ეთნიკურ საზღვრებში თავსდება ყოველთვის. ამ შემთხვევაში თვისებებს „ნაციონალური", „ეთნიკური" მცირედი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასში ნაკლებად მჟღავნდება მოცემული ხალხისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. მატერიალური კულტურის ელემენტების ოპტიმალური რაიონირება ამიტომ უფრო ფართოა. ამ მხრივ საინტერესო მონაცემებს შეიცავს ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთის აგრარული ეთნოგრაფია მისთვის დამახასიათებელი მეურნეობის თავისებურებით. კავკასიის რთული კომპონენტური სტრუქტურის სამეურნეო-კულტურულ ტიპში იგი ერთ-ერთი გარდამავალი ფორმაა. ძირითად ტიპს მიწათმოქმედებაში, მეურნეობის სხვა დარგების მსგავსად, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ ვითარებაში განსაზღვრავს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს შეფარდება საწარმოო გამოცდილებასა და შრომითი ჩვევების თავისებურებასთან. მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სამეურნეო-საწარმოო და სოციალურ-კულტურული ორიენტაციის განსაზღვრას. ეს არის შესაწავლი პრობლემის ეკოლოგიური ასპექტი, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი პირობების რთული კომპლექსისა და ადამიანთა საწარმოო საქმიანობის ერთობლიობას. აქვე დგება მატერიალური კულტურის ელემენტებზე ეთნიკური ტრადიციების ზემოქმედების საკითხი.

ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება საბჭოთა ეთნოგრაფიაში ეთნიკური ტრადიციების რაობის, მისი გამძლეობისა და სიმტკიცის პრობლემისადმი. აღნიშნული საკითხები თავსდება ეთნიკური პროცესების მთლიან ჩარჩოში და გულისხმობს ესა თუ ის მოვლენა ან ელემენტი კულტურისა რამდენად დამახასიათებელია ხალხთა კულტურისა და ყო-

ფის ცალკეული შემთხვევებისათვის, ატარებს თუ არა იგი თავის თავში მოცემული ეთნიკური ერთობის სპეციფიკურ თვისებებს და თუ ატარებს, რაში ვლინდება იგი[1].

ეთნიკური ტრადიციების პრობლემა მთელი სიმძაფრით ისმის დღეს. მსჯელობის საგანია მატერიალური კულტურის ეთნიკური ასპექტების საკითხი, რომელსაც თანაბარი მნიშვნელობა აქვს როგორც ეთნოგრაფიული, ასევე არქეოლოგიური კვლევისათვის.

ერთი მხრივ, თუ აღიარებულია, რომ მატერიალური კულტურა კარგად ინახავს ეთნიკურ ტრადიციებს[2], რომელიც თვალნათლივ აისახება საცხოვრებელ ნაგებობათა ფორმებში, ტანსაცმელში და სხვ., მეორე მხრივ, თვლიან, რომ ეთნიკურ ნიშანს ნივთი იძენს ან კარგავს გარკვეულ სოციალ-ეკონომიკურ პირობებში[3]. საკითხი ასეც ისმის, რა გავლენას ახდენენ ეთნიკური ტრადიციები, საერთოდ როგორც მეურნეობის განვითარების მიმართულებაზე, ასევე შრომის იარაღების გარკვეული ტიპის ჩამოყალიბებასა და მისი მოქმედების არეალის განსაზღვრაზე. მიჩნეულია, რომ მეურნეობისა და სამიწათმოქმედო იარაღების ფორმებზე ეთნიკური ტრადიციები თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენენ. კულტურის სხვა მონაპოვრის მსგავსად, შრომის იარაღები განისაზღვრებიან უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ-ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობებით. მხოლოდ ამის შემდეგ შედარებით უმნიშვნელო ხარისხში შეიძლება ჩაითვალოს იარაღი რომელიმე ეთნიკური ერთობისათვის დამახასიათებელი კულტურისა და ყოფის მონაპოვრად[4]. ზოგი დაუშვებლად მიიჩნევს ეთნიკური ტრადიციებისაგან კულტურის მონაპოვრის გამოყოფას. თვლიან, რომ სხვადასხვა ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის თავისებურებანი გარკვეულ ისტორიულ პირობებში დეტერმინირდება, უპირველეს ყოვლისა, სოციალ-ეკონომიკური პირობებითა და ბუნებრივი გარემოთი. ეს თავისებურებანი შემდეგ მტკიცდება ტრადიციის მეშვეობით და ხანგრძლივი დროის მანძილზე ცალკეული ხალხებისათვის ხდება დამახასიათებელი. ფორმულირების პირველი ნაწილი მისაღებად მიგვაჩნია, რაც შეეხება ეთნიკურ ტრადიციებს იგი რთული ფენომენია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებური ფორმით ვლინდება. არსებობს მოსაზრება, რომ სახალხო მეურნეობის მიმართულებაში გარკვეულად შეიმჩნევა ეთნიკური ტრადიციის სიმტკიცე, ხოლო რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, აშკარაა მისი დამოკიდებულება წარმოების ეფექტურობაზე. ამ შემთხვევაში ეთნიკური ტრადიციები კარგავენ ყოველგვარ ძალას. ჯერ ერთი, სახალხო მეურნეობის ტრადიციული ფორმები ყალიბდება ისევ და ისევ სოციალ-ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების ზეგავლენით. სუბტროპიკული კულტურა ვერ გახდება ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტრადიციულ დარგად.

---

[1] Л. В. Маркова, О проявления этнической специфики в материальной культуре болгар, СЭ, 1974, № 1, გვ. 4.

[2] Ю. В. Бромлей, К характеристике понятия «этнос», Расы и народы, 1971, I, გვ. 21.

[3] А. В. Чеснов, Социально-экономические уклады и этнографические традиции в агроэтнографии, СЭ, 1972, № 4, გვ. 71—72.

[4] А. М. Сабурова, О статье «Некоторые вопросы аргоэтнографических исследований», СЭ, 1967, № 6. გვ. 8. Н. Н. Чебоксаров, Я. В. Чеснов, Некоторые проблемы агроэтнографии Юго-Восточной Азии, СЭ, 1967, № 3, გვ. 67

მეორეც, მეურნეობის ფორმებისა და საწარმოო საშუალებების გათიშვა არ მიგვაჩნია სწორად, რადგან იგივე წარმოების ეფექტურობა თანაბრად მოქმედებს როგორც მეურნეობის მიმართულებაზე, ასევე საწარმოო საშუალებებზე.

ამგვარად, დასმულ საკითხს მრავალი ასპექტი აქვს და სადავოა. ამ რთული თეორიული საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მკაცრად დადგენილი კონკრეტული მასალის ანალიზის შუქზე. და არა მარტო ერთი ეთნიკური ერთობის, არამედ გლობალური დასკვნებისათვის, რომელიც ზოგადთეორიულ ხარისხში ავა, აუცილებელია სამეურნეო-კულტურული დიდი მასივების შედარებითი ანალიზი. კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროდ მიგვაჩნია ჩრდილოკავკასიის მთელი ვითარების გათვალისწინება სოციალ-ეკონომიკური პირობებისა და ეკოლოგიის ჩათვლით. ამ მონაცემების უგულებელყოფა არ შეიძლება ტრადიციული მატერიალური კულტურის შესწავლისას. ეს განსაკუთრებით ეხება, ალბათ, მეურნეობისა და შრომის იარაღების საკითხს.

ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში ხმარებული მიწის დასამუშავებელი იარაღების კონსტრუქციულ აღწერილობასთან ერთად, შევეცადეთ წარმოგვედგინა ამ ტიპის სახვნელების გავრცელების არეალი კავკასიის მასშტაბით, და ჩამოგვეყალიბებინა ის ზოგადი ნიშნები, რამაც განაპირობა აღნიშნული იარაღების გავრცელება და ესოდენ დიდხანს შემონახულობა განსაზღვრულ რეგიონში. ყოველივე ეს კი, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით ვუპასუხოთ კითხვას, რამდენად მოქმედებს ეთნიკური ტრადიცია და ეთნიკური თავისებურება შრომის იარაღებისა და მეურნეობის ფორმების ჩამოყალიბება-გავრცელებაზე.

ბუნებრივ-სამეურნეო პირობები აყალიბებენ საწარმოო სპეციფიკასა და სამეურნეო დარგების კონკრეტულ ფორმებს პრაქტიკული გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების საფუძველზე. ამ დებულებიდან გამომდინარე ინგუშეთის მეურნეობა (აქაც და შემდგომაც ვგულისხმობთ აღნიშნული რეგიონების მთის ხეობებს — **ბ. ქ.**) მთურ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ. ~~ცნობილია, რომ აკად. გ. ჩიტაიამ გამოყო კავკასიაში მეურნეობის სამი ფორმა: მთური,~~ ბარული, და მთისძირა. მთური და ბარული დამოუკიდებელი ფორმებია. თითოეული მათგანი ~~ცალკე ტიპს~~ ქმნის თავისი ვარიაციული ~~ქვესახეობებითა და გარდამავალი~~ ფორმებით. ამ შემთხვევაში მთავარია განისაზღვროს შესაბამისი კოორდინატთა სისტემა და მოიძებნოს ის წრფე, საიდანაც უნდა მოხდეს ტიპის განმსაზღვრელი ნიშნების ათვლა. თუ ათვლის წრფედ მივიჩნევთ ძირითად, საწყის მომენტს, არსებობის საფუძველს, არსებობის დამახასიათებელ ძირითად მომენტს, მის თვისებას და არა ვარიაციულ გადახვევებს ან ყველაზე უფრო გავრცელებულ, ხშირ შემთხვევებს[5], მაშინ ტიპად უნდა ჩავთვალოთ მთური და ბარული მეურნეობა, ~~მთისძირა კი გარდამავალი საფეხურია ბარულიდან მთურში, რომელიც თანაბრად ხასიათდება როგორც ერთი,~~ ასევე მეორე ნიშნებითა და ამდენად, ~~დამოუკიდებელ ტიპად გამოყოფის შესაძლებლობას~~ არ იძლევა ~~ეს~~ ეხება როგორც ~~მიწათმოქმედებას, ასევე~~ მესაქონლეობას. შეიძლება გაიშალოს მსჯელობა მესაქონლეობა-მიწათმოქმედების-დარ-

[5] Я. В. Чеснов, О принципах тинологии традиционно-бытовой культуры, Проблемы типологии в этнографии, М., 1979, зз. 189.

გობრივ სინთეზზე (თუნდაც ყაბარდოს მაგალითზე[6]), მაგრამ ეს სპეციფიკა ისევ აღნიშნულ ორ ძირითად ტიპში (მთური და ბარული) ვარირებს.

მთური მიწათმოქმედება როგორც წესი, წარმოდგენილია მემინდვრეობის სახით. მის კოპონენტურ სტრუქტურაზე ადრეც გვქონია მსჯელობა[7]. აქ მხოლოდ გვინდა წინ წამოვწიოთ ემპირიული ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა და ტრადიციის როლი. ზოგი ავტორის აზრით, ცოდნის ემპირიული ხასიათისა და შრომის იარაღების პრიმიტიულობის გამო, თვით პროცესი წარმოებისა შესაძლებელი იყო მხოლოდ ტრადიციის გზით ცოდნა-გამოცდილების მეშვეობით[8]. უფრო მეტიც, მეურნეობის გონივრულად წარმართვა ემპირიზმის დონეზე ტრადიციული წესების გარეშე, მართლაც, ძნელი წარმოსადგენია. მეურნეობის განვითარებაშიც ტრადიციას, უდაოდ, ენიჭებოდა გარკვეული მნიშვნელობა. იგი ზემოქმედებას ახდენდა წარმოების კონკრეტულ წესებზე და აძლევდა მას თავისებურ ელფერს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შრომითი ტრადიცია ყოველთვის როდი იყო ზემოქმედების რაციონალური საშუალება. ხშირ შემთხვევაში იგი უშლიდა ხელს უფრო სწორი, გონივრული წესების დანერგვას და ამუხრუჭებდა განვითარებას. ვ. ლენინი მიიჩნევდა, რომ ტრადიცია შემფერხებლად მოქმედებს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაზე[9] და ამიტომ მას განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

მთური მიწათმოქმედების კომპლექსის ფორმირებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამ ტიპის მიწათმოქმედების აგროტექნიკური საშუალებების დადგენა, რომელიც ზოგი ავტორის მიერ მიჩნეულია მიწათმოქმედების აგროტექნიკურ ტრადიციებად[10]. ეს კომპლექსი ცხადად გვიჩვენებს რამდენად ეფექტურად იყენებს მოსახლეობა მოცემული ტერიტორიის მიწის ფონდებს, რაც მიკროარაიონის ზედმიწევნითი ცოდნის შედეგია. ამ შემთხვევაში პირველადია კონკრეტული გარემოს რეალური ბაზისური საფუძველი, ხოლო მისგან წარმოებული, და ამდენად, მეორადია აგროტექნიკური ტრადიციები.

მიწების რაციონალური ათვისებისა და ინტენსიური დამუშავების მიუხედავად, მემინდვრეობას შეზღუდული ხასიათი ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთში. მაგრამ ეს შეზღუდული მასშტაბი და დაქვემდებარებული ხასიათი იმხელა ხვედრითი წონისა იყო, რომ მიწათმოქმედება მაინც შეიძლება მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგად იქნას აღიარებული. ამ თვალსაზრისზე იდგა თავის დროზე ე. კრუპნოვიც[11]. ეს თეზისი მისაღებია ცენტრალური კავკასიონის მთიანი ზოლის მეურნეობისათვის საერთოდ. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ყარაჩა, ბალყარეთი, ოსეთის მთიანეთი და მთელი ვაინახური

---

[6] მ. ქანთარია, ყაბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1982.

[7] М. В. Кантария Некоторые вопросы земледелческого быта в горной Осетии, КЭС, т. V, вып. 3, Тб., 1980, გვ. 95.

[8] М. Г. Громыко, Трудовые традиции русских крестьян Сибири, Новосибирск, 1975, გვ. 3.

[9] В. И. Ленин, ПСС, т. III, გვ. 165.

[10] М. Суринов, К определению этнических традиций в земледелии, СЭ, 1971, № 3, გვ. 5. 52.

[11] Е. И. Крупнов, Средневековая Ингушетия, М., 1971, გვ. 122.

სამყარო. აღნიშნული რეგიონის კონკრეტულმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა ხალხური აგროტექნიკის შედარებით მაღალი დონე, რამაც მთური მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციიას შეუწყო ხელი.

აგროტექნიკის ქვეშ ვგულისხმობთ სოფლის მეურნეობაში, კონკრეტულად მიწათმოქმედებაში ხმარებული შრომის იარაღების კონსტრუქციული აღნაგობისა და ფუნქციონალური დანიშნულების ოპტიმალურ შერწყმას, შრომითი გამოცდილების ტრადიციულ ბაზაზე. ეს განმარტება გვჭირდება იმდენად, რამდენადაც სპეციალურ ლიტერატურაში „ტექნიკის" ქვეშ ნაგულისხმებია მომეტებულად ორი სხვადასხვა ცნება — საკუთრივ ტექნიკა და ტექნოლოგია[12]. ტექნიკა ანუ ტექნიკური საშუალებანი შრომის იარაღებისა და შრომითი ჩვევების ერთობაა სრულყოფის განსაზღვრულ ხარისხში. შრომითი ჩვევების ერთობა ხორციელდება მოცემულ მომენტში ტრადიციის მექანიზმის მოქმედების შედეგად. იგი საბოლოოდ ტექნიკური საშუალებებით მეტი ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას ქმნის. ტექნოლოგია კი გულისხმობს იარაღების თანმიმდევრობით გამოყენებას შრომის საგნის თვისების შეცვლის მიზნით.

მიწათმოქმედების თავისებურების, მისი ძირითადი ფორმის დასადგენად საჭიროდ მიგვაჩნია შრომის იარაღების კონსტრუქციის, მისი აღნაგობის აღწერა და ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრა.

ნიადაგები მუშავდებოდა ჩაჩნეთ-ინგუშეთში სხვადასხვა გზითა და საშუალებებით, რაც განპირობებული იყო ყოველი მიკრორაიონის თავისებურებებით. დამოკიდებული იყო ნიადაგის სტრუქტურასა და მის შედგენილობაზე. ამდენად, მასალის ტიპოლოგიას ამ შემთხვევაში შეიძლება საფუძვლად დაედოს იარაღების ფუნქციონალური დანიშნულება[13].

ინგუშეთის მთიან ნაწილში იხმარებოდა ძირითადად ~~ახაჩას~~ ტიპის ხის სახვნელი, რომელსაც დახჩა ნოხ, ლოამ ნოხ ან უბრალოდ ნოხ ეწოდება. იმავე ტიპის იარაღი იყო გავრცელებული ჩაჩნეთშიც ნოხ ან დეჩიგ ნოხის სახელწოდებით. ~~ნოხზე~~ ~~ნაკლებადაა~~ შემორჩენილი ცნობები ძველ წყაროებში. არც თანამედროვე ლიტერატურაშია უკეთესი მდგომარეობა. ავტორები ზოგ შემთხვევაში კმაყოფილდებიან სახვნელების მხოლოდ ფოტოსურათების თუ ნახაზების წარმოდგენით, რაც ცხადია, დამაკმაყოფილებელი არ არის. ბ. კალოევმა ერთგვარად შეავსო ლიტერატურაში არსებული ეს ხარვეზი. ვაინახურ სახვნელებზე მის ნაშრომში[14] საკმაო მასალა მოიპოვება. უფრო მეტიც, იარაღები კარტოგრაფირებულია, მაგრამ ზოგი რამ მაინც დაზუსტებასა და შემდგომ კვლევას საჭიროებს, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

[12] Г. Г. Громов, Ю. Ф. Новиков, Некоторые вопросы агроэтнографических исследований, СЭ, 1967, I, გვ. 81.

[13] Л. Н. Терентьева, Из опыта работы по этнографическому картографированию. Энтнографическое картографирование материальной кульуры народов Прибалтики М., 1975, გვ. 4.

[14] Б. А. Калоев, Земледелие народов Северного Кавказа, М., 1981, გვ. 120—121.

ვ. ხრისტიანოვიჩი წერდა ინგუშეთის შესახებ: «Применяется в большинстве случаев однократная вспашка, которая производится двумя горскими орудями: специальным резцом производится обрез плата, а деревянным висячим плугом делается затем оборот пласта. В работе участвуют 3 работника и 4 вола: одна пара запряжена в резец, другая пара в плуг»· და შემდეგ: «В некоторых районах с более легкими почвами и на старовспаханных землях резец не применяется и вспашка производится только плугом на паре волов»[15].

მსგავსი იარაღების არსებობას ადასტურებს ნ. ივანენკოვიც ჩაჩნეთში[16]. ამ ცნობებში დაცულია საყურადღებო ფაქტი: საგანგებო საჭრისით მიწის წინასწარი გაჭრა და იმავე მიწის შემდეგ სახვნელით დამუშავება. სამწუხაროდ ხსენებული ავტორები იარაღების არც სახელებს ასახელებენ, არც კონსტრუქციულ აღნაგობას აღწერენ და არც გავრცელების არეალს აზუსტებენ. საჭრისით მიწის გაწერვა დასტურდება ჩაჩნეთ-ინგუშეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ამ იარაღს ფხოდ-ი ეწოდება ინგუშურად, ჩაჩნეთში კი ფხოთ (ფხათუ). კონსტრუქციულად მარტივი აღნაგობის ხის ფხოთ, ფხოდ დაახლოებით სამი მეტრის სიგრძის დაკუთხულად გამოთლილი მორია. მორს ერთ ბოლოში სახვნელის მხარის მსგავსად აქვს საბეწვე ნახვრეტები უღლის შესაბმელად. მეორე ბოლო ზემოთ ახრილია და ქმნის დაახლოებით 45° კუთხეს. კუთხეს ზემოდან უმაგრდება ვერტიკალურად ხისსავე ხელკუდიანი სახელური. მორს, რომელიც ფაქტობრივად მხრის მოვალეობას ასრულებს, შუაში ჩამაგრებული აქვს რკინის საჭირისი თუ საკვეთელი. ფხოთ, ფხოდი უქუსლო და უსახნისო იარაღია, მისი მუშა ნაწილი საკვეთელი. მასში ერთი უღელი შეიბმის. მხარს ჩადაყ, ᲐᲧᲝ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲩᲐᲩᲜᲣᲠᲐᲓ, ᲘᲜᲓᲣᲨᲣᲠᲐᲓ — ᲜᲝᲥ, ხელნას-კო. საკვეთელს ისევე როგორც მთელს იარაღს ეწოდება ჩაჩნურად ფხოთ, ფხოთუ: ინგუშურად კი ფხიად, მსგავსად საჭრისის ქართული სახელწოდებისა, რომელიც კონკრეტულ დეტალსაც აღნიშნავს და მთელ იარაღსაც. ფხოთუს არ შეეძლო მიწის მოხვნა, მხოლოდ კვალს ავლებდა. ამიტომ საჭიროების შემთხვევაში ფხოთით და ნოხით ხვნა ერთდროულად ხდებოდა. წინ ფხოდი მიდიოდა, რომელიც კვალს ავლებდა, საკვეთლით მიწას ჭრიდა. ფხოდის კვალს სახვნელი-ნოხი მიჰყვებოდა. ამ იარაღით უკვე გაწერილი კვალის გადაბრუნება ხდებოდა. როგორც ჩანს, ფხოდი მთელს ინგუშეთში კარგად ყოფილა ცნობილი. საჭიროებისდაგვარად მას მძიმე ᲭᲐᲝᲚᲚᲐᲗ მიწებზე იყენებდნენ. მსუბუქი-კედლათ მიწის პატრონები კი მხოლოდ ნოხით ხვნას ამჯობინებდნენ. ასეთ პირობებში ფხოდის მოქმედების ზუსტი არეალის დადგენა ინგუშეთის პირობებისათვის შეუძლებელია და ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მთელს ინგუშეთში ყოფილა გავრცელებული. თუმც ბ. კალოევი წერს, რომ ჩაჩნეთთან შედარებით საწერა ინგუშეთში იშვიათად იხმარებოდაო.[17]. რაც ჩვენი მასალებით არ დასტურდება. უფრო ადრე გამოქვეყნებულ წერილში კი იგივე ავტორი საწერას ტიპის იარაღს

---

[15] В. П. Христианович, Горная Ингушетия, Ростов на/Д., 1929, გვ. 189.

[16] Н. И. Иваненков, Горные чеченцы, Терский сборник, 1910, вып. XII, გვ. 11.

[17] Б. А. Калоев, Земледелие народов Северного Кавказа, М., 1981, გვ. 117.

მხოლოდ ჩაჩნეთისათვის ასახელებს[18], რომელსაც სიმინდის კულტურას უკავშირებს. სიმინდი, როგორც ცნობილია, შედარებით ახალი კულტურაა კავკასიაში. კავწერას ტიპის იარაღი კი სიმინდის კულტურას ბევრად წინ უსწრებს თავისი წარმოშობით.

ფხოდით მიწის დამუშავებას ინგუშურად ლათ ხოდუ-თი აღნიშნავენ. ლათ მიწას ნიშნავს, ხოდუ კი ჭრას, იმ დროს, როდესაც ნოხი-თ ხვნა ნოხაც ლათ ურ ეწოდება. ურ ხვნას ნიშნავს. ამგვარად, ხვნისა და მიწის ჭრისათვის დიფერენცირებული ტერმინები არსებობს, ხოდუ-ჭრა, ურ-ხვნა. გარდა ჩაჩნეთ-ინგუშეთისა ფხოდის მსგავსი იარაღი წოვებშიც იქნა ჩვენ მიერ დამოწმებული. ფხოდს ქართულში შეესაბამება საწერა და კავწერა. ეს იარაღი გავრცელებულია თუშეთში, ხევსურეთსა და სვანეთში. დამოწმებულია იგი აგრეთვე დიდოეთში. გ. ჯალაბაძე წერს კავწერას შესახებ: „საკვეთელი ანუ კავწერა იყო ისეთი სამეურნეო იარაღი, რომელიც მიწის წიაღში აკეთებდა სხვადასხვა სიღრმის კვალს და აწარმოებდა ბალახიანი ზედაპირის დაწერვას. თვით ეს გარემოება მას ხდიდა გარემო პირობების შესაბამისს აუცილებელ იარაღად. გაწერილ მიწაზე გადავლილ აჩაჩას მუშაობის გადაადგილების გარდა უხდებოდა ხნულის თავისებური პროფილის შექმნა“. ავტორი ამგვარი წესით მოხნულ მიწას „ორსართულად დამუშავებულს“ უწოდებს. პირველ სართულად თუ იარუსად მას მიაჩნია საკვეთლის მიერ გაწერილი ხაზი, მეორე იარუსად კი „აჩაჩასაგან ანგრეული მიწა“. გ. ჯალაბაძის აზრით, „ამ წესით დამუშავებულ მიწას ის უპირატესობა აქვს, რომ საკვეთლით გავლებული კვალი მეორე ფენის ქვეშ რომ არის მოქცეული, დრენაჟის ფუნქციას ასრულებს და სინესტის დიდხანს დამკავებლის მოვალეობასაც“[19]. ცოტა ძნელი წარმოსადგენია როგორ უნდა შეასრულოს ერთდროულად დრენაჟისა და სინესტის დამკავებლის მოვალეობა, მით უმეტეს, რომ მთის ზოლისათვის დრენაჟი კი არა, სინესტის დიდხანს შენარჩუნება იყო საჭირო. ორი იარაღის პარალელურად ხმარება იყო ნაკარნახევი ადგილობრივი მძიმე მიწების ძნელად დამუშავებით, რადგან თითოეული ამ იარაღთაგანი ცალ-ცალკე ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ბ. კალოევის მონოგრაფიაში ეს იარაღი კარტოგრაფირებული არ არის და არც ნახაზია წარმოდგენილი. ამის მიზეზი ალბათ ის უნდა იყოს, რომ თანამედროვე ყოფაში კავწერას ტიპის იარაღი ვაინახებში აღარ დასტურდება. თუმცა ეთნოგრაფიული მასალის მოძიება და გავრცელების არეალის დადგენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, უფრო აუცილებელი ხდება მონაცემების ზუსტი ფიქსაცია, რათა არ დაიკარგოს კულტურის ეს მონაპოვარი, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა მიწათმოქმედების განვითარებაში.

ამგვარად, ჩაჩნურ-ინგუშური ფხრდ-ფხოთ-ქართული კავწერას თუ საწერას ტიპის იარაღია, მისი გავრცელების არეალი კავკასიის მთიანეთია. თავისი ფუნქციით ის ყველგან ერთი და იმავე დანიშნულებისაა — მიწას წერავს — ხაზავს, რომლის კვალს უფრო ძლიერი სახვნელი მიჰყვება და

---

[18] Б. А. Калоев. Земледелие у горских народов Северного Кавказа, СЭ, 1978, № 3, გვ. 49.

[19] გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თუშეთში, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 23.

ხნავს მიწას. ამ შემთხვევაში დადგენილია ხვნის ერთ-ერთი უძველესი საფეხური, საიდანაც გამომდინარე ჩაჩნეთ-ინგუშეთის მიწათმოქმედების უძველეს ტრადიციებზე თავისუფლად შეიძლება მსჯელობა. კონსტრუქციული აღნაგობის თვალსაზრისით ფხოდი იმდენად მარტივ იარაღად გამოიყურება, რომ სახვნელი იარაღების განვითარების ადრეულ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს.

ვფიქრობთ, დავას არ უნდა იწვევდეს საკითხი იმის შესახებ, რომ ჩაჩნურ-ინგუშური ფხოდ, ფხოთ, ადგილობრივი სახელწოდების გარდა რაიმე განსაკუთრებული ეთნიკური ნიშან-თვისების მატარებელი არ არის. რამეთუ ასეთივე აღნაგობის იარაღი, როგორც დავრწმუნდით, გავრცელებულია კავკასიის სხვა მხარეებშიც.

გარდა ფხოდისა ინგუშეთის მთიან ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, მიწა იხვნებოდა ქართული აჩაჩას ტიპის იარაღით, რომელსაც ადგილზე ნოხ, ლოაᲫ ნოხ ან დახჩი ნოხ ეწოდება. მიუხედავად სამი სხვადასხვა სახელწოდებისა, ეს ერთი და იგივე იარაღია, რომელიც ფხოდთან კომპლექსში ხნავდა მიწას. უფრო რომ დავაზუსტოთ ეს ერთი და იმავე სახელის ნოხ-ის სხვადასხვა განსაზღვრებაა. ლოამ მთას ნიშნავს, დახჩი კი ხეს. ე. ი. იყო მთის თუ მთური სახვნელი და ხის სახვნელი. ჩამოთვლილი სახელებიდან განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება ტერმინი დახჩი ნოხ — ხის სახვნელი. მასში მითითებულია მასალა, კონკრეტულ შემთხვევაში ხე, რომლისგანაც დამზადებულია აღნიშნული იარაღი. ამ წესით შედგენილი სახელწოდებანი იარაღებისათვის ჩვენ მიერ კავკასიის სხვა კუთხეებშიც იქნა დადგენილი. მაგ., ყაბარდოში სახვნელს ფხა-აქა ეწოდება აშა მხვნელს ნიშნავს, მაგრამ არა ადამიანს, არამედ იმ საგანს, რომლის მეშვეობითაც უშუალოდ ხვნის პროცესი ხორციელდება. ფხა კი ხეა და ამდენად მთლიანად სიტყვა ფხა-აშა ხის სახვნელს ნიშნავს. თუმცა ამ ტერმინით დღეს როგორც ხის ასეთივე რკინის სახვნელიც აღინიშნება. მსგავს ტერმინებში მსაზღვრელი, როგორც წესი, წინ უსწრებს საზღვრულს და ისინი გრამატიკული თვალსაზრისით ერთნაირ პრინციპზე აგებულ კომპოზიტებად შეიძლება ჩაითვალოს.

ა. გენკო იკვლევდა რა ჩრდილოკავკასიურ ენებში სახვნელების გავრცელებულ ტერმინებს, თვლიდა, რომ ისეთი წარმოებული სახელი იარაღისათვის, როგორიც არის ხის სახვნელი, ძველი უნდა იყოს, კერძოდ იმ დროიდან მომდინარე, როდესაც მთელი იარაღი, სახნისის ჩათვლით, ხის იქნებოდა[20]. ამას თუ დავუმატებთ, რომ სუმერულში სახვნელის აღმნიშვნელი სახელი გიშ-აპინ ხის იარაღს ნიშნავს, შეიძლება დავუშვათ, რომ ხის სახვნელი უნდა ყოფილიყო ხმარებაში რკინის ხანამდე და, ამდენად, შორეული წარსულიდან მომდინარეობს იგი. საგულისხმოა ისიც, რომ რბილი მიწების მოსახნავად საქართველოში ხმარობდნენ კავს ძელქვისაგან გამოთლილი ქუსლით, რკინის სახნისის გარეშე. ზოგჯერ ოსეთშიც იცოდნენ მიწის ხვნა უსახნისო ძუვურით[21]. ცხადია, ამგვარი სახვნელი გამოდგებოდა მხოლოდ რბილი მიწების დასამუშავებლად. ამგვარად, ჩაჩნურ-ინგუშური ნოხი ადრეული ხა-

---

[20] А. И. Генко, О названиях «плуга» в северокавказских языках,, Доклады АИ СССР, 1930, № 13, გვ. 130.

[21] მ. ქანთარია, სახვნელი იარაღები, მთა ოსეთში, მაცნე, ისტორიის სერია, 1970 № 6, გვ. 108.

ნის ხის იარაღი უნდა ყოფილიყო, რომელსაც გვიან გაუჩნდა რკინის სახნისი.

ნოხ-ის ეტიმოლოგია დღეისათვის ბოლომდე გარკვეული არ არის. ა. გენკომ სცადა ინგუშური ნოხ-ის ოსურიდან მომდინარეობა დაესაბუთებინა. იგი ნოხს უკავშირებდა ოსურ სიტყვა ფრჩხილს თუ ბრჭყალს[22]. ეს მოსაზრება დამაჯერებლად არ გვეჩვენება, ვინაიდან თუკი ვაინახები ოსურიდან შეითვისებდნენ სახვნელის სახელწოდებას, მაშინ თვით სახვნელის ოსური სახელწოდება უნდა გადმოეღოთ და არა ბრჭყალის თუ ფრჩხილის სახელი. უფრო დამაჯერებელი და მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული თ. გონიაშვილის მიერ ვაინახური ნუოხ-ის დაკავშირება ზმნა ახა (ჩაჩნ.), ოახამ (ინგ.), ახარ (წოვ.) — ხვნასთან, რომელიც მეგრულ ხონუასთან და ქართულ ხვნასთან მოდის. ავტორი თვლის, რომ ამ ენებში, ეს დაახლოება მეტად შორეული წარსულის ურთიერთობას უნდა გულისხმობდეს[23].

ბ. კალოევი აღნიშნავს, რომ ჩრდილო-კავკასიის მთიანეთში გავრცელებული იყო ერთნაირი კონსტრუქციის იარაღი, რომელიც ხასიათდება ლოკალური თავისებურებებით. ეს თავისებურება ორი, გრძელმხრიანი და მოკლემხრიანი ქვეტიპის გამოყოფის შესაძლებლობას ქმნის. პირველ ქვეტიპს ავტორი უწოდებს, როგორც თვითონ აღნიშნავს, გ. ჩიტაიას ტერმინოლოგიის შესაბამისად яремный, მეორეს — грядильный;[4]. ეს განსაზღვრება თავისთავად მეტად ზოგადია. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ზუსტი არ არის ავტორის მითითება გ. ჩიტაიას ტერმინოლოგიაზე. კონკრეტულ შემთხვევაში ტერმინოლოგიის შემუშავებასთან ან გამოყენებასთან კი არა, არამედ სახვნელების კლასიფიკაციასა და მის ტიპოლოგიასთან გვაქვს საქმე, რომელიც ქართულ მასალაზე დაყრდნობით მოახდინა გ. ჩიტაიამ და მეცნიერებაში საყოველთაოდაა აღიარებული.

ინგუშეთში ორი სახის ნოხით მუშავდებოდა მიწა. ერთი იყო გრძელი, მეორე ისევ გრძელი, მაგრამ მხარგადაუბმელი სახვნელი. მხრის სიგრძე-სიმოკლე დამახასიათებელია აჩაჩას ტიპის იარაღებისათვის. მოხრილი მხრიანი და მხარგადაბმული აჩაჩებია ოსური „ძუბური“, მთიულეთში ხმარებული „ქართულის“ სახელწოდებით ცნობილი სახვნელი, ბალყარული „საბან-ალაჩ“ და სხვ. როგორც ჩანს ამ ტიპის იარაღი საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა მთელს ცენტრალურ კავკასიაში, რადგან იგი ერთნაირად ეფექტურად უდგებოდა მთიანეთისათვის დამახასიათებელ რელიეფსა და დაბოლოს მსუბუქ მიწებსაც ამუშავებდა.

გრძელი სწორმხრიანი აჩაჩები გვხვდება კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ფშაურის“ სახელწოდებით ცნობილი სახვნელი საქართველოში, ადიღეური „ფხა-აშა“ და დაღესტანში ხმარებული სახვნელები. აღნიშნული სწორმხრიანი იარაღები ოთხმხრიანი სახვნელების ქვეტიპს განეკუთვნებიან, რამდენადაც ჩონჩხის კონსტრუქცია ოთხკუთხედს ქმნის ხელნაში გაყრილი მხრისა და ხმალას მეშვეობით. ინგუშურ სახვნელს ხმალა არ გააჩნია. მხარი ბოლოში მოხრილია და ქუსლში ზის ხელნასთან ერთად, ამდენად, იგი მხარგადაბმული სახვნელების დარად სამმხრიანია.

---

[22] А. Н. Генко, Из культурного прошлого ингушей, ЗКВ V, გვ. 77,

[23] თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან. ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 584.

[24] Б. А. Калоев, Земледелие у горских народов Северного Кавказа, გვ. 47.

მკვლევართა ერთი ნაწილი სახვნელის ჩონჩხს საერთოდ და მათ შორის მხარსაც, სახნის-საკვეთლისაგან განსხვავებით, არაფუნქციონალურ ნაწილად მიიჩნევენ. მაგრამ იარაღის ფორმას ჩონჩხი ჰქმნის, ამიტომ მის ზომებს, ისევე როგორც მხრის მოყვანილობასა და გამწევი ძალის მასთან დაკავშირების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის პროცესისათვის. მოკლე მხრიან, პატარა ზომის იარაღით უსწორ-მასწორო ზედაპირის დამუშავება უფრო ადვილია, რადგან იგი მანევრირების მეტ საშუალებას იძლევა[25].

ნოხს აქვს ძირბრტყელი, სოლისებური მოყვანილობის ქუსლი, სიმეტრიული, ორმხრივ მჭრელი რკინის სახნისით. ქუსლში ზემოდან ჩამაგრებულია ბოლომოხრილი გრძელი მხარი. მხარს ებმის უღელი სოლებისა და არყის წკნელების მეშვეობით. ხნულის სიღრმის რეგულირება მხრის აწევ-დაწევით ხდება. სწორი, მძიმე მიწები სამი უღლით იხვნება, ფერდა ადგილებს და ტერასებს კი ერთი უღელიც ყოფნის.

სახვნელის ყოველ ნაწილს თავისი სახელი აქვს. სახნისს ხვანხოლ ეწოდება, ქუსს ბარჩ. იგი არყის ხისაგან ითლება, რადგან არყის ხე კარგად სუფთავდება და ადვილად ჩადის მიწაში. მხარს — გომ დახჩი ეწოდება, ხელნას — დახჩიკო ან კოღუც, უღელს — დუყ, ასევეა ჩაჩნურადაც და წოვურად. თ. გონიაშვილი უკავშირებს უღლის ვაინახურ სახელს დუყ-ს, ერთი მხრივ, ქართულ ყევარს და მეორე მხრივ ტყუპს. განიხილავს რა ვაინახური დუყ-ის ფონეტიკურ შედგენილობას, ავტორი გვერდით უყენებს მას ქართულ უ-ღ-უ-ას, სადაც ღ ძირი დუყის ყ-ს ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტი და იგივეობაა[26]. ტყუბისა და დუყის საერთო წარმომავლობას ნ. მარიც აღნიშნავდა[27].

თავისი სახელწოდებები აქვს სახვნელში შებმულ ყოველ უღელს. პირველს ტეჰარ დუყ, მეორეს ᲮᲣᲧᲘᲔᲠ დუყ, მესამეს ჰალხარ დუყ ე. ი. ჰალხარ დუყ წინა, ᲮᲣᲧᲘᲔᲠ — შუა და ტეჰარ ბოლო უღელი. ან კიდევ ჰალხარ დუყ, შოლო დუყ და ᲯᲝᲚᲝ დუყ — პირველი, მეორე და მესამე უღელი რიგის მიხედვით.

მოკლე მხარგადაბმული ნოხიც იხმარებოდა ინგუშეთში. ეს იყო მთლიანად ხის იარაღი, რომელსაც მხოლოდ სახნისი ხვანღოლ, ხუნღოლ ჰქონდა რკინის. სახვნელი შედგებოდა მომრგვალებული ფორმის სოლისებური ქუსლის, მხრისა და ხელნისაგან (ᲯᲐᲠᲘᲐᲮᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ — სოფ. ᲯᲐᲠᲘᲐᲮᲘ, ᲞᲔᲛᲔᲗᲘ, ᲔᲖᲛᲘ, ᲤᲣᲠᲢᲝᲣᲒᲘ). მსგავსად სახნისისა, ქუსლსაც ხვნღოლს უწოდებენ. მეცხალის საზოგადოების სოფლებში კი ქუსლს გუვამ ეწოდება, ასევეა სოფ ოლგეთში, ლეგზში კი ნოხურ ბარჩ ჰქვია. ამ ნაწილისათვის მაგარი და გამძლე ხის ᲯᲘᲨᲘᲡ არჩევდნენ რადგან ქუსლზე ყველაზე მეტად მოქმედებს დაწოლის ძალა და მალე ცვდება. ქუსლს წვერზე სამკუთხა ფორმის ორმხრივ მჭრელი რკინის სახნისი უკეთდებოდა. ეს სახვნელი ერთხელნა იყო. ხელნა იᲯᲓᲐ სატეხით ამოტეხილ ბუდეში, რომელსაც დრქ ჰქვია. ჰქონდა ხელის მოსაკიდებელი

---

[25] Ю.Ф. Новиков, Генезис плуга и этнография, СЭ, 1963, № 2; იგივე Очерки из истории развития техники земледелие в древнем мире. ВДИ 1964, № 1, Г. Г. Громов, Ю. Ф. Новиков, Некоторые вопросы аграро-этнографических исследований СЭ, № 2, გვ. 87.

[26] თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები, ჩაჩნურსა ქართველურ ენებთან, გვ. 581.

[25] Н. Марр, Яфетические элементы в яз. Армении АИ, 1913, № 9, გვ. 420.

მოკაული ხელკუდი. სახელურს ხელკუდიანად კო, ნოხურ კო ეწოდება. მას საგანგებო ჯიშის ხავერდოვანი წმინდა ხისაგან — თურს, ამზადებდნენ. ითვლებოდა, რომ ეშმაკს ეშინია ამ ხისა და ვერ გათვალავს სახვნელს, რომელსაც რაიმე ნაწილი თურსისაგან აქვს გამოთლილი. ხელნასთან ერთად ქუსლში ამოკვეთილ ბუდეში, ჩამაგრებული იყო მხარიც. მხარი მოხრილი და გადაბმული ჰქონდა. გავრცელებული იყო გურ ან ნოქხ-ის სახელით. მხარი ქუსლის წვერამდე მოდიოდა. მერე კი უკვე შოლტა ებმოდა. შოლტას პყო ეწოდება. მხარი და შოლტა ერთმანეთს ნახვრეტებითა და სოლების მეშვეობით უკავშირდებოდა. სოლს ძელ ჰქვია. შოლტა ზემოდან ედება მხარს. ქვემოდან რომ ამოედოს, უღლის გაწევის დროს სახნისი მიწიდან ამოვარდება. შოლტა მაგარი ჯიშის ხისაგან უნდა გაკეთდეს, რადგან აღნიშნულ რეგიონში განსაკუთრებით ქვა-ღორღიანი ნიადაგებია. მუშაობის პროცესში სახნისი თუ ქვას წააწყდება, მხარი გაიწევს და შოლტას გადატეხავს. შოლტა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო, თორემ ხარებს გაუძნელდებოდათ მუშაობა. ამ დეტალის სიგრძე 3—3 $^1/_2$ მეტრი იყო დაახლოებით, რადგან პირველ უღელსა და ქუსლს შორის გარკვეული მანძილი უნდა ყოფილიყო, სახნისი ფეხებში რომ არ მოსდებოდათ ხარებს.

შოლტასა და მხრის გადაბმის ადგილას სახნისის პარალელურად ისევ სოლების მეშვეობით ოვალური ფორმის ძირბრტყელი ნაწილი იყო ჩამაგრებული, რომლის აწევ-დაწევით ხდებოდა ხნულის სიღრმის რეგულირება. ამ ნაწილს ინგუშურად ფხია ეწოდებოდა.

ჩაჩნური ნოხი, მსგავსად ინგუშურისა. იგი ძირითადად ქართული აჩაჩას ტიპის იარაღია. რომელიც შედგება ქუსლის, მხრის, ხელნასა და სახნისისაგან. შარო-არღუნის ხეობაში სწორმხრიანი ნოხი იხმარებოდა. მხრის ერთი სწორი ბოლო უღელს უკავშირდებოდა, მეორე მოხრილი ბოლო კი აფხაზური სახვნელის მსგავსად, ქუსლში იყო ჩამჯდარი. ქუსლშივე იჯდა ვერტიკალურად ჩამაგრებული ხელკუდიანი ხის სახელური. ამგვარად, ეს სახვნელი ერთხელნა — ცაჰტამ — იყო, სადაც ცაჰდ — ერთი, ცალის აღმნიშვნელია. ინგუშურში და ნოვურშიც ცჰდა ერთს ნიშნავს. ვაინახურ ცაჰდ-ს ქართული ცალი უნდა უდგებოდეს. იგივე ძირი მოიპოვება სხვა კავკასიურ ენებშიც[26].

სახვნელის ქუსლი ბოლოში გაფართოებული და ორ ყურად გაყოფილი სოლისებური, სამკუთხა ხის ნაწილია. ქუსლს წვერზე ორმხრივმჭრელი რკინის სახნისი უკეთდება. ნოხში ერთი უღელი შეიბმის. ჩაჩნური ნოხის ეს ვარიანტი მსგავსია ინგუშური გრძელმხრიანი სახვნელისა. ამგვარად, ინგუშური და ჩაჩნური სახვნელები განეკუთვნება სწორმხრიან აჩაჩების ტიპს, რომელსაც კარგად იცნობს კავკასიური სამყარო.

მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ჩაჩნური და ინგუშური სახვნელები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ინგუშური ნოხის ქუსლ ყურები არა აქვს. თუმცა „ნაროდი კავკაზას“ შესაბამისს ტომში გამოქვეყნებულს, ისევე როგორც ბ. კალოევის მონოგრაფიაში მოცემულ არც ჩაჩნურ აჩაჩას ნახაზს აქვს ყურები, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალა აშკარად მიუთითებს ამგვარი იარაღის არსებობაზე და მისი უგულებელყოფის უფლება არა გვაქვს. დგინდება, რომ ჩაჩნური სახვნელის ჩონჩხი სამმხრიანია. მხარი ბოლოში

[26] თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები, გვ. 588.

მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი, ხმალას გარეშე, ქმნის იმ განსაკუთრებულ თავისებურებას, რომლითაც სამმხრიანი სახვნელები გამოირჩევიან ოთხმხრიანისაგან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, სამმხრიან სახვნელებს გადაბმული მხარი აქვს და არა სწორი, ჩაჩნურ-ინგუშურ ვარიანტის მსგავსად. როგორც ჩანს, ჩაჩნურ-ინგუშურ ვარიანტში საქმე უნდა გვქონდეს სამმხრიანიდან ოთხმხრიანზე გარდამავალ საფეხურთან და ჩონჩხის ამ თავისებურ კონსტრუქციაში ელინდება იქნებ ეთნიკური ტრადიციის გავლენა. თუ კი საერთოდ შრომის იარაღებზე ეთნიკური სპეციფიკის გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი.

შარო-არღუნის ხეობაში ფიქსირებულ იარაღს სიღრმის რეგულიატორი არ ჰქონდა. მხვნელი მძლავრად აწვებოდა სახელურს, ღრმად ხვნის საჭიროების შემთხვევაში, თუ არა და ზედაპირულად ატარებდა ნოხს. სახვნელის ყოველ ცალკეულ ნაწილს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა ჩაჩნეთშიც. სახნისს — ხვნღოლ (სოფ. ბენოიში-ხენკურ) სახელური — იშ(ბენოიში-ნახარღაშ), მხარი — ფხო, ქუსლი — ნოხური გურ, უღელი — დუყ. სახვნელი სოლებით იყო გამართულ-გამაგრებული. სოლს ჩაჩნურად ძმაᲔᲚ ეწოდება. იგი ქართულ ძელთან გარკვეულ კავშირს ამჟღავნებს[29]. ძელი მიდის მეგრული ჯა(ლი) და აფხაზური ა-წლა-სთან ხის მნიშვნელობით[30].

ამგვარად, ჩანჩეთის მაღალმთიან ხეობებში, მსგავსად ინგუშეთისა, ნიადაგი მუშავდებოდა ნოხით და ფხოთ-ით. ეს იყო ამ მხარის ძირითადი და ტრადიციული საწარმოო იარაღები, რომელიც ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ წარსულიდან მომდინარე ჩანს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თვით სახვნელების კონსტრუქციული აღნაგობა და აგრეთვე ცალკეულ ნაწილთა აღმნიშვნელი სახელების ეტიმოლოლოგია. უნდა ისიც დავუმატოთ, რომ ნ. ივანენკოვი ჩაჩნეთის შესახებ წერდა: «Пашут очень несложным плугом называемым «нокдук» или «докуш». Он состоит из двух частей передней «коожéгур», состоящий из 3—4 аршинной жерди на заднем толстом конце которой острием вниз «поту» или железный резец 5—6 вершков длины наклоненный вперед, а сверху жерди «калаш» или палочка I 1/4 аршинной вышины с ручкой отогнутой назад за которую держится и управляется «кооже гуром», второй по назначению в работе пахарь. На переднем же конце «кооже гур» привязивается ремнем ярмо «дукг», в которое впрягаются молодые быки, которых ведет по борозде пахарь—мальчик»[31].

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი ტერმინები დამახინჯებულადაა წარმოდგენილი, ამიტომ ერთგვარი განსხვავება შეიმჩნევა ჩვენ მიერ მოყვანილ სახელებსა და ამ ნაწყვეტში ფიქსირებულს შორის. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ივანენკოვის აღწერილობაც სახვნელისა განსხვავებულია, რაც ძირითადად იმაში მჟღავნდება, რომ ავტორი მიუთითებს ჩაჩნურ სახვნელში საკვეთლის არსებობას. საკვეთელი შედარებით გვიან, მართლაც, უჩნდება ჩაჩნურ სახვნელს და ეს მოხდა კავწერა-საწერას ფხოთ-ის სახვნელ ნოხთან შერწყმის გზით. აქ აშკარად ჩანს სახვნელის ად-

---

[29] თ. გონიაშვილი. ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა..., გვ. 613.

[30] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 16.

[31] И. И. Иваненков, Горные чеченцы, Терский сборник, 1910, вып. XII, გვ. 11.

გილობრივ ნიადაგზე განვითარების ტენდენცია. დამოუკიდებლად მოქმედი საკვეთელი შეუერთდა ძირითად მხვნელ იარაღს. და ორის მაგივრად მივიღეთ ერთი საკვეთლიანი განვითარებული სახვნელი. ინტერეს მოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ გადაიქცა რა სახვნელის შემადგენელ ნაწილად, საკვეთელმა გადმოიტანა თან თავისი სახელწოდება და ნოხის საკვეთელს ეწოდა საწერა-კავწერას სახელი ფხოთ.

ჩაჩნური სახვნელის განვითარების პროცესი ამაზე არ შეჩერებულა. სოფ. დაიში ავზომეთ და აღვწერეთ ისევ და ისევ ნოხად წოდებული სახვნელი. მას აქვს სოლისებური ქუსლი ყურების გარეშე. ქუსლშია ჩამჯდარი ხელნა, რომელშიც გაყრილია გრძელი სწორი მხარი. მხარი დაკავშირებულია ქუსლთან ხმალას საშუალებით. ამდენად, ამ იარაღის ჩონჩხი ოთხმხრიანია კონსტრუქციაში. მხარშივეა გაყრილი რკინის საკვეთელი, რომელიც რკინისსავე სახნისის წინ ჩამაგრებულია სოლების მეშვეობით. მხარს დამაგრებული აქვს გვერდებზე სახნისის გასწვრივ ორი გრძელი ძელი, რომელთა ბოლოები ვერტიკალურად მდგარ ხელნას უკავშირდება. ძელებს წვერები მაღლა აქვთ აშვერილი. ხელნაშივე გადის ორ ძელს შუა კიდევ მესამე დამატებითი ძელი, რომელიც მეორე ბოლოთი მხარს უკავშირდება... ამგვარად, ჩვეულებრივი ოთხმხრიანი სახვნელისაგან განსხვავებით, ჩაჩნური ნოხის ამ ვარიანტს აქვს სამი დამატებითი ძელი ხელნას მხართან დასაკავშირებლად. შუაში გაყრილი მესამე ძელი სახელურის მოვალეობასაც ასრულებს. როგორც ჩანს, გრძელი, სწორი მხრის სისუსტემ გახადა საჭირო დამატებითი ძელების დამაგრება, რომელთა მეშვეობით მხარი უფრო მყარი და საიმედო გახდა. ამგვარი კონსტრუქციის იარაღი კავკასიის სხვა რეგიონებში არ დასტურდება და შეიძლება იგი გრძელმხრიანი ნოხ-ის ადგილობრივი მოდიფიკაცია იყოს.

თუ შევაჯამებთ აქ წარმოდგენილ მასალას ვაინახურ სამყაროში გავრცელებულ სახვნელებზე შემდეგი სურათი წარმოგვიდგება. საწერა-კავწერას ტიპის იარაღი, ე. წ. ფხოდ, ფხოთ-ი, შეიძლება სახვნელის წინამორბედ ფორმად მივიჩნიოთ. თუკი დავუშვებთ შესაძლებლობას, რომ საწერა-ფხოდ-ს გარკვეულ პერიოდში უჩნდება დამოუკიდებელი მხვნელი ნაწილი ქუსლი და იარაღი, უღელთან უკეთ დაკავშირების მიზნით იღებს მხარგადაბმული ნოხ-ის სახეს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ნოხი და ფხოთ-ი დამოუკიდებლად მუშაობდნენ და მხოლოდ შემდგომ მოხდა მათი ერთ კომპლექსში გაერთიანება. გრძელი, სწორმხრიანი ნოხ-ის შემდგომ განვითარებად მიგვაჩნია ოთხმხრიანი ნოხის წარმოქმნა, რომელსაც მხარი ხელნაში აქვს გაყრილი, გააჩნია ხმალაც და, ამდენად, კონსტრუქციაში ოთხკუთხედს ქმნის. ამ ოთხმხრიანი ნოხის ვარიაციული ფორმებია საკვეთლიანი იარაღი და სახვნელი მოდიფიცირებული მხრით, რომელიც ჩაჩნეთის სოფელ დაიში იქნა ჩვენ მიერ აღწერილ-აზომილი. სახვნელების განვითარების აქ წარმოდგენილი სქემა საბოლოო და კატეგორიული არ არის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ სახვნელს საკმაოდ რთული ისტორია აქვს, ამიტომ არც თუ ადვილია დადგენა იმისა, როგორ იცვლიდა ფორმას ესა თუ ის იარაღი. საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ აღწერილი იარაღები უდავოდ ტრადიციულია ჩაჩნეთ-ინგუშეთისათვის, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოსათვის არ არიან დამახასიათებელნი. გავიმეორებთ რომ ამ ტიპის იარაღები კავკასიაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამდენად, ჩაჩნურ-ინგუშური სახვნელები ეთნოსპეციფიკის განმსაზღვრელად არ გამოდგება.

ეთნოგრაფიული მასალებით ფიქსირებულია, სოფ. ერხენოიში (ვედენოს რაიონი) ფამფალაკიანი, ორხელა მთლიანად ხის იარაღი, რომელსაც გუოთა ეწოდებოდა. ფამფალაკი ერთნაირი ღერძგოგორებით იყო გაწყობილი. ჰქონდა საკვეთელი, რომელსაც ფხათუოდა ეწოდებოდა და ასიმეტრიული სახნისი. გუოთა იხმარებოდა სწორი, ვაკე ადგილების მოსახნავად.

ბ. კალოევი აღნიშნავს, რომ მძიმე ფამფალაკიანი გუთანი დახგან ნოხ გავრცელებული იყო როგორც ინგუშეთის ასევე ჩაჩნეთის დაბლობ რაიონებში. იგი იძლევა ამ იარაღის გავრცელების არეალს, მაგრამ მძიმესთან ერთად ჩაჩნეთისათვის ახსენებს მსუბუქ ფამფალაკიან გუთანსაც, რომელშიც მხოლოდ უღელი გამწევი ძალა იბმებოდა[32]. ტექსტიდან გაურკვეველი რჩება მძიმე და მსუბუქი გუთნები რითი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და სად რომელი იხმარებოდა. მითითებულია აგრეთვე, რომ ორი სახის, სხვადასხვა ზომის გოგორებიანი და ერთნაირი ბორბლებიანი ფამფალაკები იხმარებოდა, რასაც ავტორი სამართლიანად, რელიეფის საჭიროებით ხსნის[33]. ავტორი თვლის, რომ რეგიონის დაბლობ ზონაში მომეტებულად გავრცელებული იყო მძიმე ადიღეური გუთანი[34]. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ადიღეური დიდი გუთანი ქართული გუთნიდან იღებს თავის საწყისს, რომლის წარმომავლობა ადიღეურ გუთანზე ბევრად უფრო ადრეა საგულისხმებელი.

გუოთა გარშემო უკლოდ კვლებს და კვეთავდა ბელტს. ამგვარად, გუოთა უფრო განვითარებული სახვნელია, რომელიც ქართული გუთნის შესატყვისია. ჩაჩნეთ-ინგუშეთის ყოფაში სახელწოდება გუოთა დამოწმებულია აგრეთვე ნოხისა და ფხოთ-ის მთლიანი კომპლექსისათვის თავის უღლებიანად ეს კი როგორც ეტყობა ქართული გუთნეულის ფარდი უნდა იყოს.

ტერმინმა გუთანი დიდი ხანია მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მას იკვლევდნენ თავის დროზე აკად. ნ. მარი, აკად. ივ. ჯავახიშვილი[35]. შეეხო ხსენებულ საკითხს ვ. აბაევიც[36]. ამ ავტორთა დებულებების გამეორებას აღარ მოვყვებით, რადგან მათზე მსჯელობა ადრეც გვქონდა. ნათქვამს დავუმატებთ, რომ გ. ჩიტაია იკვლევდა რა გუთნის კონსტრუქციულ აღნაგობას, მის გავრცელების არეალსაც შეეხო და ტერმინის წარმომავლობის საკითხსაც. იგი თვლის, რომ ტერმინით „გუთანი" ქართლში აღინიშნება ბარის, მთის ძირის სახვნელი იარაღები. ზოგიერთ ქართველ ტომებში გუთანი სახვნელის ქუსლსაც ეწოდება. იგივე ტერმინი მოიპოვება კავკასიურ ხალხებშიც, სადაც ის ხევსურული აჩაჩას ტიპის სახვნელს აღნიშნავს. ეს ტერმინი აქვთ სესხების გზით მიღებული სომხებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს, კომპლექსური სახვნელის აღსანიშნავად. მეგრულ ზღაპრებსა და ქართველ მთიულების უძველესი ხანის ტექსტებში ეს ტერმინი პრიმიტიულ სახვნელს ეწოდება, რაც ამ სახელის სიძველეს ამტკიცებს. ის გარემოება რომ სომხებს, აზერბაიჯანელებსა და თურქებს გუთანი ნასესხები აქვთ ფამფალაკიანი სახვნელის აღსანიშნავად — ადასტურებს, რომ სესხება მაშინ უნდა მომხდარი-

---

[32] Б. А. Калоев, Земледелие народов Северного Кавказа, გვ. 126.

[33] იქვე.

[34] იქვე.

[35] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი, I, ტფ., 1930, გვ. 220.

[36] В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, М., 1938, გვ. 257.

ყო, როდესაც „გუთანი“ ფამფალაკიან სახვნელ იარაღსაც ეწოდებოდა. ამ დროს ხევსურული აჩაჩას გავლილი ჰქონდა გზა პრიმიტიული სახვნელიდან ბარულ გუთნამდე[37].

ჩვენთვის საინტერესო ტერმინს შეეხო ენათმეცნიერი თ. გონიაშვილი. იგი თვლის, რომ გუთანი კავკასიის გადაღმა და გადმოღმა მოსახლე ტომთა სამეურნეო მოსაქმეობის ორგანული კუთვნილებაა და მრავალ მათგანში თითქმის ერთნაირი სიტყვიერი გამოხატულება აქვს: ქართ. გუთანი, ოსური გუტონ, სომხური *գութան/գութան* უდური „ქოთან“, აფხაზ. აკუათან და ა. შ. ეს გარემოება იმის მაუწყებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სამეურნეო იარაღის თავდაპირველი ერთიანი კონსტრუქციული ტიპია, რომელმაც შემდგომ თავისებური ვარიანტები მოგვცა ეთნური განშტოების მიხედვით. აგრძელებს რა ამ საკითხზე მსჯელობას, მკვლევარი თვლის, რომ თუკი სწორია ივ. ჯავახიშვილის დებულება, რომლის მიხედვითაც ქართული გუთანი სომხურის დუბლეტი არ არის, მაშინ ან გუთ ძირის მაწარმოებელ სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ჩაჩნური გუოთა მისი უამ ნაწილაკობისდროინდელი ზუსტი პარალელი იქნება[38]. გუთნის ეტიმოლოგიური ამოხსნა, თვლის ავტორი, ამჟამად არც ერთი ენის მიხედვით არ ხერხდება. თუმცა ქართული გუთანი იმ ან სუფიქსითაა ნაწარმოები, რომელიც აწარმოებს აგრეთვე უძველეს სასოფლო-სამეურნეო იარაღის ერქვან-ს და შინა ყოფაში ფართოდ გავრცელებულ ტერმინს ქოთან-ს, ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად თ. გონიაშვილი წინასწარი ვარაუდის სახით ფიქრობს, გუთანი კავკასიური და კერძოდ, ქართველურ ენათა ორგანული ენობრივი შენაძენია და რომ სომხურ ენაში კავკასიურ ენათა სამყაროდან, კერძოდ, სამხრულ კავკასიურიდან შესული სიტყვა უნდა იყოს[39].

ამგვარად, ტერმინი გუთნის საკითხი მეტად რთულად დგას. დაზუსტების თუ დამატების სახით აღვნიშნავთ, რომ ჩაჩნურში გუოთ გარდა ფამფალაკიანი გუთნისა, მთლიანად გაწყობილ-გამართულ იარაღს ნოხსა და ფხოთ-ს თავისი უღლებიანად ეწოდება. ასევეა ინგუშეთშიც. გოთა ეწოდება ოსეთში და ადიღეში როგორც მარტივი იარაღის მთლიან კომპლექსს, ესე იგი ისევ გუთნეულის შესატყვისი ცნება გამოდის, ასევე ბარად ხმარებულ ფამფალაკიან ასიმეტრიულ სახნისიან სახვნელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ყაბარდოულ გუთანს მსგავსად მსუბუქი სახვნელისა ფხა-აშა ეწოდება და მხოლოდ მის ფამფალაკს — ღერძ-გოგორას ქუოთან შარხ ჰქვია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩაჩნეთის, ინგუშეთის, ისევე როგორც ოსეთის დაბლობ რაიონებში ქართული გუთნის მსგავსი იარაღით იხვნებოდა მიწა, ფაბრიკული რკინის გუთნების შემოსვლამდე და მას შესაბამისად გოთა ეწოდებოდა, ამრიგად, გოთა კავკასიურ ენებში, ერთი მხრივ, ქართული გუთნეულის, ხოლო, მეორე მხრივ, გუთნის ფარდ ტერმინად გვევლინება, რომელიც გვიანი ხანისათვის უკვე განვითარებული ასიმეტრიული სახნისითა და ფამფალაკით გაწყობილ იარაღს ნიშნავდა. ფაბრიკულ რკინის სახვნელებსაც აკი ქართულად გუთანი ეწოდებოდა. გვინდა ერთიც აღვნიშნოთ, რომ ცალკეული სახვნელი იარაღის მოქმედება ჩაჩნეთ-ინგუშეთში შესაბმისად სხვადასხვა ზმნით გამოიხატებოდა.

---

[37] გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 502.

[36] თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხედრები ჩაჩნურისა, გვ. 580.

[37] იქვე, გვ. 581.

ფხოთსაწერა კავწერის ფუნქცია მიწის გაწერა, გაჭრით შემოიფარგლებოდა და მას შესაბამისი ტერმინით ხადუ—აღნიშნავდნენ. ნოხი—აჩაჩა ჭრიდა და ზემოთ წევდა ბელტს. ეს პროცესი გამოიხატებოდა ზმნით ახარ. აქედანვეა წარმოებული ხარუოით — გლეხი, რაც სიტყვასიტყვით მხვნელს ნიშნავს და ხნულისა ანუ ორნატის სახელწოდება ხარშ — ხერშნიშ. გოთა კი გუთნეულის გაგებით კი არა, არამედ უფრო განვითარებული ღერძ-გოგორებიანი სახვნელი, რომელსაც უკვე საკვეთელიც აქვს, ბელტს კი არ ჭრის მხოლოდ არამედ აბრუნებს და ერთ მხარეს ალაგებს, აქ უკვე სხვა პროცესთან ხვნასთან გვაქვს საქმე და ეს მოქმედება ზმნით გუოთა გამოითქმება. წარმოდგენილი მასალით ვცდილობთ დავადასტუროთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ გოთ ქართული წარმომავლობის იარაღი და სახელწოდებაც უნდა იყოს ერთდროულად, რომელიც კავკასიისა თუ სხვა წარმომავლობის ხალხებმა ქართველებიდან შეითვისეს.

ამგვარად, ჩაჩნეთ-ინგუშეთში ხმარებული ტრადიციული სახვნელების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ტრადიციულობის გაგება, როგორც წესი არ უკავშირდება გენეზისის საკითხს.

ი. ვ. ჩესნოვი აღნიშნავს, რომ «Бытование этнографических реалий зависит не только от материальных условий производства, но и от избирательского санкционирования общества, наделяющего эти вещи качеством народных»[40]. ფაბრიკული, ოფიციალურად სანქციონირებული ფართო მოხმარების საგნებთან დაპირისპირებაში, ყველაფერი შექმნილი ადგილობრივი კუსტარული წარმოების ბაზაზე, ხალხურია. მაგრამ ხალხური მთლიანად ვერ ფარავს ნაციონალურს. ნაციონალური კულტურა ფარავს ეთნიკურ ერთობის განსახლების საზღვრებს და ხშირად ცილდება კიდევაც მას. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ყოველ კონკრეტულ ეთობას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შრომის იარაღები, საცხოვრებელი ნაგებობანი, მხოლოდ ამ ხალხისათვის სპეციალური ტანსაცმელი და სხვა მატერიალური კულტურის ელემენტები უნდა ჰქონოდა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მეტად ძნელად გამოსავლენ თავისებურებებს მსჯელობა შეიძლება წარიმართოს თანაბარი წარმატებით დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულებითაც და ერთნაირად დამაჯერებელი ლოგიკური დასკვნები იქნას გამოტანილი. მაგრამ ეს იქნება სქოლასტიზმი მოკლებული მტკიცე საფუძველს. რა თქმა უნდა, ერთი უნივერსალური ეთნოგანმსაზღვრელი ნიშნის მოძიება, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა მხოლოდ კონკრეტულად მოცემული ეთნიკური ერთობისათვის, შეუძლებელია ვინაიდან საზოგადოების სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ეთნიკური ნიშანი ერთნაირი სიძლიერით არ მოქმედებს[41] და კულტურის არც ერთი კომპონენტი არ შეიძლება ეთნოგანმსაზღვრელი ნიშნის მატარებლად ჩავთვალოდ. ი. ბრომლეი თვლის, რომ «Пока выделить одни неприменный для всех случаев этнодиференцирующий признак, обречен на неудачу»[42].

---

[40] А. Н. Чеснов, О принципах типологии традиционно—бытовой культуры. Проблемы типологии в этнографии, М., 1979, გვ. 189.

[41] Ю. В. Бромлей, О. Шкаратан, Соотношения истории, этнографии и социологии, СЭ, 1969, № 3, გვ. 6.

[42] Ю. В. Бромлей, Этиос и этнография, М., 1973, გვ. 38.

ეს ყველაზე მეტად ეხება ალბათ შრომის იარაღებს. რომელთა ფორმირებაში ძირითადია სოციალ-ეკონომიკური პირობები და გეოგრაფიული გარემო. შრომის იარაღები წარმოების ხარისხის უშუალო განმსაზღვრელია და «ეთნოგრაფიული რეალირების არჩევითობა», ჩვენი აზრით, აქ უკანა პლანზე იწევს. იგი მეღავნდება უფრო ზედნაშენურ კატეგორიებში. არაფუნქციონალურ ელემენტებში რომელიც ხალხურობის ელფერს ანიჭებს კულტურის ელემენტებს. არა და თავისთავად არსებული განსხვავება ეთნოსებს შორის საკითხის მოხსნის შესაძლებლობას არ იძლევა. როგორც ჩანს საჭიროა გამომუშავებული იქნას სხვა მიდგომა, კრიტერიუმი აბსტრაქციისა, რომელიც უფრო კონკრეტული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას შექმნის. ამჯერად კი ალბათ ყველაზე სწორად უნდა იქნას აღიარებული ი. ბრომლეის დებულება იმის შესახებ, რომ «...неповторимый облик каждого этноса создается не отдельной его специфической чертой, а особым, характерным только для него сочетанием объективных свойств, многие из которых могут быть одновременно присущи и каким-то другим этносам»[43] მით უმეტეს, რომ ხშირად ეს კომპლექსები ეთნიკური სპეციფიკის გამომხატველნი არიან.

М. В. КАНТАРИЯ

ТРАДИЦИОННЫЕ СРЕДСТВА И СПОСОБЫ ОБРАБОТКИ ЗЕМЛИ В ЧЕЧЕНО-ИНГУШЕТИИ

Резюме

Из возникших перед этнографической наукой проблем одной из главных является определение своеобразных черт кавказского горного хозяйства. При комплексном изучении вопросов земледелия основным становится установление степени и масштабов его развития. В этой связи определенное значение приобретают изучение традиционных средств и способов обработки земли.

Анализ конкретного материала методом сравнительной абстракции создает перспективу для вынесения обобщенных объективных выводов, и поэтому данные аграрной этнографии Чечено-Ингушетии с ее специфическими чертами хозяйства содержат интересные факты. Поскольку в кавказском сложном хозяйственно-культурном типе форма хозяйства Чечено-Ингушетии занимает определенное место, то становится ясным, что в конкретном проявлении социально-экономического развития общества основной тип земледелия определяется соотношением естественно-географической среды с производственным опытом и трудовым навыком. Определенное значение придается хозяйственно-производственной и социально-культурной ориентации населения. Эти ингредиенты в совокупности представляют экологический аспект изучаемого вопроса. При такой постановке вопроса возникает мысль о влиянии этнической традиции на элементы традиционной материальной культуры.

---

[43] Ю. В. Бромлей, К характеристике исследовательских объектов этнографии, Современные проблемы этнографии, М., 1981, зз. 19.

Изучая традиционные средства и способы обработки почвы в Чечено-Ингушетии и сопоставляя итоги исследования с общекавказскими данными, можно получить приблизительно следующую схему развития местных пахотных орудий. За первооснову местных орудий следует принять черкающее, режущее орудие, известное в Чечено-Ингушетии под названием пход//пхот. Если априорно допустить, что у пход со временем появляется пашущий полоз и кривая грядиль, то становится ясным, как это орудие превратилось в рало под местным названием — нох. Можно предположить, что первоначально пход и нох функционировали самостоятельно. Сравнительно позже произошло их объединение в один комплекс с целью лучшей обработки местных почв. Сама по себе такая двухъярусная вспашка считается древним способом обработки и в горных районах Кавказа она зафиксирована во многих местах.

Этнографическое изучение местных орудий показывает, что бытовало рало двух видов — прямогрядильное и с кривой составной грядилью. Путем дальнейшего развития прямогрядильного возникло четырехстороннее рало — нох, грядиль которого продета в рукоятку. Орудие снабжено и стояком. Таким образом, конструкция у него четырехугольной формы. Это орудие имеет свой модифицированный вариант— нох с дополнительными жердями для упрочения остова орудия с длинной грядилью.

Самостоятельным вариантом ноха нужно считать орудие с резаком. Оно, как предполагается, возникло на почве слияния двух традиционных орудий — черкающего пход с пашущим нох. Отмеченное развитие, как видно, произошло на местной почве, что подтверждается языковыми данными. Взамен двух возникло одно орудие, т. е. ралонох с резаком.

Наряду с легким нох в Чечено-Ингушетии в употреблении были беспередковые малые плуги типа грузинских малых плугов и четырехсторонние тяжелые передковые плуги, так называемые гуота.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილს სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

დავით ჟღენტი

ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში

შუა საუკუნეების საქართველოს სამართლის ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამეფო სახლის წევრების (დედოფლისა და უფლისწულების — ბატონიშვილების) მონაწილეობა ქვეყნის განმგებლობაში. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანაში (X—XV სს.) წყაროებით დამოწმებულია უფლისწულისა და მეფის თანამოსაყდრეობის ინსტიტუტი. ამავე ეპოქაში ცნობილია რამდენიმე შემთხვევა დედოფლის აქტიური მონაწილეობისა სახელმწიფო განმგებლობაში (ბაგრატ III-ის დედა გურანდუხტი, ბაგრატ IV-ის დედა მარიამი და სხვა).

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში (XV—XVIII სს.) იზრდება დედოფლისა და უფლისწულების როლი სახელმწიფო მმართველობაში, ისევე როგორც იზრდება მათი წილი სამეფო დომენში (სახასო მიწები), იზრდება სადედოფლო და საუფლისწულო მამულები.

ჩვენი წერილი ეხება ამ პრობლემის ერთ საკითხს: XVII ს-ის ქართლის დედოფლის მარიამის როლს სახელმწიფოს განმგებლობაში.

1658 წელს გარდაიცვალა პირველი ქართველი მაჰმადიანი მეფე როსტომი. შემდგომ ამისა, შაჰის გადაწყვეტილებით, ქართლის მეფობა ვახტანგ V-ს (შაჰნავაზს) ებოძა. მისივე ბრძანებით, შაჰნავაზმა ცოლად შეირთო როსტომ მეფის ქვრივი, მარიამ დედოფალი.

ქართული ნარატიული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს ქორწინება იძულებითი ხასიათისა იყო. ვახუშტი წერს: „ვახტანგს შეუძლდა შერთვა მარიამ დედოფლისა, ვინაჲთგან ესუა ცოლი, ასული ყაფლანისა როდამ, სიკეთითა აღმატებული, არამედ უღონოდ ქმნილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“[1]. თითქმის ასეთსავე ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილი: „ამა შაჰნავაზ მეფესა ესუა ცოლად ასული ყაფლანისა, სახელით როდამ, ქალი ჯერიად პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა კეთილითა... ხოლო ოდეს უბოძა ყაენმან ქართლი მეფეს შაჰნავაზს, მაშინ მოსწერა შერთვა მარიამ დედოფლისა და ვერღარა ურჩ ექმნა ყეენსა და არღარა ღონე ჰქონდა, შეერთო მაგრამ დედოფალი და ქმნეს ქორწილი სახელოვანი და ესვა ორივე ცოლად, რამეთუ ესხნეს როდამთან ძენი და ასულნი“[2].

ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობა განსხვავდება ქართული ნარატიული ძეგლების შესაბამისი ცნობებისაგან. შარდენი წერს: სამი თვის შემდეგ (რაც როსტომი გარდაიცვალა — **დ. ჟ.**) შაჰნავაზ ხანმა მისი შერთვის ბრძანება მიიღო. მთავარი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ბრძანებას, რადგანაც მარიამი მეტად მდიდარი იყო და შეირთო იგი, თუმცა სხვა ცოლიც ჰყავდა[3]. მიუხედავად შარ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 447.

[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბ., 1959, გვ. 435.

[3] შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 314.

დენის ამ განსხვავებული ცნობისა უპირატესობა ქართულ ცნობებს უნდა მიენიჭოს მათი ერთსულოვნების გამო. ამასთანავე, ფრანგი მოგზაურის გადმოცემა იმ დროის ოფიციალურად გავრცელებულ ვერსიას უნდა ემყარებოდეს, რომელიც სხვაგვარი ვერც იქნებოდა.

დაეუბრუნდეთ ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაცულ ცნობებს. როგორც დავინახეთ, ვახტანგ V-ს ცოლად ჰყავდა როდამ ყაფლანიშვილი (დედა ხუთი შვილისა), რომელსაც სრული იურიდიული უფლება ჰქონდა ქართლის ტახტის დედოფლობისა.

მაშ, რატომ აიძულა შაჰმა ვახტანგ V შეერთო სხვა ცოლი, როსტომის ქვრივი მარიამი?[4]. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, რადგანაც მიღებული პასუხი ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალია მარიამ დედოფლის როლის განსაზღვრისათვის სახელმწიფო განმგებლობაში.

საკითხის გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ მარიამის ადგილი და როლი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

მარიამ დედოფალი ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში.

როგორც ცნობილია, იგი სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის და იყო. პირველად ლევანმა მარიამი სვიმონ გურიელს მისცა ცოლად. 1625 წელს, მას შემდეგ, რაც სვიმონმა თავისი მამა მოკლა, ლევანმა გაილაშქრა სიძის წინააღმდეგ, თვალები დათხარა მას და თავისი დაც უკან წამოიყვანა. 1634 წელს ლევან დადიანმა იგი ცოლად შერთო ახლად დაქვრივებულ როსტომს. ამ ქორწინებას განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ცნობილია, როსტომს მთელი თავისი მეფობის მანძილზე მეტად სერიოზული მეტოქე ჰყავდა ქართლის ტახტზე თეიმურაზ მეფის სახით. თეიმურაზი ცდილობდა გამოეყენებინა იმერეთის მეფე და გურიელი ქართლის მეფის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია, რადგან მარიამის შერთვით ლევან დადიანი და როსტომი გაერთიანდნენ იმერეთის წინააღმდეგ, რითაც საშუალება მოუსპეს თეიმურაზს დახმარება მიეღო იმერეთის მეფისაგან[5].

ცნობილია, მარიამ დედოფლის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. XVII ს-ის 40-იან წლებში მისი ბრძანებით გადაიწერა ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებული, რომელიც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით არის ცნობილი.

მარიამ დედოფალი ცნობილია აგრეთვე, როგორც ქრისტიანობისათვის თანმიმდევრული მებრძოლი. აღსანიშნავია მისი მეცადინეობით ჩატარებული სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები, რომლებმაც მრავალი ეკლესია-მონასტერი იხსნა საბოლოო განადგურებისაგან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა

[4] ერთადერთი მკვლევარი, რომელიც გაკვრით ეხება ამ საკითხს, არის მზია მგალობლიშვილი. იგი შარდენის ქართული გამოცემის კომენტარებში შაჰის ბრძანებას ვახტანგ V-სადმი მარიამზე დაქორწინების შესახებ ხსნის ირანის მბრძანებლის მისწრაფებით დაენერგა საქართველოში მრავალცოლიანობა, როგორც მაჰმადიანური წეს-ჩვეულება (შარდენის მოგზაურობა, დასახ. ნაშრომი, კომენტარი 231, გვ. 388—389). ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ირანის შაჰებს სხვა ქართველი მაჰმადიანი მეფეები (როსტომი, ერეკლე I, იმამყულიხანი და სხვა) უნდა გაეხადათ იძულებულნი ჰყოლოდათ ერთზე მეტი ცოლი, ამის დამადასტურებელი ცნობა კი ჩვენ არ გაგვაჩნია.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 317.

მისიონერ პატრი ავიტაბილეს ცნობა: მარიამ დედოფალი დიდის მონდომებით ცდილობდა მაჰმადიანობაში გაზრდილი თავისი მეუღლე როსტომ მეფე ქრისტიანულ რჯულზე დაებრუნებინა. თუ ეს ვერ შეძლო, ყოველ შემთხვევაში, როსტომ მეფე ანგარიშს უწევდა ქართულ საზოგადოებას და აშკარად არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული ეკლესიის საქმიანობას. პირიქით, დაზიანებული ტაძრები შეაკეთებინა, ხელს უწყობდა და მფარველობდა ქრისტიანებს. იგი მარიამ დედოფლის პატივისცემით ჩადიოდა ყოველივე ამას[6].

ქართულ ნარატიულ დოკუმენტებში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები მარიამის როლის შესახებ სახელმწიფო განმგებლობაშიც, რაზეც ადრე არ იყო ყურადღება გამახვილებული. დოკუმენტების ცნობათა მიხედვით, მარიამის უფლებები სცილდება სხვა ქართველ დედოფალთა ტრადიციულ უფლებებს და ზოგჯერ მეფის იურისდიქციასაც კი უტოლდება. ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: 1634 წლის დოკუმენტით მარიამი როსტომ მეფისაგან დამოუკიდებლად ათარხნებს თბილელსა და სათბილელო ყმებს სადედოფლო და, რაც მთავარია, ს ა მ ე ფ ო გადასახადებისაგანაც: „ჩვენ, დედოფალმან პატრონმა მარიამ ესე წყალობის და თარხნობის წიგნი გიბოძეთ, თქუენ, ქალაქ სიონთა ღ(მრ)თისმშობლის ყმათ, ასრე რომ, ამას წინათაც ჴ ე ლ მ წ ი ფ ე თ ა გ ა ნ თარხანი იყუენით, ახლა თბილელი და სათბილელო ყმა პირის სანახავად მოგუართვეს, აწე ჩუენცა გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ, რომე არაფერი არა საჩუენო და ა რ ა ს ა ნ ე ფ ო და ა რ ა ს ა თ ა თ რ ო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს“[7].

1640 წლის ახლო ხანებში გაცემული საბუთით მარიამ დედოფალი პირდება ალავერდელს, რომ არ ჩამოართმევს თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ფ ი ს მიერ ბოძებულ მამულებს: „თუ ჩვენი ერთგული, კარგის მდომნი ყმანი იყუენით... წმიდის გიორგის ალავერდელის მამული თქუენ ბ ა ტ ო ნ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ მოგბარებოდეს, იმისგან არც ერთი კუამლი კაცი არ მოგიშალოთ“[8],

1640 წლის დოკუმენტის მიხედვით, მარიამ დედოფალი 7 წლით ათავისუფლებს მოსახლეებს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს ა გ ა ნ[9].

იმავე წელს მარიამი ამტკიცებს 1619 წელს ს ვ ი მ ო ნ მ ე ფ ი ს მიერ მანგლელ მთავარეპისკოპოზ ათანასე ტატიშვილისათვის მიცემულ ბოგანო გლეხების წყალობის წიგნს[10].

1649 წლის საბუთის მიხედვით, მარიამ დედოფალი მეფისაგან დამოუკიდებლად უბრუნებს სიონს ადრე ლ ე ვ ა ნ მ ე ფ ი ს მიერ შეწირულ კისისხევს[11].

1655 წელს კი იმავე კისისხევის მოურავობას მარიამი უწყალობებს ავალიშვილ ავალს. საბუთის დასასრულს ვკითხულობთ: ...„არა მოგეშალოს ა რ ც ა ჩ უ ე ნ გ ა ნ და ა რ ც ა ს ხ ვ ა ჴ ე ლ მ წ ი ფ ე თ ა ვ ა ნ“ როგორც ვხედავთ ამ საბუთის მიხედვით მარიამ დედოფალი სრულად აშკარად უტოლებს თავს ხელმწიფეს.[11I]

---

[6] ავიტაბილე, დონ პიედრო, ცნობები საქართველოზე (XVII ს.) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 14.

[7] ხ. ი. Ad 595.

[8] ხ. ი. Hd 2430.

[9] სცია, 1450, 10. 122.

[10] ხ. ი. Hd 14422.

[11] სცია, 1449, 2653.

[11I] ხ. ი. Hd 143 I3

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით, მარიამი საკმაოდ მრავალფეროვან საქმიანობაშია ჩაბმული: სამეფო სიგელების განახლება, სამეფო და სათათრო გადასახადებისაგან გათარხნება და სხვა მარიამს წარმოგვიდგენს, როგორც მეფის კომპეტენციით აღჭურვილ მოღვაწეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მოვიძიეთ გვიანფეოდალურ საქართველოს დედოფალთა მიერ გაცემული საბუთები. აღმოჩნდა, რომ ისინი მხოლოდ შეწირულებისა და სადედოფლო საკუთრებიდან რაიმეს ბოძებით შემოიფარგლებიან.

საინტერესოა ისიც, რომ მარიამი ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგაც განაგრძნობს საბუთების გაცემას, როგორც დედოფალი[12].

განხილული დოკუმენტები ძირითადად ცნობებს გვაწვდიან მარიამ დედოფლის მონაწილეობის შესახებ საშინაო განმგებლობაში. თუ რა როლს ასრულებდა მარიამი საგარეო პოლიტიკაში, ამ კითხვაზე პასუხს სცემს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული სამდივნო წიგნის ერთი დოკუმენტი. ამ სამდივნო წიგნის მიკროფილმი რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩამოიტანა აკად. ელ. მეტრეველმა, ამჟამად მიკროფილმი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში — georg № 26[13]. საბუთი წარმოადგენს მარიამ დედოფლის მიერ გაგზავნილ წერილს ირანის ვეზირ აზამისადმი. წერილი უთარიღოა, თუმცა, მასში დაცული ცნობების მიხედვით, სრულიად აშკარაა, რომ იგი დაწერილია როსტომის გარდაცვალებისთანავე, ე. ი. 1658 წელს.

აღნიშნული საბუთი ახალი ფაქტებით ავსებს და აზუსტებს ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაცულ ცნობებს იმ გარემოებათა შესახებ, რაც მოჰყვა როსტომის გარდაცვალებას და, ამავე დროს, გვაწვდის უნიკალურ ცნობებს მარიამის როლის შესახებ საგარეო პოლიტიკაში.

როსტომის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ამბებს მოგვითხრობენ „პარიზის ქრონიკა“, „ბერი ეგნატაშვილი, ბატონიშვილი ვახუშტი“ და სხვა. ამ წყაროთა მონაცემები ძირითადად იდენტურია, თუმცა „პარიზის ქრონიკის“ ცნობები გაცილებით სრულია, სწორედ ამიტომ მოგვაქვს ისინი განსახილველ საბუთთან შესადარებლად.

„ქორონიკონს ტმზ მეფე როსტომ მიიცვალა ტფილისს ქალაქსა. ტირილი აღარც დედოფალს დასცალდა, აღარც ქართველთა, საშვებად ერთი-ორი დღე იტირეს. როსტომ მეფე თათრებმა ციხეში შეიტანეს, იქიდამ ყუმს გაგზავნეს დასამარხავათ. ჯემალ-ხან უწინვე აქ მოსულიყო და დედოფალს ყაენის რაყამი შემოუგზავნა: „ჟელმწიფის ბრძანება არისო“ ციხეში შეიყვანა და ყაენთან უნდოდათ წაეყვანათ. დედოფალმა თეთრი თმა გაგზავნა, ყაენს შეუთვალა: „მე ციხეში თქვენი ბრძანება გავათავეო, შემოველო ჩემის მხლებლებითაო. ერთი ბერი დედაკაცი ვარო, ჩემს ქმარსაო და ძმასაო მაგათ ოჯახზე ბევრი უმსახურებიაო. აქედამ ნუ დამძრავსო“, თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს, ჩაფრად გაისტუმრეს.

პაპუნა სარდალი ადრე ჩასულიყო. ყაენს სწყენოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა, დიაღ, ბევრი დედაკაცობა უანბო და თმა თეთრი ეჩვენა.

---

[12] სცია, 1450, 50. 26; 1448, 521; 1450, 48. 22 და სხვ.

[13] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ამ საბუთის ზ. ავალიშვილისეული პუბლიკაცია მცირე კომენტარებით. (თეიმურაზ I და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა, დამატება: სამი ისტორიული საბუთი, „კავკასია“-ს გამოცემა, პარიზი, 1938, გვ. 126—132), მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნული წიგნი საზღვარგარეთაა გამოცემული და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, საჭიროდ მივიჩნიეთ საბუთის ხელახალი პუბლიკაცია, რაც თან ერთვის ჩვენს წერილს.

როსტომ მეფემ თავისი საბატონო ცოცხალმაც იმას მისცაო და ანდერძითაც მუხრანის ბატონს უანდერძაო. მეფობაცა და დედოფალიც მუხრანის ბატონს ვახტანგს მისცა და ქართლი და ან როსტომ მეფის საქონელი იყო და ან რაც ერანში როსტომ მეფეს ჰქონდა, ყველას წყალობა უყო, სახელად შაჰნავაზ-ხან დაარქვა"[14].

ციტირებული ადგილი თუმცა დაწვრილებით აღწერს როსტომის გარდაცვალებით გამოწვეულ გარემოებას, მაგრამ პასუხს ვერ სცემს კითხვას, თუ რატომ „მისცა" მარიამ დედოფალი შაჰმა ვახტანგ V-ს?

ამასთანავე „ქრონიკის" ცნობა, რომ შაჰს მარიამის ცოლად შერთვა სურდა და მხოლოდ ქართველი დედოფლის მიერ გაგზავნილმა თეთრმა თმამ შეაცვლევინა გადაწყვეტილება, არ ასახავს რეალურ ვითარებას, რასაც აშკარას ხდის განსახილველი წერილი. ამ წერილში, რომელიც, ცხადია, უფრო სანდოა, არაფერია ნათქვამი არც შაჰის აღნიშნულ განზრახვაზე და არც თეთრი თმის შესახებ. ასეთი რამ არცა ჩანს მოსალოდნელი, რადგანაც შაჰს შეუძლებელია არ სცოდნოდა მარიამ დედოფლის ასაკი.

ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვას, თუ რატომ განიზრახა შაჰმა მარიამის დაქორწინება შაჰნავაზზე, ნათელს ხდის განსახილველი საბუთი. წერილის პირველი ნაწილი ძირითადად ემთხვევა პარიზის ქრონიკის ცნობებს. ამასთანავე, საბუთი დამატებით გვამცნობს, რომ როსტომის გარდაცვალების შემდეგ მისი ქვრივის მდგომარეობა საკმაოდ მერყევი გამხდარა, რაზეც არც პარიზის ქრონიკაში და არც სხვაგან არაფერია ნათქვამი. საბუთში ვკითხულობთ: „ჩვენის ხლებლებით და დარბაისლით ციხეში შევედით და ყეენის წყალობის მლოდნელი ვიყავით. სხვაგან ყოვლგნით იმედი მოგვეღებოდა და ერთი თქვენი ანბავი გაგვეგონა და ერთი მეფის როსტომის ერთგულობისა და ვალდებულების იმედი გვქონდა და ამასობაში მრავალს კაცს გული გასცუდებოდა, მაგრამ ჩვენი იმედი დიდი ჰქონდათ".

მარიამის მერყევ მდგომარეობას სათუო გაუხდია ქართლის თავადების ერთგულებაც მისდამი, თუმცა საბოლოოდ იმედი არც მათ ჰქონიათ დაკარგული. „ცოტა ხანი გამოვიდა საფარვერდიბეგ ჯელმწიფის რაყამი მოგვიტანა... ამასობაში ფარსადანბეგ მოვიდა და არ ვღირს ვიყავით ხანისათვის და ჩვენთვინ წესისაებრ ნამეტნავი კარგი და უკეთესი ხალათი ებოძათ,.. ცათა სწორს ჯელმწიფეს დედოფლობა ჩვენთვინ და ჩვენი თავი შაჰნავაზ მეფისათვის ებოძათ". ამის გამგონე ქართველი თავადაზნაურობა და „ზოგ-ზოგი" კახელიც, წერილის ცნობით, უწინდელზე ერთგული გამხდარა მარიამისა.

რა წყალობას ელოდებოდა მარიამი და მისი მომხრე დასი შაჰისაგან? ცხადია, დედოფლად დატოვებას ვახტანგ V-ის მეფობის დროსაც. მართალია, მარიამი წერილში წერს, რომ იგი აიძულეს გაჰყოლოდა ვახტანგს, თორემ „მეფე როსტომს უკან ჩვენი შესამოსელი სუდარი სწორი საფლავი და ქმარი შავი მიწა ქვად ყოფილიყო", მაგრამ ამასთანავე დასძენს, „მაგრამე, თუ ეს არ გვექნა და უარი მოგვეხსენებინა „ჯელმწიფე გაგვიწყრებოდა და ქვეყნის აშლასა და აოხრებასა უფრო ბევრი ცოდვა და დასამარცხი საქმე მოსდევდა".

წერილი ნათელყოფს, რომ მარიამის დედოფლად დატოვება იყო პოლიტიკური აქტი, რომელიც ხელს აძლევდა როგორც მარიამს, ისე შაჰს. მარიამს

[14] ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 109.

სურდა კვლავ ყოფილიყო სახელმწიფოს სათავეში, რათა თავისი გონივრული პოლიტიკით სარგებლობა მოეტანა ქვეყნისა და ქართული კულტურისათვის. „...ცათა სწორს ჯელმწიფეს არზა ვაახელით და ამას მოველით მაგათის ჯელმწიფის თავისაგან.,. ჩვენი არზა ჯელმწიფეს წაუკითხონ და ჩემს აოხრებულ სამშობლოს მიეხმაროს“.

თავის მხრივ, შაჰიც დაინტერესებულია მარიამის დედოფლად დატოვებით. წერილიდან აშკარად ჩანს, რომ როსტომის გარდაცვალებისთანავე თავადაზნაურები ურჩობის გუნებაზე დამდგარან და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მარიამის კვლავ დედოფლად დატოვების ამბავი, მას ეახლნენ არამარტო ქართლის, არამედ ნაწილობრივ კახეთის თავადაზნაურებიც. ამასთანავე, ცნობილია, რომ კახეთის უდიდესმა ფეოდალმა ზაალ არაგვის ერისთავმა როსტომის სიკვდილისთანავე უარი თქვა როსტომის შემდგომ მეფის ერთგულებაზე. მხოლოდ მარიამის ავტორიტეტს შეეძლო ასეთი ვითარებაში ქართლ-კახეთის თავად-აზნაურების დამორჩილება.

საბუთში მარიამი აღუთქვამს შაჰს, რამდენადაც ისევ დარჩა უფლებამოსილი, ქვეყნის მმართველობაში კვლავ გაატარებდა ძველ კურსს. აქვე ჩანს მარიამ დედოფლის პოლიტიკური კრედოც საგარეო პოლიტიკაში, რომელმაც, საფიქრებელია, განაპირობა კიდეც ე. წ. კომპრომისული პოლიტიკა საერთოდ: „ვინც ჩემი დამჯერო არის, ყეენის შეუკითხავს აღარას ვაქნევინებ და ვინც არ დამიჯერებს, მანდ არზას გაახლებთ, რომე საქართველოს ბატონს მრავალჯერ ყეენის ურჩობით თავისი ალაგი აუოხრებია, როგორც სიკვდილს ვიცი კაცი ვერ დაემალვის, ისე საქართველოს ბატონი ერანის ჯელმწიფეს ვერსად წაუვა და რომელიც ჩვენი შესაფერისი სამსახური იყოს, მეც მიბრძანებდეთ“.

ციტირებული ადგილიდან ჩანს, რომ მარიამი არა მარტო საშინაო საქმეების განმგებლობაში თამაშობდა ერთ-ერთი მთავარ როლს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, არამედ საგარეო პოლიტიკასაც წარმართავდა. ამას მოწმობს მისივე სიტყვები: „როსტომის დროსაც ყაენის საქმესა და ერთგულობას მე მკითხავდა და ახლაც მოველი, რომე ჩემი უკითხავი აღარა იქნას რა“.

ამრიგად, მარიამი პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებს, რომ ირანთან (ყეენთან) ურთიერთობის საკითხები როსტომის დროსაც მისი კომპეტენცია იყო და ამჯერადაც ყველაფერი მას უნდა ეკითხებოდეს.

რამ განაპირობა მარიამ დედოფლის ასეთი განუსაზღვრელი უფლებები და როლი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?

მარიამის ეს განსაკუთრებული უფლებები უნდა აიხსნას უპირველესად მისი პიროვნული თვისებებით, დიდი ნიჭითა და უნარით, რაზეც ბერი ეგნატაშვილი წერს: „და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოს კაცთაგან და ქალთაგან მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“[15]. ნიშანდობლივია, რომ ისტორიკოსი მარიამს ადარებს არა რომელიმე დედოფალს, არამედ თამარ მეფეს, ეს ცნობაც ხაზს უსვამს მის

[15] ეგნატაშვილი ბერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 441.

განსაკუთრებულ როლზე სახელმწიფო განმგებლობაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნაწყვეტი მარიამის მიერ 1664 წ. გაცემული საბუთიდან, სადაც იგი წერს: მრავალი კარგი მიქნია საქართველოზე და დიდი ხნის ბატონიც ვიყავიო[16].

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ: იმ ე. წ. კომპრომისულ პოლიტიკას, რომელიც სწორედ როსტომის მეფობის დროიდან დაიწყო ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, როსტომთან ერთად განაპირობებდა მარიამ დედოფლის მნიშვნელოვანი მონაწილეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. როსტომის გარდაცვალების შემდეგ მის მომდევნო მეფეს ვახტანგ V-ს აუცილებლად უნდა გაეგრძელებინა შაჰისათვის ესოდენ სასურველი კომპრომისული პოლიტიკის ხაზი. რა თქმა უნდა, შაჰისათვის ფრიად სასურველი და ქართლისათვისაც ხელსაყრელი იქნებოდა ამ პოლიტიკის გაგრძელება როსტომის გარდაცვალების შემდეგაც.

სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი შაჰის მხარდაჭერისა მარიამის კანდიდატურისათვის ვახტანგ V-ის ცოლად. არჩევანი შეჩერდა საქართველოში მეტად პოპულარულ და სახელოვან მოღვაწეზე (როგორც დავინახეთ, პატრიოტული მოსაზრებით თვით მარიამიც არ იყო წინააღმდეგი ამ ქორწინებისა). რომლის პოლიტიკური კრედო ცნობილი იყო შაჰისათვის და ახალი მეფეც სასურველი იყო მისი გავლენის ქვეშ მოქცეულიყო.

მარიამის მთელი აღნიშნული მოღვაწეობა შეიძლება ჩათვლილ იქნეს მეფისა და დედოფლის თანაგამგებლობის გამოვლენად გვიან შუა საუკუნეების საქართველოში.

საბუთის ტექსტი

ეთმადოვლესთან დედოფლის არზა არის [1658 წ.]

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, R 36086: ორი პირი: I. ფურც. 40v—43v; II. ფურც. 95v—97r. (ხელნაწერის ფოტო: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Deorg № 26).

ორივე პირი გადაწერილია XVIII ს-ის სხვადასხვა ხელით. განკვეთილობის ნიშნებია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, რიგით პირველ პირში იშვიათად სამწერტილი. ეს პირი დაწერელია ლამაზი კალიგრაფიული, მდივანმწიგნობრული ხელით, მეორე — გაკრული ხელით. ტექსტობრივი განსხვავება ამ ორ პირს შორის უმნიშვნელოა. თარიღი არ ახლავს. თარიღდება შინაარსობრივად. პუბლიკაციის საფუძვლად აღებულია I პირი.

ქ. ღ(მე)რთ(მა)ნ მოწყალემან ცამდის ამაღლებულსა და ქვეყნის დამყარებელისა ღ(მრ)თივ გვირგვინოსანისა ყოვლის ჟელმწიფების უდიდესისა და ყოვლის ქვეყნიერის უჯესტეტისა მრავალთა ჟელმწიფების მეპატრონისა და სხვათა ჟელმწიფეთა მძლეთა და არავისაგან ძლეულისა აღმოსავლეთითა ვიდრე დასავლეთამდისინ როგორც მზე და მთვარე ეგრეთვე მაგათის სახელისა განთქმით მომფენელისა ერან თურანისა ტახტისა და სახელმწიფოს გამრიგებელისა პატრონის ვეზირ აზამისა წინაშე არზა და სამსახურის ნატრა მამიხსენებია. მერმე ეს მოვახსენოთ: მეფე როსტომ ყეენის ჭირს ენაცვალა ჩვენ ჩვენს წესზედ გლოვასა და ვაებას შეუდექით. ამისთანას დროს ჯამალხან ცათა სწორის ჟელმწიფის რაყამი გამოაჩინა, ვაკოცეთ და თავს შევიდევით და იმ წამს ჩვენის ხლებლებით და დარბაისლით ციხეში შეველით და ყეენის წყალობის მლოდნელი ვიყავით. სხვაგან

[16] გსიემ (გორის მასალა), 4640; 147; 185.

ყოველგნით იმედი მოგვლებოდა და ერთი თქვენი ანბავი გაგვეგონა, და ერთი მეფის როსტომის ერთგულებისა და ვალდებულების იმედი გქონდა. და ამასობაში მრავალს კაცს გული გასცუდებოდა, მაგრამ ჩვენი იმედი დიდი ქონდათ. ცოტა ხანი გამოვიდა. საფარვერდ იბეგ, ჭელმწიფის რაყამი მოგვიტანა და ციხიდამ გამოვედით. ეს ამბავი რომ ქართველთ გაიგონეს, დიაღ იმათ და უფროსი ერთი ვინც ნახა საფარვერდიბეგ დიდი გული დაუდვა. ამასობაში ფარსადანბეგ მოვიდა და არ ვღირს ვიყავით ხანისათვის და ჩვენთვის წესისაებრ ნამეტნავი კარგი და უკეთსი ხალათი ებოძათ და რა ხალათის მოსვლა და რაყამის მოტანა და ფარსადან ბეგის მოსვლა გაიგონეს, სულ ქართველთ თავადთა და აზნაურთ თავიანთ ცოლშვილი ქალაქში ჩამოასხეს. და აქ ზეპირად რომ ფარსადანბეგ ამათ ყეენის ნაბრძანები ქართული უანბო, უწინდელისაგან უფრო ერთგულნი და ჭელმწიფის მოსამსახურენი შეიქნენ. და ზოგზოგნი კახნიც მოვიდნენ. ცათა სწორს ჭელმწიფეს დედოფლობა ჩვენთვინ და ჩვენი თავი შეჰნაოზ მეფისათვის ებოძათ. დასტურად ჭელმწიფის ბრძანებას ზღვა დაუშრომელი ვერ მოურჩების, მაგრამ ჩვენ მეფეს როსტომს უკან ჩვენი შესამოსელი სუდარი, სწორი საფლავი და ქმარი შ[ა]ვი მიწა ქვად ყოფილიყო, მაგრამე თუ ეს არ გვექნა და უარი მოგვეხსენებინა ჭელმწიფე გაგვიწყრებოდა და ქვეყნის აშლასა და აოხრებასა უფრო ბევრი ცოდვა და დასამარცხი საქმე მოსდევდა ბოლოს ისევ ჭელმწიფის ბრძანება გავათავეთ და ამას მოველით მაგათის უხვის წყალობისაგან, რომე ვითარცა საფარვერდიბეგ ჭელმწიფის ერთგული არის და ჩვენის გულისათვის ამისი მწყალობელი იყვნეთ და ცათა სწორს ჭელმწიფეს არზა ვა(ა)ხელით და ამას მოველით მაგათის ჭელმწიფის თავისაგან: ვითაც მაგათი დახსნილი ვართ დასტურ არ ვღირსვართ მაგრამ დედობა გვიბრძანონ და ჩვენი არზა ჭელმწიფეს წაუკითხონ და ჩემს აოხრებულს სამშობლოს მოეხმაროს. და სხვას ჩვენს ამბავს ფარსადანბეგ თათრულად მოგწერს ვითაც თქვენი დახსნილი ვართ და თქვენი ყმანი ვართ ამას წინათაც — მეფის როსტომის დროსაც ყეენის საქმესა და ერთგულობას მე მკითხავდა და ახლაც მოველი რომე, ჩემი უკითხავი აღარა იქნას რა. და ვინც ჩემი დამჯერო არის ყეენის შეუკითხავს აღარას ვაქნევინებ და ვინც არ დამიჯერებს მანდ არზას გაახლებთ, რომე საქართველოს ბატონს მრავალჯერ ყეენის ურჩობით თავისი აღაგი აუ(ო)ხრებია. როგორც სიკვდილს ვიცი, კაცი ვერ დაემალვის, ისე საქართველოს ბატონი ერანის ჭელმწიფეს ვერსად წაუვა და რომელიც ჩვენი შესაფერისი სამსახური იყოს, მეც მიბძანებდეთ ადიდნეს ღ(მერ)თ(მა)ნ ჭელმწიფობა მაგათი და აკურთხოს ვაზირობა თქვენი.

Д. А. ЖГЕНТИ

О РОЛИ ЦАРИЦЫ КАРТЛИ МАРИИ В ГОСУДАРСТВЕННОМ УПРАВЛЕНИИ

Резюме

На основе анализа исторических источников (и особенно неизвестного до настоящего времени эпистолярного материала) выясняется, что роль царицы Восточной Грузии Марии (1634—1675 г.) в государственном управлении выходит за традиционные пределы юрисдикции грузинских цариц и часто равняется с юрисдикцией царя.

Успешное проведение компромиссной политики между Ираном и Восточной Грузией, осуществление которой началось со дня воцарения

Ростома (1632 г.), в значительной степени стало возможным благодаря активной роли царицы Марии в определении внутренней и внешней политики страны.

После кончины Ростома иранский шах, естественно, был заинтересован в том, чтобы последующий царь Восточной Грузии также продолжил выгодную для Ирана компромиссную политику. В этих целях желательно было для шаха, чтобы царица Мария, активно проводившая эту политику, оставалась у власти. Это было причиной до последнего времени труднообъяснимого бракосочетания между Марией и Вахтангом V, что явствует из письма царицы Марии к визирю Ирана, текст которого прилагается к статье.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

Г. Г. ГАМБАШИДЗЕ

ВОПРОСЫ ХРИСТИАНСКОЙ КУЛЬТУРЫ И ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ АВАРИИ

(В свете результатов Дагестано-грузинской объединенной археологической экспедиции АН ГССР и СССР)*

Исследование истории христианства на Северном Кавказе — одна из первостепенных научных проблем кавказоведения, т. к. с ней связаны многие аспекты истории культуры, общественного развития, политических и, в целом, исторических связей народов Кавказа.

Отмеченная проблема возникла с конца XVIII в., когда впервые были выявлены христианские древности Северного Кавказа, однако особо интенсивно она стала изучаться в наше время. Думается, основную методологическую линию в освещении истории христианства на Северном Кавказе должно определять комплексное изучение предмета с точки зрения археологии, истории, истории искусства, этнографии, источниковедения, фольклора, палеографии, языковедения.

Выявляются и переосмысливаются конкретные подземные и надземные памятники христианской культуры на всем Северном Кавказе, а также освещается проблема в целом. По мере изучения открываются глубинные явления проблемы и ее новые грани. Приходится отказываться от старых и принимать новые хронологические границы, что в основном касается нижней даты распространения христианства. Есть и положительные попытки расширить post quem существования христианской религии и культуры на Северном Кавказе[1].

Думается, было отказано позиции в датировках христианских древностей, которая исходила, в основном, из общего положения возможности распространения христианской религии во времена могущества грузинского государства в эпоху Давида IV Строителя (1089—1125) — царицы Тамар (1178—1213)[2].

Думается, также отказано позиции, объявившей существование монотеистической христианской религии на Северном Кавказе «чуждым» и «поверхностным» явлением, не затронувшим глубинные слои мировоззрения народов Северного Кавказа, чем и архаизировался уровень общественного развития и роль местных культур. Новая тенден-

---

* Доклад прочитан 28.V.1983 г. на IV Международном симпозиуме по грузинскому искусству; см. материалы симпозиума, Тб., 1983.

[1] См. напр. А. Иванов. О связях Грузии и Дагестана в XIV—XV вв. — «II Международный симпозиум по грузинскому искусству», Тбилиси, 1977; В. Б. Виноградов, Н. Н. Бараниченко. Об одном аспекте грузино-вайнахских взаимоотношений в XVI—XVII вв., «Мацне», серия истории, археологии, этнографии и истории искусства, Тбилиси, 1980, № 1, с. 72—83.

[2] См. напр. Е. И. Крупнов. Грузинский храм «Тхаба-Ерды» на Северном Кавказе, «Краткие сообщения Института истории материальной культуры им. Н Я.. Марра», М., 1947, вып. XV,с. 116—125; М. Б. Мужухоев, И. Д. Магомадов. К вопросу о времени и условиях строительства храма Тхаба-Ерды; «Археолого-этнографический сборник», т. IV, Грозный, 1976, с. 91—102.

ция, развитая на примере новой датировки и этнической атрибуции известного памятника христианства на Северном Кавказе — храма Ткобя-Ерда в Ингушетии, выявившая, в отличие от существующего положения, и элементы местной культуры, объявила этот храм памятником грузинско-ингушской культуры, тем самым выявив глубину проникновения христианской религии и культуры в среду местного населения и уровень его общественного и культурного развития, а также степень консолидации феодальной Грузии и Ингушетии в определенный период средневековья[3]. Тенденция выявления самобытности и местных локальных черт в христианской культуре Северного Кавказа — положительная историографическая позиция, что должно определить ее перспективность.

Компендий новой точки зрения сводится к тому, что начало массового появления христианских памятников на Северном Кавказе относится к X веку. До полного объединения феодальной Грузии, инициаторами распространения христианства в Северо-западной части Кавказа выступает Западно-грузинское царство (Абхазети) и Византия, в Центральной части Кавказа (Двалети, Ингушети) — Картли и Кахети, а на Северо-Восточном Кавказе (Аварии) — Кахетинское княжество (resp. царство), а после объединения — центральная государственная власть Грузии. Отдельно отмечается и роль грузинской православной церкви[4]. Новое status quo грузинского патриаршества и юрисдикция патриарха Грузии на Северном Кавказе, видимо, выразились в возвеличении патриарха Грузии начала XI в. Мелхиседека I «Патриархом Востока» в лапидарной надписи вышеуказанного храма Ткобя-Ерда в Ингушетии.

Распространение христианской религии и феодальной культуры на Северном Кавказе было результатом того социально-экономического и политического развития в масштабе Кавказа, которое и породило в среднефеодальную эпоху возникновение сильнейшего в Передней Азии общекавказского государственного образования[5]. Этот эволюционный процесс интеграции (политической, культурной, социальной) Кавказа, который являлся позитивным историческим явлением, был прерван после татаро-монгольских и, особенно, тамерлановских нашествий[5]. Произошел экономический, социальный, политический и культурный регресс, развились центробежные силы, что разрушило былое единство не только Кавказа, но и его отдельных частей. В связи с этим рушатся и церковно-религиозное единство, устои христианской религии и культуры на Северном Кавказе (те отдельные факты попыток восстановления христианства в странах Северного Кавказа в

---

[3] Г. Н. Чубинашвили. К вопросу о культурных связях Грузии в Ингушетии, Тбилиси, 1941; Г. Г. Гамбашидзе. К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа; «II международный симпозиум по грузинскому искусству», Тбилиси, 1977.

[4] Г. Г. Гамбашидзе. Ук. соч., с. 16.

[5] Г. А. Ломтатидзе. Выступление на заключительном заседании сессий 14 мая 1959 г. «Материалы по археологии Дагестана», т. II, Махачкала, 1961, с. 294—295; Д. А. Мусхелишвили. Из исторической географии древнего Кавказа. Доклад прочитан 12.VI.1979 г. в Милане на I Международном симпозиуме, посвященном культуре Закавказья, «Мацне», серия истории, археологии, этнографии и истории искусства, Тбилиси, 1980, № 1, с. 202.

[6] О тамерлановских разрушительных походах на Северном Кавказе и их последствиях, см. напр., Теймураз Багратиони. История Иверии. СПб., 1848, с. 36—37; О. В. Ртвеладзе. О походе Тимура на Северный Кавказ. «Археолого-

позднем средневековье, о котором отмечается в литературе[7], представляют собой уже не эволюционное развитие явления, так как не было исторической базы для нее). В Северо-Восточной части Кавказа (Дагестан) укореняется мусульманская религия, принесшая новые культурные тенденции, а в Центральных и Западных частях (до их распространения) частично реставрируются языческие культы, существующие в синкретизме с христианством. Существование этого переходного периода и породило, по нашему мнению, множество неканонических надземных культовых памятников архитектуры позднего средневековья (называемых в научной литературе «полухристианско-полуязыческими» святилищами[8]) в горах Центрального и Западного Кавказа. Примечательно, что они не встречаются в горах Дагестана.

Дагестано-грузинской объединенной археологической экспедицией (ДГАЭ) Центра археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР и Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы Дагестанского филиала АН СССР, созданной в 1976 г. с целью изучения культурно-исторических связей между народами Грузии и Дагестана и истории христианства в Дагестане, в течение 5 археологических кампаний были произведены археологические разведки и раскопки в Горном Дагестане — Аварии. Выявленные материалы, в контексте с исследованиями предшествующих ученых (Д. Атаева, А. Чикобава, Т. Гудава, Р. Шмерлинга, В. Котовича, А. Шихсайдова, П. Дабирова, В. Марковина и др.) проливают определенный свет на отмеченные проблемы.

Исходя из теоретического положения, что глубокие сдвиги какого-нибудь исторического явления (в данном случае конфессионально-культурного порядка) должны происходить первоначально в центре страны (по модели центр→периферия), ДГАЭ основной научный интерес уделила историческому центру Аварии—Хунзаху[9], Хунзахскому плато и подступам к нему с NO и SO, на древних дорогах которых засвидетельствованы средневековые поселения (Гаганида, Игишулатли, Болъохь, Акаро, Харачул Гох, Амитль, Хини, Гала и др. с остатками интересной каменной архитектуры и подъемным археологическим материалом — фрагментами местной и импортной керамики, а в некоторых из них — кровельной черепицей, в Хини же — и глазурованной). Также были рекогносцированы ущелья вверх по течению Аварского Койсу (Гидатлинское общество и др.) к границам Грузии.

Особо важным достижением ДГАЭ явилось выявление на возвышающейся над Хунзахским плато горе Акаро (на 2500 м от уровня моря) подземного археологического памятника — остатков христиан-

этнографический сборник», т. IV, Грозный, 1976, с.103—128; В. А. Кузнецов. Зодчество феодальной Алании, Орджоникидзе, 1977, с. 24; В. Г. Котович. О процессе урбанизации в древнем Дагестане. «Древние и средневековые археологические памятники Дагестана», Махачкала, 1980, с. 93.

[7] См. напр. Теймураз Багратиони. Ук. соч., с. 37; В. Б. Виноградов, Н. Н. Бараниченко. Ук. соч.

[8] Следует отметить, что не выдерживает критики та методологическая линия, которая данными конфессионального порядка народов Северного Кавказа позднего средневековья судит о степени христианизации в среднефеодальную эпоху. См. напр. М. Б. Мужухоев. Средневековая материальная культура горной Ингушетии (XIII—XVII вв.), Грозный, 1977.

[9] За консультации и активное участие в археологических изысканиях, ДГАЭ считает своим приятным долгом выразить глубокую признательность ученому-краеведу, учителю хунзахской средней школы Алибеку Казанбиеву.

ского храма X—XIV вв (до полного археологического изучения памятника от окончательного определения архитектурной сущности постройки воздерживаемся). Здание (ориентировка по линии NO—SW, размеры — 17.03 м.×7.68 м.), построенное на скалистом материке слегка обработанными камнями и туфовыми квадрами (использованные, видимо, для легкости архитектурных конструкций) на земляном растворе, было оштукатурено. В О части здания засвидетельствована «зальная» (т. е. некупольная, однонефная) церковь (6.84×5.18 м), с вписанной в О стену овальной абсидой, которая возвышалась над залом ступенью. Четырехугольный каменный алтарь был пристроен к О стене. У N продольной стены остатки двухступенчатой в плане пилястры, у S стены же — одноступенчатой (вход был с S, или же с W стороны, что пока не совсем ясно). Как явствует из находок строительной керамики-черепицы, здание было перекрыто плоской и желобчатой черепицей и, что особо следует отметить, — глазурованной, применявшейся, как это было принято, на культовых памятниках Грузии XII—XIII вв. в некоторых частях перекрытия[10]. Особое значение имеют также находки фрагментов ангобированных, но почему-то не глазурованных черепиц, что, наряду с другими данными, дает возможность предположить их местное происхождение.

Во время археологических раскопок церкви на горе Акаро было выявлено большое количество поломанных каменных крестов самых разнообразных форм и орнаментации. На большинстве из них имеются надписи мемориального содержания, исполненные древнегрузинскими шрифтами «асомтаврули» и «нусхахуцури», часть из которых палеографически можно отнести к X—XI вв. Как можно заключить по этим обломкам крестов, а также по следам пожара (в алтаре и на строительных камнях), кресты были поломаны, а церковь полностью разрушена (возможно, во времена драматических событий в Хунзахе, упоминающихся в труде арабского географа XIII—XIV вв. Мухаммеда Рафи «Тарих Дагестана»[11], или же тамерлановских нашествий конца XIV в. Завершение раскопок прольет больше света на этот вопрос).

Около с. Амитль, у древней дороги на Хунзахское плато, по правую сторону ущелья р. Тобот, был выявлен и археологически изучен памятник местного народного зодчества, христианская церковь XI—XIII вв. «зального» типа (ориентировка NO—SW; размеры — 11 м.×6 м.). Церковь была построена на склоне, на устроенной для этой цели площадке, из грубо обработанных камней (встречались и обломки кирпичей) на земляном растворе. О часть здания овальная, абсидообразная. Вход устроен в N части W стены. В середине церкви воздвигнут монолитный алтарный камень. Здание было перекрыто плоской и желобчатой черепицей. Отметим, что такого типа культовые постройки хотя и не выделяются архитектурно-декоративными данными, но важны в историко-социологическом плане — построенные сельчанами для религиозной службы, они являются доказательством проникновения христианской религии в глубь, в среду местного населения.

Раскопанные ДГАЭ памятники христианской культовой архитектуры, вместе с выявленными во время археологических разведок в самом Хунзахе и его окрестностях следами церквей и наряду с уже извест-

---

[10] Д. К. Джгамая. Строительная керамика феодальной Грузии. Тбилиси, 1980, с. 39—40, 87, 92 (на груз. яз.).

[11] Тарихи Дербенд-наме, под ред. М. Алиханова-Аварского. Тифлис, 1898, приложение IX, с. 164—175; Д. М. Атаев. Христианские древности Аварии, «Ученые записки», т. IV, Махачкала, 1958, с. 180.

ными («зальная» церковь с. Датуна[12], и отмеченные в сс. Хини[13] и Гаганида)[14]; дают основание утверждать о целой системе христианских культовых сооружений в среднефодальную эпоху на Хунзахском плато и в селах, расположенных на его склонах. Исходя из массовости найденных археологическими раскопками и разведками кровельной черепицы (разнообразной и качественной; особо следует отметить их находки на сельских церквах), предвосхищая открытие очага производства строительной керамики, существует также основание считать их местной продукцией, показателем уровня строительного и керамического искусства и — в целом — культуры средневековой Аварии.

Представляет большой научный интерес зафиксированный в тимпане S двери церкви с. Датуна (единственно наземно сохранившийся в Аварии и в Дагестане памятник средневекового христианского культового зодчества конца X, рубежа X—XI вв.; требует неотложных реставрационных работ) фрагмент настенной живописи[15], что наряду с косвенными данными церквей Акаро и Хини (находки здесь высококачественной штукатурки) дает возможность допустить существование в средневековой Аварии традиции украшать христианские церкви фресковой живописью.

Из христианских древностей Аварии особо следует отметить выявленные ДГАЭ в Хунзахе и в Гидатлинском обществе памятники местной монументальной и мелкой пластики или же скульптуры — рельефные каменные плиты (песчаник; возможно, от алтарных преград или же украшавшие экстерьер культовых сооружений), каменные кресты (известняк, песчаник) самых разнообразных форм и размеров, постамент от креста и резьбы по дереву (двери).

Орнаментальными мотивами (геометрический, ленточный, растительный, пересекающие двухжелобчатые и трехжелобчатые круги, связанные между собой узелками с дырочкой в центре, стилизованные листья, пальметки, заключенные в кругах листики «плакучего» вида, елочные и меняющиеся косые насечки, «гармонеобразный», «шнуровой» орнамент, солярные знаки, розетки, выбитые «пунсоном» концентрические кружочки с точкой внутри; сюжетное изображение людей, борющихся около креста-монумента, крестов и т. д.), стилистическими и техническими особенностями — резьба высоким, а также низким рельефом, энергично-пластическое, а также плоскографическое и графическое, находят много общего среди памятников архитектуры, алтарных преград, монументальной росписи, художественной резьбы по дереву и чеканки Грузии X—XI и XII—XIII вв., что объясняется генетической с ними связью[16]. В то же время нужно отметить и мест-

---

12 Р. О. Шмерлинг. Церковь в с. Датуна в Дагестане, «Мацне» АН ГССР, Тбилиси, 1968, № 2, с. 211—218.

13 П. Яковлев. Новое в изучении Северного Кавказа, «Новый Восток», 1924, с. 246.

14 Д. М. Атаев. Ук. соч., с. 175.

15 Г. Г. Гамбашидзе. Ук. соч., с. 13. О фресковой живописи на христианских культовых памятниках Северного Кавказа, см. А. И. Вольская. Фрагменты фресковой живописи грузинского храма «Хозита Майрам», «Сообщения АН ГССР», т. XV, № 6, Тбилиси, 1954, с. 473—478 (на груз. яз.); Г. Г. Гамбашидзе. Памятники грузинской культуры в Двалетии: «Сабчота хеловнеба», 1976, № 3, с. 72—78 (на груз. яз.); его же. К вопросу..., с. 11; В. А. Кузнецов. Зодчество феодальной Алании, Орджоникидзе, 1977, с. 134, 167—169.

16 О грузино-дагестанских связях в декоративном искусстве Дагестана см. П. Дебиров. Следы грузинско-дагестанских контактов в средневековых памятни-

ные локальные черты, что особенно выражается в схемах композиционных построений, в стилизации и упрощении исполнения отдельных орнаментальных мотивов. В связи с традициями христианской средневековой архитектуры интересно подчеркнуть подмеченное в старинных жилых и культовых сооружениях Дагестана сходство оформления отдельных конструктивных частей фасада со средневековой культовой архитектурой Грузии (напр., мотив в виде пояса, проходящего по фасаду и подчеркивающего верхнюю часть оконных проемов, форма бровки окна с горизонтальными отворотами, а также тип двухпроемного окна с общим арочным завершением[17]. Здесь же следует отметить высказанное на основе изучения кубачинских рельефов второй группы (замковые камни арок, капители, тимпаны, обрамления окон, изготовленные из песчаника и украшенные орнаментом в виде пятилепестковой пальметки или полулиста) предположение об их экспорте из Аварских районов (Гидатль-Хунзах)[18], что, безусловно, хороший показатель развития строительного искусства в отмеченных районах Аварии.

Археологическими разведками и раскопками в Аварии выявлены множество крестов и их изображений разнообразных геральдических типов («греческий, «латинский», «георгиевский», с «вилообразными окончаниями», «лапчатый», «удлиненный лапчатый», «укороченный лапчатый» с шаровидными окончаниями, «лапчатый с процветшими и лапчатыми крестиками», комбинированный — с «треугольными и вилообразными» окончаниями, «шаровые» с цилиндрическими окончаниями и т. д.) на строительных камнях, на маленьких каменных квадрах, нательные металлические кресты и скульптурные — малых и больших размеров (сс. Хунзах, Акаро, Гиничутль, Ахалчи, Чондотль, Обода, Гидатлинское общество, Гоор, Кахиб, Батлух, Тлонтода, Хуштада, Чох). Эти последние кресты-монументы (сс. Хунзах, Кудутль), которые в литературе датируются XII—XIII вв., видимо, нужно отнести ко времени распространения христианства в Аварии (ср. с аналогичным явлением — возведения крестов времен крещения в раннехристианскую эпоху Грузии)[19] и дату их появления, соответственно, перенести на более раннее время, чем XII—XIII вв. Отметим также, что встречаются кресты и на камнях с изображениями всадников, животных, «вавилонов»[20], в сценах охоты; вписаны они в орнамент, а также

ках монументально-декоративного искусства Дагестана, «II международный симпозиум по грузинскому искусству», Тбилиси, 1977; А. Иванов. Ук. соч., там же, литература по данной теме.

[17] П. Дебиров. Ук. соч., с. 2—3.

[18] А. Иванов. Ук. соч., с. 3—5.

[19] Р. М. Рамишвили. Археологические памятники Иорского ущелья. Сиони, 1970, Тбилиси, с. 30—31 (на груз. яз.).

[20] Отметим, что изображения «вавилонов» (вписанные друг в друга квадратики с пересекающимися линиями) на кирпичах, черепицах, камнях часто встречаются на археологических памятниках средневековья Азии — Европы. В научной литературе высказано предположение, что они представляют логарифмические линейки и связаны со строительным делом (см. Б. А. Рыбаков. Архитектурная математика древнерусских зодчих. «СА», 1957, № 1, с. 108). В действительности, как это явствует из этнографических данных Дагестана и Грузии (см. Н. С. Гогоберидзе. Народные способы воспитания в горных областях Восточной Грузии, Тбилиси, 1975, с. 15; ее же. Народные игры-развлечения в Гурии, «Материалы для этнографического изучения Гурии», Тбилиси, 1980, с. 144, (на груз. яз.), они представляют собой доски для игры камешками, типа «шашек», игра в которую, видимо, была широко распространена.

встречаются в антураже астральных знаков, причем кресты часто геральдических типов. Думается, что в таких случаях имеем дело или с синкретическим явлением изображения символов языческой и христианской религии, или же можно заключить, что астральный символ под влиянием христианской культуры принимает иконографическую форму христианского символа. Изображены кресты и на предметах утилитарного назначения (дерево, металл, ткани) явно позднего происхождения, что, видимо, нужно расценивать как орнаментальную реминисценцию символа христианской религии.

На сегодняшнем уровне изучения существования христианской религии и культуры на Северном Кавказе нам кажется методологически неоправданным во время семасиологического анализа изображений крестов исходить только с позиций языческого конфессионального монизма (Б. Плечке, М. Мужухоев и др.). По нашему мнению, с христианского периода истории северокавказских народов семантика изображений креста дуалистическо-синкретическая, крест (солярный знак) + крест (символ христианской религии) и вопрос о том, какая основа доминирует, должен быть рассмотрен как во времени (в какой эпохе, периоде) так и в пространстве (в каком регионе — в центре или периферии). Вместе с тем, во время рассматривания предмета в обоих этих измерениях должна учитываться и степень распространенности христианской религии и культуры.

Исключительную важность для освещения интересующих нас проблем распространения христианской культуры в Аварии и грузинско-дагестанских культурно-исторических взаимоотношений в средневековье представляют найденные на территории Аварии (в основном Хунзахе и его окрестностях) памятники древнегрузинской письменности, с XIX в. привлекающие к себе внимание ученых[21]. Большое количество древнегрузинской эпиграфики найдено и ДГАЭ. Они представляют собой лапидарные надписи, углубленно высеченные на каменных скульптурных крестах или же каменных квадрах с высеченными на них изображениями крестов, и на строительных камнях, принадлежавших, видимо, культовым сооружениям — церквам. По своим внешним признакам, содержанию и по находкам in situ во время раскопок церкви на горе Акаро, первые из них можно считать крестами, вставленными в стены церквей и их ниш. Особо отметим, что некоторые из них кругового осмотра — с надписями орнаментами с разных сторон. Судя же по происходившей из Хунзаха незаконченной маленькой четырхугольной базе-постаменте X—XI вв. (в верхней части с четырехугольным углублением для креста и с орнаментальной композицией и изображениями людей), можно заключить, что некоторые из крестов вставлялись в них, представляя собой кресты с постаментами, молебно-владыческие памятники. До выявления новых материалов утверждать о том, что кресты с надписями являлись и надгробными

[21] Е. Такаишвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, Тифлис, 1905, с. 63; А. С. Чикобава. Грузино-аварская надпись XIV в. из Дагестана, Сообщения грузинского филиала АН СССР, т. I, № 4, Тбилиси, 1940, с. 321—327 (на груз. яз.); Н. Я. Марр. Албанская надпись. «Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях ИИМК», вып. XV, М., 1947, с. 238—252; Т. Е. Гудава. Две надписи (грузинская и грузино-аварская) из Дагестана, «Материалы по истории Грузии и Кавказа», Тбилиси, 1954, вып. 30, с.185—196 (на груз. яз.), Д. Атаев. Каменные кресты из окрестностей Хунзаха. «МАД», т. I, Махачкала, 1959, с. 182—185; Е. М. Шиллинг. Дагестанская экспедиция 1945 г. «КСИЭ», 1947, с. 19.

крестами-эпитафиями, мы воздерживаемся[22]. Что же касается крестов без надписей, то они зафиксированы во втором ярусе Урадинского (Гидатлинское общество) могильника XI—XIV вв, и, исходя из условий нахождения, высказано предположение, что они связаны с погребениями — употреблялись в качестве надмогильных памятников[23].

По содержанию найденные в Аварии древнегрузинские надписи— мемориальные и строительные, которые имеют также и юридическое значение. Надписи исполнены каллиграфически древнегрузинскими шрифтами «асомтаврули» и «нусхахуцури» на грузинском языке, часть же двуязычна—исполнена на грузинском и аварском языках. По своим палографическим признакам (очертание букв и титлов — в некоторых надписях «стрелообразным» и «точкообразным» окончанием их краев), разделительные знаки, отделение слов друг от друга, сокращения, лигатура, влияние письма «нусхури» на «асомтаврули», смешение букв «нусхури» и «асомтаврули», двухлинейное и четырехлинейное письмо и т. д. дает возможность датировать некоторые надписи X—XI, часть же — XII—XIII вв. Эти памятники дают ценные сведения о широкой распространенности грузинской письменности и языка, о богослужении на грузинском языке, о существовании местной письменности на основе древнегрузинской графической системы[24], об исторической ономастике и христианских культах в средневековой Аварии, дают датирующую информацию о хронологическом диапазоне христианской культуры, ее развития и т. д.

В северо-восточной части Хунзаха, над каньоном, ДГАЭ выявлен большой средневековый христианский могильник. Под культурным слоем среднефеодальной эпохи, состоявшим из фрагментов керамики (среди них и глазурованной), обломков кровельной черепицы, обработанных строительных камней и архитектурных деталей, под каменной наброской были выявлены расположенные системно, правильными рядами, частично потревоженные «кладоискателями» 11 погребений. Ориентированные по линии O—W (с некоторым отклонением), в основном прямоугольные в плане (расширенные в W части) погребения были высечены в скалистом материке. В разрезе они с «заплечиками», на которых укладывались каменные плиты перекрытия. В могилах встречались кусочки извести и древесные угольки. Погребения были и индивидуальные (№№ 2, 4, 7, 8, 9 (?), 11) и коллективные семейные (в погребении № 3 засвидетельствованы останки муж-

[22] Такое предположение по их находкам в районе «Тад Раал», в Хунзахе высказано. Хотя они и найдены в старом районе Хунзаха, где можно допустить и существование средневекового христианского кладбища, но, во-первых, по раскопкам 1951, 1956 гг. (см. Д. М. Атаев. Христианские..., с. 170, 173, табл. II_2, IV_1, V, I), и 1977 гг., этот могильник в действительности не X—XII или XIV—XV вв, как это считалось, а II трети XIX в. (см. Г. Г. Гамбашидзе. Отчет грузинско-дагестанской археологической экспедиции: «Полевые археологические исследования в 1977 году», Тбилиси, 1980, с. 282—283); во-вторых, по поднятой на «Тад Раале» кровельной черепице можно допустить и существование там средневековой христианской церкви, и эти кресты с надписями (датируемые X—XII вв. — См. Д. М. Атаев. Христианские..., с.173) возможно, и происходят из этого памятника.

[23] В. Г. Котович. Археологические работы в горном Дагестане. МАД, т. II, Махачкала, 1961, с. 42—45, рис. 27.

[24] Ср. с аналогичным явлением в средневековой Ингушетии. См. Г. Г. Гамбашидзе. К вопросу..., с. 12. О распространенности грузинского языка и письменности до тамерлановского времени в Дагестане. См. Теймураз Багратиони. История Иверии, СПб, 1848, с. 36—37.

чины 40—45 лет, женщины 20—25 лет и подростка 13—14 лет[25]; в погребении № 10 останки взрослого и двух подростков. В непотревоженных могилах зафиксированы головой на W лежавшие на спине покойники; руки были положены в области живота (погр. №№ 2, 3); в погребениях №№ 7, 8, 10 — левая рука в области живота, правая же — вдоль тела. Инвентарь во всех погребениях отсутствовал.

В связи с раскопанными на окраине Хунзаха погребениями, находившими много общего в некоторых средневековых могильниках Аварии (особенно в Урадинском и Галлинском)[26], можно вынести следующие основные заключения историко-религиозного характера: могильник — городского типа, возможно, имевший свою церковь; обряд погребения (ориентировка могил и покойников, вытянутость на спине, безынвентарность, каноническо-христианские; пережитком древнего языческого обряда можно посчитать находки кусочков извести и угля, а также и расположение рук покойников; индивидуальность могил — факт распада большой патриархальной семьи, а повторность и коллективность (погр. №№ 3, 10) уже в условиях существования малой семьи, факт пережитка старой традиции — вместе хоронить близких родственников.

С христианскими могильниками, которые дают первостепенную научную информацию о христианизации средневековой Аварии, связаны и находки по типу архаичных металлических нательных крестов из Ахалчи (бронзовый — «перекрещенный шаровой» тип, находивший точные аналоги в материалах VIII—XI вв. горной Грузии — Тушети[27]; хранится в краеведческом музее с. Ахалчи), из Хварша (квадратный в сечении, с рифленными, расширенными и расчлененными концами), из Арани-Гиничутль (бронзовое, имеет утолщенные и закругленные в концах ромбические в сечении крылья; хранится в краеведческом музее с. Арани), из Хунзаха (медная, плоская, с расширенными концами).

Для осмысления христианства в Аварии также представляют большую научную значимость данные арабской эпиграфики Аварии[28], этнографии (и исторической)[29], фольклорные и языковые (ономастика, топонимика, культовая лексика).

Интенсификация христианства в Аварии в X—XIV вв. хорошо иллюстрируется и данными письменных источников. Так, если у Ибн-Руста в «Книге драгоценных камней (написано около 912 г.) отмечается, что «все обитатели крепости (царя — Г. Г.) — христиане, а все остальные жители страны — язычники»[30], то по приписке от 1310 г. к евангелию, принадлежащему Л. А. Магалашвили, предполагается на

---

25 Антропологическое определение — зав. отделом антропологии ИИАЭ им. И. А. Джавахишвили АН ГССР, проф. М. Г. Абдушелишвили.

26 Д. М. Атаев. Христианские древности..., с. 163—165; его же. Некоторые средневековые могильники Аварии. «МАД», т. II, Махачкала, 1961, с. 223—247; В. Г. Котович. Археологические работы в горном Дагестане. «МАД», т. II, с. 38—56.

27 Р. М. Долаберидзе. Археологический материал из села Шенако (Тушети). Тб., 1973, табл. 1—3 (на груз. яз.).

28 См., напр. Д. М. Атаев. Ук. соч., с. 181; Г. Г. Гамбашидзе. Отчет... с. 291.

29 См, напр: Данные Ибн-Руста о Ас-Сарире; В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда X—XI веков. М., 1963, с. 219—220; П. К. Услар. Этнография Кавказа, т. Аварский язык, с. 62.

30 В. Ф. Минорский. Ук. соч., с. 219.

территории Дагестана во времена царствования Гиоргия V Блистательного и святительствования патриарха Грузии Еквтимэ, существование нескольких епархий (Анцухского, Цахурского и Хунзахского)[31]. И, наконец, следует отметить бесценное по своей научной значимости упоминание «хундзского католикоса Окропири» в синодике XV в. одного из грузинских монастырей на Синае, отождествляемого с примасом митрополии, чем и заключается существование в Дегестане митрополии грузинской православной церкви[32].

Исходя из перечисленных материальных и письменных данных, в рассуждениях о степени христианизации Аварии в среднефеодальную эпоху, думается, есть весомые аргументы допустить существование официального феодально-клерикального течения религии, близкого с ортодоксально-догматическими нормами, которое может развиться только при существовании официальной церковной организации и при поддержке государственной власти[33].

Хунзахское плато своим хозяйственно-пространственным императивом выделялось во всей стране «ущелий и гор» Аварии пересекающими его дорогами, связывающими на юго-западе с Грузией и Азербайджаном, на северо-западе — с Чечней, на востоке — с Прикаспийскими районами Дагестана; стратегичностью — природной труднодоступностью и укрепленными поселками, служившей, видимо, цитаделью города — горой Акаро, множеством христианских культовых построек, крытых черепицей. Об этом говорят находки культовых произведений монументальной и мелкой скульптуры местного исполнения и огромное количество символов христианской религии — монументальных и малых размеров каменных и металлических крестов и их изображений, находки древнегрузинской эпиграфики, исполненной местными мастерами-каллиграфами, местной и импортной продукции (керамика, металл, стекло), украшения «городского» типа (стеклянные браслеты и кольца, кладбища городского типа (унифицированные погребения почти с каноническим христианским обрядом захоронения), керамический водопровод (зафиксированный на склонах горы Акаро и в Хунзахе), который является показателем высокой гидротехнической культуры. Все это дает основание утверждать о развитой урбанизации[34] Хунзаха уже в X—XI вв. с вытекающими отсюда выводами об уровнях производительных сил, феодальной общественной структуры и культуры средневековой Аварии.

В связи с этими реалиями древнего Хунзаха, думается, существуют все основания увериться в правомерности локализации столицы упоминаемого в арабских источниках раннесредневекового (VI—XI вв) царства ас-Сарир[35] (занимавшего центральную и западную части тер-

---

31 К. С. Кекелидзе. К истории грузинской культуры в эпоху монгольского господства. «Этюды по истории древнегрузинской литературы», т. II, Тбилиси, 1945, с. 318—319 (на груз. языке).

32 Там же, с. 319, прим 1, 2.

33 Ср. С. Ц. Умаров. О некоторых особенностях этнизации отдельных христианских культов в Чечено-Ингушетии. «Археология и вопросы этнической истории Северного Кавказа», Грозный, 1979, с. 125—131.

34 О проблеме урбанизации в Дагестане, см. В. Г. Котович. О процессе урбанизации в древнем Дагестане. «Древние и средневековые археологические памятники Дагестана», Махачкала, 1980, с. 78—93.

35 В. М. Бейлис. Из истории Дагестана VI—XI вв. (Сарир). «Исторические записки», № 73, М., 1963, с. 249—266; В. Ф. Минорский. Ук.соч., сс. 132—137, 203—204, 217—220.

ритории теперешнего Дагестана, населенные аварцами), называемом в историко-географическом труде Мас'уди — «Россыпи золота» (законченного в 943 г.)[36] — «Хумраджъ[37], — «Дж. мр. дж.»[38], — Х. мз. х»[39], в юго-восточной части Хунзахского плато, на месте теперешнего Хунзаха[40].

Упоминающуюся же у Ибн Руста в его «Книге драгоценных камней» (Ибн Руста использовал данные анонима, побывавшего в ас-Сарире)[41] **«царскую крепость»**, стоящую **«на вершине горы, которая имеет площадь 4×4 фарсаха и окружена каменной стеной»**[42], логическо-грамматическим анализом текста, своим стратегическим и фортификационными данными и данными начатых археологических раскопок, думается, вполне можно определить, как цитадель города — резиденцию правителя и локализовать на возвышающейся над Хунзахским плато горе Акаро, тем самым отклоняя принятое в научной литературе (В. Ф. Минорский, В. М. Бейлис) механическое идентифицирование отмеченной у Мас'уди «столицы царства» с упоминаемой у Ибн Руста «царской крепостью».

Таковы, в общем, достижения ДГАЭ в изучении вопросов христи-

---

36 В. Ф. Минорский. Ук. соч., с. 188. прим. I.

37 Н. А. Караулов. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане: «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. 38, Тифлис, с. 53.

38 В. Ф. Минорский. Ук. соч., с. 204.

39 В. М. Бейлис. Ук. соч., с.251. Отметим, что у В. М. Бейлиса под этим именем называется: «замок царя Сарира», что получилось из того, что он механически связал «замок царя» из текста Ибн-Руста с именем «столицы» царства, упоминаемого в тексте Мас'уди.

40 В. Ф. Минорский. Ук. соч., с. 204, 219, прм. 8; В. М. Бейлис. Ук. соч., с. 251; Отметим, что Н. А. Караулов a priori локализовал его в Гимры при слиянии Андийского и Аварского Кой-су; см. Н. А. Караулов. Ук. соч., с. 53; прим. 100 на с. 73; там же, с. 129, «карту Кавказского края, Армении и Азербайджана, составленную по сведениям арабских географов IX—X вв». Для этимологии названия исторического центра Аварии — Хунзаха, а также этнонима — „xunzi" грузинских средневековых источников, думается представляет несомненный интерес упоминающееся у известных грузинских историков Леонти Мровели (XI в.) и Вахушти Багратиони (XVIII в.) имя потомка эпонима дагестанских народов Лекана (сына единого праотца кавказских народов Таргамоса из известной этногенетической концепции народов Кавказа по Леонти Мровели) — эпоним „xoroniII xozadnixi" (см. «Картлис цховреба» (История Грузии), грузинский текст, т. 1. Тбилиси, 1955, с. 12/18, 14/6; т. IV, Тбилиси, 1973, с. 632/9), который основал в горах страны Лекана, город — „xozanix — eti — „xozonx—eti" (см. „КЦ", т. 1, с. 12/20; т. IV, с. 632/11.

Трасформация названия «Хунзаха» нам представляется в следующем виде — xozanixi→xuzanixi—xunzaxi —xunzax и этнонима „xunzi":xozoni→xuzoni→xunzi.

41 В. Ф. Минорский. Ук. соч., с. 217.

42 Там же, с. 219. Следует подчеркнуть, что в данном переводе по грамматической связке не совсем ясно: слова «которая имеет» относятся к «царской крепости», к «вершине горы» или «к горе». Также неясно, к какому из вышеперечисленных пунктов относятся следующие слова: «...и окружена каменной стеной». Следует также отметить, что В. Ф. Минорский, как и В. М. Бейлис (см. выше. прим. 39) идентифицировал друг с другом упомянутую у ал-Мас'уди «столицу» царства, называемую «Дж. мр. дж» (которое расшифровывал как «Хумзах, или Хунзах». см. его ук. соч., с. 204) с упомянутой Ибн-Руста «царской крепостью» (см. его ук. соч., с. 218) и допускал вероятность, что это «Хунзах, расположенный на плато над левым берегом Аварского Кой-су». (см. его ук. соч., с. 219, прим. 8). В связи с пере-

анской культуры и грузинско-дагестанских исторических взаимоотношений в средневековье. ДГАЭ своей ближайшей целью ставит продолжение изысканий данных исторических проблем на Хунзахской возвышенности, а также на средневековых поселениях, расположенных в пограничных с Грузией районах, где, как явствует из археологических разведок, в X—XV вв. функционировали крупные укрепленные поселения типа городищ[43].

водом данного текста Ибн-Руста по Н. А. Караулову «...вплоть до замка царя, этот замок находится на вершине горы; он имеет четыре фарсаха в длину и столько же в ширину, и окружает его стена из камня» (см. его ук. соч., с. 47), нужно отметить, что в его переводе местоимение «он» относится к «замку», из чего выходит, что этот «замок» имеет площадь 4×4 фарсаха, что приблизительно равняется 24—28 км×24—28 км, что кажется немыслимым. По нашему мнению, приведенные размеры должны относиться к «горе». И в действительности, гора над левым берегом Аварского Кой-су, создающая Хунзахское плато, приблизительно соответствует этим размерам. Что же касается горы Акаро (своей стратегичностью, рельефными и фортификационными данными: с N и с S она недоступна, с 0, откуда поднимется древняя дорога на вершину Акаро, она перекрывалась оградительной стеной, углубление от двери которой и сейчас существует; археологическими данными — церковь, остатки других монументальных сооружений), она по отношению к Хунзахскому плато действительно представляет вершину горы, на которой, по нашему мнению, располагался упоминающийся в тексте «замок» царя. Что же касается последних слов данного текста «...и окружает его стена из камня», они в переводе Н. А. Караулова, относятся опять к «замку», но думается, их можно отнести и к «вершине горы. Отметим также, что в тексте Ибн-Руста, который касается «ас-Сарира», дается достаточно дифференцированная номенклатура терминов, обозначающая населенные пункты (напр., «царская крепость», «город», «поместье», «деревни», «страна»). Думается, что и в этом факте видна тенденция автора отдельно выделить «царскую крепость», не идентифицируя ее с городом или со «столицею» (как называется у Мас'уди «Дж. мр. дж» — Хунзах). Следует констатировать и то, что в упомянутых в главе о «ас-Сарире» конкретных населенных географических пунктах по каким-то причинам только в двух случаях они не именуются. В одном случае — это «крепость царя», в другом — «город», где осведомитель Ибн-Руста фиксирует интересный погребальный обряд сарирцев (по контексту и по последовательности повествования возможно, что это город, который находился около «крепости царя», т. е. — Хунзах?). В других же случаях эти пункты обозначаются поименно. Исходя из всего вышесказанного, внутреннюю грамматическо-логическую связку вышеотмеченного текста Ибн-Руста, мы представляем в следующем виде (текст дается по варианту В. Ф. Минорского) — «... **царской крепости; она стоит на вершине горы, которая** (т. е. «гора» — Г. Г.) **имеет площадь 4×4 фарсаха и окружена** (крепость или же вершина — Г. Г.) **каменной стеной**».

[43] См. Д. М. Магомедов. Средневековые поселения горного Дагестана, «Материалы сессии, посвященной итогам экспедиционных исследований ИИЯЛ в 1980—1981 гг.», Махачкала, 1982, с. 32—33.

Представлена Центром археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. акад. И. А. Джавахишвили АН ГССР,

ᲖᲐᲜᲐᲜᲐ ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ

ᲒᲕᲘᲐᲜᲐᲚᲔᲝᲚᲘᲗᲣᲠ ᲥᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ცნობილია, რომ ქვის ხანის პერიოდები ასახავენ პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის ერთი მეორის ქრონოლოგიურად მომდევნო საფეხურებს, რომლებსაც განასხვავებს როგორც იარაღთა მთელი რიგი მორფოლოგიური, ტიპოლოგიური და ტექნიკური ნიშნები, ისე მეურნეობის ხასიათი და სოციალური ყოფა.

მორფოლოგიური ანალიზი აღწერითი ელემენტების თავისებურ ჯამს წარმოადგენს, ტექნიკური ანალიზის საფუძველზე კი ხდება ნამზადთა სახეების, მათი მიღების ხერხების, მეორადი დამუშავების ხასიათის, ანუ რეტუშის გარჩევა, ხოლო ტიპოლოგიური ანალიზი მიზნად ისახავს ყველა ამ ნიშნის (როგორც მორფოლოგიურის, ისე ტექნიკურის) სინთეზს, რასაც ემატება, ამავე დროს იარაღთა ფუნქციური დანიშნულება და სტატისტიკური ანალიზი. ამ ნიშანთა განსაზღვრული ერთობლიობა ახასიათებს ერთ რომელიმე ეპოქას, ერთ კულტურას[1].

მხოლოდ ნიშანთა მთელი ეს ერთობლიობა გვაძლევს შესაძლებლობას ობიექტურად შევაფასოთ ესა თუ ის ქვის ხანის ინდუსტრია, გავარკვიოთ მისი შედარებითი ქრონოლოგიური ადგილი და კულტურული თავისებურებანი.

ხსენებული ნიშნებიდან ქვის ხანის გარკვეულ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორად დამუშავებას — რეტუშის სახეებს.

სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, რადგან მეორად ტექნიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია არ არის საკმარისად დამუშავებული და ხშირ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს.

უკვე ჩვენში მთელი რიგი მკვლევრებისა გულდასმით იკვლევენ ამ საკითხს, კერძოდ რეტუშის სახეებს, მისი დაცემის კუთხეს, განლაგებას იარაღის კიდესა თუ ზედაპირზე[2].

ქვის ხანის არქეოლოგიაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი ფრანგული ენიდან მომდინარეობს. ასეთებია ქვის ხანის საყოველთაოდ ცნობილი ქრონოლოგიური საფეხურების სახელწოდებები (აშელი, მუსტიე, ორინიაკი და სხვ.) გარდა, მრავალი იარაღისა და ნამზადის სახელ-

---

[1] André Leroi-Gourhan, Gérard Bailloud, Jean Chavillon, Annette Laming-Emperaire, La prehistoire Presses Universitaires de France, 1967, გვ. 245.

[2] Л. Вертиш, Опыт исследования перехода от мустьерской эпохи к верхнему палеолиту на основе венгерского материала-Стратиграфия и периодизация палеолита Восточной и Центральной Европы. 1965; М. Р. Сулейманов, Статистическое изучение культуры грота Оби-Рахмат, Ташкент, 1972.

წოდება, მაგალითად ნუკლეუსი, ლამელა, გრავეტი, შატელპერონი და სხვ. ეს ტერმინები თითქმის ერთნაირად ჟღერს ყველა ენაზე და მტკიცედ არის დამკვიდრებული მსოფლიო არქეოლოგიაში. არსებობს მთელი რიგი იარაღთა სახელწოდებებისა, რომლებშიც მათი ფუნქციური დანიშნულებაც აისახება. მაგალითად, „საფხეკი“, ფრანგულად-„gratoire“, რუსულად-«скребок»; „საჭრისი“-„burin“-«резец»; „სახვრეტი“-„pergoire“-«проколка» და სხვ., რომლებიც შესაბამისად გამოიყენებოდნენ გასაფხეკად, გასაჭრელად, გასახვრეტად.

სამწუხაროდ, არც თუ იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ერთსა და იმავე იარაღს სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ სახელს უწოდებს, რაც მეტად ართულებს არქეოლოგიური კომპლექსების ანალიზსა და შეპირისპირებას (ჩვენ ვცადეთ ზოგიერთი სახელწოდების რამდენადმე დაზუსტება[3], მაგრამ ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის მოგვარება რთული საქმეა, რომელიც არაერთი სპეციალისტის გულმოდგინე შრომასა და მონდომებას მოითხოვს.

მეტად სუბიექტურ ხასიათს ატარებს რეტუშის სახეებთან დაკავშირებული ტერმინების ხმარება. ამ ტერმინების უმეტესობა რუსულიდან არის თარგმნილი. ბევრი მკვლევარი თავისი კომპლექსის აღწერის დროს თვითონვე ცდილობს ამ სახელწოდებათა დაზუსტებას, რის გამოც ერთი და იგივე რეტუში ხშირ შემთხვევაში სხვადასხვანაირად აღინიშნება. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება სულაც არ აადვილებს არქეოლოგიური კომპლექსების დამუშავებას. ზოგიერთ შემთხვევაში ძნელი ამოსაცნობია, თუ რას გულისხმობს ავტორი ამა თუ იმ სახელწოდებაში. ამ ტიპის ტერმინებს ეკუთვნის, მაგალითად, „მოპირდაპირე რეტუში“, „გარდიგარდმო მდებარე რეტუში“, სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული რეტუში“, „ერთი მეორის მიმართ შემხვედრი რეტუში-, „ურთიერთშემხვედრი რეტუში“, „ურთიერთსაწინააღმდეგო რეტუში“. აღწერიდან ჩანს, რომ აქ ყველა ამ შემთხვევაში იგულისხმება რეტუში გაკეთებული ლამელისა თუ ანატკეცის ცალ გვერდზე ზედა სიბრტყიდან, მეორეზე კი ქვედა სიბრტყიდან (რუსულად იხმარება «противолежащая ретушь», ფრანგულად-„alterne“. ჩამოთვლილი მრავალრიცხოვანი სახელწოდებიდან ამ სახის რეტუშისათვის უფრო მართებულად მიგვაჩნია „გარდიგარდმო განლაგებული რეტუში“. ამავე დროს „შემხვედრი რეტუში“, „ურთიერთშემხვედრი რეტუში“, „ერთი მეორის მიმართ შემხვედრი რეტუში“, „ურთიერთსაწინააღმდეგო რეტუში“ ასევე აღწერიდან ჩანს ხშირად გულისხმობს რეტუშს დატანილს ლამელა-ანატკეცის ერთსა და იმავე გვერდზე ორივე სიბრტყიდან (რუსულად მას უწოდებენ «встречная ретушь», ფრანგულად- „la retouche rencontre“.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ მთელი რიგი მაგალითებისა სხვა სახის რეტუშებზე, მაგალითად, ხშირად ერთი მნიშვნელობით იხმარება „მძივისებური“ და „ფაქიზი“ რეტუშები (რუსულად «бисерообразная ретушь», ფრანგულად-„la retouche fine“); ხშირად იხმარება „მსხვილფაცეტიანი“ ან „თხელფაცეტიანი“ რეტუშები, მაგრამ ეს „მსხვილფაცეტიანი“ და „თხელფაცეტიანი“ როგორია-ბლაგვი დამრეცი თუ შემღწევი და ა. შ. არაა აღნიშნული, ე. ი. არაა აღნიშნული რეტუშის დახრის კუთხე. ან კიდევ: „მკვეთრი სრული“ რეტუში-სრულიად გაუგებარია აქ რა იგულისხმება მკვეთრი რეტუშით

[3] მ. გ ა ბ უ ნ ი ა, ეძანის ეხის ქვის ინვენტარის სტატისტიკური მეთოდით შესწავლის შედეგები, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“ VI, თბ., 1974, გვ. 52—69.

დაბლაგული ან „მაღალი ციცაბო რეტუში“-ციცაბო რეტუში შეიძლება ქმნიდეს მაღალ სამუშაო პირს, თვითონ კი არაა მაღალი და ა. შ.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ვერც ქართული და ვერც რუსული სახელწოდებები ხშირ შემთხვევაში ვერ ასახავენ რეტუშის ჭეშმარიტ ხასიათს.

იმისათვის, რომ ამ ტერმინების მეტ-ნაკლები უნიფიცირება მოვახდინოთ, რა თქმა უნდა, ისევ პირველწყაროს უნდა მივუბრუნდეთ — ამ შემთხვევაში ფრანგულ ენას, შესაბამის ტერმინოლოგიას ფრანგულში არა ერთი სტატია და წიგნიც კი მიეძღვნა და იგი შეუდარებლად უკეთაა დამუშავებული, ვიდრე სხვა ენებში.

ჩვენ არა გვაქვს მიზნად დასახული სხვადასხვა რეტუშის ყველა ნიუანსის ამომწურავად დახასიათება, მაგრამ შევეცდებით რამდენადმე დავაზუსტოთ რეტუშის ძირითადი სახეების სახელწოდებები.

უწინარეს ყოვლისა, გავიხსენოთ თუ რას გულისხმობენ რეტუშში? ეს არის ოპერაცია, რომლის მიზანია გათალოს, წაამახვილოს ან დაბლაგვოს ქვის თავი, მისი ბოლო ან გვერდი, გამოკვეთოს სამუშაო ნაწილი, მისცეს ქვას განსაზღვრული ფორმა (მის ნაპირებს, ზედაპირს)[4].

რეტუში ძალიან მრავალფეროვანია: ხშირად ოდნავ, ზოგჯერ კი არსებითად განსხვავებული. თითოეული რეტუშის სახე განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვის ხანის რომელიმე გარკვეული საფეხურისათვის. მაგალითად, ქვედა პალეოლითის ადრეულ საფეხურზე მიმართავენ კაჭრის ორმხრივ გათლას, გაჩორკვნას. ოდნავ მოგვიანო საფეხურზე ძირითადია მსხვილი და ფართოფაცეტოვანი რეტუში, რომელიც ქმნის მაღალ ან თხელ სამუშაო პირს და სხვ. ხშირად იხმარება ლიტერატურაში ორინიაკული (განიერი მოკლე ფაცეტები) ან სოლუტრეს რეტუში (მცოცავი, დამფარავი). გავრცელებულია წამამახვილებელი — მჭრელი პირის შემქმნელი (ნახ. 16, 16 ა), ან დამაბლაგვებელი — ბლაგვი ნაპირის შემქმნელი რეტუშები (ნახ. 17 ა), არის შემღწევი რეტუში, რომელიც ნაწილობრივ გადმოდის ქვის ნაწარმის ერთ-ერთ ან ორივე სიბრტყეზე (ნახ. 16, 16 ა), პარალელური რეტუში — ვიწრო, მოგრძო ფაცეტები ურთიერთპარალელურად, სიმეტრიულად განლაგებული (ნახ. 22, 23). და სხვ.

რეტუშის განსაზღვრული სახეები გამოიყოფა ამა თუ იმ იარაღთა დასამზადებლად, თუმცა ზოგ შემთხვევაში რეტუში ცვლის იარაღის გარეგნულ ფორმას და არ იძლევა დიდ ტიპოლოგიურ სხვაობას.

რეტუშის ესა თუ ის სახე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვის ხანის ამა თუ იმ საფეხურისათვის უფრო ხშირად კი სხვადასხვა რეტუშის სახე ერთ საფეხურზე არსებობს. ერთ-ერთი ტიპის რეტუში, ან სხვადასხვა სახის რეტუშის კომბინაცია ერთსა და იმავე ქვაზე აძლევს მას ამა თუ იმ ფაციესისათვის დამახასიათებელ სახეს[5].

როგორც ვხედავთ, იარაღის განსაზღვრაში რეტუშს მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება. ამიტომ დაწვრილებით აღნიშნავენ რეტუშის გაკეთების ტექნიკას, ლოკალიზაციას, მის დახრის კუთხეს, მიმართულებას, პროპორციებს[6].

---

[4] M. Breillon, Dictionnaire de la prehistoire. Librairie Larusse, 1969, A. Leroi —Gourhan, G. Bailloud, J. Chavillon, A. Laming-Emperaire. დასახ. ნაშრომი, გვ. 206

[5] A.Leroi-Gourhan, G. Bailloud, J. Chavillon, A. Laming-Emperaire. დასახ. ნაშრომი გვ. 253

[6] იქვე.

რეტუში კეთდება დარტყმის ან წნევითი ტექნიკის საშუალებით.

დარტყმა ხდება ქვით, ძვლით ან ხით. იმის და მიხედვით თუ რა მასალით ხდება დარტყმა და რა კუთხით, შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა სახის რეტუში. ბუნებრივია ქვის დარტყმით ამოღებული ქერცლები უფრო უხეში იქნება, ვიდრე ძვლითა და ხით ამოღებული.

წნევითი რეტუში ქვის ხანის მოგვიანო საფეხურზე ვრცელდება. პატარა ნამზადის კიდეზე დაყრდნობით, დაწოლით იტკიცება პატარ-პატარა, მსუბუქი ქერცლები.

თუ რეტუში ქვის (ანატკეცის, ლამელის) გვერდის (ნაპირის) ან სიბრტყის ერთ ზედაპირს მისდევს, მაგალითად, ზურგის მხარეს, მაშინ ის არის ცალმხრივი, უნიფასიალური, თუ ორივე არეს — ორმხრივი, ბიფასიალური (ნახ. 1,



2, 3, 4). ყველა შემთხვევაში, როდესაც წნევის ან დარტყმის ტექნიკა გამოყენებულია რეტუშის გასაკეთებლად ზურგის მხარეზე (ზედა სიბრტყეზე) მას პირდაპირ რეტუშს უწოდებენ. რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში რეტუშის ეს სახე დახასიათებულია ხან როგორც „прямая“ (ფრანგულიდან ზუსტი თარგმანი), რომელიც ცოტა არ იყოს გაუგებარია, არ გადმოსცემს რეტუშის არსს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც „лицевая“. ეს უკანასკნელი უფრო შეე-



საბამება ჭეშმარიტებას, შესაბამისად ქართულად რეტუშის ამ სახის აღსანიშნავად სასურველია ვიხმაროთ ტერმინი „ფასიალური“ (ნახ. 3), თუ კი რეტუში ქვედა სიბრტყეზე კეთდება მაშინ ის შებრუნებული, ანუ ინვერსიულია (ნახ. 4), ხოლო იმ შემთხვევაში თუ ლამელა-ანატკეცის კიდეზე რეტუში ფასიალურიცაა და ინვერსიულიც, მას შემხვედრი ეწოდება (ნახ. 5, 13). როდესაც რეტუში ერთი და იმავე გვერდის ხან ზედა სიბრტყიდანაა და ხან ქვედა სიბრტყიდან, ე. ი. მონაცვლეობს ფასიალური და ინვერსიული რეტუშები, მას მონაცვლეობითი ეწოდება (ნახ. 6).



ნახ 8



ნახ. 9



ნახ. 10

რეტუში, როგორც ფასიალური, ისე ინვერსიული, შემხვედრი და მონაცვლეობითი შეიძლება იყოს გაბმული და წყვეტილი. გაბმული გასდევს ნაპირს მთელ სიგრძეზე (ნახ. 7), ხოლო წყვეტილი რეტუში იმის და მიხედვით ლამელა-იარაღის რა ნაწილშია განლაგებული — ქვედა, შუა ან ზედა ნაწილში, იქნება შესაბამისად პროქსიმალური, მეზიალური და დისტალური (ნახ. 8).



ნახ. 11



ნახ. 12



ნახ. 13

არანაკლებ მნიშვნელოვანია რეტუშის დამოკიდებულება ჰორიზონტალურ სიბრტყესთან — მისი დახრის კუთხე ჰორიზონტალური მოედნის მიმართ. როდესაც რეტუში ძლივს შეიმჩნევა, მას შეიძლება მკრთალი ვუწოდოთ (ნახ. 9), ხოლო როდესაც რეტუში დახრილია ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ 10°-ზე ფაქიზი (ნახ. 10); როდესაც რეტუში ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ დახრილია 30°-ზე, ის ძლიერ დამრეცია, ხოლო 10°-სა და 30° შორის — დამრეცი; 30°-სა და 45° შორის დახრილი რეტუში ირიბია, ხოლო 45°-ით დახრილი უკვე-ძლიერ ირიბი. 45°-50°-დან 70°-მდე დახრის კუთხის შექმნისას ძლიერ ირიბი რეტუში ციცაბო რეტუშში გადადის. 70°-იანი დახრა ისევ ციცაბო რეტუშია, ხოლო 70°-ის შემდეგ 90°-მდე ძლიერ ციცაბო. თუ რეტუში ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ დახრილია 90°-ზე ის უკვე ვერტიკალური რეტუშია (ნახ. 11)[7].



როდესაც ლამელა-ანატკეცის გვერდი ციცაბო ან ვერტიკალური რეტუშითაა დამუშავებული, ე. ი. დახრილია რეტუში იარაღის სიბრტყისადმი 50°-90°-ის ჩათვლით მას ბლაგვს უწოდებენ (ნახ. 12, 13). ბლაგვი რეტუშიც, თა-



[7] A. Leroi-Gourhan, G. Bailloud J. Chavillon A. Laming-Emperaire, დასახ. ნაშრომი, გვ. 252

ვის მხრივ, შეიძლება იყოს ფასიალური, ინვერსიული, მონაცვლეობითი, შემხვედრი (ნახ. 14, 15) გამბული ან წყვეტილი.

რეტუში, რომელიც სიბრტყეზე კეთდება, შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან მთლიანი, ცალ ან ორივე მხარეზე. როდესაც რეტუში ნაწილობრივ გადმოდის ზედა ან ქვედა სიბრტყეზე, შემღწევი ეწოდება (ნახ. 16). მთლიანი ან დამფარავი რეტუში კი მთელ ზედაპირს (ნახ. 17, 18) ან ზედაპირის მეტ ნაწილს მოიცავს (ნახ. 19).

ნახ. 21

ნახ. 22

ნახ. 23

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რეტუშის სახის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის პროპორციებს. თუ რეტუშის სიგრძე ნაკლებია სიგანეზე ($^1/_2$ X 1), მას მოკლეფაცეტოვანი რეტუში ეწოდება (ნახ. 20), თუ სიგრძე სიგანის დაახლოებით ტოლია (1X1), რეტუში საშუალოფაცეტიანია (ნახ. 21). გრძელფაცეტიანია რეტუში (ნახ. 22), თუ მისი სიგრძე მეტია სიგანეზე 2-ჯერ (2X1), ხოლო 3X1-ზე პროპორციების რეტუში ლამელურია (ნახ. 23)[8].

გარდა ამისა რეტუში შეიძლება იყოს ღრმა (როდესაც ატკეცილია მსხვილი ფაცეტი) და თხელი (თუ ფაცეტი არაა ღრმა). მაგალითად, საშუალო ფაცეტიანი ღრმა რეტუში ან გრძელფაცეტიანი თხელი რეტუში — აქ იგულისხმება ფაცეტის სიგრძის, სიგანისა და სიღრმის შეფარდება.

ქვის იარაღი შეიძლება დამუშავებული იყოს სწორი, თანაბარი (ნახ. 23) ან უსწორმასწორო (ნახ. 22) რეტუშით.

მაშასადამე რეტუში დახრის კუთხის მიხედვით შეიძლება იყოს ფხის მიმცემი, დამაბლაგვებელი — ვერტიკალური, დამაბლაგვებელი — ციცაბო, ირიბი, დამრეცი, ფაქიზი, მკრთალი და სხვ. პროპორციების მიხედვით გრძელფაცეტიანი, მოკლე ან საშუალოფაცეტიანი ღრმა და თხელი,

ყველა ჩამოთვლილი სახის რეტუში შეიძლება იყოს გაბმული და წყვეტილი და ადგილის მიხედვით შეიძლება იყოს ფასიალური, ინვერსიული, ბიფასიალური, შემხვედრი, გარდიგარდმო განლაგებული.

ჩვენ მოკლედ შევეცადეთ განგვემარტა და დაგვეზუსტებინა ქვის ხანის მოგვიანო საფეხურებზე გავრცელებული რეტუშის ძირითადი სახეები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, რაც უთუოდ, გაგვიადვილებს შემდგომ მუშაობას როგორც ჩვენ, ისე განსაკუთრებით ახალგაზრდა სპეციალისტებს.

---

[8] A. Lero-Gourhan, G. Bailloud, J. Chavillon, A. Laming-Emperaire, იქვე, გვ. 252.

М. К. ГАБУНИЯ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ТЕХНИКИ ВТОРИЧНОЙ ОБРАБОТКИ КАМЕННЫХ ОРУДИЙ ПОЗДНЕГО КАМЕННОГО ВЕКА И СВЯЗАННОЙ С НЕЙ ТЕРМИНОЛОГИИ

Резюме

В статье кратко охарактеризованы основные виды вторичной обработки камня, виды ретуши, встречающейся, главным образом, в верхнепалеолитическом и последующих периодах каменного века. Кроме того, дается попытка унификации терминов, связанных с перечисленными видами ретуши.

Для уточнения упомянутой терминологии приводятся данные первоисточников (из французского языка).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის კვლევის ცენტრმა

М. В. ЦОЦЕЛИЯ

ОБ ОДНОЙ САСАНИДСКОЙ ГЕММЕ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

В отделе глиптики Государственного музея Грузии им. С. Джанашиа среди многочисленных памятников хранятся резные камни сасанидского происхождения. Под инв. № 930 значится резной камень, неслуживший до настоящего времени объектом специальной публикации.

Этом резной камень найден в с. Гвинкити Терджольского р-на, во время обработки земли, во дворе церкви именуемой «Деда Гвтиса». Гемма приобретена от гр-на Маруашвили в 1956 году.

Гемма-печать представляет элипсоидной формы плоский камень из породы халцедонов т. н. агат коричневого цвета с бледными полосками.

Изображение на камне вырезано вглубь (техника интальи). Инталья овальной формы, высота — 23 мм, ширина — 19 мм. Камень хорошо отточен, изображение выполнено четким рельефом. Фон и детали изображения отполированы. Передача художественной формы отличается сочностью и глубокой резьбой, лишена схематичности и сухости. Сохранность: инталья хорошей сохранности, легенда слева повреждена.

Использованный на гемме сюжет необычен и не характерен для сасанидской глиптики. В центре резного камня помещено пальмовое дерево, по обеим сторонам которого изображены две врозь стоящие фигуры с поднятыми вверх и обращенными к дереву руками, на котором сидит третья фигура, сбрасывающая вниз плоды.

Пальмовое дерево состоит из прямого ствола и веток, боковые ветки свисают вниз, между ними изображены плоды.

Изображенный на гемме сюжет не имеет аналогий в сасанидской глиптике[1], хотя растительный мотив — стилизованные изображения растений и цветов — широко распространен на памятниках сасанидского искусства, включая и геммы.

Сюжетную близость к гемме обнаруживает литературный материал[2].

---

[1] Сюжета с пальмовым деревом нет и в последних изданиях, касающихся сасанидской глиптики: в каталоге печатей и булл Парижской национальной библиотеки: Ph. Gignoux, Les collections de Sceaux et Bulles Sassanides de la Biblioteque Nationale de Paris, и в каталоге печатей из частных собраний: Ph. Gignoux, et R. Gyselen. Sceaux Sassanides de diverses collections privees, Leuven, 1982.

[2] В период царствования династии Сасанидов (224—651 гг). были созданы многочисленные памятники среднеиранской, так называемой пехлевийской литературы, написанные на среднеперсидском и парфянском языках. Эти литературные произведения большей частью уничтожены после завоевания Ирана войсками Арабского халифата и насаждения ислама.

Пехлевийская литература включает в себя религиозную (переводы «Авесты», «Арта Вираф-намак», «Матидган-Ййвишни Фрийан») и нерелигиозную литературу («Карнамак-и Артахшери Папакан», «Ядгар Вареран», «Шахристан Эран»)[3]. К последней относится поэма «Драхт асурик».

Поэма представляет собой сильно отредактированный в нормах среднеперсидского языка, памятник парфянской литературы. Это ранний образец муназира (стихотворное состязание), где между собой состязуются «ассирийское дерево» и коза. Поэма включает в себя «загадку» (в среднеперсидской поэзии — лугз). Разгадка ее — «финиковая пальма». Это и есть «ассирийское дерево» или, вернее, «вавилонское дерево»[4].



Фото № 1.

Перевод поэмы «Ассирийское дерево» следующий[5].

(1) Дерево выросло в стране ассирийской. Ствол его сух, вершина его свежа, а корни его [сахарному] тростнику подобны, плоды его винограду подобны, оно сладкие плоды приносит. (2) Люди справедливые, «это мое» высокое дерево, в [его] состязании с козою [говорящее]: «Я превосхожу тебя во многих отношениях. (3) Нет дерева, равного мне в стране Хванирас, ибо шах вкушает мои [плоды], когда я вновь плодоношу. (4) Я настил челна. (5) Я — парусная ткань. (6) Метелку из меня делают, в которой убирают и дом и двор. (7) Ступку из меня делают, в которой толкут ячмень и рис. (8) Поддувало из меня делают, раздувающее огонь. (9 Я [деревянный]башмак земледельца. (10) Я — пара [деревянных]сандалей [для] босо-

[3] Основные сведения о памятниках пехлевийской (книжной среднеперсидской) литературы приведены в книге. J. C. Tavadia, Die mittelpersische Sprache und Literatur der Zarathustrier, Leipzig, 1956, см. также: M. Boyce, Middle Persian Literature. Handbuch der Orientalistik, I. Abt., IV, 2. Abschn. Leiden-Köln, 1968, ст.31—66

[4] Текст и транскрипция см. J. M. Unvalla, Draxti asurik, BSOAS, 1921, II, ст. 637. W. Henning, A Pahlavi poem, ст 641 и сл. «Ассирийское дерево» В. Хеннинг переводит как „Вавилонское дерево», см. ст. 641; J. Asana Pahlavi texts, Bombay, 1913, ст. 109—114; E. Benveniste, Le texte de Draxt asurik et la versification pehlevie, JA, 1930.

[5] Даётся перевод текста, касающийся лишь «Ассирийского дерева». И. С. Брагинский, Из истории таджикской и персидской литератур, М., 1972, с. 143—144.

ногих. (11) Веревку из меня делают, которой твою ногу повязывают. (12) Палку из меня делают, которой шею твою «целуют». (13) Кол из меня делают, на который вниз головой тебя вешают. (14) Я — хворост для огня, когда на вертеле тебя поджаривают. (15) Я — летняя тень над головами правителей. (16) Я — сахар земледельцев и мед азатов, ружье из меня делают. (17) Я — лекарственный ящик знатока, который из города в город носят и от врача к врачу. (18) Я — гнездо птичек. (19) Я — тень на работников усталых бросаю, ибо на свежей земле я выросло; оценив меня, люди не согрешат против меня. (20) Я желаю, чтобы златые потоки появились, чтобы люди, у которых нет вина и хлеба, вкушали мои плоды, которые гроздьями свисали».

Изображение дерева символизировало изобилие и обновленную жизнь. В одном пехлевийском тексте Shicand Gumānī Vazār хорошая религия сравнивается с деревом, имеющим один ствол, две ветви и три ветки. Знаменитая триада добрых мыслей, добрых слов и добрых деяний[6].

Рассматриваемая гемма-печать является личной, так как на официальных сасанидских печатях нет изображений, на них помещались только надписи или монограммы[7].

Идущая в полукруг изображения однострочная надпись помещена слева направо и состоит из 16 букв пехлевийского алфавита. Легенда хорошей сохранности, буквы видны отчетливо, поврежден лишь конец надписи.

Легенда транслитерируется следующим образом:[8]

d'n't ZY gyr W kyp'ryt?

dānād kē gīr [ad] ud kayfar [barē] d

«Да узнает, кто возьме[т] и будет наказан (?)».

Проблема датировки сасанидских гемм сложна[9]. В какой-то мере о дате изготовления можно судить по палеографическим признакам (для печатей содержащих надписи), но и тогда можно датировать резной камень с точностью до одного века[10]. Примерную дату, связанную с датировкой гемм, можно установить по косвенным данным.

---

[6] R. Zachner, The Teachings of the Magi. New York. 1976, с. 85.

[7] Р. Ф. Фрай. Наследие Ирана. М., 1972, с. 296.

[8] Консультация А. И. Колесникова, за что ему приношу большую благодарность. dānād—форма аориста, гл. dānistan—«знать», danād— «да узнает», griftan—«брать», осн. в новоперсидском gir. kayfār-«наказание», «возмездие» (в новоперсидском). Кайфар—читается по типу «хайдар» и означает «добрые или злые воздаяния». В арабском ему соответствует джаза (наказание). M. H. de Tabriz Borhan-e Qate,' vol. 3, Teheran, 1953—1954, с. 175.

[9] Датировке определенной группы сасанидских гемм посвящена работа выдающегося исследователя иранского искусства Э. Херцфельда: E. Herzfeld. Paikuli. The Monument and Inskriptions on the Early History of Sasanian Empire, 1924., гл. V. Seal Legends, 74.

[10]. Палеографический принцип при датировке сасанидских гемм был обоснован В. Г. Лукониным. А. Я. Борисов, В. Г. Луконин, Сасанидские геммы, Л., 1963, ст. 12—22. Американский иранист Ричард Фрай высказал сомнение относительно возможностей датировать печати и буллы из археологического комплекса Каср-и Абу Наср в Иране по характеру начертания отдельных букв надписи. По мнению автора и в позднесасанидское время резчики печатей с легендами пользовались наряду с курсивным письмом, близким к «книжному пехлеви», письмом наскальных надписей III века. R. N. Frye, Sasanian Remains from Qasr-i Abu Nasr (Seals, Sealings, Coins). «Harvard Iranian Series», vol. I. Cambridge 1973.

Исследуемую гемму мы склонны датировать второй половиной сасанидского периода истории Ирана — V—VII вв. О такой датировке говорит техника исполнения, а также палеографические данные.

Значимость геммы заключается в том, что она найдена in situ в определенном пункте в Грузии и несомненно изготовлена в сасанидском Иране, на что указывает наличие пехлевийской надписи.

Находки сасанидских гемм на территории Грузии еще раз подтверждают существование политических, экономических и культурных связей этой страны с Ираном в сасанидское время.

Таким образом, рассматриваемая гемма-печать находит себе вполне определенное место среди памятников сасанидской глиптики.

Представил Государственный музей Грузии им. акад. С. Джанашиа АН ГССР

მ. შაიდელი (ჰავაის უნივერსიტეტი)

კავკასიის საზღვარი. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგებული იყო რომაულ ციხესიმაგრეთა ჯაჭვი. მათი უპირველესი მოვალეობა იყო ადგილობრივი ტომების მეკობრეობის ალაგმვა და ამით ზღვაოსნობისა და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ[1]. გარდა ამისა, მათ სტრატეგიული ფუნქციაც ჰქონდათ, კერძოდ, უნდა განემტკიცებინათ რომაელების ძალაუფლება იბერიისა და ალბანეთის სახელმწიფოებში და ამგვარად მეთვალყურეობა გაეწიათ კავკასიის გზებისათვის. მართალია, რომის იმპერიის საზღვრის ამ კარგად დაცულ სექტორს Limes Ponticus უწოდებენ[2] სავსებით სამართლიანად, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით უმჯობესი იქნება თუ მას კავკასიის საზღვარს დავარქმევთ.

ორი წარწერა, ერთი პაპირუსზე და მეორე კრამიტის დამღაზე, საშუალებას გვაძლევს უკეთ წარმოვიდგინოთ გარნიზონები და გავერკვეთ მათ ფუნქციაში აფსაროსსა, პეტრასა და ფასისში ახ. წ. II საუკუნეში. მათ შეიძლება გარკვეული სინათლე მოჰფინონ იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ Limes-ს, რომელსაც აქამდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება რომის იმპერიის საზღვრებისადმი მიძღვნილ კონგრესებზე.

1. ა ფ ს ა რ ო ს ი.

ფლავიუს არიანე, ადრიანეს მმართველი კაპადოკიაში ახ. წ. 131—137 წწ., თავის Periplus-ში (რომელიც, როგორც ჩანს, ახ. წ. 132 წელს არის დაწერილი) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ რამდენიმე სიმაგრეს აღნიშნავს: ისიპორტუსს, აფსაროსს, ფასისსა და სებასტოპოლისს. სიმაგრეები მეტი უნდა ყოფილიყო (მაგ. რიზე, პიტიუნტი), რასაც მოწმობენ არქეოლოგიური აღმოჩენები და Notitia Dignitatum-ში დაცული Dux Armenia-ს ჯარების სია[3]. ამ ციხესიმაგრეების გარნიზონების რაოდენობა და შემადგენლობა თითქმის უცნობია. არიანეს ცნობით, ისიპორტუსში იდგა „ქვეითი ნაწილი“ (τάξις πεζῶν), რომელსაც სპეციალური სამსახურის გასაწევად ემატებოდა ოცი ცხენოსანიც. ეს კი უკვე კოჰორტას მოგვაგონებს. არიანე აღნიშნავს, რომ ფა-

---

[1] Arrian, Periplus 9 (ed G. Marenghi, Arriano, Periplo del Ponto Eusino, Napoli, 1958): πρὸς ἀσφάλειαν τῶν ταύτῃ πλεόντων. იქვე, καὶ ἄλλων ἐμπορικῶν ἀνθρώπων.

[2] В. А. Леквинадзе, Понтийский лимес, ВДИ, 1969, № 2, გვ. 75—93. ყველაზე ახლოს ძველ ტერმინთან არის Zosimus (II, 33): τὰ παρὰ τὸν Φᾶσιν φρούρια.

[3] არიანე აღწერს მხოლოდ იმ ადგილებს, სადაც თვითონ მოუხდა გავლა და არაფერს ამბობს, მაგალითად, ქალაქ რიზეზე, პიტიუსის შესახებ იხ. ქვემოთ შენ. 25. ამრიგად, შეუძლებელია დავეთანხმოთ D. Kienast-ს (Untersuchungen zu den Kriegsflotten der römischen Kaiserzeit, Bonn, 1966, გვ. 116), „nördlich von Dioskurias haben offenbar unter Hadrian keine römisch-

სისში იყო „ოთხასი რჩეული კაცი“ (ἐπιλέκτοι), ე. ი. თითქმის დამხმარე სამხედრო შენაერთის ზომის ნაწილი. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, II საუკუნეშიც კი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისევე როგორც სხვაგან ყველგან, მხოლოდ ცალკეულ ციხესიმაგრეებში იდგა მთელი ნაწილი. როგორც ნათლად ჩანს Notitia Dignitatum-დან, ასე იყო IV საუკუნეში.

ამიტომაც იწვევს გაოცებას არიანეს Periplus-ის ცნობა, რომ ახ. წ. 132 წ. აფსაროსში იყო ხუთი კოჰორტა. ამ კოჰორტების რაობამ და მათი არსებობის მიზანმა, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ მხრივ საინტერესოა ახლახანს გამოქვეყნებული წერილი (პაპირუსზე), სადაც მოხსენიებულია აფსაროსი და იქ მდგარი ერთ-ერთი კოჰორტა:[4]

Mar]tialis uet (eranus)[
]Omnium[
].i Apsaro de[gen
]re eius M Ua[l]er[
5. C]oh-II Claudiana[
pr]oc-feci-M-Iulius.[
p]roc Aug(usti) Larti-[
]erogauit manda[
]s suas omnes[
10.] -get et auferre[
]id..S—dissoluere[
]endere
]... [.]..[

ეს წერილი, რომელიც ეგვიპტეში აღმოჩნდა, მაგრამ აშკარად დაწერილია აფსაროსის ვეტერანის მიერ[5], ალბათ, ყველაზე ძველი ხელნაწერია საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. წერილიდან ჩანს, რომ აფსაროსში, ისევე როგორც ფასისში (რაზეც ჩვენ არიანეს ცნობა მოგვეპოვება[6]) ვეტერანები დასახლდნენ ქალაქში და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას. უფრო დიდია ამ წერილის მნიშვნელობა აფსაროსში გარნიზონის ხასიათის დასადგენად. არიანეს Periplus-ში მოხსენიებული ხუთი კოჰორტა მიჩნეულ იქნა ლეგიონალურ კოჰორტებად[7]. თუ ეს ასეა, მაშინ ისინი წარმოადგენენ მთელი კაპადოკიის ლეგიო-

---

en Garnisonen mehr gelegen», არქეოლოგიური ნაშთების შესახებ იხ. В. А. Леквинадзе, I. c.; Notitia Dignitatum -ში მოცემული ჯარების სიის შესახებ (ed. O. Seck, 1876) Or. 38. იხ. D. Van Berchem, L' armée de Dioclétien et la réforme constantinienne, Paris, 1952, გვ. 30.

[4] A. Bruckner, R. Marichal, Chartae Latinae Antiquiores, XI/II Germany, II, გვ. 61 შდ. № 477. შესწორებულია, მ. შპაიდელის მიერ იხ. M. Speidel, Auxiliary Units Named after Their Commanders: Four New Cases from Egypt, Aegyptus, 62, 1982, გვ. 165—172.

[5] შესადარებლად იხ. ჰანტის Pridianum: R. Caveniale, Cohors I Hispanorum equitata et Cohors I Hispanorum Veterana, Zeitschrift für Papyrologie und Epigraphik, 18, 1975, გვ. 179—191.

[6] Periplus 9: ἔξω τοῦ φρουρίου κατῳκεῖτο ὑπὸ τε τῶν πεπαυμένων τῆς στρατείας.

[7] T. B. Mitford, Cappadocia and Armenia Minor: Historical Setting of the Limes. Aufstieg und Niedergang der römischen Welt, II, 7. 2, გვ. 1169—1228, განსაკუთრებით გვ. 1202, H. T. Rowell, Numerus, RE XVII, 1937, გვ. 1327—1342, განსაკუთრებით სვ. 1328, 23.

ნალური ძალის ერთ მეოთხედს, ხოლო მელიტენის ან სატალას სამხედრო ძალა მხოლოდ ნახევარი ლეგიონით განისაზღვრება. რადგანაც ჩვენი წერილის მიხედვით cohors II Claudiana იდგა აფსაროსში, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დანარჩენი ოთხი კოჰორტა ასე თუ ისე დამხმარე ნაწილებს წარმოადგენდა. ნოლას (იტალია) წარწერა ასახელებს Primipilaris-ს, რომელიც მსახურობდა როგორც praeposit(us) numeror(um) tendentium in Ponto Absaro[8]. ითვლებოდა რომ ეს numeri განსხვავდებიან არიანეს მიერ მოხსენიებულ კოჰორტებისაგან[9], მაგრამ ტერმინი numerus შეიძლება აღნიშნავდეს ნებისმიერი ტიპის შენაერთს დამხმარე ნაწილის ჩათვლით[10]. ამრიგად, როგორც ჩანს, ნოლას წარწერაშიც იგივე დამხმარე კოჰორტები იგულისხმებოდა.

ხუთი კოჰორტა ნებისმიერი ციხესიმაგრისათვის საკმაოდ დიდი გარნიზონია. რა სტრატეგიულ მიზანს ემსახურებოდა მათი არსებობა აფსაროსში? პასუხი ამ ციხესიმაგრის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაში უნდა ვეძებოთ. აფსაროსი შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთი ციხესიმაგრეა[11], აქედან შეიძლება შეღწევა იბერიის სახელმწიფოში, რომელიც იცავს მეტად საჭირო დარიალის გადასასვლელს. თავის „ბუნების ისტორია"-ში (VI, 4) პლინიუსი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მხოლოდ ორ ციხესიმაგრეს ასახელებს—აფსაროსსა და სებასტოპოლისს—აშკარად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სიმაგრეებს ამ რეგიონში. აფსაროსის შესახებ იგი ამბობს, რომ ამ ქალაქის გარშემო მდებარე მთებს იქით იბერია ძევს: „flumen Asparum cum castello (eodem) cognomine in faucibus, a Trapezunte CXL. Eius loci a tergo montium Hiberia est".

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხუთი კოჰორტის არსებობა აფსაროსში ნიშნავდა სანების წინააღმდეგ კამპანიის მომზადებას და არიანე თავის ლათინურ წერილებში ატყობინებდა ადრიანეს ამ ხუთი კოჰორტის შესახებ და. შესაძლოა, მსჯელობდა მათ გამოყენებაზე სანების წინააღმდეგ[12]. მაგრამ უპირველესი მიზანი რომაული კოჰორტების ყოფნისა ამ რეგიონში, ალბათ, ის იყო, რომ მათ თვალყური ედევნებინათ იბერიისა და საერთოდ კავკასიისათვის. მიუხედავად იმისა, მტრულად იყვნენ განწყობილნი იბერიელები და ალანები თუ

დამხმარე კოჰორტები სწორედ შეაფასა ა. ბ. ბოსვორსმა (A. B. Bosworth, Arrian and the Alani, Harward Studies in Classical Philology, 81, 1977, გვ. 217—255, განსაკუთრებით გვ. 228.

[8] CIL X, 1202-Dessau, ILS 2660, შდრ. E. Ritterling, Legio, RE XII, 1924, 1211—1829, განსაკუთრებით სვ. 1396, შდ. კარიერის შესახებ იხ. B. Dobson, Die Primipilares, Bonn, 1978, გვ. 234, № 115; ასევე ხუთი დამხმარე სამხედრო შენაერთის მეთაურ primipilaris-ის შესახებ იხ. Tacitus, Annales, 13, 36, და 15,12; Frontinus, Strat., 4, 1, 21; ამ კარიერის შესახებ იხ. B. Dobson, დასახ. ნაშრომი, გვ. 196, no 64, Paccius Orfitus.

[9] В. А. Леквинадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[10] AE 1927, 95, CIL III, 12257, შდრ. M. Speidel, The Rise of Ethnic Units in the Roman Imperial Army, Aufstieg und Niedergang der römischen Welt, II, 3, 1975, 202—231, განსაკუთრებით გვ. 204 შდ.

[11] Arrian, Pariplus II: ὁ δὲ Ἄψαρος πέρας ἐφάνη μοι εἶναι κατὰ μῆκος τοῦ Πόντου. აფსაროსის ადგილმდებარეობის შესახებ ასევე იხ. В. А. Леквинадзе, Материалы по истории и архитектуре Ансарской крепости, Византийский временник, 20, 1961, გვ. 225—242; Mitford, დასახ. ნაშრ., გვ. 1192, 1202.

[12] Arrian, Periplus, 6, 11.

მეგობრულად იმ დროს[13]. რომს თუ არ ეყოლებოდა საკმაო ძალა კავკასიის საზღვართან, სავსებით მოსალოდნელი იქნებოდა თავდასხმა ამ მხრიდან. ისეთი სახელმწიფო როგორიც იბერია იყო, მორჩილი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქვე იქნებოდა სამხედრო ძალა[14]. რადგანაც საზღვაო ტრანსპორტი რომაული სტრატეგიისათვის აუცილებელი იყო და რადგანაც აფსაროსი უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი იყო, სადამდეც შეიძლებოდა ზღვით მისვლა, ის წარმოადგენდა ყველაზე ხელსაყრელ ადგილს კავკასიაზე სამეთვალყუროდ. ამგვარად, აფსაროსი შეიძლება შევადაროთ სიენას, ნილოსზე უკიდურეს სამხრეთ სიმაგრეს, სადამდეც მისვლა შეიძლებოდა სამდინარო ტრანსპორტით. ამიტომაც სიენა გახდა სამი კოჰორტის ადგილსამყოფელი, რომელთაც ევალებოდათ ნუბიისათვის თვალყურის დევნება[15].

პარალელად შეიძლება დურა-ევროპოსის მოტანაც. აქაც ასევე იყენენ განლაგებულნი შენაერთები თუ სხვადასხვა ნაწილები, რომელთაც მეთაურობდა praepositus numerorum-ი; ეს უკანასკნელი მოგვიანებით შეცვალა dux ripae-მ[16]. დურა-ევროპოსიც ასევე საზღვრის კუთხეში მდებარეობდა და ასევე ადვილად მისაღწევი იყო ზღვით. ამგვარად, ეს სამი სიმაგრე წარმოადგენდა გამონაკლისს რომაული წესიდან, როცა ისინი თანაბრად ანაწილებდნენ თავიანთ ძალებს მთელი საზღვრის გასწვრივ. სამხედრო ძალები აქ კონცენტრირებული იყო იმისათვის, რომ ძნელად შესაღწევ ადგილებში გაევრცელებინათ რომაელების ძალაუფლება და იმპერიაში ადვილად შემოსაღწევი გზები ჩაეკეტათ. დამახასიათებელია, რომ ამ მიზნის მისაღწევად არ გამოიყენებოდა დიდი სამხედრო ძალები. აღბათ იმიტომ, რომ ისინი დაეცვათ განადგურებისაგან. ამის შედეგად, სხვადასხვა დამხმარე სამხედრო შენაერთები ერთ ადგილას იდგნენ ერთი მეთაურის ხელმძღვანელობის ქვეშ[17].

ჩვენი წერილი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც კიდევ ერთი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ აფსაროსი წარმოადგენდა Sperrfeste-ს კავკასიიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. Cohors II Claudiana არ იყო იმ კოჰორტების რიცხვში, რომლებიც არიანემ ახ. წ. 135 წელს გამოიწვია სომხეთში ალანების წინააღმდეგ კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

---

[13] ალანების შესახებ, იხ. R. K. Sherk, Roman Galatia; The Governors from 25 B. C. to A. D. 114, Aufstieg und Niedergang der römischen Welt, II, 7, 2, 954—1052, განსაკუთრებით გვ. 992. ალანებისა და იბერიის შესახებ, იხ. T. B. Bosworth, დასახ. ნაშრომი, იმ დროს ნაკლებად წარმოსადგენია, რომ პართიის მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა იბერიასა და შავიზღვისპირეთს. იხ. მაგ., M. G. Raschke, New Studies in Roman Commerce with the East, ANRW II, 9, 2, 1978, გვ. 604—1378, განსაკუთრებით შენ. 926.

[14] იბერიელების დაუმორჩილებლობის შესახებ იხ. T. B. Bosworth, l. c.

[15] M. Speidel, Nubia's Roman Garrison, ANRW II, 10, 1 (იბეჭდება).

[16] AE 1931, 113. J. F. Gilliam, The Ripae at Dura. TAPHA 72, 1941, გვ. 157—175. დურას გარნიზონის სტრატეგიული მოვალეობის შესახებ იხ. M. Speidel, «Europeans» — Syrian Elite Troops et Dura-Europos and Hatra.

[17] მიუხედავად იქ გაცილებით ნაკლები სამხედრო ძალის არსებობისა, მილთენბერგი (ზემო გერმანიაში) შეიძლება რაიმე მსგავსების მატარებელი იყოს: ეს არის ყველაზე აღმოსავლეთი წერტილი მდინარე მაინზე, და აქ იყო რამოდენიმე ნაწილისაგან შემდგარი გარნიზონი praepositus numerorum-ის მეთაურობით, CIL, XIII, 12460. Ritterling-ი სამართლიანად თვლის, რომ მილთენბერგში კოჰორტაც იდგა. შდრ. E. Stein, Die kaiserlichen Beamten und Truppenkörper im römischen Deutschland unter dem Prinzipat, Wien, 1932, გვ. 211; D. Baatz, Der römische Limes, 1974, გვ. 182.

მაშინ, როცა ამ კამპანიაში მოწვეულნი იყვნენ რიზეს, ტრაპეზუნტისა და, გასაოცარია მაგრამ, კოლხეთის სამხედრო ძალები.[18] როგორც ჩანს, არიანეს არ უნდოდა აფსაროსის გარნიზონის შესუსტება. მართლაც, ახლა ცნობილია ხუთი თუ ექვსი კოჰორტა, რომელიც ეკუთვნოდა II საუკუნის კაპადოკიის არმიას, მაგრამ არ მონაწილეობდა არიანეს საბრძოლო კამპანიებში[19]. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის აფსაროსში განლაგებული ხუთი კოჰორტა. მათი უმთავრესი ამოცანა, რა თქმა უნდა, იყო იბერიელების ერთგულების განმტკიცება, მაგრამ ამასთანავე ისინი ისეთ ხელსაყრელ ადგილზე იყვნენ განლაგებულნი, რომ ტრაპეზუნტზე ალანების თავდასხმის თავიდან აცილებაც შეეძლოთ.

2. პ ე ტ რ ა და ფ ა ს ი ს ი.

აფსაროსსა და ფასისს შორის მდებარე პატარა ციხესიმაგრე პეტრაში ნაპოვნი იყო დამღიანი კრამიტი. დამღაზე შემდეგი წარწერა იყო მოცემული[20]:

VEX. FA

ადრინდელი წაკითხვა: vex (illationes legionum XI) F (ulminatae) et XV A(pollinaris)—არ უნდა იყოს სწორი. წარწერა უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: vex (illatio) Fa(siana), ე. ი. კრამიტი დამზადებული იყო ფასისში მდგარი სამხედრო ნაწილის სახელოსნოში. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წაკითხვას ადასტურებს სხვა vexillationes-ის არსებობა, რომლებმაც სახელი თავიანთი გარნიზონების ადგილმდებარეობის მიხედვით მიიღეს. ასეთია მაგალითად, vexillatio Chersonnesitana, რომელიც ყირიმში იყო დაბანაკებული[21].

Fasianus, Fasiana-ფასისისაგან ნაწარმოები ზედსართავია[22]. არიანე თავის Periplus-ში აღნიშნავს, რომ ფასისის ციხესიმაგრე გამომწვარი აგურით იყო ნაგები და ახლა პეტრას კრამიტი გვიჩვენებს, რომ ფასისის გარნიზონის სახელოსნო შავიზღვისპირეთის სხვა სიმაგრეებისთვისაც ამზადებდა სამშენებლო მასალას. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ vex(illatio) Fa(siana) პეტრასაც იცავდა[23]. თუ პეტრა, მართლაც, უფრო ავანპოსტი იყო, ვიდრე დამოუკიდებელი სიმაგრე, ის, ალბათ, უფრო აფსაროსს ეკუთვნოდა, ვიდრე მისგან ბევრად დაშორებულ ფასისს[24].

არიანეს მიხედვით, ფასისის გარნიზონის ოთხასი რჩეული ჯარისკაცი არტილერიითაც იყო შეიარაღებული. ეს ფაქტიც აღსანიშნავია, რადგანაც ახ. წ. II საუკუნეში დამხმარე სამხედრო შენაერთები არ იყვნენ შეიარაღებულნი

---

[18] Arrian, Ektaxis (ed. A. Roos, Teubner), Leipzig, 1967/7; 14; 29.

[19] M. S p e i d e l, The Roman Army in Asia Minor. Recent Epigraphical Discoveries and Research, Armies and Frontiers in Roman and Byzantine Anatolia, ed. St. Mitchell, Oxford, 1983, გვ. 7—34.

[20] В. А. Л е к в и н а д з е, l. c. გვ. 87, სურ. 9.

[21] CIL III, 13750, შდრ. P. Dura 64, I, 10—vex. Appadanensis. შესაძლებელია ასოები VEX GRAVSP (CIL III, 14215 ყირიმიდან). ასევე ადგილის სახელს აღნიშნავს, შესაძლებელია თვით Charax-ის. იხ. R. S a x e r, Untersuchungen zu den Vexillationen des römischen Kaiserheeres von Augustus bis Diokletian, Köln, 1967, 92, no. 271.

[22] Suetonius, Vit., 13; SHA, Alex. Sev., 41; Diocletian, Price Edict, 4 ,17—20 (ed. S. Laulfer, Diokletians Preisedikt B., 1971, 104—106).

[23] მსგავსი შემთხვევების შესახებ იხ. Saxer, I, c., № 237 შმდ.

[24] ვ. ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე მას აფსაროსის ფორტად თვლის (იხ. В. А. Л е к в и н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 88).

არტილერიით. ამის გამო ფასისში დაბანაკებულ ამ ოთხას კაცს ლეგიონერებად თვლიდნენ[25]. მაგრამ ფასისი ისეთი სიმაგრე იყო, რომელიც საჭიროებდა არა მარტო თხრილებსა და მიწაყრილებს ბარბაროსებისაგან თავის დასაცავად, არამედ არტილერიასაც, იმისათვის რომ მზად ყოფილიყო ალყისათვის[26]. ასეთ ვითარებაში ყველა ტიპის ნაწილს დასჭირდებოდა არტილერია[27]. ასე, რომ ფასისის გარნიზონი შეიძლება არც ყოფილიყო ლეგიონალური.

Epilektos შეიძლება ნებისმიერ ჯარისკაცს ნიშნავდეს, განსაკუთრებით, vexillarii. მაგრამ მაინც ეს სიტყვა უფრო ხშირად იხმარება მმართველის მცველის singulares აღსანიშნავად[28]. ეს და უკანასკნელი დროის აღმოჩენა, რომ Raetia-ს pedites singulares-მა ააშენეს ელინგენის სასაზღვრო ციხესიმაგრე[29] საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფასისის ციხესიმაგრე ააგეს კაპადოკიის pedites singulares-მა. თვითონ არიანე თავისი equites singulares-ის აღსანიშნავად ხმარობს სიტყვა ἐπίλεκτος-ს; ეს გადამწყვეტი საბუთი იქნებოდა, რომ იმავე პასაჟში ის ამ ასი pedites singulares-ის აღსანიშნავად, რომე-

---

[25] D. Baatz, Zur Geschützbewaffnung römischer Auxiliartruppen in der frühen udn mittleren Kaiserzeit, Bonner Jahrbücher, 166, 1966, გვ. 194—207, განსაკუთრებით გვ. 197; რა თქმა უნდა, ამ მიდამოებში იყვნენ ლეგიონერები. მაგალითად, ამას მოწმობს პიტიუნტის დამღიანი (leg) კრამიტი — В. А. Леквинадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 87; პიტიუნტმა მოიგერია ბორანის თავდასხმა ახ. წ. 254 წ. (იხ. E. Kettenhofen, Die römisch-persischen Kriege des 3. Jahrhunderts n. Chr., Wiesbaden, 1982, გვ. 64 და 90. ამგვარად ის, ალბათ, მთავარ სიმაგრეს წარმოადგენდა და არიანეს გამოტოვებული ჰყავს იმის გამო, რომ თვითონ არ ყოფილა იქ (იხ. ზემოთ შენ. 3). ტრაპეზუნტში ლეგიონერების შესახებ იხ. AE 1975, 783. რაც შეეხება Josephus, (B. I. 2, გვ. 367) 3000 ლეგიონერს, რომლებიც ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში იყვნენ ახ. წ. 71 წელს, ე. რიტერლინგის სამართლიანი ვარაუდით, ისინი აქ ალბათ, უფრო მეზიიდან, მოვიდნენ, ვიდრე კაპადოკიიდან (იხ. E. Ritterling, დასახ. ნაშრ., გვ. 1272 შმდ.). ამ მოსაზრებას ადასტურებს ახალი ხელნაწერი ანტიოქიიდან, რომლის მიხედვით Legio XVI Flavia Firma ახ. წ. 75 წელს ჯერ კიდევ სირიაში იმყოფებოდა და ამგვარად Satala-ში მოვიდა მხოლოდ ამ თარიღის შემდეგ. მაშასადამე, ამ დროისთვის კაპადოკიის, მხოლოდ ერთი ლეგიონი გაჩნდა. აღნიშნული წარწერის შესახებ იხ. D. van Berchem, Une inscription flavienne du Musée d'Antioche, Museum Helveticum, 40, 1983, გვ. 185—196.

[26] Periplus 9: ა) გაეძნელებინა ბარბაროსებისათვის ფორტამდე მიღწევა (**μηδὲ πελάσαι ἔν τινα αὐτῷ τῶν βαρβάρων**) და ბ) მზად ყოფილიყო ალყის შემთხვევაში **κίνδυνου...πολιορκίας**. აშკარაა, რომ არიანე გულისხმობდა არტილერიას. როგორც ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევ საშუალებას, ბაატსი მართებულად აღნიშნავს ფასისის თვალსაჩინო მდებარეობას (D. Baatz, 9. c.).

[27] დ. ბაატსი დაეხმარე ფორტ High Rochester-ში ballistaria-ს არსებობას ხსნის ამ ფორტის ხელსაყრელი მდებარეობით (D. Baatz, I. ,.c. გვ. 198). ეს უნდა ვიგულისხმოთ ფასისის შემთხვევაშიც. არტილერიის თავდაცვითი ფუნქციის შესახებ ასევე იხ. P. Brennan, Combined Legionary Bridgehead Disposition, Chiron 10, 1980, გვ. 554—567, განსაკუთრებით, გვ. 557.

[28] Vexillarii: მაგ. Josephus, B. I, 5, 44; შდრ. Tacitus, Ann, 15, 26, Singulares: M. Speidel, Guards of the Roman Armies, Bonn, 1978, 4; 49; 116; Josephus -ი, აშკარად გულისხმობს singulares -ს — იხ. Josephus, B. I., 3, 470, და 485 — რადგანაც 600 და 400 ცხენოსანი იძლევა 1000 ცხენოსნიან გვარდიას. 1000 ცხენოსანი კი სავსებით შესაძლებელი ციფრია საკონსულო არმიისთვის ლაშქრობის დროს (600 გვხვდება აგრეთვე B. J. 5,52-ში, შდრ. Hyginus De Mun. Castr. 7). Epilektoi, როგორც მცველების შესახებ იხ. Cassius Dio, 55, 24; P. M. Meyer, Das Heerwesen der Ptolemäer und Römer in Ägypten, Leipzig, 1900, 64. IGR, III, 1220; AE 1933, 189 (M. Dunand, Le Musée de Soueida, Paris, 1934, no. 182, III, 1220; AE 1933, გვ. 189; მ. დუნანდი, შესაძლოა, ასევე მმართველის მცველობის შესახებ მსჯელობს).

[29] K. Dietz, Die Bauinschrift des Limeskastells Ellingen, Das Archäologische Jahr in Bayern, 1980, ed. R. Christlein, Stuttgart, 1981, გვ. 118. Idem, Chiron, 1983.

ლიც მას თან ახლდა ალანების წინააღმდეგ კამპანიის დროს, განსხვავებულ ტერმინს არ ხმარობდეს[30]. ამგვარად, კაპადოკიელი pedites singularesის არსებობა ფასისში არ არის უეჭველი, მაგრამ მაინც შესაძლებელია, განსაკუთრებით თუ ვიგულისხმებთ, რომ ოთხასი კაცი ფასისში და ალანების წინააღმდეგ კამპანიაში მონაწილე ასი კაცი ზუსტად წარმოადგენს იმ ხუთას pedites singulares-ს, რომელიც კაპადოკიის მმართველს უნდა ჰყოლოდა[31]. ასეთი singulares სავსებით შეიძლება პეტრას კრამიტის გამკეთებელი vexillatio Fasiana-ს იდენტური იყოს. ფაქტობრივად ისინი შესაძლოა წარმოადგენდნენ იმ ნაწილს ჯარისა, რომელმაც ხელახლა ააგო ციხე-სიმაგრე აგურით[32]. თუ ეს ასეა, ისინი ფასისში, ალბათ, ძალიან ცოტა ხნით დარჩებოდნენ და დაბრუნდებოდნენ პროვინციის დედაქალაქში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად[33].

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეების სიშორის, მტრებით გარემოცული სანაპიროს კუთხეში ადგილმდებარეობის, სიმაგრებსა და რომის პროვინციებს შორის ზღვის არსებობის გამო მოსალოდნელი იყო კავკასიის საზღვრის თავისებური, განსხვავებული სახით გადაწყვეტა. მაგრამ რომმა აქაც მრავალნაცადი საშუალებები იხმარა, რომელთა მსგავსი შეიძლება მოვიძიოთ სხვა პროვინციებში. ეს, თავის მხრივ, შეიძლება დაგვეხმაროს სხვა საზღვრების გარკვევაში. ამიტომაც სასიხარულოა, რომ დოკუმენტური და ლიტერატურული წყაროების კომბინირება საშუალებას გვაძლევს, რომ კავკასიაში რომის საზღვრების შესახებ უფრო დეტალური და სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ.

М. ШПАЙДЕЛЬ

КАВКАЗСКАЯ ГРАНИЦА. ГАРНИЗОНЫ II В. В АПСАРЕ, ПЕТРА И ФАСИСЕ

Резюме

На основе анализа двух надписей (на папирусе и клейменной черепице) расмматриваются вопросы расположения и функции римских гарнизонов в восточном Причерноморье.

---

[30] Extaxis 4; 22. Pediles singulares: *Κοῦφοι λογχόφοροι*. cf. Speidel, Cuards, გვ. 496.

[31] იქვე, 11—15.

[32] pedites singulares-ის შესახებ, რომლებიც ამზადებენ კრამიტს, იხ. იქვე, 24; C. L. Balute, Ion Berciu, Pedites si Equites Singulares din Dacia, Materiale tegulare stampilate Apulum, 18, 1980, გვ. 108—129.

[33] Pedites singulares-ის მოვალეობების შესახებ დედაქალაქში იხ. Speidel, Guards, გვ. 42 — 46. საჭიროების შემთხვევაში ისინი გაჰყავდათ დიდი ხნით — იქვე, გვ. 54 შმდ. იხილეთ აგრეთვე რამდენადმე შორეული პარალელი კილიკიაში ციცერონის პრეტორთა კოჰორტის სახით quae erat Epiphaniae praesidii causa, Cic. ad Fam. XV, 4; cf., J. Harmand, L'armée romaine et le soldat à Rome de 107 à 50 àvant nutre ère, Paris, 1967, გვ. 456.

ᲝᲗᲐᲠ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲫᲕ. Წ. V—I ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ (ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ) ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ძვ. წ. V—I საუკუნეები უმნიშვნელოვანესი ხანაა ქართლის (ბერძნულ-რომაული წყაროების იბერიის) ისტორიაში: ამ დროს მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნა, ურბანისტული ცივილიზაციის განვითარება, ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების რთული პროცესი, მრავალმხრივი კონტაქტები გარე სამყაროსთან[1]. ამავე დროს, კარგადაა ცნობილი, რომ ქართლის ისტორიის სწორედ ეს პერიოდი (რომის ექსპანსიის დაწყებამდე) ძალზე ნაკლულადაა წარმოდგენილი წერილობით წყაროებში. ბერძენ ავტორთაგან არსებითად შემორჩენილია მხოლოდ ჰეროდოტეს მიერ სასპეირების მოხსენიება და სტრაბონის „გეოგრაფია"[2], რომლის ცნობებიც ქართლის სამეფოს პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურას რომ შეეხება, საკმაოდ მრავალაზროვანია და ამიტომაც მათი ინტერპრეტაცია აზრთა არსებით სხვადასხვაობას იწვევს.[3]. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებშიც (ლეონტი მროველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ)" ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, აგრეთვე, უაღრესად მწირი ცნობებია შემონახული და ქართლის სამეფოს ისტორიის ადრინდელი ეტაპის ისტორიისათვის მათი გამოყენებაც მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული[4]. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, უდიდესი როლი

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 94—140; გვ. 266—310; მისივე ნაშრომები წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I, თბ, 1970; გვ. 422—465.

[2] დაწვრ. იხ. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 49—50, 67—68, 135 და შემდ.

[3] В. В. Вашакидзе, Источниковедческие проблемы изучения социальной структуры Восточной Грузии в IV/III—I вв. до н. э. (Автореферат на соискание ученой степени кандидата исторических наук), Тб., 1983. ავტორი დაწვრილებით განიხილავს სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3, 6, ცნობებს, მათ შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, იძლევა ძალიან საინტერესო ტექსტოლოგიურ ანალიზს (ზოგჯერ ტექსტის ახლებური აღდგენით) და მიდის იმ დასკვნამდე, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3, 6, ასახავს ძვ. წ. III—II სს-ების ქართლის ვითარებას. მაგრამ მთელი რიგი მომენტები (სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პრინციპი; უმაღლესი ძალაუფლების რამდენიმე პირთა შორის განაწილება და სხვ.) მაინც თითქოს უფრო იმაზე მიუთითებენ რომ სტრაბონის XI, 3, 6, ცნობებში აისახა ქართლის პოლიტიკური და სოციალური განვითარების არქაული საფეხური—ის ხანა ვიდრე შეიქმნებოდა ქართლის სამეფო ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით ე. ი. ძვ. წ. III-ის 80-იანი წლების წინარე პერიოდი (შდრ. ოთ. ლორთქიფანიძე, სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის I გენოსის შესახებ, სმამ, XVIII, № 3, 1957, გვ. 369—376).

[4] გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", 1 გვ. და შემდ.

ენიჭება არქეოლოგიურ მონაპოვარს, როგორც ადრე ცნობილს („ყაზბეგის განძი"[5], „ახალგორის განძი"[6], ქვემო ქართლის ადრეანტიკური ხანის სამაროვნები[7], არმაზციხისა და სევსამორას არქიტექტურული კომპლექსები[8], სამთავროსა და კამარახევის სამაროვნები[10], ხოვლეგორას[11], უფლისციხისა და მცხეთის მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები[12], ურბნისის სამაროვანი[13] და სხვ.), ასევე უკანასკნელი ორი ათეული წლის ბრწყინვალე არქეოლოგიურ აღმოჩენებს (ყანჩაეთის სამარხი[14], სამადლო[15], ნასტაკისის ნაქალაქარი[16], ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი[17] და კავთისხევის სამაროვნები[18], სარკინეს ნაქალაქარი[19], მუხათგვერდის სამაროვანი[20], დედოფლის მინდვრის არქიტექტურული კომპლექსი)[21].

აქ დასახელებული არქეოლოგიური ძეგლები შეიცავენ უაღრესად მრავალმხრივ ინფორმაციას ძვ. წ. V—I საუკუნეების ქართლის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიურ-კულტურული სტრუქტურების შესახებ. ამიტომაც ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევს ისეთი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სადაც წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიუ-

---

[5] ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1976.

[6]. Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тб., 1934.

[7] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб, 1941, გვ. 30—48; ალ. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად, მსკა, III, 1963, გვ. 27—37; ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, „მაცნე", 1970, № 3; ოთ. ტყეშელაშვილი, ფოლადაურის ხეობა, თბ, 1969; კ. კვიციანაძე, თეთრიწყაროს ანტიკური ხანის ძეგლები, მსკა I, 1973, გვ. 39—49, მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები, I, თბ., 1968; Ю. М. Гагошидзе, Могильники Триалети, Тб, 1982.

[8] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ. 1963, გვ. 22 და შემდ. 158—199.

[9] ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ III—I სს, მსკა, III, 1963, გვ. 137—163.

[10] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, 11, 1959, გვ. 5—53.

[11] დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ , 1978.

[12] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე I, თბ., 1969, 11, 1970.

[13] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

[14] ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ 1964.

[15] Ю. М. Гагошидзе, Самадло, Тб., I, 1979, II, 1981.

[16] Ал. Бохочадзе, Настакиси, Саркине, Дзалиси—города Иберии, КСИА, 151, М., 1977, გვ. 93—95.

[17] ი. გაგოშიძე, ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლების მიმოხილვა, მოკლე ანგარიში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები," III, 1974, გვ. 85—87; Г. Г. Цкитишвили, Результаты работ на «Цихиа-гора», КСИА, 151 გვ. 93—101

[18] იხ. კრებული, „კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები" (გ. ცქიტიშვილის რედაქციით), თბ., 1981.

[19] Ал. Бохочадзе, Настакиси, გვ. 95—97; შდრ, ა. აფაქიძე, ქალაქები.... გვ. 206 და შმდ.

[20] А. М. Апакидзе и др., Результаты полевых исследований на территории Мцхета, «Полевые археологические исследования в 1979 г.» გვ. 76—78; В 1980 г. გვ. 38.

[21] ი. გაგოშიძის ნაშრომები კრებულებში: „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები" IV, 1975, გვ. 70—73; V, 1977, გვ. 72—83, VI, 1978, გვ. 62—77; КСИА 151, გვ. 102—108; Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, М., 1981, გვ. 102—115

რი მასალების საფუძველზე განზოგადოებულია ძვ. წ. V—I სს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები. ამ თვალსაზრისით უკანასკნელ ხანებში მეტად საინტერესო ნაშრომთა მთელი ციკლი წარმოადგინა იულონ გაგოშიძემ, რომელსაც თვით მიუძღვის უდიდესი ღვაწლი ძვ. წ. V—I სს-ის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების (ყანჩაეთის სამარხი, სამადლო, დედოფლის მინდორი) აღმოჩენა-შესწავლაში. სულ ახლახან კი იულონ გაგოშიძის თითქმის 20-წლიანი უაღრესად ნაყოფიერი საველე და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა სამეცნიერო მოხსენების სახით სათაურით: „ქართლი (იბერია) ჩვენს წელთაღრიცხვამდე V—I საუკუნეებში“ (რუსულ ენაზე)[22].

ი. გაგოშიძის ზემოთ დასახელებული ნაშრომი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების ფართო წრეს განიხილავს: ქრონოლოგია, აქემენიდურ და ე. წ. ელინისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, მატერიალური კულტურის ყველა დარგის ყოველმხრივი დახასიათება, რელიგია და სხვ. ეს პრობლემები იულონ გაგოშიძის ნაშრომებში შესწავლილია მთლიანად პირველწყაროების (მათ შორის მეტწილად თვით მის მიერ საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილის) ანალიზის საფუძველზე.

მრავალფეროვანი არქეოლოგიური პირველწყაროებისა და მწირი წერილობითი ცნობების საფუძველზე ი. გაგოშიძემ, პირველმა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, განიხილა აქემენიდურ-ირანულ სამყაროსთან ურთიერთობის მრავალი ასპექტი, ფაქტობრივად პირველმა შეჯამებული სახით წარმოადგინა ძვ. წ. V—I სს ქართლის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგია. ასევე პირველადაა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დახასიათებული (და ვიტყოდი — არსებული მასალების ფარგლებში, საკმაოდ სრულად) ძვ. წ. V—I სს-ის მატერიალური კულტურის ყველა დარგი (ხუროთმოძღვრება და სამშენებლო საქმე, კერამიკა მთელი თავისი ტიპოლოგიურ-მხატვრული და ფუნქციონალური მრავალფეროვნებით, საიუველირო ხელოვნება და სხვ.). მოცემულია ამ ძეგლების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, განსაზღვრულია მხატვრული სტილი, ადგილობრივი ნიშნები და უცხოური ზეგავლენა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა იულ. გაგოშიძის მიერ გამოყოფილი და ძვ. წ. VII—V სს-ით დათარიღებული სერია ოქრომჭედლობის ძეგლებისა (ნოსირი, ფარცხანაყანევი, ცხინვალი და სხვ.), რომელთა მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მან უჩვენა ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ახალი ეტაპის სათავეები და მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილისა და ტექნიკის განვითარება მომდევნო V—IV სს-ში.[23].

ხაზგასასმელია ისიც, რომ თავის ნაშრომებში ი. გაგოშიძე არ იფარგლება მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციით და განსაზღვრით. ამავე დროს იგი ცდილობს მათ სოციოლოგიურ ატრიბუციასაც და მით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ქართლის საზოგადოებაში მომხდარ სოციალურ ძვრებსა და სოციალურ სტრატიფიკაციას.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე ი. გაგოშიძის შტუდიები ქართლის სამეფოს

---

[22] Ю. М. Гагошидзе, Картли (Иберия) в V—I вв. до н. э. (Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада), Тб, 1983.

[23]. ი. გაგოშიძე. მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის, სსმმ, XXXII B, თბ., 1976, გვ. 5—38.

რელიგიისა და კულტურის შესახებ. მან დამაჯერებლად გვიჩვენა მაზდეანიზმის ელემენტების არსებობა ქართლის გაბატონებულ წრეებში და პირველ რიგში — სამეფო კარზე. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია იულონ გაგოშიძის მიერ ჯერჯერობით მაინც საქართველოში ისეთი უნიკალური კომპლექსის აღმოჩენა, როგორიც დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ძეგლებია, რომელიც ავტორმა გაიაზრა, როგორც სატაძრო კომპლექსი[24]. აქედან გამომდინარე მან დააყენა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხები: მაზდეანობის იბერიის ოფიციალურ რელიგიად არსებობა ,სამეფო დომენისა და ტაძრის საკუთრების ურთიერთობა და სხვ.

ი. გაგოშიძის ნაშრომების ციკლიდან მაინც მინდა საგანგებოდ გამოვყო სამადლოს ნაქალაქარი. იულ. გაგოშიძის ერთ-ერთი დიდი დამსახურება საქართველოს არქეოლოგიაში ისიცაა, რომ ის გახლავთ პირველაღმომჩენი ძვ. წ. IV—III სს-ის ნამოსახლარებისა, რომელთა შორის სამადლოს ნაქალაქარს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ფაქტობრივად აქედან მიეცა დასაბამი ამ რიგის არქეოლოგიური ძეგლების ფართოდ კვლევას, ვგულისხმობ ნასტაკისს (ალ. ბოხოჩაძე) და ციხია-გორას (გ. ცქიტიშვილი).

სამადლოს ნაქალაქარზე ადრე აღმოჩენილ და სხვადასხვა მუზეუმებში გაბნეულ არქეოლოგიური ნივთების სკრუპულოზური შესწავლისა და შემდეგ თვით ი. გაგოშიძის მიერ განხორციელებული და კარგად მოფიქრებულ-დაგეგმილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე მან შექმნა ორ წიგნად რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომი „სამადლო“, რომელიც ჩვენი არქეოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო და, შეიძლება ითქვას, სანიმუშო შენაძენია.

პირველ წიგნში ამომწურავადაა განხილული ნაქალაქარის ისტორიასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი: შესწავლის ისტორია, ძველი ქალაქის ტოპოგრაფია, მისი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა, ურთიერთობა ნასტაკისის ნაქალაქართან, ქალაქის შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლები და სარწყავი სისტემა; ნაქალაქარის სტრატიგრაფია და კულტურული ფენების დახასიათება, სამშენებლო ტექნიკა და სამშენებლო მასალები, კერამიკული წარმოება (რომლის პროდუქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოხატულ კერამიკას და მრავალფეროვან შავპრიალა ჭურჭელს, სამშენებლო კერამიკას), ოქრომჭედლობის ნიმუშები და მრავალი სხვ. ამ მასალების საფუძველზე წარმოადგინა მან ამ დასახლების განვითარების ეტაპები ქართლის ისტორიის საერთო ფონზე, გვიჩვენა სამადლო-ნასტაკისის, როგორც ერთიანი საქალაქო სისტემის, როლი და ადგილი ძვ. წ. IV—III სს-ის ქართლში ქალაქთ წარმოშობის და განვითარების რთულ პროცესში, დაახასიათა ამ ქალაქის სოციალური ბუნება, ეკონომიკური ბაზისი, ურთიერთობა გარე სამყაროსთან და ა. შ. ცალკე წიგნადაა გამოცემული სამადლოს არქეოლოგიური ძეგლების შესანიშნავად შედგენილი და კლასიფიცირებული კატალოგი (თითქმის ათასი ერთეული), რომელსაც ერთვის ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და საგნობრივი საძიებლები. ი. გაგოშიძის მიერ შესწავლილ-გამოცემული სამადლოს არქეოლოგიური ძეგლები წარმოადგენს პირველხარისხოვან

[24] იხ. დაწერ. № 21-ე შენიშვნაში დასახ. ლიტ. თუმც აქვე უნდა შევნიშნო, რომ დედოფლის მინდვრის არქიტექტურული კომპლექსი ფუნქციონალურად სხეაგვარად გააზრების საფუძველსაც იძლევა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

წყაროს IV—II სს-ების საქართველოს ისტორიისათვის და სამაგიდო წიგნსაც იმათთვის, ვინც ამ ეპოქის საქართველოს ისტორიასა და კულტურას სწავლობს.

მასთან ერთად, ი. გაგოშიძის ახლახან გამოქვეყნებულ „სამეცნიერო მოხსენებასა“ და სხვა ნაშრომებში გამოთქმული დებულებები რიგ შემთხვევაში ძალზე სადავოდ გვეჩვენება და ამიტომაც მივიჩნიე საჭიროდ ჩემი მოსაზრებანი ამ საკითხზე გავუზიარო სპეციალისტებს და იქნებ ისინი საჯარო დისკუსიის საგნად იქცნენ, რამდენადაც საქმე ეხება საქართველოს ძველი ისტორიის რიგ კარდინალურ პრობლემებს.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომის სათაური სულ სრულად არ შეესატყვისება მის შინაარსს. ნაშრომის სათაური გახლავთ „ქართლი (იბერია) ძვ. წ. V—I სს-ში,“ ხოლო მისი მიზანი შემდეგნაირადაა განსაზღვრული (გვ. 5); «Целью нашей работы является изучение истории и истории культуры Картли в У-I вв. до н. э., т. е. в. раннеантичном (ахеменидском) и эллинистическом периодах на основании археологических памятников.»

ჩემი შენიშვნა კი იმითაა გამოწვეული, რომ თემა „ქართლი ძვ. წ. V—I სს-ში“ გაცილებით უფრო ფართოს მომცველია, ვიდრე სარეცენზიო ნაშრომში განხილული საკითხების წყება; კერძოდ ნაშრომის სათაური გულისხმობს ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა იბერიის სახელმწიფოს წარმოშობა და შესაბამისად წინარე ვითარების ფართოდ განხილვა ამ ასპექტში, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წყობა, თუნდაც იბერიის სამეფოს სოციალური ბუნება (სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციათა განვითარების ასპექტში), საქალაქოცხოვრების გენეზისი და განვითარების ეტაპები, ქალაქების ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური დახასიათება ყველა ეტაპზე (არა მხოლოდ ძვ. წ. IV—III სს-ში, არამედ II—I ს-ში) და სხვ. რომლებიც ი. გაგოშიძის გამოქვეყნებულ ნაშრომებში ან სრულებით არაა დასმული ან ძალიან გაკვრითაა დასახელებული და სასურველი სისრულით შესწავლილი არაა. მეორე მხრივ, ძვ. წ. V—I სს-ების ყველა არქეოლოგიური ძეგლიც არაა ნაშრომში სასურველი სიღრმით შესწავლილი, ისეთები როგორიცაა არმაზციხისა და წიწამურის ელინისტური ხანის კომპლექსები, კამარახევის სამაროვანი, უფლისციხის ბამბების ნამოსახლარი, ციხია-გორას ქვევრსამარხები და კიდევ სხვა ძეგლები, რომლებიც შეიცავენ უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას ძვ. წ. IV—III და III—I სს-ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. ისეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა კამარახევის სამაროვანი და მცხეთის ექსპედიციის მიერ ახლახან აღმოჩენილი მუხათგვერდის სამაროვანი, ისევე როგორც ციხია-გორას ქვევრსამარხები, ავტორის ქრონოლოგიურ შკალაშიც კი არ მოხვდნენ. დავასახელებ აგრეთვე ავტორის დამოკიდებულებას ელინისტური ხანის არმაზისციხის არქიტექტურული კომპლექსის მიმართ. ამ კომპლექსს ავტორი ასახელებს მხოლოდ თავის ქრონოლოგიურ შკალაში, როცა მას II—I სს ძეგლთა შორის მოიხსენიებს და ისიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ასეთი დამოკიდებულება ამ ძეგლის მიმართ სრულიად მიუტევებელია, რადგან ამ ძეგლის დათარიღების შესახებ აზრთა პრინციპული სხვაობაა მკვლევართა შორის. ხოლო მთავარი ისაა, რომ ეს ძეგლი (ის მცირეც კი ჯერჯერობით რომაა გათხრილი) წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს გვიანელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სამშენებლო ტექნიკის, საფორტიფიკაციო სისტემის და საერთოდ

იბერიაში ქალაქთმშენებლობის ისტორიისათვის... ავტორს, რომელიც წერს მონოგრაფიას ძვ. წ. V—I საუკუნეების ქართლის შესახებ, გვერდი არ უნდა აევლო არმაზციხისა (ანტიკური წყაროების არმოზიკე) და წიწამურის (სტრაბონისეული სისამურა (სევსამორას) ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრისათვის ქართლის სამეფოს ერთიან პოლიტიკურ სისტემაში, რომ არა ვთქვათ რა-საერთოდ მცხეთა-ქალაქის როლისა და ე. წ. „დიდი მცხეთის" რაობის შესახებ.....

ამ მცირე შენიშვნის შემდეგ გადავიდეთ უფრო არსებით საკითხებზე.

1. ძვ. წ. V—I სს-ის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მთავარი და რთული პრობლემაა ქართლის აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის საკითხები, რომელთა განხილვას ი. გაგოშიძის „სამეცნიერო მოხსენებაში" და სხვა ნაშრომებში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ მე პირადად, ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე, მიმძიმს გავიზიარო ი. გაგოშიძის კონცეპცია ქართლის აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტს რომ შეეხება. ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ ი. გაგოშიძის კონცეპცია ამ საკითხებზე არაა თანმიმდევრული და უკვე ხსენებულ „სამეცნიერო მოხსენებაში" წარმოდგენილი დებულებები, პრინციპულად განსხვავდება იმისგან, რაც მას ბეჭდური სახით ჰქონდა ადრე გამოქვეყნებული წიგნში „ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან". იძულებული ვარ, მოვიტანო ერცელი ამონაწერი ამ ნაშრომიდან, რადგან მიმაჩნია, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს „სამეცნიერო მოხსენებაში" გამოქვეყნებული დებულებების შეფასებისას.

ამ წიგნის 86—87-ე გვერდებზე ი. გაგოშიძე ამტკიცებს: „კოლხეთი აქემენიანთა ექსპანსიას გადაურჩა. როგორც ჩანს, აქემენიდებს არც აღმოსავლეთი საქართველო დაუპყრიათ (აქ ავტორი სამართლიანად იმოწმებს პლუტარქეს ცნობას, — ო. ლ.). ყოველ შემთხვევაში აქ მათი ხანგრძლივი ყოფნის ისეთი კვალი, როგორც მაგალითად არარატის ველზე (არინბერდი), არ ჩანს. ძვ. წ. VI—V საუკუნეთა მიჯნაზე აქემენიანთა სატრაპების ეპიზოდურ ლაშქრობებს, რის შედეგადაც, შესაძლებელია, დაინგრა, მაგალითად, ხოვლე. ხანგრძლივი მშვიდობის ხანა უნდა მოჰყოლოდა საქართველოსათვის, V ს-ის პირველ ნახევარში აქემენიანთა იმპერიის მთელი ძალა და ყურადღება მცირე აზია—საბერძნეთისაკენ იყო მიპყრობილი, V ს-ის შუა ხანებიდან კი მათ ხელი აღარ მიუწვდებოდათ საქართველომდე. ამ საუკუნის ბოლოს ჩვენი სამხრეთი მეზობლებიც აქემენიანთაგან დამოუკიდებელნი ჩანან" (აქ დამოწმებულია რ. გირშმანის ნაშრომი და ქსენოფონტი). თუ გამოვრიცხავთ აშკარად მცდარ მოსაზრებას ხოვლეს აქემენიდთა სატრაპების მიერ დანგრევის შესახებ (რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ), მე არსებითად ვიზიარებ პოლიტიკური სიტუაციის ავტორისეულ დახასიათებას, რომელიც ძირითადად ადრეც იყო წამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (მაგალითისათვის დავასახელებ გიორგი მელიქიშვილის ნაშრომებს)[25].

ზემოთ დასახელებულ „სამეცნიერო მოხსენებაში" კი ქართლისა და აქემენიანთა ირანის V-IV სს-ში პოლიტიკური ურთიერთობის სულ სხვა სურათია წარმოდგენილი: «как-бы ни решился в будушем вопрос северных преде-

[25] შდრ. Г. А. Меликишвили, К истории ... გვ. 236.

лов ахеменидской державы, мы уже сейчас можем утверждать, хотя и не имеем прямых литературных свидетельств о вхождении территории современной Восточной Грузии в состав империи, что какая-то форма зависимости северных грузинских политических[26] образований от Ирана в ахеменидскую эпоху несомненно существовала» (გვ. 24).

ხოლო ნაშრომში „სამადლო“ (გვ. 52) უკვე პირდაპირ აცხადებს“ Более чем вероятно, что территория Восточной Грузии входила в состав XVIII сатрапии империи ахеменидов». (თუმც იქვე დასძენს, რაც საკმაოდ უცნაურია «если это даже было и не так» და. ა. შ.). აქ წამოყენებული დებულებები, როგორც ვხედავთ, პრინციპულად განსხვავდება იმისაგან, რაც ი. გაგოშიძეს ადრე ჰქონდა ბეჭდურად გამოქვეყნებული და არსად თვითონვე არ უარუყვია! დავანებოთ ახლა ამას თავი. საქმე ისაა, რომ ეს ახალი დებულება, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება მისი ავტორის მიერვე ადრე წერილობითი წყაროების მონაცემებზე და ქართული ისტორიოგრაფიაში მიღებულ შეხედულებებზე დაფუძნებულ მოსაზრებას, ამჯერად მოკლებულია ყოველგვარი არგუმენტაციას. მოტანილია ერთადერთი „საბუთი“—ჰეროდოტეს ცნობა: „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიონის ქედამდე“ (III, 97). მაგრამ ამ ცნობით ხომ კოლხებზე და სრულიად აშკარად მათ ჩრდილოეთით მდებარე მხარეზეა საუბარი? (ჰეროდოტეს სხვა ცნობებიდან ჩანს, რომ მას კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვრად მდ. ფაზისი მიაჩნია—შდრ. I, 104). მაშ რა შუაშია აქ აღმოსავლეთ საქართველო? თუ მაინცდამაინც ი. გაგოშიძეს სურდა აღმოსავლეთ საქართველო აქემენიდთა სახელმწიფოს XVIII სატრაპიაში მოექცია, მას პირდაპირ უნდა მოეტანა ჰეროდოტეს ცნობა XVIII სატრაპიის შემადგენლობის შესახებ—საიდანაც (III, 94) ჩანს, რომ ამ სატრაპიას შეადგენდნენ მატიენები, სასპეირები, ალაროდიელები. ი. გაგოშიძემ რატომღაც ეს პირდაპირი მითითება XVIII სატრაპიის შემადგენლობის შესახებ არ ახსენა. ალბათ იმიტომ, რომ დასახელებულ ტომთა ადგილსამყოფელი კარგადაა ცნობილი—მათ შორის ქართველი ტომების სასპეირებისაც—ისინი სამხრეთ ამიერკავკასიაში არიან ლოკალიზირებული.[27] ასეთი გახლავთ საქმის ვითარება და მიუხედავად ამისა, კვლავ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ი. გაგოშიძე აგრძელებს მტკიცებას: «Добровольному подчинению Грузии персам должны были предшествовать походы сатрапских войск в пределы северо-западного Закавказья еще в период царствования Дария I (522 486 гг. до н. э.)—იძულებული ვარ აქაც შევნიშნო, რომ არც ძვ. წ. VI—V სს აქემენიდთა სატრაპების საქართველოში ლაშქრობათა შესახებ გვაქვს რაიმე მონაცემი. თავის 1964 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ი. გაგოშიძე უფრო შორსაც მიდის, მისი მტკიცებით: „ამ ლაშქრობის შედეგად დაინგრა მაგალითად, ხოვლე“ („ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან“, გვ. 86), მაგრამ ცნობილია, რომ ხოვლეს სამოსახლო VI—V სს-ში კი არაა დანგრეული, არამედ ძვ. წ. V—IV საუკუნეების მიჯნაზე[28] (ე. ი. მას შემდეგ როდესაც ი. გაგო-

[26] აქ ისიცაა გაუგებარი თუ, რას გულისხმობს ავტორი „ჩრდილოეთ ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებში“. რა (ან საიდან) ეიცით მათ შესახებ ძვ. წ. VI საუკუნიდან IV-ის შუა ხანებამდე?

[27] დაწვრ. Г. А. Меликишвили, К истории ... გვ. 232—233.

[28] შდრ. Д. Мусхелишвили, К вопросу о связях центрального Закавказья с Передним Востоком в раннеантиченую эпоху. „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“, I, თბ, 1978, გვ. 24, შენიშვნა 22.

შიძისვე მტკიცებით: „V საუკუნის შუა ხანებიდან მათ (ე. ი. აქემენიდებს) ხელი აღარ მიუწვდებოდათ საქართველომდე“.

აი ასეთ არარეალურ საფუძველზეა მოცემული მთელი მტკიცება აღმოსავლეთ საქართველოს აქემენიანთა იმპერიისაგან პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ. „მივიწყებულია“ პლუტარქეს შესანიშნავი ცნობა: „იბერები არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და მაკედონელთა უღელიც აიცდინეს“ („პომპეუსი“, XXXIV). ახლა კვლავ მივყვეთ ი. გაგოშიძის მსჯელობას. აქემენიანთა სატრაპების ლაშქრობათა შემდეგ: «политическая ситуация в Закавказье, по-видимому, несколько стабилизировалась, грузино-иранские взаимоотношения приобрели более мирный и, что самое главное, регулярный характер, и постепенно вся Грузия полностью включилась в политическую, экономическую и культурную жизнь ахеменидской державы. В результате почти двухвекового общения Картли и Колхиды с Ираном, вся грузинская культура, имевшая к моменту ее первого соприкосновения с ахеменидской цивилизацией, многовековую, устойчивую традицию, испытала значительные изменения». იგივე აზრია გატარებული იმავე ნაშრომის მე-4-გვერდზეც: «следы воздействия ахеменидской цивилизации прослеживаются почти во всех сферах духовной и материальной жизни древней Грузии».

თავი დავანებოთ ჯერ თუნდაც იმას, რომ არქეოლოგიური შესწავლილობის დღევანდელ ეტაპზე ჩვენ საერთოდ არ ვიცით ძველი საქართველოს სულიერი და მატერიალური ცხოვრების ყველა სფერო და აგრეთვე იმას, რომ ძველ საქართველოში იგულისხმება აგრეთვე ძვ. წ. V—I სს, კოლხეთიც, სადაც სრულიად დაუსაბუთებელია აქემენიდური გავლენა, ჩვენთვის ახლა ისეთ კარგად ცნობილ სფეროებში, როგორიცაა კოლხური კერამიკა, ხის არქიტექტურა, სამონეტო სისტემა, ოქრომჭედლობა (კერძოდ თავსამკაული: დიადემები, საყურეები, და სხვ.). აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ძვ. წ. V—IV ს. ს. ე. ი. ე. წ. აქემენიდური ხანის ძეგლებიც იბერიის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით შიდა ქართლში) ჯერ საკმაოდ სუსტადაა გამოვლენილი. ფაქტობრივად რა გვაქვს, თუნდაც, რომ გამოვიდეთ ი. გაგოშიძის შემოთავაზებული ქრონოლოგიური შკალიდან[29] ყაზბეგის განძის შემდეგ (ძვ. წ. VI—V სს მიჯნა) თითქმის ძვ. წ. IV-სს შუა ხანებამდე (ყანჩაეთი, ახალგორი) ფაქტობრივად არ გვაქვს შიდა ქართლში თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი (თუ არ ჩავთვლით სამადლოს ე. წ. კოშკისებურ ტაძარს, რომლის დათარიღება V საუკუნის დასასრულით — IV ს. დასაწყისით[30] საკმაოდ საეჭვოა)! ასეთ პირობებში მტკიცება იმისა, რომ „მთელი საქართველო მთლიანად იყო ჩაბმული აქემენიდური ირანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში“, — სრულიად მოკლებულია რაიმე რეალურ საფუძველს.

ვნახოთ ახლა რამდენადაა დასაბუთებული ი. გაგოშიძის დებულებები, ადგილობრივი კულტურის აქემენიდურ ყაიდაზე ტრანსფორმაციის შესახებ თუნდაც იბერიის მაგალითზე. ავტორი ამ ურთიერთობის სამ ეტაპს გამოყოფს: პირველ ეტაპზე (სამწუხაროდ იგი ზუსტად არ მოხაზავს მის ქრონოლოგიურ საზღვრებს) ადგილი აქვს მხოლოდ სპარსული, აქემენიდური სტილის

[29] შდრ. Ю. М. Гагошидзе, Картли, გვ. 12.

[30]. შდრ. Ю. М. Гагошидзе, Самадло I, გვ. 51—52.

ნივთების გავრცელებასო. ასეთი ნივთები, რომც მთლიანად გავიზიაროთ სადღეისოდ მიღებული (და პირველ რიგში თვით იულონ გაგოშიძის მიერ შემოთავაზებული) თარიღები და განსაზღვრები, ამ ეტაპზე ერთეულებია და თვით ი. გაგოშიძის მტკიცებით ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ადგილობრივ კულტურაზე.

მეორე ეტაპს (არც მისი ქრონოლოგიური საზღვრებია ზუსტად განსაზღვრული, მაგრამ, როგორც ჩანს ი. გაგოშიძე V ს-დან IV ს-ის შუა ხანებამდე ვარაუდობს), ავტორი უწოდებს აქემენიდურ კულტურასთან შეთვისების პერიოდს: «второй этап можно назвать периодом приобщения к ахеменидской культуре: грузинские ремесленники начинают использовать в своих изделиях отделные формы и элементы ахеменидского стиля, продолжая в общем оставаться верными старым местным традициям. В грузинских изделиях этого типа бросаются в глаза эклектичность и неорганичность соединения художественных образов двух разных стилей-местного и ахеменидского». მთლიანად რომ გავიზიაროთ ეს დებულება, მაინც მის საილუსტრაციოდაც მხოლოდ ერთეული ძეგლებია დღეს ავტორის მიერ წარმოდგენილი და მათი დათარიღებაც როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკმაოდ საეჭვოა. კიდევ მეტი, თვით ი. გაგოშიძე აღიარებს, რომ მაგ. ოქრომჭედლობაში (სადაც ზოგიერთი მკვლევარი ადრე ჭარბად ხედავდა აქემენიდურ გავლენას): «ахеменидские формы воспринимаются грузинскими ювелирами только в IУ в. до н. э., хотя этот процесс не был простым и односложным. Иногда заимствовались готовые формы украшений (браслеты с выгибом, круглые серьги), но были случаи использования отдельных художественных элементов из арсенала ахеменидского искусства в изделиях явно местных как по форме, так и технике исполнения. Примером последного может служить пара височных подвесок с конями и большие бляхи из Садзегури, в которых использованы элементы типично ахеменидского декора (миндалевидные выпуклины, ступеньчатые зубцы). Иногда ахеменидские, по общей форме, украшения исполнялись в традиционном местном стиле (серьги с грануляцией из Садзегури). Далее этого влияние ахеменидского искусства на грузинское ювелирное дело не пошло: что самое главное, не прижилась здесь цветная инкрустанция».

ჯერ ერთი უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ნახსენები საძეგურის (ე. ი. ახალგორის განძის) ძეგლები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განეკუთვნება ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანების შემდგომ ხანას და მაშასადამე ვერ გამოდგება ე. წ. მეორე ეტაპის სიტუაციის დასახასიათებლად. მაგრამ მაინც მივყვეთ თვით ი. გაგოშიძის არგუმენტაციას. ასეთ შემთხვევაშიც კი რა გამოდის? ძვ. წ. VI და V სს-ში ვიდრე IV ს-ის ხანებამდე, როდესაც ი. გაგოშიძის მტკიცებით იბერია (და მთელი საქართველო) თითქმის „მთლიანად“ ჩართულია აქემენიანთა იმპერიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, აქემენიდური ელემენტები ჯერ კიდევ სუსტადაა წარმოდგენილი ქართლის მატერიალურ კულტურაშიც კი. განა შეეძრება ეს სურათი ვთქვათ ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობას, როდესაც ბერძნული იმპორტი აგრე მრავლად და ნაირსახოვნადაა წარმოდგენილი კოლხეთში და თვალსაჩინოთ მოწმობს ნამდვილ რეგუ-

ლარულ ეკონომიკურ ურთიერთობებს! ასეთი შედარება თავისთავის მაინც უნდა მოეხდინა ავტორს, როდესაც ასეთ დიდმნიშვნელოვან დებულებებს აყენებდა.

ნამდვილად ირანული ელემენტების მოძალება ქართლში, როგორც ეს დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები ი. გაგოშიძეს არქიტექტურის ზოგიერთ ძეგლის, რელიგიური კულტების (მაზდეანობა), კერამიკის ზოგიერთი ფორმის მაგალითზე, ქართლში აშკარაა მხოლოდ ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანების შემდგომ ე. ი. მას შემდეგ, როდესაც დაემხო აქემენიანთა იმპერია. და განა, მართლაც, პარადოქსულად არ გამოიყურება ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც საკუთრივ ირანის ტერიტორიაზე ჩვენ ვხედავთ აქემენიდური კულტურის ტრადიციების უარყოფას და მისგან გადახვევას, თითქოს ქართველები გამოდიან ამ ტრადიციების მხსნელად და მის მემკვიდრედ. რატომ? თუ კი აქემენიანთა ირანის ბატონობის ხანაში ადგილობრივი კულტურა ძნელად ეგუება აქემენიდურს (როგორც ამას ი. გაგოშიძე აღიარებს), აქემენიანთა დამხობის შემდეგ როგორღა გადადის იგი განადგურებული კულტურის ნიადაგზე? რით უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? მართალია, ისტორიამ იცის არაერთგზისი შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ებრძვის დამპყრობლის კულტურას და მხოლოდ მისგან განთავისუფლების შემდეგ ითვისებს მის კულტურულ მონაპოვარს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ე. წ. ელინისტური სამყარო. როგორც ეს შესანიშნავად დაამტკიცა დანიელ შლუმბერჟემ, სელევკიდების იმპერიაში, ადრეულ ეტაპზე ბერძნული და ადგილობრივი კულტურები თანაარსებობენ, მაგრამ ერთმანეთისაგან იზოლირებულად და არ ერწყმიან ერთმანეთს, მათ შორის გარკვეული ანტაგონიზმიცაა თვითარსებობის დაცვის პრინციპზე დაფუძნებული. მხოლოდ ბერძენ-მაკედონელთა პოლიტიკური ბატონობის დამხობის და ადგილობრივი სახელმწიფოების შექმნის შემდეგ იწყება ნამდვილი კულტურული სინთეზი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ელინისტური კულტურის (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ბერძნულ-პართული, ბერძნულ-სემიტური და ა. შ.) შექმნა[31]. მაგრამ აქ, აღმოსავლეთის ქვეყნებში მაინც თავისებური ვითარებაა. ბერძნული პოლისი არსებობას განაგრძობს ახალშექმნილ სახელმწიფოებში და უკვე მისი ადგილობრივ მოსახლეობასთან მშვიდობიანი კონტაქტის პირობებში მიმდინარეობს კულტურის ორმხრივი სინთეზი. საქართველოში ხომ ფაქტობრივად სულ სხვა ვითარებაა. იგი აქემენიანთა ირანს არ დაუპყრია (ი. გაგოშიძის მტკიცებითაც ურთიერთობას „მშვიდობიანი“ ხასიათი ჰქონდა) და აქემენიანთა ირანის განადგურების შემდეგ, აქ, დამოუკიდებელი ირანული პოლიტიკური ერთეულები (ვთქვათ ისგავსად ბერძნული პოლისისა პართიაში) არ არსებობდნენ, ამიტომაც ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვერ გავიზიარებ ვერც იმ დებულებას, რომ IV—III და მომდევნო საუკუნეებში ირანული ელემენტების მომძლავრება ძვ. წ. VI—V, IV ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს აქემენიანთა ირანთან ურთიერთობის ი. გაგოშიძისეული გააზრების შედეგი იყო. მით უფრო, რომ როგორც ვნახეთ, ქართლშიც კი იგი არქეოლოგიური მასალების მიხედვით საკმაოდ სპორადული ჩანს. მაშ, ჩემი აზრით. ზემოაღნიშნულ ფაქტს სხვა ახსნა ჭირდება. მეჩვენება, რომ IV ს-ის შუა ხანებიდან ირანული ელემენტების მომძლავრება სპონტანური განვითარების ნაყოფი კი არაა, არამედ შედეგია იმ დიდი პოლიტიკური ძვრებისა, რო-

[31] D. Schlumberger. L'Orient Hellénisé, Paris, 1970.

მელსაც ადგილი ჰქონდა აქემენიანთა ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ალ. მაკედონელის ძლევამოსილ ლაშქრობათა შემდეგ და რასაც გარკვეულ წილად თან მოყვა დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მაშინ მდებარე, სწორედ ირანული კულტურის ზემოქმედების არეალში მოქცეული, ქართველი (სამხრეთული ქართლის) ტომების გადმოსახლება დღევანდელ აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ასახულია როგორც ქართულ ეროვნულ საისტორიო ტრადიციაში (ცნობა „არიან ქართლიდან" გადმოსახლების შესახებ), ასევე ბერძნულ მწერლობაში (მეგასთენე) და აღიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში[32]. სწორედ ამ ახალი ქართული ეთნიკური ტალღის შემოსვლამ განაპირობა, ვფიქრობ ის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და ახალი იერი მატერიალური კულტურისა, რომელიც პირველ რიგში, ი. გაგოშიძის და აგრეთვე სხვა ჩვენი არქეოლოგების (გ. ცქიტიშვილი, ალ. ბოხოჩაძე) სამუშაოებით აგრე თვალსაჩინოდაა ახლა წარმოჩენილი.

2. ი. გაგოშიძის „სამეცნიერო მოხსენებაში" და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ნაშრომშიც წამოყენებულია დებულება იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პარალელობის შესახებ. სამწუხაროდ, ი. გაგოშიძე არსად არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება ამ პარალელიზმში.

მე პირადად ვერ ვხედავ ვერავითარ პარალელიზმს ვერც ქრონოლოგიურ და ვერც ტიპოლოგიურ ასპექტში,

ა) ძვ. წ. V—IV სს-ში კოლხეთი ძლიერი სახელმწიფო ერთეულია — შინაგანი განვითარების შედეგად წარმოქმნილი, ქართლში კი ამ დროს ჯერ კიდევ არაა ერთიანი სახელმწიფო. აქ ცალკეული ერთეულებია, რომელთა სათავეში გვაროვნული არისტოკრატიაა. კოლხეთი აქტიურადაა ჩაბმული ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო კონტაქტებში, რაც თავს იჩენს ფულადი მიმოქცევისა და ბერძნული იმპორტის გავრცელებაში. იბერიას ეს უშუალო კონტაქტები ჯერ არ გააჩნია. არც ფულადი მიმოქცევაა მისთვის ძვ. წ. II—I სს-მდე ცნობილი, რაც აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური წყობის თვალსაჩინო განსხვავებით აიხსნება.

ბ) ერთიანი იბერიის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ კოლხეთში პირუკუ პროცესი ვითარდება. ერთიანი სახელმწიფო სუსტდება და იშლება, ხოლო მისი აღმოსავლეთ რაიონები ქართლის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის არეალში ექცევა[33].

„სამეცნიერო მოხსენების" მე-11 გვერდზე კი ი. გაგოშიძე წერს.: «Само собой разумеется, что историю КАРТЛИ V—I вв. до н. э. нельзя изучить в отрыве от истории Колхиды (Западной Грузии): по всей диссертации красной нитью проходит идея параллельности развития и общности культуры обеих частей Грузии в предгосударственный и раннегосударственный периоды ее истории»

სავსებით ვეთანხმებით ციტირებული სტრიქონების ავტორს, რომ იბერიის შესწავლა კოლხეთის ისტორიისაგან მოწყვეტით არ შეიძლება, მაგრამ,

---

[32] შრ. გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI—V ს-ში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", 1 გვ. —422 და შემდეგ.

[33] გ. მელიქიშვილი, ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I, გვ. 722—440.

სრულიად დაუსაბუთებლად მიმაჩნია მტკიცება იბერიისა და კოლხეთის „პარალელური განვითარებისა“ და მათი „კულტურული ერთიანობის“ შესახებ. „პარალელური განვითარების“ თაობაზე უკვე ითქვა, ახლა „კულტურული ერთობის“ შესახებ.

ბუნებრივია, რომ როგორც ერთი საერთო ძირიდან მომდინარე, ამ ორ ეთნიკურ ერთეულს ჰქონდა ბევრი რამ საერთო, განსაკუთრებით იდეოლოგიურ სფეროში, მაგრამ კულტურის ერთიანობა მატერიალურ კულტურაში არ შეინიშნება.

ამ ერთიანობის მოწმობად ფაქტობრივად ი. გაგოშიძეს ერთადერთი საბუთი მოაქვს: «Одним из ярких свидетельств единства Картли и Колхиды в раннеантичную эпоху в культурном и социально-политическом отношениях является и то(საინტერესოა კიდევ რა?), что представителей правящей верхушки общества в обеих частях Грузии хоронили в деревянных (дощатых) погребальных сооружениях-зарытых в землю саркофагах-одинаковой конструкции, с соблюдением примерно одинакового погребального обряда». მაგრამ ხით შეკრულ სარკოფაგებში წარჩინებულ პირთა დაკრძალვა განა მხოლოდ იბერიისა და კოლხეთისათვის დამახასიათებელი ფენომენია? განა ასევე არ არიან ხის სარკოფაგებში დაკრძალული მდიდარი ბერძნები ქობულეთ-ფიჭვნარში[34] და კიდევ უფრო ხშირად ჩრდ. შავიზღვისპირეთში[35]? საქმის ვითარებას ვერ ცვლის ი. გაგოშიძის მიერ წიგნში „სამადლო“ (გვ. 69) მოტანილი არქეოლოგ ნ. გოგიბერიძის საინტერესო მოსაზრება ხის სარკოფაგებში დაკრძალვის წესის ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან მომდინარეობის შესახებ, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება კულტურის ერთი ელემენტის დიფუზიას. ან კიდევ ძალზე მდიდრული ინვენტარი (საზოგადოების რიგით წევრთაგან განსხვავებით), აგრეთვე მონა-მხევლებისა და შეკაზმული ცხენების ჩატანება სკვითურ და სხვ. ე. წ. „ბარბაროსული ტომებისათვის არაა დამახასიათებელი?.

კოლხეთისა და იბერიის კულტურის ერთიანობის მტკიცებისას აუცილებელია სისტემური ანალიზი ყველა ელემენტისა სინქრონულ დონეზე შედარებით. თუ ასეთ ასპექტში შევისწავლით ამ საკითხს, დავინახავთ მკვეთრ განსხვავებას. ასე მაგ., იბერიისათვის არაა დამახასიათებელი კოლხეთისათვის აგრე ტიპიური კერამიკა: რთული პროფილის პირგვირგვინიანი და დაშტრიხულ ზედაპირიანი ქვევრები, ყურმილიანი დოქები, კონუსისებურძირიანი თუ მაღალფეხიანი სასმისები და ა. შ. განსხვავებულია დასახლების ტიპიც: ქართლში არ განვითარებულა კოლხეთის გეომორფოლოგიური პირობებით გამოწვეული ხელოვნური მიწაზვინულები („ზურგა“, „დიხა-გუძუბა“, „გორიკა“) სპეციფიკური ჯარგვალური ხის არქიტექტურით; არც თითქოს კოლხეთისათვის აგრე ტიპიური ბრინჯაოს სიტულებია იბერიაში; არც „კოლხური თეთრია“ აქ გავრცელებული. ოქრომჭედლობაც კი, რაზედაც ხშირად ი. გაგოშიძე აქცენტს აკეთებს-ავლენს საკმაოდ შესამჩნევ განსხვავებებს. ასე მაგ., ქართლისათვის არაა დამახასიათებელი რომბულფირფიტიანი და გრეხილრკალიანი დი-

---

[34] ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975, გვ. 11, 59—60 და სხვ.

[35] Н. И. Сокольский, Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья, М., 1971 გვ. 64—66.

ადემები, ჭვირული და სფეროსებურბურთულიანი ან ნავისებური ფორმის საყურეები.[36] ერთეული შემთხვევები კი კოლხეთისათვის ტიპიური ე. წ. „სხივანა“ საყურეების აღმოჩენისა საერთო სურათს ვერ ცვლის (ისინი შესაძლოა კოლხეთიდან იყოს იმპორტირებული). ასე, რომ თუნდაც ამ მონაცემების საფუძველზე „კულტურის ერთობა“ ძნელად სამტკიცებელია, და შესაბამისად სრულიად უსაფუძვლოა მტკიცება „სამეცნიერო მოხსენების“ დასკვნაში (გვ. 49) რომაა წარმოდგენილი: «Культурно-экономическое и политическое развитие обеих частей древней Грузии-Картли и Колхиды, в У-I вв. до. н. э. шло параллельно». სულ სხვა საკითხია, რომ, მართლაც, არსებობს გარკვეული მსგავსება და რამდენადმე პარალელური განვითარება იბერიისა და კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებისა ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან, რაც ამ დროს ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში მიმდინარე ეთნიკურ-დემოგრაფიული ძვრებითაა გაპირობებული.[37] მაგრამ ეს იდეა ი. გაგოშიძეს არ ეკუთვნის და მას არც მისი დასაბუთება არ უცდია.

3,1. ვერ ვიზიარებ აგრეთვე ი. გაგოშიძის ზოგიერთ ფორმულირებას და დებულებას, რომელიც იბერიის ე. წ. ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობას შეეხება. ასე მაგ, როგორც „სამეცნიერო მოხსენების“ მე-5 გვერდზეა აღნიშნული, სხვა მრავალ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ავტორს მიზნად დაუსახავს «изучить вопросы эллинизации Картли и ее взаимоотношения с эллинистическим миром». მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ი. გაგოშიძის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში „ქართლის ელინიზაციის საკითხები“ შესწავლილი არაა და „ქართლის ელინიზაციის“ რამდენადმე რეალური სურათიც არაა წარმოჩენილი და ვერც იქნება: ელინიზაცია არ ნიშნავს ბერძნული კულტურის ცალკეული ელემენტების შემოჭრას ადგილობრივ ეთნოკულტურულ სისტემაში. ელინიზაცია, როგორც დღეს კარგადაა ცნობილი, უშუალოდ ბერძნულ სამყაროსთან (და არა ე. წ. ელინისტურ სამყაროსთან) კონტაქტის შედეგად მიღებული ფენომენია, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი სისტემის და მისი ძირითადი ელემენტების (ენა, მატერიალური კულტურა, იდეოლოგია), სრულ ტრანსფორმაციას ბერძნულ ყაიდაზე.[38] ჰქონდა კი ამას ადგილი ქართლში ძვ. წ. V-I საუკუნეებში? საიდან მომდინარეობდა ეს ელინიზაცია და რა კონტაქტების საფუძველზე? ი. გაგოშიძე ამ კითხვებს ასეთ ასპექტში არ სვამს და არც პასუხობს!

იგი წერს: «Касаясь проблемы эллинизма в Иберии, мы постарались показать двойственную сущность цивилизации, находившейся на периферии эллинистического мира, Грузии, где хотя и долго сохраняются старые ахеменидские традиции, но проявляются и явные признаки эллинизации во многих сферах культуры, таких как градостроительство и строительное дело, ювелирное искусство, керамика, металло-пластика и др. О том-же свидетельствует и распространение в Грузии гречес-

---

[36] დაწვრ. О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979 (იქვეა დასახ. ლიტ.), გვ. 74—102,

[37] ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), II, „ვანი“ III“ თბ., 1977, გვ. 21—22.

[38] შდრ. მაგ., J. Vallet, La cit. et son territoire... «Atti del setlimo convegno di studi. sulla Magna Grecia, Taranto, 8—12 ottobre, 1967, Napoli 1968, გვ. 67—141.

кой грамотности (наряду и параллельно с арамейской письменностью) и учености».

კონკრეტულად შევეხოთ ამ დებულების საბუთიანობას:

ა) „ელინიზაცია“ ქალაქთმშენებლობასა და სამშენებლო საქმეში. რაში გამოიხატა იგი? ყველაზე უფრო მკაფიოდ კრამიტის გავრცელებაში (ეს საკმაოდ ნათლად და ღრმად აქვს ი. გაგოშიძეს ნაჩვენები წიგნში „სამადლო“). შემდეგ, თითქოს ზოგიერთი ქალაქური დასახლების ტერასულ განაშენიანებაში, მაგრამ ეს ხომ პირველ რიგში ტოპოგრაფიული ვითარებით გამოწვეული აუცილებლობა იყო, რაც სრულებითაც არაა მხოლოდ ელინური ქალაქთმშენებლობისათვის დამახასიათებელი. მთავარი აქ ისაა, რომ ჯერჯერობით ჩვენ არსად არ გვაქვს დადასტურებული ძვ. წ. V—I სს-ში ელინური თუ ელინისტური ქალაქმშენებლობის მთავარი და არსებითი პრინციპი — ე. წ. „რეგულარული ქალაქი“!

რაც შეეხება სხვა ელემენტებს — ალიზის გამოყენებას მშენებლობაში, სწორკუთხა ქვათლილებს და მათ გადაბმას ლითონის სამაგრებით და სხვ., ეს ხომ იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებული წესია მთელს იმდროინდელ სამყაროში გიბრალტარიდან მოკიდებული დღევანდელ ავღანეთამდე. კიდევ მეტი, ჩვენ ხომ ჯერჯერობით არც ფუნქციონალურად და არც ტიპოლოგიურად ელინური ხუროთმოძღვრული ნაგებობანი ქართლში არ გვაქვს დადასტურებული. ბერძნული არქიტექტურული ორდერის გამოყენებაც კი საკმაოდ შეზღუდულია: ისევე, როგორც მთელი ელინისტური ხანის აღმოსავლეთში, ქართლსა და კოლხეთშიც კი ორდერის ელემენტები მხოლოდ სვეტითა და არქიტრავით შემოიფარგლება (არსად დასტურდება ანტაბლემენტის სხვა ელემენტების, კერძოდ ფრიზისა, აგრეთვე ფრონტონის დეკორატიული გაფორმების გამოყენება). ასეთ პირობებში ელინიზაციის ნიშნებზე საუბარი გაუმართლებელია.

ბ) საიუველერო ხელოვნება. ფაქტობრივად აქ საქმე ეხება ბერძნულ ნაკეთობათა აღმოჩენას. ბერძნული იმპორტის გავრცელება, ისიც საზოგადოების მაღალ ფენებში, ჯერ კიდევ როდი ნიშნავს საზოგადოების ელინიზაციას.

გ) იგივე შეიძლება ითქვას კერამიკის შესახებ, სადაც როგორც ი. გაგოშიძემ სამადლოს მაგალითზე თვალნათლივ გვიჩვენა, ელინური ტიპის ადგილობრივი კერამიკის ადგილობრივ დამზადება საკმაოდ იშვიათია.

დ) რაც შეეხება ბერძნული დამწერლობის ხმარებას ქართლში, ეს ხომ ჯერჯერობით მხოლოდ ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის გვაქვს დადასტურებული და მისი ასე ხელაღებით გადატანა უფრო ადრინდელ ხანისათვის გაუმართლებლად მეჩვენება.

ე) ბერძნული კულტები ხომ ფაქტობრივად დიონისეთი შემოიფარგლება. დიონისე კი იყო ყველაზე უფრო პოპულარული ბერძნული ღვთაება საკუთრივ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ცნობილია, რომ ებრაელებმა გააიგივეს თავის ღმერთთან სავაოფთან, ეგვიპტელებმა — სერაპისთან (იმის გამო, რომ სერაპისის კულტში თავს იჩენს ოზირისის კულტის ელემენტებიც). დიონისე გახდა ატალიდებისა და პტოლემაიოსების წინაპარი. დიონისური კულტები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის შუა აზიაშიც. მით უფრო გასაგებია დიონისური კულტების პოპულარობა და გავრცელება საქართველოში,

რომელიც მეღვინეობა-მეევნახეობის უძველეს ქვეყანას წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ ფიქრობენ, ჩემის აზრით, სამართლიანად, რომ დიონისეს სახით აქ გვევლინება უძველესი ადგილობრივი ღვთაება.

ასე, რომ მტკიცება იბერიის საზოგადოების „ელინიზაციის" შესახებ ძნელად გასაზიარებელია. მით უფრო, რომ როგორც უკვე ვახსენე, ცნების „ელინიზაციის" აქ ხმარება საერთოდ სრულებით არამართებულად მიმაჩნია, რადგანაც მას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად დამკვიდრებული აქვს სპეციფიკური მნიშვნელობა. ჩემი აზრით, ის რასაც ზოგიერთი ავტორი „ელინიზაციას" უწოდებს, ფაქტობრივად არის ე. წ. ელინისტური კულტურის გავლენა — უფრო სწორედ, იმდროინდელი სამყაროს ზოგადკულტურული მონაპოვრის შემოქმედებითად ათვისება!

3. 2. ვერ ვიზიარებ აგრეთვე ი. გაგოშიძის სხვა ფორმულირებას და დებულებებს იმავე საკითხების წრესთან დაკავშირებით გამოთქმულს. შეგახსენებთ ზემოთმოტანილი ციტატის საწყის ფრაზას: «Касаясь проблемы эллинизма в Иберии»... და ა. შ: პირველ ყოვლისა, გაუგებარია, რას გულისხმობს იგი „ელინიზმში" როდესაც სვამს საკითხს „იბერიაში ელინიზმის შესახებ." როგორც ცნობილია, ელინიზმი დღეს აღიარებულია სისტემად, სადაც თანაარსებობენ და ურთიერთზემოქმედებენ ადგილობრივი და ბერძნული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტები. ამ ორი წლის წინ წყალტუბოში შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ III სიმპოზიუმზე პრინციპულად ახალი შეფასება მიეცა ელინიზმისა და ელინისტური კულტურის არეალის საკითხებს. კერძოდ, უმრავლესობის მიერ გაზიარებულ იქნა ჩვენ მიერ ადრე წამოყენებული დებულება[39], რომ ელინიზმი როგორც ახალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სისტემა დამახასიათებელია მხოლოდ იმ ტერიტორიისათვის, რომელიც მოექცა ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსიისა და კოლონიზაციის სფეროში. ასე, რომ როდესაც ი. გაგოშიძე აყენებს საკითხს იბერიაში ელინიზმის შესახებ, მას მართებდა გამოეთქვა თავისი პოზიცია ელინიზმის არსის შესახებ.

3. 3. ჩემი აზრით, დაუსაბუთებელია განცხადება, რომ «В IУ-I вв. до н. э. восточно-эллинистический мир, возникший на развалинах Ахеменидской империи, включал в себя и первое древнегрузинское государство-Картлийское царство, ведущим внешнеполитическим фактором, в два первых столетия которого было общение с эллинистическими и эллинизированными странами Передней Азии: с государством Селевкидов, Понтом, Парфией».

აქ ჩემთვის რამდენიმე მომენტია გაუგებარი:

ა) როგორ შეიძლება ქართლის სამეფო ყოფილიყო აღმოსავლურ-ელინისტური სამყაროს ნაწილი ძვ. წ. IV ს-ში, როდესაც ქართლის სამეფო (იბერია) ი. გაგოშიძისვე აღიარებით, ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში (80-იან წლების) შეიქმნა.

ბ) რას ნიშნავს «восточно-эллинистический мир... включал в себе и Картлийское царство»? „აღმოსავლურ-ელინისტური" (ამ ტერმინს არ ვიზი-

[39] შრ. О. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1972. გვ. 185—191.

არებ, მაგრამ ეს სხვა საკითხია)[40] სამყარო ნიშნავს იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც შეიქმნა ბერძენ-მაკედონელთა აღმოსავლეთში ექსპანსიის შედეგად. იბერიას, რამდენადაც ვიცი, ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსია არ შეხებია (ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობას აზოს შესახებ ზემოხსენებულ პოლიტიკურ აქციას ვერ დაუკავშირებთ) და არც ალ. მაკედონელის იმპერიაში შესულა. ასევე იბერიის სახელმწიფო შექმნას ვერ დავუკავშირებთ იმ მოვლენებს, რომლებმაც განაპირობეს დიადოხოსთა სამეფოს შექმნა. მეორე მხრივ, ქართლის სამეფო არც ტიპოლოგიურადაა ელინისტური ტიპის სახელმწიფო, რომლის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ წყობას განსაზღვრავდა ბერძნული პოლისისა და ძველი აღმოსავლური პოლიტიკური თუ სოციალური ინსტიტუტების თანაარსებობა. იბერიაში ბერძნული პოლისების არ არსებობა ყველას კარგად მოეხსენება და ამიტომ ვერც ტიპოლოგიურად მივიჩნევთ მას ელინისტური სამყაროს შემადგენელ ნაწილად.

გ) ელინისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობა კი რაზედაც ი. გაგოშიძე მიუთითებს, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი ამ სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო. აქ, ჩემის აზრით, სხვა უზუსტობაცაა. ი. გაგოშიძეს მიაჩნია, რომ სელევკიდების სამეფოსთან, პონტოსთან, არმენიასა და პართიასთან ურთიერთობა წამყვანი საგარეო პოლიტიკური ფაქტორი იყო იბერიის სამეფოს არსებობის პირველი ორი საუკუნის მანძილზე. ე. ი. გამოდის, რომ ძვ. წ. III და II საუკუნეებში: მაგრამ არსებითად, რომ შევხედოთ საკითხს, ეს ურთიერთობა პართიასთან და სომხეთთან მაინც უფრო II და განსაკუთრებით I საუკუნეებშია თვალსაჩინო.

4. საკამათო და ძნელად გასაზიარებელია იულ. გაგოშიძის დებულებები ქართლში ურარტული კულტურის ელემენტების გავრცელების გზების შესახებ. სამეცნიერო მოხსენების 23-ე გვერდზე ავტორი წერს: «В большинстве таких случаев удается доказать, что т. н. урартское влияние на грузинскую культуру было опосредовано Ираном. Это касается как архитектуры и строительного дела Грузии ахеменидского периода, так и распространения здесь керамики светлого обжига и возникновения затем искусства вазописи (керамической росписи)».

წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ ეს დებულება ავტორს არსად არ დაუმტკიცებია და იგი რჩება მხოლოდ ავტორისეულ ჰიპოთეზად. რომელსაც მე პირადად არ ვიზიარებ. განა ასე მრავლადაა საქართველოში აქემენიდური ხანის არქიტექტურის ძეგლები გამოვლენილი და შესწავლილი (ფაქტობრივად ერთადერთი ძეგლია სამადლოს ე. წ. კოშკისებური ტაძარი, რომლის თარიღსაც უყოყმანოდ ვერ ვიზიარებთ), რომ ასეთი შორს მიმავალი დასკვნები გამოვიტანოთ? ი. გაგოშიძის ერთადერთი საბუთი მხოლოდ ისაა, რომ «почти все признаки так называемого урартского влияния на культуру Грузии, подмеченные многими исследователями, хронологически отстают от периода существования государства Урарту».

მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომელსაც ი. გაგოშიძე გვთავაზობს: ურარტული ელემენტების გაჩენა ძვ. წ.

---

[40] ოთ. ლორთქიფანიძე, „ელინიზმი", „ელინისტური სამყარო". „ელინისტური კულტურა" (დეფინიციის სიძნელეები). „მაცნე" (ისტორიის... სერია), № 2. 1984, გვ. 38-51

VI-ის ქართლში „ირანის შუამავლობით“ მოხდა («опосредовано Ираном»). ამ საკითხზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არსებითად განსხვავებული მოსაზრება, რომელიც დავით მუსხელიშვილს ეკუთვნის. მან, როგორც ცნობილია, ხოვლეს არქეოლოგიურ მონაპოვრის უკვე ძვ. წ. VII ს-ით დათარიღებულ ფენაში (ხოვლე IV) და განსაკუთრებით მომდევნო პერიოდისათვის (ხოვლე III) გამოყო ურარტული იერის წითელკეციანი კერამიკის ჯგუფი (რელიეფურსარტყლებიანი დიდი ქვევრები, წითლადშეღებილი ჭურჭელი, „სიგარისებური“ და სამტუჩა დოქები) და მათი გამოჩენა ახსნა ურურტული კულტურის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ახალი ქართული ეთნიკური ჯგუფის ინფილტრაციით ურარტუს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ (!). სავსებით ვეთანხმები დ. მუსხელიშვილის ზემოთ მოტანილ საკმაოდ არგუმენტირებულ მოსაზრებას.[41]

5. 1. ჩემი შემდეგი შენიშვნები სამადლოს ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთ საკითხს შეეხება. წიგნში „სამადლო“-(გვ. 99 და შემდ. „სამეცნიერო მოხსენების“ გვ. 47). ავტორი ამტკიცებს: «Думаю, что первое разрушение Самадло, засвидетельствованное нами в раннеэллинистическом слое городища, может быть связано с военными действиями между Азоном и Парнавазом в 284-280 гг. до н. э.». მეორე ნგრევას კი ავტორი არმენიის სარდლების არტაქსიასა და ზარიადრეს ლაშქრობას უკავშირებს: „ «..... не исключено, что именно с этим походом связано второе и последнее разрушение Самадло, которое, следовательно, можно датировать вторым двадцатилетием II в. до н. э.» მაგრამ სტრაბონთან (XI, 14, 5) ხომ გარკვევითაა ნათქვამი, რომ არტაქსიამ და ზარიადრემ იბერიას ჩამოართვეს „პარიადრეს მთის კალთები, ხორძენა და გოგარენა“ ე. ი. ისტორიული ქვემო ქართლი (სომხური წყაროების „გუგარქი“,), მესხეთის ნაწილი და გვიანდელი პარხალი.[42] მაშ რა მონაცემებზეა დაფუძნებული მოსაზრება არტაქსიასა და ზარიადრეს შიდა ქართლში ლაშქრობაზე და მათ მიერ სამადლოს განადგურების შესახებ? თუ მაინცა და მაინც, სამადლოს დანგრევა სომხეთის მეფეთა ქართლში ლაშქრობას უკავშირდება, მაშინ ეს რამდენადმე უფრო გვიანდელი ხანისათვის შეიძლება იყოს საგულვებელი (კერძოდ არშაკის შემოსევისას)[43].

5. 2. თავისი წიგნის „სამადლოს“ დასკვნით ნაწილში ი. გაგოშიძე სვამს საკითხს იმის შესახებ თუ რა ქალაქი უნდა ყოფილიყო აქ ამ ტერიტორიაზე. ჩემი აზრით, ავტორმა წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე საკმაოდ მართებულად არ გაიზიარა ალ. ბოხოჩაძის მოსაზრება ქართულ წყაროებში მოხსენიებული „ძველი მცხეთის“ სამადლო-ნასტაკისის ნაქალაქართან იგივეობის შესახებ,[44] მაგრამ თითქოს არ გამორიცხა ალ. ბოხოჩაძის მეორე მოსაზრება-სამადლო-ნასტაკისის ქართლის მეფის რეზიდენციად და სამეფოს დედაქალაქად მიჩნევის შესაძლებლობა: « Быть может, ни один из вышеперечисленных фактов в отдельности не является прямым показате-

---

[41] Д. Л. Мусхелишвили, К вопросу..., გვ. 19—21.

[42] შდრ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პოლიტიკური..., გვ. 456—457.

[43] იქვე, გვ. 466.

[44] იხ. ალ. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, „ძველი მცხეთის“ ლოკალიზაციის საკითხები, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, III, თბ., 1978, გვ. 5—25.

лем существования здесь столицы царства, но они и не исключают такой возможности («Самадло», გვ. 100).

აზრი დიდი სიფრთხილითაა გამოთქმული და აქ სიტყვას არ გავაგრძელებდი, რომ ერთი ფრაზა არ ყოფილიყო „სამეცნიერო მოხსენების“ 47-ე გვერდზე: «В конце II в. до н. э. она (жизнь О. Л.) здесь окончательно заглохла, эта дата хорошо согласуется с датировкой первого слоя Армазисцихе, ставшей резиденцией царей Картли, на рубеже II—I вв. до н. э.» სწორედ ამ ფრაზამ შემიქმნა შთაბეჭდილება (იქნებ მცდარია ვერ დავიჟინებ), რომ ი. გაგოშიძეს სურდა ეთქვა, რომ ქართლის მეფის რეზიდენცია ადრე სამადლოში იყო და მხოლოდ ძვ. წ. II-Iსს მიჯნაზე იქნა გადმოტანილი არმაზ-ციხეზე ე. ი. დღეს რომ ბაგინეთს ვუწოდებთ. სხვა როგორი დასკვნა უნდა გავაკეთო ზემოთმოტანილი მოსაზრებებიდან? ქართლის სამეფო, ი. გაგოშიძისვე აღიარებით, ძვ. წ. III ს-ის 80-იან წლებში შეიქმნა და მაშ სადღა იყო ქართლის მეფეთა რეზიდენცია ძვ. წ. II-I სს-ის მიჯნამდე ე. ი. თითქმის საუკუნენახევარზე-მეტ ხანს? ი. გაგოშიძეს და ალ. ბოხოჩაძეს ამ დროს ერთადერთ დიდ ცენტრად ქართლში ხომ სამადლო მიაჩნიათ! მე პირადად სამადლოს დედაქალაქობას ქართლის სამეფოს ისტორიის ადრინდელ ეტაპზეც კი, ვერ გავიზიარებ: ქართული წყაროები („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) პირდაპირ მიუთითებენ არმაზის (არმაზციხეს) მშენებლებად ქართლის პირველ მეფეებს ფარნავაზს, საურმაგს მირიან I, ფარნჯომს, არსოკსა და არტოგს, ამის საფუძველზე გ. მელიქიშვილი ასკვნის, რომ არმაზციხე ამ მეფეების რეზიდენციას წარმოადგენდა.[45] ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს არ ვერწმუნოთ ქართული წყაროების ჩვენებას. ხოლო თუ ი. გაგოშიძეს არმაზციხე I ძვ. წ. II-I სს მიჯნის ძეგლად მიაჩნია, მას ამის დასაბუთებაც უნდა მოეცა. მას კი ეს არ გაუკეთებია გარდა ნეგატიური განცხადებისა.

სამადლო ქალაქის აღმოცენება ძვ. წ. IV-ის დასასრულს წინ უსწრებდა იბერიის სამეფოს შექმნას. ი. გაგოშიძის მტკიცებით, სამადლოს ძველი ქალაქი პირველად III ს-ის 80-იან წლებშია აზოსა და ფარნავაზის ურთიერთბრძოლის შედეგად დანგრეული. მაგრამ ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი ხომ მცხეთელი იყო წარმომავლობით და მგონია, რომ მის მიერ შექმნილი სამეფოს დედაქალაქად იგი აზოს სამყოფელს და მის მიერ განადგურებულ ქალაქს არ გამოაცხადებდა.

5. 3. ზემოთგანხილულ ორ საკითხს ორგანულად უკავშირდება საკითხი ნასტაკისის სარწყავი სისტემის შესახებ. ი. გაგოშიძე წერს: «Нам удалось конкретно датировать рубежом IV-Ш вв. до н. э. строительство упомянутого в древнегрузинской хронике «Мокцеваи Картлисаи» («Обращение Грузии в Христианство») Настакисского оросительного канала и тем самым определить дату строительства одной из крупнейших оросительных систем Картли»....

ნასტაკისის სარწყავი სისტემა ძველი ქართლის, მართლაც, ერთ-ერთი საოცარი საინჟინრო სისტემაა, რომლის გამოვლენა შესწავლაში ი. გაგოშიძის დამსახურებაცაა. მაგრამ შეძლო კი მან, როგორც ის „სამეცნიერო მოხსენებაში“ გვარწმუნებს, ამ არხის კონკრეტულად ძვ. წ. IV—III სს-ით დათარიღე-

[45] იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, 1, გვ. 445.

ბა? ჯერ კიდევ 1964 წელს ი. გაგოშიძე დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ ეს არხი უკვე „ძვ. წ. IV საუკუნეში მომქმედი სისტემაა“ („ადრე ანტიკური ხანის ძეგლები“, გვ. 83). ახლა იგი ამ არხის მშენებლობის დასაწყისს ძვ. წ. IV—III საუკუნის მიჯნით ათარიღებს. არგუმენტაცია ორივე შემთხვევაში არსებითად ერთი და იგივეა: ამ რთული სარწყავი სისტემის მშენებელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება. რამდენადაც ადრე ი. გაგოშიძეს ძვ. წ. V ს-ში იბერია კოლხეთის სახელმწიფოს ნაწილად მიაჩნდა, ამდენად ამ სარწყავი სისტემის არსებობა უკვე IV საუკუნეში ივარაუდა. ამჟამად, მან თითქოს შეიცვალა თავისი ადრინდელი მოსაზრება იბერიას კოლხეთის განუყოფელ ნაწილად რომ მიიჩნევდა და ამჯერად, როგორც ჩანს, მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის დასაწყისი იბერიის სამეფოს შექმნას დაუკავშირა და იგი ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნით დაათარიღა. მაგრამ ქართლის სამეფო ხომ ძვ. წ. III ს-ის 80-იანი წლებში იქმნება! როგორღა შეეძლო სახელმწიფოს პირველ მეფეს მშენებლობის დაწყება თავის გამეფებამდე და ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნამდე? ი. გაგოშიძე, უნდა ვიფიქროთ, ძვ. წ. IV—III ს-ის მიჯნას იმიტომ გვთავაზობს, რომ ნასტაკისის არხი ბუნებრივად უკავშირდება სამადლო-ნასტაკისის ნაქალაქარს, ხოლო სამადლო უკვე ძვ. წ. IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში არსებობს, მაშ სარწყავი სისტემის მშენებლობა ძვ. წ. IV—III სა-თა მიჯნამდე უნდა განხორციელებულიყოო.

ნასტაკისის სარწყავი არხი, როგორც ეს თვით ი. გაგოშიძეს აქვს აღნიშნული („სამადლო“ გვ. 18), მხოლოდ ნაწილი და განშტოებაა მთელი მუხრანის ველის საირიგაციო სისტემისა. მიუწვდებოდა კი ხელი მთელი ამ სისტემის მშენებლობაზე სამადლოში მჯდარ ხელისუფალს უკვე ქალაქის არსებობის პირველ ეტაპზე, რომელიც ი. გაგოშიძის მტკიცებით ძვ. წ. III ს-ის 80-იან წლებში ნადგურდება. აქ კვლავ იბადება კითხვა — რომელი ხელისუფალი იჯდა სამადლოში — მთელი ქართლისა? ხოლო თუ ამ სარწყავი სისტემის მშენებლად ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს მივიჩნევთ, მაშინ დასასაბუთებელი იქნება: შეძლებდა თუ არა თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის მებრძოლი მეფე (ბრძოლა აზოსთან, ერისთავებთან) ამ არხის მშენებლობას, რომელსაც ასიათასობით მუშა-ხელი ჭირდებოდა? ასე, რომ მუხრანის სარწყავი სისტემისა და მისი შემადგენელი ნაწილების თუნდაც მშენებლობის დასაწყისის ძვ. წ. IV—III სს დათარიღება, ჩემი აზრით, ძალიან გაძნელდება და საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება: იგი მომავალი საგანგებო კვლევის საგნად უნდა იქცეს.

6. ძვ. წ. V—I სს ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია არქეოლოგიურ ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები. ი. გაგოშიძის „სამეცნიერო მოხსენებაში“ წარმოდგენილია ძვ. წ. V—I სს-ის არქეოლოგიურ ძეგლთა დანაწევრებული ქრონოლოგიის შკალა, რაც უთუოდ დიდი მნიშვნელობისაა, მაგრამ მასთან ერთად, ჩემი აზრით, სერიოზულ შენიშვნებსაც იმსახურებს.

6. 1. რამდენადმე უცნაურია ავტორის განცხადება: «не все конкретные датировки принадлежат автору, который пользовался данными О. М. Джапаридзе, О. Д. Лордкипанидзе, В. А. Толордава и др., однако все даты перепроверены.» ჯერ ერთი რას ნიშნავს «пользовался данными»? ი.

გაგოშიძემ ხომ ფაქტობრივად სხვა მეცნიერთა კვლევის შედეგებით ისარგებლა და არა უბრალოდ „მონაცემებით!? მეორე—რატომ არ არიან აქ დასახელებული სხვა მკვლევრებიც, რომელთაც არა ნაკლები „მონაცემები“ (თუ მაინცდამაინც მხოლოდ „მონაცემებზეა“ საუბარი, თორემ აქაც კვლევის შედეგებთან გვაქვს საქმე) აქვთ ი. გაგოშიძისეულ ქრონოლოგიურ შკალაში მოქცეული ძეგლების თარიღზე, მაგ. ნ. ხოშტარია, რ. რამიშვილი, გ. ცქიტიშვილი, ალ, ბოხოჩაძე, ლ. წითლანაძე, ც. დავლიანიძე, კ. კვიჟინაძე,? მესამე და არსებითი: რატომ საკუთრივ ქრონოლოგიურ შკალაში დასახელებულ ძეგლებთან არ არიან დასახელებული კონკრეტულად ავტორები, რომელთაც ეკუთვნით ავტორის მიერ გაზიარებული თარიღები? მაშინ ხომ უფრო თვალნათლივ გამოჩნდებოდა რომელი თარიღი „ეკუთვნის“ ი. გაგოშიძეს და რომელი სხვას.[46]

6. 2. ქრონოლოგიის საკითხებს ეძღვნება ი. გაგოშიძის სტატია „ნერონ დერესის სამაროვნის დათარიღებისათვის“ („მაცნე“, 1975, № 2). ეს სამაროვანი, რომელიც ადრე ძვ. წ. V—IV სს-ით თარიღდებოდა, ი. გაგოშიძემ დამაჯერებლად გადაათარიღა ძვ. წ. I ს-ით. მაგრამ, ვფიქრობ, რამდენადმე შორს მიმავალი დასკვნებიც წარმოადგინა, რომელნიც ყოველთვის ვერაა სათანადოთ დასაბუთებული. ამჯერად მხედველობაში მაქვს ე. წ. მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, რომელთაც ი. გაგოშიძე საერთოდ ძვ. წ. I ს. და ახ. წ. I ს-ით ათარიღებს. მაგრამ ასეთი თარიღი საერთოდ მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებისათვის ჯერჯერობით დაუსაბუთებლად მიმაჩნია, რადგან დოკუმენტურადაა დადასტურებული მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების აღმოჩენა გომარეთის სამაროვანზე, (სამარხი № 12), რომელიც დამაჯერებლადაა დათარი-

---

[46]. საერთოდაც უნდა შევნიშნო, რომ ცალკეულ მკვლევართა მოსაზრებებისადმი არათანმიმდევრული დამოკიდებულების სხვა ზოგიერთი მაგალითის მოტანაც შეიძლებოდა ი. გაგოშიძის ნაშრომებიდან. ასე მაგალითად, რომ არ ვთქვა რა „სამეცნიერო მოხსენებაზე“, საკითხის შესწავლის ისტორია არ ახლავს ისეთ სპეციალურ ნაშრომსაც კი, როგორიცაა „მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის“ (სსმმ, XXXIII—1976, გვ. 5—38). ხოლო იგივე ოქრომჭედლობის საკითხების განხილვისას „სამეცნიერო მოხსენებაში“ (გვ. 27—32) სხვა მკვლევრების გვერდით (ა. სმირნოვი, ო. ლორთქიფანიძე, ა. ჭყონია—თუმც ისინიც, როგორც ჩანს მხოლოდ მასალის აღმომჩენებად არიან მითითებული) საერთოდ არაა მოხსენებული ნინო ხოშტარია, რომელიც არამხოლოდ ვანის ოქროს ნივთების პირველაღმომჩენია, არამედ მას ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება საყურეებისა და სასაფეთქლეების ვარდულით შემკობის, როგორც კოლხური ოქრომჭედლობის სპეციფიკური ნიშნის შესახებ (იხ. „კავკასიურ—ახლოაღმოსავლური კრებული,“ II, 1962, გვ. 71), რასაც ი. გაგოშიძეც იზიარებს. ძვ. V ს-ში ქართლის კოლხეთის ნაწილად მიჩნევის, ახალგორის, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხების დათარიღების, ე. წ. ზურგშეზნექილისამაჯურების გავრცელების დროისა და სხვ. ი. გაგოშიძემ სხვა მკვლევართა მიერ მისი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ შეიცვალა თავისი შეხედულებანი, მაგრამ ეს ავტორები აღარ მოიხსენია. ასევე გაოცებას იწვევს „სამეცნიერო მოხსენებაში“ წარმოდგენილი განცხადება: «Именно раннегосударственный период истории грузинского народа вплоть до недавнего времени оставался фактически белым пятном в археологии». მაგრამ განა 60-იან წლებამდე არ იყო აღმოჩენილი ქართლის სამეფოს სწორედ ადრეული ეტაპის ისეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა „ყაზბეგის განძი“, ახალგორისა და ალგეთი სამარხები, ქვემო ქართლის ადრეანტიკური ხანის სამაროვნები, ხოლეგორა, კამარახევის სამაროვანი, სამთავრო, არმაზციხე და წიწამური, ურბნისის, უფლისციხისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლები (იხ. ამ წერილში 5—13 შენიშვნებში დასახ. ლიტ.) ? მაშ რა საფუძველზეა გამოცხადებული ეს პერიოდი „თეთრ ლაქად“ ქართულ არქეოლოგიაში ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე?

ღებული ძვ. წ. IV—III-ით., აგრეთვე გეღადირისა და ნახიჭევნის სამარხებში ალ. მაკედონელის მონეტებთან ერთად[47].

6.3. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეული ძეგლების დათარიღებისას ი. გაგოშიძე არ ცდილობს პარალელური მასალების ფართოდ მოხმობას და ზოგჯერ საკმაოდ არასრული მონაცემებით მეტისმეტად კატეგორიულად გვთავაზობს თარიღებს, რომელთაც შემდეგ საკმაოდ ადვილად ცვლის ხოლმე. ნიშანდობლივია ამ მხრივ, ახალგორისა და შესაბამისად აგრეთვე ყანჩაეთისა და ალგეთის სამარხების ავტორისეული თარიღები. 1964 წელი: წიგნში „ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან“ ი. გაგოშიძე ამ ძეგლებს ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებით ათარიღებდა.[48]

1976 წელს (სსმმ, XXXII-გვ, 10) — ახალგორის ნივთების კომპლექსი უკვე „ძვ. წ. V საუკუნის მიწურულით (ან უფრო IV ს-ით) თარიღდება“ (საბუთი ? „გენეტიკური კავშირი ძვ. წ. V ს-ის შუა ხანების ქართულ ნივთებთან“ და „ცხენის რახტის ბრინჯაოსა და ვერცხლის ნაწილების ძვ. წ. V—IV სს ბერძნული ანალოგიები“). 1983 წელი — იგივე კომპლექსები ამჯერად ი. გაგოშიძემ ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებს მიაკუთვნა (იხ. „სამეცნიერო მოხსენება“ გვ. 12), მაგრამ ამჯერად არავითარი ახალი საბუთი. ამგვარი დამოკიდებულება უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კომპლექსების მიმართ რამდენადმე არა სერიოზულია. ამ კომპლექსების დათარიღება მოითხოვს ღრმა სისტემურ ანალიზს. მაქვს საფუძველი განვაცხადო, რომ აღნიშნული კომპლექსების თარიღის ეს მესამე ვარიანტიც (ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანები) ძალიან საეჭვოა, რადგან ახალგორის კომპლექსი შეიცავს ისეთ ნივთებსაც (მაგ. ლაგმები, ნახევარმთვარისებური საკიდები და სხვ.),[49] რომელთა ანალოგიები ჯერჯერობით გვაქვს ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით დათარიღებული კომპლექსებში.[50] იგივე შეიძლება ითქვას ალგეთის მდიდრული სამარხის შესახებ. სწორედ ამიტომ მგონია, რომ ეს სამარხები სწორედ ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანების შემდგომი ხანით უნდა დათარიღდეს. ეს კი არსებითად ცვლის იმ სურათს, რომელიც ი. გაგოშიძის ნაშრომებშია წარმოდგენილი.

---

[47] დაწვრ. ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ. 1983, გვ. 159 და შემ.

[48] უნდა შევნიშნო, რომ იმთავითვე არ გაეზიარე ი. გაგოშიძეს ეს თარიღი, რადგან ახალგორის განძი „შეიცავს ისეთ ნივთებსაც, რომლებიც V—IV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი: დისკოსებური, საკიდები, ლომისთავიანი ოქროს ბალთები, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები“ (დაწვრ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968. გვ. 16. 17, შენიშვნა 17, იქვეა დასახ. ლიტ.), მაგრამ ამის მოხსენიება ი. გაგოშიძემ რატომღაც კვლავ არ მიიჩნია საჭიროდ.

[49] Я. А. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, გვ. 49, ტაბ. X, 71—72.

[50] მაგ. მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ვანში, № 16 სამარხში, რომელიც ძვ. წ. III ს-ით თარიღდება. იხ. О. Лордкипанидзе и др. Работы Ванской экспедиции—Полевые археологические исследования в 1980 г., Тб, 1982 გვ. 42—45, ტაბ. XVIII—XIX.

О. ЛОРДКИПАНИДЗЕ

О НЕКОТОРЫХ СПОРНЫХ ВОПРОСАХ ИСТОРИИ КАРТЛИ (ИБЕРИИ) V—I вв. ДО Н. Э.

Резюме

В работе дискутируются некоторые проблемы истории Картлийского (восточногрузинского) царства (Иберия греко-римских источников), в частности: характер взаимоотношений с ахеменидским миром и степени его влияния на местную культуру; сущность «эллинизма» и характер «эллинизации»; инфильтрации урартской культуры и хронологии некоторых археологических комплексов («Ахалгорийский клад», Канчаетское и Алгетское погребения и др.), которые по мнению автора следует датировать временем не ранее середины IV в. и III в. до н. э.

ᲖᲝᲗᲐ ᲮᲐᲜᲗᲐᲫᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ

(აკად. ნ. ბერძენიშვილის დაბადების 90 წლისთავი)

თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიას არ დალევია კორიფე ისტორიკოსები, რომლებიც თავიანთი გენიით და ღრმა შემოქმედებით ქმნიდნენ გარკვეულ ეტაპებს მის განვითარებაში. ლეონტი მროველი და შუა საუკუნეების ანონიმი ისტორიკოსები (დავითის, თამარის, ასწლოვანი მატიანის), ვახტანგ VI-ის „სწავლულნი კაცნი“ და ვახუშტი ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი და დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი და მისი მოწაფეები — სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი ამ კორიფეთა რიცხვს მიეკუთვნებიან. თითოეული მათგანის სახელთან დაკავშირებულია განვითარების ზეაღმავალი საფეხურები ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ჩვენი საუკუნის 50—60-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა წილად ხვდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, რომელმაც ს. ჯანაშიასთან ერთად გადაიყვანა ქართული ისტორიოგრაფია ახალ, მარქსისტულ-ლენინურ ეტაპზე. ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ (თავისი მატერიალისტური და დემოკრატიული იდეოლოგიით) ნიადაგი მოუმზადა ამ ეტაპს, მისმა მოწაფეებმა კი ხორცი შეასხეს მას.

მეცნიერული მოღვაწეობა[1] ნიკო ბერძენიშვილმა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. იგი იმთავითვე ფართო თვალსაწიერით მიუდგა ეროვნულ ისტორიას. ძველი ქართული კანონიკური წყობილების მიღმა იგი შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემებს ხედავდა, საქართველოს მიწაწყლის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისას, რასაც მკვლევარი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ახორციელებდა, კომპლექსურად იკვლევდა ქვეყნის ეკონომიკურ წარსულს, სოციალურ ურთიერთობებს, ეთნიკურ განვითარებას, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის საკითხებს. მოვლენათა საყოველთაო შინაგანი ურთიერთკავშირის დიალექტიკური პრინციპით შეიარაღებული მკვლევარი საოცარი სიღრმითა და სიზუსტით აცლენდა მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას სრულიად განსხვავებულ მოვლენებს შორის, ეძებდა მათი აღმოცენების, განვითარების და გადაშენების ისტორიულ პირობებს,

[1] ადგილის სიმცირის გამო თავს ვარიდებთ ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემას. მკითხველი მათ იპოვნის ე. დუმბაძის მონოგრაფიაში: ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (თბ., 1978) და ნ. ბერძენიშვილის ბიობიბლიოგრაფიისადმი წამძღვარებულ ნარკვევში, რომელიც ეკუთვნის ე. ხოშტარიას (ბროსე).

განმსაზღვრელ ფაქტორებს. ისტორიზმის პრინციპი მსჭვალავს ყველა მის დაკვირვებას, დასკვნას. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი მეცნიერი კლასთა ბრძოლისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თვალთხედვით აშუქებდა ეროვნული ისტორიის ფურცლებს.

ნ. ბერძენიშვილის მოღვაწეობის ასპარეზი ძირითადად ფეოდალური საქართველოს ისტორია იყო. ქართული ფეოდალიზმის თავისებურებათა გამოვლენა, მისი ძირეული პროცესების დახასიათება, განვითარების ეტაპების გამოყოფა (პერიოდიზაცია), ფაქტობრივი ვითარების დადგენა — ამათ დასტრიალებდა მკვლევრის მაძიებელი გონება. ამასთან მრავალი ღირსშესანიშნავი დაკვირვება აქვს მას მოცემული სხვა ისტორიული ეპოქების შესახებაც.

ნ. ბერძენიშვილის შეხედულებათა სისტემა, ჩვენი აზრით, უპრიანია დალაგდეს და გადმოიცეს ისტორიული პროცესის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.

საქართველოს უძველესი (წინაკლასობრივი) ისტორიის შესწავლისათვის ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი დაკვირვება გორა-ნამოსახლარების რაობაზე. გორათა დასახლება გავრცელებული და ტიპიური უნდა ყოფილიყო გარკვეული პერიოდისათვის (ენეოლითი) საქართველოში. დასახლების ამ ტიპს ნ. ბერძენიშვილი ფართო სოციალურ დახასიათებას აძლევს. უკავშირებს მას სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარ გარდაქმნებს, ადგენს მისი აღმოცენების და გაქრობის მიზეზებს, გამოჰყოფს ამ ხანას წინარე (მღვიმეთა) და მომდევნო (დაბათა) პერიოდებიდან[2].

საინტერესო დაკვირვებები აქვს ნ. ბერძენიშვილს გვიანბრინჯაოს ხანის (სამხედრო დემოკრატიის ეპოქის) დემოგრაფიულ და ეთნიკურ პროცესებზე, ხევებად დასახლების პრინციპზე, ხევისთავის და ხევისუფლის ერისთავად გარდაქმნის ტენდენციაზე, რამაც ღრმა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების მხარდამხარ შეამზადა საფუძველი სახელმწიფო სისტემის აღმოცენებისათვის.

მკვლევრის ყურადღებას იქცევს დიდი სამეურნეო ტეხილი ამავე პერიოდის ქართველ ტომთა სამეურნეო ცხოვრებაში (ენეოლითი, ბრინჯაო), სახელდობრ. მეცხვარეობა-მესაქონლეობის გადაქცევა მომთმაბარულ მეურნეობად და მისი შერწყმა მიწათმოქმედებასთან ამ უკანასკნელის უპირატესობით, ანუ მონოკულტურული მეურნეობის გადაქცევა ბიკულტურულად, რითაც ქართველი ტომები გაემიჯნენ აზიურ მეჯოგე ტომებს და სწრაფად დაწინაურდნენ[3]. ამ პროცესს თან ახლდა დედამთავრული გვარის შეცვლა მამამთავრულით.

ვრცლად და მრავალმხრივ აქვს ნ. ბერძენიშვილს განხილული ქართველ ტომებში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი. მკვლევარი ითვალისწინებს ცვლილებებს სამეურნეო ცხოვრებაში (საწარმოო ძალთა განვითარებას), თემის სოციალური გარდაქმნის პროცესს, ტომთა ეთნიკური გაერთმნიშვნელიანების დაჩქარებას, დასახლების სისტემის განვითარებას (სოფელი, ქვეყანა), იდეურ-პოლიტიკური სიტუაციის გარდაქმნას და სხვა მხარეებს. შეუძლებელია მოკლედ მოიხაზოს მოსაზრებებისა და დაკვირვებების ის მრავალწახნაგოვანი კვანძი, რომელიც ამ პრობლემის ირგვლივაა

[2] ვრცლად ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებები გორა-ნამოსახლარების შესახებ მოცემულია მის საქართველოს ისტორიის საკითხების VIII ტომში თბ., 1975, გვ. 23—61.

[3] იქვე, გვ. 229.

მოცემული მეცნიერის ნაშრომებში (დღიურები, ჩანაწერები, დასაბეჭდად გამზადებული ნარკვევები და სხვ.). მთავარია, რომ ეს პრობლემა წარმოდგენილია მისი შინაგანი სიღრმის გათვალისწინებით, სწორი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

რა ხასიათის იყო უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები? მეცნიერის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „უეჭველია აგრეთვე, რომ თუ საქართველოში მონათმფლობელობა იყო (და ის თითქოს იყო იმ მასშტაბისა, რომ ფორმაციად ვაღიაროთ...), ეს მონათმფლობელობა განუვითარებელი იყო (თუმცა ანტიკურ ქალაქთა სიმრავლე ერთგვარ გაბედულებას გვინერგავს, რომ ეს ფორმაცია არც აგრე სუსტი უნდა ყოფილიყო...), იქამდე განუვითარებელი, რომ საქართველოს ზეგნის (და არა მარტო მთის) თემები მან ამ ურთიერთობას ვერ აზიარა (როგორც ეს, ვთქვათ, ფეოდალურმა ურთიერთობამ შეძლო) და მონათმფლობელური ხანის სისტემას (უპირატესად ქალაქებში და მის აგარაებში წარმოდგენილს) მუდამ მოქიშპედ, მტრად უდგა ზეგნებისა და მთის სასოფლო თემები, სადაც ფეოდალური ურთიერთობა მონათმფლობელობის გვერდის აცლით ვითარდებოდა“.[4] აღსანიშნავია, რომ თემის დაშლას და მიწაზე კერძო ფეოდალური საკუთრების აღმოცენებას ნ. ბერძენიშვილი უკავშირებდა მორწყვითი (ინტენსიური) მიწათმოქმედების განვითარებას, ყურადღებას აქცევდა საირიგაციო სისტემების სიმძლავრეს ძველ საქართველოში.

ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვება და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისი VI ს-ზე მოდის. წყისეს წარწერისა და შიო-მღვიმის 1170 წლის სიგელის ღრმა წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა დაადასტურა VI ს-ის საქართველოში ფერდალური მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმების არსებობა: მამულის, ნასყიდის, შეწირულის და, სავარაუდოდ, ნაწყალობევისაც. VIII ს-ში მან შენიშნა დიდი გარდატეხა (ე. წ. არჩილის „რეფორმები“), როცა ერისთავებმა გაისაკუთრეს სამართავად მიცემული ქვეყნები და მთავრებად იქცნენ. მკვლევარი ამასთან დაკავშირებით ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ქართული ისტორიული აზროვნება VII—VIII საუკუნეებამდე მთელ მიწას სამეფოდ მიიჩნევს, ხოლო არჩილის შემდეგ გამოჰყოფს სამეფოს და საერისთავოს[5]. ქართლი ამ დროს აურაცხელ სამთავროთა კრებულს წარმოადგენდა, დიდი მთავრების მფარველობაში „მცირე“ მთავრები იმყოფებოდნენ და ამ პრინციპზე იყო აგებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია (იერარქიული სტრუქტურა).

ფეოდალურ ურთიერთობათა სისტემაში ნ. ბერძენიშვილი ამჩნევდა მეფისა და მთავრების დამოკიდებულების სამ ფორმას: ყმადნაფიცობას, ერისთავობით შეწყალებას და მოსაკარგავეობას. ამათგან პირველი ერისთაველის იდეალი იყო, ვინაიდან ყველაზე სუსტ დამოკიდებულებას გულისხმობდა (ვასალი თავისი ყმა-მამულით შედიოდა სიუზერენის მფლობელობაში), მოსაკარგავეობა კი მეფის იდეალს წარმოადგენდა, რამდენადაც ვასალი მთლიანად იყო დამოკიდებული სიუზერენზე. გაბატონებული კლასის შინაგანი ორგანიზაცია ამ ორ იდეალს შორის მერყეობდა. პატრონ-ვასალის ურთიერთობის ხა-

---

[4] იგივე მოსაზრება სხვა სიტყვებით ნ. ბერძენიშვილს გამოთქმული აქვს საქართველოს ისტორიის საკითხების VIII ტომში, გვ. 412.

[5] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, გვ. 77.

სიათი და შინაარსი მკვლევარს კარგად აქვს ნაჩვენები კლდეკარის ერისთავთა მეფესთან ურთიერთობის მაგალითზე.[6]

მაგრამ მთავარი მაინც გაბატონებული და მწარმოებელი კლასების ურთიერთობა იყო. ადრეულ ეტაპზე იგი პატრონყმური იყო (ანუ მამფალ-შვილობად იწოდებოდა). ირითადი კლასები იყვნენ აზნაურები და მდაბიორები (პირადად თავისუფალი მიწისმოქმედნი). იყვნენ აგრეთვე გლეხები (პირადად არათავისუფალნი). „ადრეფეოდალური საზოგადოება — წერს ერთგან მკვლევარი — მისი პოლიტიკური ფორმა მცირე სამთავროები: მამაუფალი, შვილები, მდაბიორები (დაშლადი თემი), გლეხები, აზნაურები"[7]. ასეთი იყო ადრეფეოდალური ქართლის სოციალური სტრუქტურა. ამ ხანის კლასობრივი ბრძოლის რეალურ შინაარსად ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა მდაბიორთა გაგლეხებას, მათ მიერ პირადი თავისუფლების დაკარგვას. ფეოდალური რენტის პირველსახედ მკვლევარი თვლიდა სეფობას (შრომით რენტას), რომელსაც ვალდებულებათა გამრავლების პირობებში შეენაცვლა ბეგარა. თავისებური იყო ამ დროს სამხედრო საქმის ორგანიზაციაც.[8].

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისა და ამ გაერთიანების ხასიათის საკითხი ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა ეროვნული ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად. იგი ამ საკითხსაც მრავალმხრივ და კომპლექსურად სწავლობდა. მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „როგორც დაშლა VI—VIII საუკუნეებში, ისე გაერთიანება IX—XI ს-ში პროგრესის ნიადაგზე იყო და პროგრესს ემსახურებოდა". გაერთიანება ახალი ხარისხის საზოგადოებას გულისხმობდა, სახელდობრ, ბატონყმურ საზოგადოებას (ფეოდალური ურთიერთობის მაღალ საფეხურს), გაერთიანების შედეგად უნდა შექმნილიყო ფეოდალურ-ბატონყმური ეცნტრალისტური სახელმწიფო[9].

ქვეყნის გაერთიანებამ ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნა გამოიწვია: ახალ ეტაპზე ავიდა საწარმოო ძალები (ინტენსიური სოფლის მეურნეობა, ხელოსნობის კიდევ უფრო გამოყოფა, მსხვილ სამეურნეო ერთეულთა წარმოქმნა...), გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა („აზნაურებმა ერთიანად დაიტაცეს სათემო და საქვეყნო მიწები და მდაბიორებს, ცალ-ცალკე თუ თემობრივ, უკლებლივ ყველას, ყმობის უღელი დაადგეს"), ყალიბდებოდა მართვის ახალი სისტემა (საუწყებო მართვა, მონაპირეთა ინსტიტუტით, სახელმწიფო სამართლით, ცენტრალიზებული ეკლესიით, სავაზიროთი...), ძველი ეთნიკური ცნება — „ქართლი" ვეღარ იტევდა ახალ შინაარსს და წარმოიშვა ახალი ცნება — საქართველო („ქართლის ეთნიკური გავრცელება ჰერეთ-კახეთში, ტაოკლარჯეთში, დასავლეთ საქართველოში").

მკვლევარს ნაჩვენები აქვს თუ როგორ მძიმე ბრძოლებში იკაფავდა გზას და მკვიდრდებოდა ქვეყნის გაერთიანების ტენდენცია. მას უხდებოდა არა მარტო ფეოდალთა რეაქციული ნაწილის წინააღმდეგობის დაძლევა, არამედ უცხოელ დამპყრობთა (ბიზანტიელები, სელჯუკები...) შემოტევების მოგერიებაც.

და აი, საქართველომ გაიმარჯვა: დავითმა დათრგუნა ურჩი ფეოდალები,

---

[6] საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. გვ. 10—25.

[7] იქვე, გვ. 125.

[8] იქვე, ტ. VI, გვ. 9.

[9] იქვე, ტ. VII, გვ. 28—29.

უკაგდო თურქები, წამოიწყო ბრძოლა მთელი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის, გამოვიდა ქრისტიანული ხალხების მფარველად (ნაცვლად ბიზანტიისა). საქართველოს ეს გაერთიანება ნ. ბერძენიშვილის აზრით, უნდა ყოფილიყო წინაბურჟუაზიული გაერთიანება[10]. მკვლევარი ასე აჯამებს დავით აღმაშენებლის ეპოქის დახასიათებას: „დავითის მეფობა, მაშასადამე, მთელი ეტაპია ბატონყმური საქართველოს ცენტრალისტური სახელმწიფოს გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მონასპა (опричнина), მოსაკარგავე (და არა მემამულე აზნაური), მონაპირე ცენტრიდან ყოვლად დამოკიდებული სამხედრო მოხელე (და არა სიძე ერისთავი), ერთგულთა და მოსწრაფედ მორჩილთა (და არა ძირძველ აზნაურთა) აღზევება, სავაზირო, სამართლის საქმის ცენტრალიზაცია, საეკლესიო საქმეების რეორგანიზაცია, მსტოვართა ინსტიტუტი, „სახლების“ შერთვა, მეფის დომენის უზომო გაძლიერება. არსებითად საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მთელი ტერიტორია, მისი უდიდესი ნაწილი ხომ რეალურად, მთელი კი ნომინალურად, სამეფო იყო. ქვეყნად იყენენ უპირატესად მეტ-ნაკლებად მფლობელი აზნაურები — მებატონეები, რომელთაც ამას გარდა სამეფო მიწა საკარგავად ეძლეოდათ, მსხვილ დიდგვაროვანთა მნიშვნელობა და გავლენა გადაშენების საფრთხის ქვეშ იდგა“.[11]

საქართველოს ამ აღზევებას სათანადო კულტურული აღმავლობა ახლდა. ქართული კულტურის განვითარებას VI—XII საუკუნეებში ნ. ბერძენიშვილი სამ ეტაპად ჰყოფდა: „პირველი საფეხური მონასტრების გაჩენიდან VI—VII სს) ვიდრე X. ს-მდე, როცა საქართველოსა და მის გარეთ მრავლად დაარსებული ეს მონასტრები ქართული კულტურის დამოუკიდებლობისათვის სამსახურს შედარებით მცირედ ეწევიან, ოუმცა ამის შეცნობა უკვე საკმაოდ ცხოველი აქვთ, განსაკუთრებით VIII ს-ის მიწურულიდან მოკიდებული. მეორე საფეხური ესაა ხანა გადამჭრელი ხასიათის მოღვაწეობისა ქართული ქრისტიანული კულტურის ამაღლებისათვის, მისი ბერძნულ-ქრისტიანულ კულტურასთან გათანასწორებისათვის, შეცნობილი ბრძოლა ქრისტიანული ლიტერატურისა, ფილოსოფიისა, ქართული ფილოლოგიისა, ისტორიისა, სამართლისა, პოეზიისა და მეცნიერების სხვა დარგთა განვითარებისათვის... და შეიძლება ითქვას ეს დიდი საქმე წარმატებით შესრულდა. XI ს-ში ქართული კულტურა ღირსეულად გვერდში უდგა ელინურს. ის ქრისტიანულ კულტურული მსოფლიოს მოწინავე ხალხების რიგში იდგა...

ამ განვითარების უკანასკნელი ეტაპი ის იყო, რომ ყველაფერ ამას თავი მოება: მრავალგან დაქსაქსული კულტურული კერების ნაცვლად ერთი კერა შეიქმნა, საუკეთესო ძალები შემოკრების იქნა და პირდაპირ ჩადგა გაერთიანებული ქვეყნის კულტურის სამსახურში“.[12].

ახალ ვითარებაში ახლებურად მოეწყო სამხედრო საქმის ორგანიზაციაც[13]. ამავე ხანაში წარმოიშვა მეფის ღვთისმიერობის იდეა, დავითის პიროვნება მოციქულებთან იქნა გათანაბრებული.[14].

რა ხდება შემდეგ?

---

[10] საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, გვ. 9, 200, 207, 208.
[11] იქვე, VII, გვ. 29.
[12] იქვე, გვ. 41.
[13] იქვე.
[14] იქვე, 11, გვ. 29.

დავითის მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს მიღწეულის შენარჩუნება. XII საუკუნე უმწვავესი შინაკლასობრივი ბრძოლებით აღინიშნა, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლაც. სოციალური თვალსაზრისით ამ საუკუნის მთავარი შედეგი იყო ბატონყმობის საბოლოო გამარჯვება, პირადად თავისუფალ მიწისმოქმედთა ფენის გაქრობა (იგულისხმება ბარის ზონა). ბატონყმობის საბოლოო გამარჯვება ნ. ბერძენიშვილს გვიანფეოდალური ხანის დასაწყისადაც მიაჩნდა. ამდენად იგი XIII საუკუნეს (მის პირველ მეოთხედს) განვითარებული ფეოდალიზმის ზენიტად თვლიდა და გვიანფეოდალურ ხანას აქედან იწყებდა.

XII ს-ში ბატონყმობის დამკვიდრებამ თავისი კვალი დაამჩნია სოციალურ ძალთა განლაგებას და მათ ბრძოლას. მებატონე ფეოდალები, რომელთაც მეფის ხელისუფლება აწინაურებდა (უხანოები, ახალკაცები) უპირისპირდებიან ძირძველ დიდგვარიანებს, ერისთაობის მოტრფიალეთ. ნ. ბერძენიშვილი წერს: „დიდგვარიანები ძველის აღდგენაში ხედავდნენ თავიანთ ინტერესს (...). გვარით უხანოთა მოზიზღარნი, ისინი ემიჯნებოდნენ ამ ახალ ფეოდალებს და მათგან დამოუკიდებლად ლამობდნენ ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო აპარატი... ამიტომ ებრძოდნენ რა მეფის ცენტრალისტურ აბსოლუტისტურ ტენდენციებს ისინი ამ უხანოთაც ებრძოდნენ... ეს იყო ერთ სარბიელზე კონკურენცია ორი ხარისხობრივად ერთნაირი ჯგუფისა, ერთი კლასის ორი დაჯგუფებისა.“[15] ბრძოლა საბოლოო მიზნად მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებას ისახავდა. იგივე მიზანი ჰქონდა დიდგვაროვანთა ბრძოლას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის პერსპექტივას და მის ისტორიულ მნიშვნელობას მკვლევარი შემდეგნაირად ახასიათებდა: „გაერთიანება ბატონყმობის გამარჯვების ნიადაგზე ხდებოდა, ხოლო ერისთავი ძველი პატრონყმური ურთიერთობის ინსტიტუტი იყო. ბატონყმობის პირობებში ერისთავი ან უნდა გამქრალიყო და ქვეყნის მართვა საუწყებო პრინციპზე მოწყობილიყო, ან, თუ ერისთავი საბატონყმო ურთიერთობის გამარჯვების ხანაში დარჩებოდა, ის უნდა გამთავრებულიყო, გახელმწიფებულიყო (ეს მხოლოდ რეაქციის ვითარებაში შეიძლებოდა: მეფის ხელისუფლების დასუსტების შედეგად, ქვეყნის ეკონომიური განვითარების შეფერხებისა და დაცემის შედეგად, რაც მართლაც ასე მოხდა...)“[16]. მართლაც XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე ქართული ფეოდალური საზოგადოება განვითარების კრიზისულ ხანაში იმყოფებოდა. მკვლევარი ღრმად და მრავალმხრივ აანალიზებს სამეფო კარზე მიმდინარე ბრძოლების შედეგებს, ახასიათებს არსებულ დაჯგუფებათა სოციალურ პროფილს და პროგრამებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ პერიოდში სამეფო ხელისუფლებამ მარცხი განიცადა, დიდგვარიანებმა გაიმარჯვეს, თუმცა მათი ეს გამარჯვება სრული არ იყო.

შეუძლებელია სრულად გადმოიცეს ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი ამ ეპოქის შინაგანი პროცესების რაობაზე. მისი მსჯელობები, დაკვირვებები, დასკვნები იმდენად ანგარიშგასაწევია და მნიშვნელოვანი, რომ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი, საინტერესო აზრებით დატვირთული ტომები პეციალურ განხილვას და შეფასებას საჭიროებენ, რაც მომავლის საქმეა.

გვიანფეოდალური ხანა (მეცნიერის პერიოდიზაციით XIII—XIX სს) ნ. ბერძენიშვილს განსაკუთრებული სიღრმითა და სისრულით აქვს შესწავლი-

[15] საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 184.

[16] იქვე, გვ. 31—32.

ლი. მას გარკვეული აქვს მონღოლთა სამხედრო-პოლიტიკურ სისტემასთან („ბარბაროსული ფეოდალიზმი“) შეჯახებისას საქართველოს მარცხის მიზეზები. მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის მძიმე შედეგები. მონღოლთა საგადასახადო სისტემის სრული შეუთავსებლობა ქართულ სამეურნეო ცხოვრებასთან, პოლიტიკური მმართველობის დაქვეითება. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და ქვეყნის დამშლელი ძალების მომძლავრება. საქართველოს ძნელბედობის ეს პერიოდი (XIII—XIV სს) ჯერ კიდევ არ იყო სრული დაცემა, მაგრამ ისე დაასუსტა ქვეყანა, რომ მან ვეღარ შეძლო თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევებისათვის გაეძლო. ბატონყმობის არსებობის პირობებში ცენტრის დასუსტება საბედისწერო აღმოჩნდა: იმძლავრა ფეოდალურმა რეაქციამ და ქვეყნის ერთიანობა საბოლოოდ მოშალა. ნ. ბერძენიშვილის დამსახურებას შეადგენს ერთიანი საქართველოს დაშლის ხასიათისა და მნიშვნელობის გარკვევა. მან დაასაბუთა, რომ დაშლა მოხდა რეაქციული ძალების გავლენით, საგარეო ფაქტორის ხელშეწყობით. რომ დაშლა და საქართველოში სათავადოების გაჩენა იყო ქვეყნის ამოვარდნა ნორმალური განვითარების კალაპოტიდან, რამაც გამოიწვია შემდგომი წინსვლის შეწყვეტა, სტაგნაცია, „დაჩიხვა“.

თვალის ერთი გადავლებით მკვლევარი გვიანფეოდალურ ხანაში განვითარებულ მოვლენებს ასე ახასიათებს: „XI—XII საუკუნის საქართველო ესაა ბატონყმობის გამარჯვების ხანა წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანა. XII საუკუნის საქართველო ვერ ამაღლდა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებამდე (თუმცა ძირითადად ის ამ საფეხურს უკვე მიღწეული იყო: „გლეხი“). კრიტიკული ხანა გრძელდებოდა და ყველა ნიშნით პროგრესი (ბატონყმობა და მოსაკარგავეობა, სავაზირო და ვაზირობა) გაიმარჯვებდა. მაგრამ ახალმა საერთაშორისო მოვლენებმა შეაფერხა ეს განვითარება და შემდეგ უკან დახია ის და ამ ნიადაგზე იშვა სათავადო, სამთავრო, სამეფოები, ეთნიკური მომენტების წინ წამოწევა, ფეოდალური დაშლა, ე. ი. ჩიხი მთელი მისი შედეგებით და ამ ჩიხში რჩება ქვეყანა ვიდრე XIX საუკუნემდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამა თუ იმ კუთხის, ამა თუ იმ დროს (სამწუხაროდ, მოკლე დროით) გამოცოცხლებას...“[17]

ამილახვართა საგვარეულო საბუთების დიდებული ანალიზის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა უჩვენა კონკრეტული სათავადოს ამოცანებისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი როლის სურათი.[18]. მანვე მოგვცა სათავადოს, როგორც გვიანფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი თავისებური ფენომენის მეცნიერული დახასიათება. ამით მან კარდინალურად შეცვალა ამ ფენომენის შესახებ მანამდე არსებული თვალსაზრისი, რომელიც სათავადოს წარმოქმნას წინსვლისა და პროგრესის შედეგად მიიჩნევდა. ამის შემდეგ ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მთელი მიმართულება, რომელიც სწავლობდა როგორც ცალკეულ სათავადოთა ისტორიას, ისე ამ პრობლემის თეორიულ ასპექტებს.

საქართველოს დაშლა დაემთხვა ჩვენი ქვეყნის ირგვლივ მტრული გარემოცვის ჩამოყალიბებას. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა იმ ღრმა შეუთავსებლო-

[17] საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 208.

[18] იქვე, ტ. II, გვ. 111—140.

ბაზე, რომელსაც ამყღავნებდაა ქართული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილება „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ მიმართ. ეს შეუთავსებლობა აძლევდა ძალას ქართველი ხალხის ბედგარ წინააღმდეგობას ჩვენში აღმოსავლური სოციალ-ეკონომიკური წყობილების დანერგვისადმი. მთელი XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი აწარმოებდა ბრძოლას ქვეყნის „აღდგომისა და გამოხსნისათვის“. არსებითად ეს იყო ბრძოლა უფრო მოწინავე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გადასარჩენად აღმოსავლური ჩამორჩენილობისაგან.

XVI საუკუნიდან კავკასიის ასპარეზზე გამოჩნდა რუსეთი, რომელიც სოციალურად და პოლიტიკურად უფრო ენათესავებოდა საქართველოს, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნები. რუსეთი ამ დროს წინაბურჟუაზიული გაერთიანების პროცესში იყო და წარმატებით ებრძოდა თათარ-მონღოლთა სახანოებს, უპირისპირდებოდა მათ „მფარველ“ თურქეთს. შექმნილ სიტუაციაში იგი საქართველოს ბუნებრივ მოკავშირედ იგულისხმებოდა. ნ. ბერძენიშვილმა ჩვეული სიღრმით შეისწავლა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და უჩვენა, რომ იგი ემყარებოდა ორმხრივ დაინტერესებას, რომ არა მარტო საქართველოს ჭირდებოდა დამხმარე ძალა და მფარველი რუსეთის სახით, არამედ რუსეთიც ეძებდა მოკავშირეს კავკასიაში და ასეთ მოკავშირედ მან საქართველო აღმოაჩინა. საინტერესოდ აქვს მკვლევარს შეფასებული რუსეთში ქართველთა დასახლებების წარმოქმნა და მათი როლი ორი ხალხის ურთიერთობის განვითარებაში, საქართველოს რუსეთთან შეერთების გარდაუვალობა და მისი პროგრესული მნიშვნელობა.

ფეოდალური საქართველოს მთელი ისტორია ნ. ბერძენიშვილს კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების თვალთხედვით აქვს განხილული. ამ ნიადაგზე ახსნა მან ისეთი საინტერესო მოვლენები ფეოდალურ საქართველოში, როგორიცაა: გლახაკთა და მეკობრეთა მოძრავლება XII საუკუნის საქართველოში, ხიზნობა და ბოგანობა მონღოლთა ბატონობის ხანაში, ტყვეთა სყიდვა („კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მახინჯი ფორმა“), ქვეყნის დაშლა, სათავადოების გაჩენა, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციები ამა თუ იმ ხანაში და ბოლოს გამანთავისუფლებელი ბრძოლის ეტაპები.

მარქსისტული მეთოდოლოგიის შესაბამისად ქართველი ხალხის გამძლეობა თვითმყოფობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის თავისებურებები მეცნიერმა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების, მეურნეობის ხასიათით ახსნა. „სხვა პირობათა შორის — წერდა იგი — ასეთი უნარიცა და თვით სპეციფიკაც ქართული ფეოდალური ურთიერთობისა მე ქვეყნის მეურნეობის ხასიათში და, კერძოდ, მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში ეხატებოდა“. ამიტომ აქცევდა იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებს, გამოაქვეყნა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საბუთების სამი ტომი, მასალები თბილისის ისტორიისათვის, სპეციალური ნარკვევები უძღვნა საბაჟოებს, სამღებროებს და სხვა მანუფაქტურული ხასიათის საწარმოებს XVIII ს-ის საქართველოში. სამღებროთა მანუფაქტურული ხასიათი პირველად ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა.

შესანიშნავი ნაშრომები უძღვნა მეცნიერმა მიწისმფლობელობის ფორმებს ფეოდალურ საქართველოში და მათ ამსახავ იურიდიულ ძეგლებს: ხელი, დაწე-

რილი, სიგელი, წიგნი, ნ. ბერძენიშვილმა წერილობითი და ეპიგრაფიკული ძეგლების სკრუპულოზური ანალიზით დაადგინა, რომ მაგალითად, ხელი როგორც მიწის კერძო საკუთრების იურიდიული ძეგლი უნდა არსებულიყო ამ საკუთრების (და სახელმწიფოს) წარმოქმნის დროიდან და იგი არა მარტო მამულზე უფლების აღმნიშვნელი მატერიალური ნიშანი იყო, არამედ „ხელდადებული მამულის" საზღვრის ნიშანიც.[19].

მეცნიერის დამსახურებაა ისეთი საინტერესო პოლიტიკური „ორგანიზაციის" გამოვლენა და შესწავლა ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში, როგორიცაა „მოკიდებული". ავტორის დასკვნით, „მოკიდული იმთავითვე ფართო მოცულობის საზოგადოებრივი გაერთიანება იყო. მოკიდულის დამახასიათებული იყო მისი წევრების თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა... გვიანფეოდალურ ხანაშიც (ბატონყმობის პირობებში — შ. ხ.) ესაა თავისუფალ პირთა (თუ სახლების) გაერთიანება ამა თუ იმ პირის (სახლის) გარშემო".[20]

ყველა იმ საკითხის ჩამოთვლა და შინაარსის გახსნა, რომელთა შესახებაც ნ. ბერძენიშვილს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, ცხადია, შეუძლებელია. ნ. ბერძენიშვილს მოუხდა ფეოდალური საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა, ვინაიდან ამას მოითხოვდა იმ ეპოქალური ამოცანის შესრულება რომლის გადაწყვეტაშიც ის მონაწილეობდა: ეს იყო საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელოს შექმნა, გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიის მარქსისტული გამართვა.

ასეთი ამოცანა 30-იანი წლების დამლევს ქართველი ისტორიკოსების წინაშე დააყენა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. მისი შესრულება მიენდო ი. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს და გ. ხაჭაპურიძეს. 1940 წლისათვის სახელმძღვანელოს მაკეტი უკვე მზად იყო, ხოლო 1943 წ. დაიბეჭდა კიდეც (მ. ხაჭაპურიძის ნაწილის გარეშე). 1947 წელს სახელმძღვანელოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიის უდავო წარმატების აღიარება. ნ. ბერძენიშვილი პრემიის ლაურეატი გახდა. აღნიშნულ. სახელმძღვანელოში მას XVI—XVIII საუკუნეების ისტორია ეკუთვნოდა.

ორი ათეული წლის შემდეგ ახალი (დამხმარე) სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა წარმოიშვა. იგი სამ ტომად იქნა დაბეჭდილი. 1958 წელს დაიბეჭდა პირველი ტომი, რომელშიც ნ. ბერძენიშვილის კალამს ეკუთვნოდა ადრე და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ისტორია, აგრეთვე XVIII ს-ის მეორე ნახევრის და საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია. ეს ახალი (დამხმარე) სახელმძღვანელო წინ გადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს ისტორიის კურსის გამართვის გზაზე. მის საფუძველზე საშუალო სკოლის ახალი სახელმძღვანელო დაიწერა. დიდი მეცნიერის მიერ საფუძველჩაყრილი ეს მიმართულება (საქართველოს ისტორიის გაბმული მარქსისტულ-ლენინური კურსის გამართვა) წარმატებით გრძელდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში (რვატომეულის შექმნა აკად. გ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ახალი სახელმძღვანელოების მომზადება).

ისტორიული მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა ისტორიული გეოგრაფია და წყაროთმცოდნეობა დიდადაა დავალებული ნ. ბე-

[19] საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 157.

[20] იქვე, გვ. 134.

რძენიშვილისაგან. განსვენებული მეცნიერი შესანიშნავი წყაროთმცოდნე იყო. მან ქართული საისტორიო წყაროების მეცნიერული გამოცემის რამდენიმე სანიმუშო მაგალითი მოგვცა. მან ჯერ კიდევ 1930 წელს შესაშური გულმოდგინეობითა და კრიტიკული მიდგომით, განახორციელა შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკის მნიშვნელოვანი ძეგლის: მცხეთის XI ს-ის საბუთის პუბლიკაცია. შემდეგ ასევე მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოსცა ამილახვართა საბუთები, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მის მიერ თ. ლომოურთან ერთად ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების გეოგრაფიული ნაწილის პუბლიკაცია, რომელსაც დართული აქვს ნ. ბერძენიშვილის მიერ დაწერილი ბიოგრაფიული ნარკვევი ვახუშტის შესახებ.

მისი ჩანაწერების მთელი ტომი ეძღვნება „ქართლის ცხოვრების" კრებულში გაერთიანებული ისტორიული თხზულებების წყაროთმცოდნეობით ანალიზს.[21]. ავტორი იყენებს წყაროთა კრიტიკის უახლეს მეთოდებს: კომპლექსური განხილვის მეთოდს, საგნობრივ კრიტიკას, ტექსტოლოგიურ ანალიზს, ლოგიკურ მეთოდს და, რაც მთავარია, კლასობრივ-პარტიულ მიდგომას. თითოეული წყარო მას განხილული აქვს როგორც ცოცხალი ისტორიული პროცესის მონაწილე ფენომენი, დაკავშირებული თავისი ეპოქის სატკივართან და გარკვეული მიზანდასახულებით მოქმედი. მკვლევარი ყოველ ნაბიჯზე იძლევა წყაროდან ისტორიული ფაქტის გამოწვლილვის სანიმუშო მაგალითებს. ადგილის დაზოგვის მიზნით საილუსტრაციო მასალას აქ არ მოვიტანთ.

ნ. ბერძენიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიულ-გეოგრაფიულ ნარკვევებს. მეცნიერს მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა შემოვლილი, აკვირდებოდა წარსულის ყოველგვარ ნაშთს: ნაქალაქრებს, ნასოფლარებს, ნასასახლარებს და ნაციხარებს, ეკლესია-მონასტრებს, ხიდებს, გზებსა და გადასასვლელებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ზეპირ გადმოცემებს, ხალხში შენახულ ისტორიულ ცოდნას. მთელი ეს მასალა ჯდებოდა სათანადო ეპოქის მონაცემებში, ავსებდა და აცხოველებდა ნარატიული თუ დოკუმენტური წყაროების საფუძველზე შექმნილ სურათს, ამდიდრებდა მას. ნ. ბერძენიშვილმა მძლავრად შემოიტანა ისტორიული პროცესების ახსნაში გეოგრაფიულ ფაქტორთა ანალიზი. მან დააფუძნა ჭეშმარიტად მეცნიერული ისტორიული გეოგრაფია („წარმოებითი გეოგრაფია"), ხელი შეუწყო ამ მნიშვნელოვანი დარგის ორგანიზაციულ და თეორიულ ზრდას. კვლევის კომპლექსური მეთოდი, რაც აგრე დამახასიათებელი იყო მეცნიერის მუშაობისათვის, განსაკუთრებით რელიეფურად ამ რიგის ნარკვევებშია გამჟღავნებული. ნ. ბერძენიშვილმა დაასაბუთა, რომ ყოველ ეტაპს ხალხის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში მისი შესაბამისი ისტორიული გეოგრაფია გააჩნია, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები იძლევიან საშუალებას გავიდეთ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ნაკვალევზე.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებებს ისტორიული მეცნიერების ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური

---

[21] საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979.

[22] ნ. ბერძენიშვილის ისტორიულ-გეოგრაფიულ დაკვირვებებს ეძღვნება მისი საქართველოს ისტორიის საკითხების VIII და I ტომები.

საკითხების შესახებ. ცხადია, ეს აზრები მას გამოთქმული აქვს კონკრეტულად, ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ.

ისტორიას, ისტორიულ მეცნიერებას ნ. ბერძენიშვილი კლასობრივ მოვლენად მიიჩნევდა და მის ისტორიასაც კლასობრივი ბრძოლების ჭრილში განიხილავდა. მაგრამ იგი ასეთად თვლიდა კლასობრივი საზოგადოების ისტორიულ აზროვნებას. წინაკლასობრივ საზოგადოებას, „ძმობის ხანას", მკვლევრის აზრით, მისი შესაფერისი ისტორიოგრაფია უნდა ჰქონოდა. ეს უნდა ყოფილიყო მშრომელების ისტორიოგრაფია და სამწუხაროდ მისი შესწავლა, მისი აღდგება თავს არავის უდვია. გვიან „ძმობა" მოიშალა, საზოგადოება კლასებად დაიყო, გაბატონებული კლასი დაეუფლა „ქართლის ცხოვრებას" და საკუთარი იდეოლოგიის იარაღად აქცია. თანდათან გაიმართა ფეოდალური კლასის „ქართლის ცხოვრება". მაგრამ არც დამორჩილებული კლასები დარჩენილან ისტორიოგრაფიის გარეშე. მათი ისტორიული აზროვნება ანტიფეოდალური გახდა და თანდათან ჩამოყალიბდა „ხალხურ-გლეხური ქართლის ცხოვრება". ისტორიული აზროვნების კლასობრივი ხასიათი სრულებით არ გამორიცხავს მის საერთო ეროვნულ მნიშვნელობას. ეს იმიტომ, რომ ეროვნული ინტერესი, ეროვნული საკითხი კლასობრივი ხასიათისაა. აღმავალი, პროგრესული კლასი პატრიოტია, ვინაიდან პატრიოტობა პროგრესისათვის ბრძოლას ნიშნავს.

ყველა ეპოქას, მეცნიერის აზრით, თავისი შესაფერისი ისტორიოგრაფია შეესაბამება. სანამ ფეოდალთა კლასი პროგრესული იყო, მისი ისტორიოგრაფიაც პროგრესს ემსახურებოდა, პროგრესისათვის იბრძოდა. როცა ამ კლასმა დრო მოჭამა და რეაქციის ბანაკში გადავარდა, მისი ისტორიოგრაფიაც რეაქციის სამსახურში ჩადგა. ერთი სიტყვით, ისტორიოგრაფია, ისტორიული აზროვნება ისტორიულობით ხასიათდება, ეპოქის შესაფერისია და ეპოქათა ცვლის შესაბამისად ვითარდება.

ისტორიას, ისტორიულ მეცნიერებას ნ. ბერძენიშვილი საზოგადოების აქტიურ, მებრძოლ ძალად მიიჩნევდა, რომელიც უნდა გამოხმაურებოდა (და ეხმაურებოდა კიდეც!) ეპოქის სატკივარს, მოწოდებული იყო მიეცა საზოგადოებისათვის „მშობლიური ისტორიის აქტიური (პოლიტიკურ-„პატრიოტული") ცოდნა". ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მაგალითზე მკვლევარი ნათელყოფს ისტორიული მეცნიერების აღნიშნულ თვისებებს.

ყოველივე ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიოგრაფიის მეცნიერული ხასიათი უგულვებელყოფილი იქნას. პირიქით, ნ. ბერძენიშვილი არაერთხელ აღნიშნავდა ისტორიული ფაქტების „შესწორება"-„შელამაზების" დაუშვებლობას, სიმართლისათვის თვალის გასწორების აუცილებლობას, თუნდაც ეს სიმართლე უსიამოვნო და საჩოთირო ყოფილიყო.

კლასობრივი მიდგომა და ისტორიზმი მიაჩნდა მკვლევარს ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებად ისტორიულ კვლევაში და საამისო ნიმუშებს თვითონვე იძლეობა.

განსვენებული მეცნიერი თავის ერთ-ერთ დამსახურებად თვლიდა ისტორიკოსთა თაობების აღზრდას, მაღალკვალიფიციური ქართველი ისტორიკოსების კადრების მომზადებას. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა უბნებზე მოღვაწეობენ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მან საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს, ზრუნავდა შესაბამისი განყოფილების კადრებით დაკომპლექტებაზე, არაერთხელ აღნიშნავდა კომუნიზმის მშენებელი ქართველი ხალხის ისტორიის მეცნიერული და-

მუშავების აუცილებლობას. მანვე ერთ-ერთმა პირველმა დააყენა საკითხი ფაბრიკა-ქარხნებისა და ჩვენი შრომითი კოლექტივების ისტორიის შესწავლის საჭიროების შესახებ.

ორი ათეული წლის მანძილზე ედგა სათავეში ნ. ბერძენიშვილი ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, წარმართავდა მას. ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების მუშაობას, იყო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და ა. შ. მთავრობამ და პარტიამ სათანადო ჯილდოებით აღნიშნეს მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული დამსახურება.

დღეს ქართველ ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი არმია ავითარებს და წინ სწევს მის მიერ საფუძველჩაყრილ არაერთ ისტორიოგრაფიულ საქმეს.

В. МАРИНОВ, САРАШКИЯТ ЗАНЯТ В БЪЛГАРИЯ

Историко-етнографско изследване,
София, 1982, Издательство на Българската Академия на Науките, 229 с.

ვ. მარინოვი, სარაჯობა ბულგარეთში,

ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, სოფია, 1982, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 229 გვ.

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრანსპორტს. ხალხური ტრანსპორტისა და სატრანსპორტო საშუალებათა შესწავლა გულისხმობს სათანადო ეთნოგრაფიული მასალის შეკრება-დამუშავებას არა მარტო გამწევი ძალის ირგვლივ, არამედ მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტების შესახებაც, როგორიცაა თვით საზიდრები თუ გამწევი ძალის აკაზმულობა და მოსართავები.

სწორედ ცხენის მოსართავ-აკაზმულობათა და მათი დამზადების შესწავლას ბულგარეთის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ეძღვნება პროფ. ვ. მარინოვის წიგნი „სარაჯობა ბულგარეთში". შესანიშნავად დასტამბული და კარგად ილუსტრირებული ამ ნაშრომის მიზანია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოშველიებით შეისწავლოს მედაბლეობის ერთ-ერთი რთული დარგი —სარაჯობა-მეუნაგირეობა — მის ისტორიულ განვითარებაში, უძველესი ხანიდან ანუ ძველი თრაკიელებიდან მოყოლებული, ვიდრე ჩვენ დრომდე და ამასთან ერთად დასახოს მისი მომავალი განვითარების პერსპექტივები. ამისათვის კი ავტორი არა ერთი ათეული წლის მანძილზე კრებდა და ამუშავებდა მასალებს არა მარტო ბულგარეთში, არამედ იუგოსლავიასა, რუმინეთსა, ჩეხოსლოვაკიასა, უნგრეთსა, მოლდავეთსა, უკრაინასა და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც.

წიგნი შედგება 4 თავისაგან, ახლავს დასკვნები, სიები მთხრობელთა და დასახლებული პუნქტებისა, სადაც იკრიბებოდა მასალა, რუსული და გერმანული რეზიუმეები, შემოკლებათა ნუსხა. გამოცემა ილუსტრირებულია როგორც მთხრობელთაგან მიღებული ძველი ფოტოებით, ისე თვით ავტორის მიერ ბულგარეთსა და მის საზღვრებს გარეთ გადაღებული სურათებით, სქემებითა და ზოგიერთი ნაწარმის სხვადასხვა ტიპის გავრცელებისა თუ გასაღების ბაზრების ამსახველი რუკებით.

ვ. მარინოვის წიგნის I თავი ეძღვნება სარაჯობის ისტორიას. არქეოლოგიური, წერილობითი და სხვა ისტორიული წყაროების საფუძველზე მოცემულია საფორნე, შესაბმელი თუ სახედარი ცხენებისათვის ბულგარეთში უძველესი დროიდან დამოწმებული მოსართავ-აკაზმულობის დეტალების გაჩენისა და მათთან დაკავშირებული ხელოსნობის განვითარების სუტათი. საგანგებოდაა განხილული სარაჯობა შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით, ბალკანეთში სლავებისა და პროტობულგარელთა მასიური შემოჭრის შემდგომი დროიდან მოყოლებული, ვიდრე თურქ დამპყრობთა ბატონობის ხანამდე. შესწავლილია სარაჯებისა და მეუნაგირეთა ხელოსნური საამქროს ორგანიზაცია, საუბარია თურქეთის ბატონობის დროის ადგილობრივი სახელოსნოების შესახებ, აგრეთვე ბულგარელი ხელოსნების ბესარაბიაში გადასახლებაზე.

II თავი ეთმობა XVIII—XIX სს. ხელოსნური წარმოების ორგანიზაციას. განხილულია ტრადიციულ ამქრებში ოსტატებსა, ქარგლებსა და შეგირდებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ამ ორგანიზაციათა თანდათანობითი დაშლა და ხელოსანთა კორპორაციების ახალ ეტაპზე გადასვლა. საუბარია სარაჯ-მეუნაგირეთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ყოფაზე კაპიტალიზმის ხანაში, უცხო კაპიტალის დამკვიდრებასა და მის გავლენაზე, შედარებით იაფი მასალისა და საქონლის შემოზიდვის შედეგებზე, ზოგიერთი ხელოსნის სწრაფვაზე ნაწარმის მოდერნიზაციისა და წარმოების მექანიზაციისაკენ, აგრეთვე უცხოეთიდან შემოსული სარაჯებისა და მეუნაგირეთა თუ ბულგარეთშივე სპეციალური სასწავლებლის კურსგაელილ ან საზღვარგარეთ გაწვრთნილ-

დახელოვნებული ოსტატების გავლენაზე ადგილობრივ ტრადიციულ ხელოსნობაზე. აღნიშნულია, რომ საქალაქო მოტორიზებული ტრანსპორტის განვითარება-დამკვიდრებასთან ერთად შემცირდა ეტლების ხვედრითი წონა და მოთხოვნილებაც სარაჯთა ნაწარმზე. მაგრამ ეს უკანასკნელი ინარჩუნებდა მნიშვნელობას პრიმიტიული სოფლის მეურნეობის პირობებში, სადაც ცხენი კვლავ ასრულებდა დიდ როლს, როგორც სატრანსპორტო — სატვირთო, საფორნე-შესაბმელი თუ საჯდომ-სახედარი პირუტყვი.

ამავე თავში საუბარია პროფკავშირებში გაერთიანებული წვრილი და საშუალო ხელოსნების ბრძოლაზე კაპიტალისტური ექსპლუატაციისა და მსხვილ მეწარმეთა წინააღმდეგ. ნაჩვენებია, რომ სოციალურმა უთანასწორობამ სარაჯ-ხელოსანთა შორის ასახვა პოვა მათი ყოფა-ცხოვრების პირობებსა და ხასიათში, საცხოვრებლებისა და სახელოსნოების მოწყობილობაში.

III თავი ეხება საწარმოო პროცესებსა და ნაწარმს. აქ აღწერილია სარაჯების სოციალური მდგომარეობის შესაბამისად სხვადასხვა სახის სახელოსნოთა მოწყობილობა და მოცემულია მათი ტიპოლოგია. შესწავლილია სარაჯ-მეუნაგირეთა მიერ (აგრეთვე მედაბღეობასა და სხვა რიგის ხელოსნობაშიც) გამოყენებული, ტრადიციული ადგილობრივი წარმოებისა თუ შემოტანილი ხელსაწყო-იარაღები, მათი დამზადების წესი, ფორმა, ფუნქცია. ამ იარაღებთან, ისევე როგორც სარაჯების ნაწარმთან, დაკავშირებული ლინგვისტური მასალის განხილვისას ყურადღება ექცევა სხვათა ენის გავლენასაც, ტერმინოლოგიის სფეროში უცხო სიტყვათა შემოჭრა-დამკვიდრებას. თუმც, მეორე მხრივ, აღნიშნულია ისიც, რომ ზოგიერთი ძველი ბულგარული ტერმინი გადაიღეს და აითვისეს თურქმა ხელოსნებმაც. შეკრებილია მონაცემები როგორც საფორნე შესაბმელი, ისე სახედარი ცხენებისათვის განკუთვნილი მოსართავ-აკაზმულობის დეტალების გასამზადებელი ტყავისა თუ სხვა მასალის შესახებ, როგორიცაა — თექა, ცხენის ძუა, მატყლი, ზღვის ბალახი, ჭავის ჩალა-ღერო, მუყაო, ხე, საწებავი საშუალებანი, საღებავები, ფისი, კუპრი, სელის ძაფი, ლითონი და სხვ. ავტორი აღწერს ჩამოთვლილი მასალის გამოყენებით სარაჯთა მუშაობის პროცესებს, გვაცნობს მათი ნაწარმის თუ ამ უკანასკნელთა დეტალების დამზადების, აგრეთვე შემკობის წესებს, ადგენს მის მიერ შეკრებილი ბულგარული და ევროპული მასალის შედარების საფუძველზე ბულგარეთში ცნობილი საკისრულების, უნაგირების, ლაგამთა, კეხისა და მათთვის განკუთვნილი თუ სხვა თასმა-ღვედების, გარსაკრავ-შუამოსართავების ტიპოლოგიასა და გავრცელების სუურათს; გვაწვდის ცნობებს ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე ცხენის მოსართავ-აკაზმულობის განვითარების შესახებ, ყურადღებას ამახვილებს ამ ნაწარმთა დეკორატიული დეტალების შემკულობათა არა მარტო ესთეტურ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობაზეც.

ამავე თავში ავტორი ეხება სარაჯ-მეუნაგირეთა ნაწარმის გასაღებას. საშუალებას იძლევა გავადევნოთ თვალი სხვადასხვა ნაწარმით ვაჭრობის განვითარების ცალკეულ ეტაპებს: გვაწვდის ცნობას ადგილობრივი ბაზრებისა, აგრეთვე სტაციონარული თუ სხვა სახის ვაჭრობის შესახებ.

IV თავში საუბარია მეუნაგირეობა-სარაჯობის თანამედროვე მდგომარეობასა და მისი პერსპექტივების შესახებ. აღნიშნულია, რომ ხელოსანთა ტრადიციული კოოპერაციები ნელი-ნელ გადაიზარდა საწარმოო-შრომით კოოპერაციებში, რომ სარაჯების ძველი კერძო სახელოსნოების ნაცვლად ახლა იქმნება ახალი ტიპის დამოუკიდებელი განყოფილებები თავისი ფილიალებით ან მცირე სახელოსნოები. ეს უკანასკნელები ემსახურება რამდენიმე სოფელს, რადგანაც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პირობებში ცხენმა დაკარგა მუშა-საქონლის მნიშვნელობა და შემცირდა მასზე მოთხოვნილება. მაგრამ ავტორი სარაჯთა ხელობისა და მათი ნაწარმის შენარჩუნების შესაძლებლობას უკავშირებს საცხენოსნო სპორტს და თვლის, რომ ამ უკანასკნელის განვითარებასთან ერთად უნდა შეიქმნას სახელოსნოები, სადაც სპეციალურ კურსგავლილი კვალიფიცირებული კადრები დაამზადებენ ცხენის სპორტული მოსართავ-აკაზმულობისათვის საჭირო ელემენტებს.

ამგვარად, ზემოჩამოთვლილიდან ჩანს თუ რაოდენ შრომატევადი და სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია ავტორს ბულგარეთში გავრცელებული ხელოსნობის ერთ-ერთი უძველესი დარგის შესასწავლად. საკითხის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილებში განხილვამ და, შესატყვისად, უმდიდრესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მოძიება-გამოყენებამ მას საშუალება მისცა ეჩვენებინა ბულგარეთის ტერიტორიაზე უძველესი ხანიდან სარაჯ-მეუნაგირეთა ნაწარმის გაჩენა-განვითარების ისტორია და მისი დამზადების წესები, შეედარებინა ეს ნაწარმი ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელებული მატერიალური კულტურის მსგავსი ელემენტებისათვის. ამგვარი მუშაობის შედეგად მივიღეთ ნაშრომი, რომელიც სარაჯობა-მეუნაგირეობის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევათაგან პირ-

ელი მონოგრაფიაა არა მარტო ბულგარულ, არამედ საერთოდ სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. მაგრამ აღნიშნულით არ ისაზღვრება მნიშვნელობა ვ. მარინოვის წიგნისა, რომელიც სხვა მხრივაცაა საყურადღებო. განსაკუთრებით საინტერესოა სარაჯობასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა-გამოვლენა სწორედ ბულგარეთში, სადაც უკვე ნეოლითის ხანიდან ცხენის არსებობაზე მიგვითითებს არქეოლოგიური მასალა.

ამასთან, მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა საქმიანი ურთიერთკავშირები, როცა მთელი რიგი საკითხები შეისწავლება და მუშავდება საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ვ. მარინოვის მონოგრაფიის მნიშვნელობა სცილდება ვიწრო ლოკალურ საზღვრებს. სახელდობრ, მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ავტორის მიერ მოცემული სარაჯთა ზოგიერთი ნაწარმის ტიპოლოგია და გავრცელების სურათი ფასოვანია არა მარტო ბულგარეთში დამოწმებული სარაჯ-მეუნაგირეთა ნაწარმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, არამედ წარმოადგენს საუცხოო მასალას ევროპული ეთნოგრაფიული ატლასისათვისაც. მეორე მხრივ, ვ. მარინოვის მონოგრაფია საგანგებო მნიშვნელობისაა საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვისაც, რამდენადაც იქმნება საქართველოსა და ბულგარეთში სარაჯობა-მეუნაგირების შესწავლისას დამოწმებულ მასალებს შორის მსგავსებისათვის თვალის გადევნების შესაძლებლობა. მსგავსება კი შეიმჩნევა როგორც თვით ნაწარმსა და მის დეტალებში, ისე მათ დასამზადებლად გამოყენებულ მასალასა, ხელსაწყო-იარაღებსა და წარმოების წესებში, აგრეთვე სარაჯთა ყოფასთან და თვით ხელოსნობასთან დაკავშირებულ სოციალურ-ორგანიზაციულ მხარეებსა თუ ტერმინოლოგიაში. ხოლო ურთიერთშედარების საფუძველზე ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა-ანალიზი, ანუ შედარებით ჭრილში განხილვა, ხელს შეუწყობს ამჟამად უკვე დღის წესრიგში მდგარ, ქართულ-ბალკანური ისტორიულ-ეთნოგრაფიული პარალელების პრობლემასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევას, მათ დაზუსტებას თუ ახლებურად გააზრებაგადაჭრას.

ნელი გრეგაძე

К ВЫХОДУ НАУЧНОГО СЕРИАЛА «АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ИОРСКОГО УЩЕЛЬЯ»

Своевременное и исчерпывающее опубликование раскопочных материалов — важная задача в археологической науке. Ее актуальность особенно возрастает, когда речь идет о квалифицированном широком обнародовании результатов долгосрочных коллективных усилий по комплексному, сквозному в хронологическом плане изучению исторически значимого района. Хорошим образцом такого рода является сериал монографий, посвященных публикации разновременных памятников одной из ведущих территорий исторической Кахети[1].

Незаурядная роль Иорского ущелья в экономической, политической и культурной жизни древней и средневековой Грузии определялась многими факторами, в том числе и географо-климатическими. Она ярко иллюстрируется богатым и выразительным содержанием разнотипных памятников археологии и архитектуры, сосредоточенных здесь.

Велик был объем работ, проведенных в Эрцо-Тианети немалым отрядом грузинских специалистов. Велик и содержателен итог этих целеустремленных изысканий.

Позволим себе кратко рассмотреть содержание сериала монографий, не претендуя на завершенность оценки его значения для археологической науки Грузии и всего Закавказья. Мы сконцентрируем внимание на важной и далеко не во всем еще осмысленной проблеме северного направления историко-культурных контактов тех, кто оставил нам Иорские объекты[2], на огромном значении местных памятников для правильного понимания ряда кардинальных проблем северокавказской археологии. Отступив от очередности издания книг, проанализируем их в зависимости от хронологии публикуемых артефактов.

Материалы, представленные в монографии Л. Н. Кобаидзе, характеризуют оригинальную культуру Иорского ущелья в VIII—VI вв. до н. э. (могильник Ркинис-Кало). Этот хронологический отрезок включает в себя, по Р. М. Абрамишвили и Т. К. Микеладзе, вторую и тре-

---

[1] Рамишвили Р. М. Археологические памятники Иорского ущелья. I. Сиони. Тб., 1970, (на груз. яз.); Кобаидзе Л. Н. Археологические памятники Иорского ущелья. II. Могильник Ркинис-Кало. Тб., 1978, (на груз. яз.); Рамишвили Р. М. Археологические памятники Иорского ущелья. III. Долина Эрцо в позднеантичную эпоху. Тб. 1979, (на груз. яз.); Джорбенадзе В. А. Археологические памятники Иорского ущелья. IV. Эрцо-Тианети в средние века. Тб , 1982, (на груз. яз.).

[2] Они являются органической частью широкой и весьма поучительной панорамы. См.: Виноградов Виталий. Новое о периодизации и характере грузино-северокавказских историко-культурных связей (до начала XX века). — IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983.

тью ступени эпохи широкого освоения железа в Закавказье[3]. Комплексы могильника Ркинис-Кало дают все основания считать его типичным памятником данной эпохи в Восточной Грузии: здесь найдено большое количество железных предметов вооружения и орудий труда. В то же время, в инвентарях некоторых погребений они изредка сочетаются с бронзовыми и биметаллическими вещами (бронзовые наконечники стрел — «площики», железный меч с бронзовой рукоятью). Материалы Ркинис-Кало говорят о куда более решительном наступлении железа на бронзу в этом районе Восточной Грузии, чем, например, в Колхиде, так как бронзовый инвентарь Ркинис-Кало представлен, главным образом, украшениями и деталями костюма, в то время как в могильниках Колхиды VIII—VI вв. до н. э. еще довольно часты находки бронзовых топоров, наконечников копий, кинжалов[4]. И это несмотря на то, что железоделательное производство Колхиды имеет очень древние традиции[5].

Мы вполне разделяем предложенную автором датировку могильника в целом и его обеих хронологических групп (VIII—VII и VII—VI вв. до н. э. соответственно). Со своей стороны, можем отметить, что в могилах Ркинис-Кало встречаются железные наконечники копий с углами в основании пера, которые, по мнению М. Н. Погребовой, датируются в Закавказье VIII и главным образом VII и VI вв до н. э.[6]

Однако датировка отдельных погребений нуждается в уточнении. По мнению Л. Н. Кобаидзе, находкой, определяющей верхний хронологический рубеж бытования памятника, является наконечник стрелы скифского типа, относимый ею к VII—VI вв. до н. э., что в принципе верно[7]. Но если мы будем говорить о конкретной датировке погребения № 6, в котором он был найден, то ее нельзя, по-видимому, выводить в VI в. до н. э. По замечанию самой Л. Н. Кобаидзе, костяные наконечники стрел с черешком, также найденные в погребении № 6, хорошо датируются VIII—VII вв. до н. э. (с. 73). Исходя из этого обстоятельства, погребение № 6 нужно датировать VII в. до н. э.

Вряд ли можно относить к VIII—VII вв. до н. э. погребение № 3 с однолезвийным кинжалом с выпуклой спинкой, морфологически близкие которому встречаются в погребениях VII—VI вв. (вторая хронологическая группа). Такой дате не противоречит конструкция нако-

---

[3] Абрамишвили Р. М., Микеладзе Т. К. К истории освоения железа в Закавказье и Малой Азии. — В кн.: Actes du VII e Congres international des Sciences Prehistoriques Protohistoriques. Prague 21—27 août 1966. 1, Praha, 1970, с. 29—31.

[4] Микеладзе Т. К., Барамидзе М. В. Колхский могильник VII—VI вв. до н. э. в с. Нигвзиани. — КСИА АН СССР, 151, М., 1977, с. 34—38, рис. 3, 12—15; Лордкипанидзе Г. А. Колхида в VI—II вв. до н. э. Тбилиси, 1978, с 41; Микеладзе Т. К. о некоторых результатах полевых исследований в зонах новостроек Колхидскйо низменности в десятой пятилетке. — В кн.: Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тбилиси, 1982, с. 84.

[5] См. например: Хахутайшвили Д. А. К хронологии колхидо-халибского центра древнежелезной металлургии. — В кн.: Кавказско-ближневосточный сборник, т. V. Тб., 1977, с. 119—141; его же. Возникновение и развитие производства железа в древней Колхиде. — В кн.: Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1982, с. 88—89.

[6] Погребова М. Н. Иран и Закавказье в раннем железном веке. М., 1977, с. 75.

[7] Іллінська В. А. Бронзові наконечники стріл так званого жаботинського І новочеркаського типів. — «Археологія», 1973, 12, Киев; Ильинская В. А., Тереножкин А. И. Скифия VII—IV вв. до н. э. Киев, 1983, с. 26—29.

нечника копья из этого же захоронения, имеющего очень короткую втулку. М. Н. Погребова пишет, что у закавказских копий VII—VI вв. «перо удлиняется за счет втулки, что увеличивает пробойную силу копья»[8].

Должна быть существенно уточнена и датировка погребения № 27. Найденный в нем биметаллический меч привлекается Л. Н. Кобаидзе для определения нижней хронологической границы могильника Ркинис-Кало. Очень важной с точки зрения датировки этого погребения находкой является изогнутый псалий с тремя круглыми отверстиями. Подобные псалии появляются в памятниках южного склона Главного Кавказа в VII в. до н. э. и вполне определенно могут быть связаны со скифским влиянием[9]. В погребении № 27 был обнаружен и скелет коня, в связи с чем нельзя не вспомнить следующее высказывание М. Н. Погребовой: «Хотя конские захоронения в Закавказье, главным образом восточном, известны и в более раннее время, в рассматриваемый период (VII—VI вв. до н. э. — авт.) они, как правило, сочетаются с элементами скифской культуры, что позволяет связывать их с распространением этой культуры в Закавказье»[10]. Таким образом, наконечник стрелы и псалий из погребений № 6 и 27 расширяют географию находок скифского типа в Грузии, территориально тяготея к находкам из Самтавро и Цицамури[11]. Полагаем, что датировка погребения № 27 должна определяться временем около середины VII в. до н. э.

Нельзя не сказать о сходстве некоторых элементов материальной культуры, представленной материалами захоронений Ркинис-Кало, с коллекциями находок из предгорной зоны Центрального Предкавказья, прежде всего Пятигорья (могильник № 1 на Кисловодской мебельной фабрике, Белореченский 2-й могильник, Сосновогорские могильники, Султангорский могильник № 3 и др.). Отсюда происходят разнотипные наконечники копий и черешковый наконечник стрелы из железа, бронзовые височные подвески в 1,5 оборота — предметы VIII—VI вв. до н. э., находящие аналогии в Ркинис-Кало[12]. Эти факты находят свое место в общей картине усиления, начиная с VIII—VII вв. до н. э., традиционных связей жителей Центрального Предкавказья с обитателями Закавказья. Возможно, что в этом деле важную роль сыграли перемещения закавказских племен и народностей, связанные с киммерийским нашествием[13].

Тщательная публикация материалов могильника Ркинис-Кало яв-

---

[8] Погребова М. Н. Указ. соч., с. 75.

[9] См. об этом подробнее: Виноградов В. Б., Дударев С. Л. К хронологии раннего этапа скифо-северокавказских взаимоотношений. — ИЮОНИИ, XXVI, Тбилиси, 1983, с. 121—122; Техов Б. В. Скифы и Центральный Кавказ в VII—VI вв. до н. э. М., 1980, с. 64—67.

[10] Погребова М. Н. Памятники скифской культуры в Закавказье.—В кн.: Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье. М., 1981, с. 44.

[11] Там же, карта на с. 45.

[12] Виноградов В. Б., Рунич А. П., Михайлов Н. Н. Новое о кобанской культуре Центрального Предкавказья. —АЭС, IV, Грозный, 1976, рис. 9; Дударев С. Л. Ранний этап освоения железа на Центральном Предкавказье и в бассейне р. Терека (IX—VII вв. до н. э.) Канд. дисс. — Киев, 1983. — Архив ИА АН УССР, ф. 12, №612, с. 114—121.

[13] Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тб., 1959, с. 223; его же. Кулах.—В кн.: Древний мир. М., 1962, с. 325; Федоров Я. А. В обход Кавказского хребта и через его перевалы. — ВМГУ, сер. 8, история, 1980, 2, с. 68.

ляется первым и безусловно очень важным этапом на пути их дальнейшего научного изучения. Ныне на повестке дня — углубленный анализ добытых здесь разнообразных артефактов — ценного источника по истории материального производства, духовной культуре и этнической истории этого самобытного района Восточной Грузии.

Богатые материалы позднеантичной эпохи вводятся в научный оборот в книге Р. М. Рамишвили 1979 года издания. В местечке Кушанаантгора были раскопаны обширное поселение и могильник.

Первый из объектов представляется довольно ординарным, хотя и содержит в себе полезную информацию о хозяйственной и иной жизни поселенцев. Второй, распадаясь на отдельно расположенные группы погребений, принес разнообразный и красноречивый материал.

Представляя читателю полтора десятка типичных в целом для Грузии погребений III — первой половины IVв. н. э. автор отмечает: «Новшеством среди грунтовых погребений является каменный ящик, пока единственный, связанный, видимо, с позднейшим этапом» (с. 105). Здесь же обращено внимание и на эпохальные изменения в позах погребенных (переход от скорченного положения костяков к вытянутому). Все вместе это побуждает вспомнить не только многочисленные синхронные и хронологически последующие погребальные памятники Арагвского ущелья, горных районов Восточной Грузии, но и примыкающие к ним области Северного Кавказа, где подобная эволюция погребального обряда наблюдается вполне зримо[14]. Такой широкий ареал распространения единой тенденции побуждает к большой осторожности в оценке ее исходных мотивов в каждом конкретном районе. Однако, нисколько не сбрасывая со счетов специфически северокавказских факторов (влияние сармато-алан)[15], следует все более пристально учитывать и действенность нарастающих импульсов христианизации, перманентно действующей из внутренних районов Грузии, начиная с IV в. н. э.

Четко датированные комплексы могильника Кушанаантгора представляют большой набор различных образцов материальной культуры, которые могут теперь служить надежными эталонами при определении времени бытования их аналогов на Северном Кавказе, где хронологическая шкала вещевых коллекций разработана все еще недостаточно. Сказанное в первую очередь относится к деталям поясных уборов и разнотипным стеклянным сосудам (преимущественно бальзамариям) и античным геммам.

Справедливо подчеркивает Р. М. Рамишвили значение выразительной серии нумизматических находок в погребениях. Они не только служат неоценимыми критериями при датировке комплексов, придавая ей вескую убедительность. Среди монет имеется позднейшее подражание статерам Александра Македонского из числа так называемых «Иберийских статеров». Уточнив географические и хронологические рамки распространения таковых в Грузии, автор обращается и к подражаниям римским ауреусам, аргументированно склоняясь к их местному происхождению (с. 106). Выводы автора представляются надежными. Они находят подтверждение и в северокавказских монетных

---

[14] См., например: Виноградов В. Б., Мамаев Х. М. Некоторые вопросы раннесредневековой истории и культуры населения Чечено-Ингушетии. — В кн.: Археология и вопросы этнической истории Северного Кавказа. Грозный 1979, с. 63—86.

[15] Петренко В. А. Культура населения Среднего Притеречья в сарматскую эпоху (III в. до н. э. — IV в. н. э.). — Автореф. канд. дисс. — М., 1980.

коллекциях, в которых различные подражения античным монетам довольно часты и нередко могут иметь «иберийские» корни[16].

Весь состав монографии убеждает, что она чрезвычайно важна как этап познания экономической, социальной и культурной истории позднеантичной Иберии и прилегающих областей.

Изучению памятников средневековья посвящены две монографии — Р. М. Рамишвили «Сиони» и В. А. Джорбенадзе «Эрцо-Тианети в средние века». Среди публикуемых материалов особо следует выделить сведения, полученные при изучении памятников культовой архитектуры, из которых наиболее значительными представляются трехнефные базилики Сиони, Жалети и Бочормская церковь. Однако не меньший интерес представляют довольно многочисленные церкви зального типа. Уже сейчас они являются важным источником в освещении сложных процессов формирования этнической и конфессиональной ситуации в тех районах Центрального Кавказа, которые издавна служили связующим звеном между северными и южными склонами Кавказского хребта.

Поэтому усилия, предпринимаемые грузинскими коллегами в их изучении, необходимо приветствовать. Здесь важно подчеркнуть, что установленная связь их с выходцами из Пшавии, Хевсуретии и Мтиулетии (В. А. Джорбенадзе) дает возможность выявить в значительной мере традиционные приемы сооружения культовых построек в этих горных районах, а это, в свою очередь, проливает дополнительный свет на историю средневековой культовой архитектуры горцев Северо-Восточного и Центрального Кавказа, многие моменты которой сейчас являются дискуссионными. Во всяком случае, изучать соответствующие памятники, например, Чечено-Ингушетии без учета этих материалов уже невозможно[17].

Бесспорный интерес представляют материалы погребальных памятников, которым целиком посвящена работа Р. М. Рамишвили и значительная часть исследования В.А. Джорбенадзе. Помимо констатации того очевидного факта, что подробно публикуемые материалы расширяют наши представления о материальной культуре средневековых обитателей Иорского ущелья, считаем необходимым подчеркнуть важное значение закавказских памятников в решении проблем хронологии синхронных древностей Северного Кавказа. В качестве примера достаточно сослаться на некоторые довольно распространенные категории находок, как головные булавки, стеклянные сосуды, браслеты и перстни, происхождение или импорт которых справедливо связывают с Грузией[18]. С другой стороны, проникновение в Закавказье таких элементов восточноевропейской культуры, как пряжки, поясные наборы, металлические пуговицы и т. д., определялось во мно-

---

[16] Виноградов В. Б. Судьбы древних монет. Грозный, 1982; его же. К истории изучения находок античных монет и денежных кладов в Центральном Предкавказье. — Сб. тезисов докладов чтений памяти В. Ф. Гайдукевича. Л., 1984.

[17] В этом состоит уязвимость работ типа: Мужухоев М. Б. Исследование средневековых культовых памятников Чечено-Ингушетии. — В кн.: Памятники эпохи раннего железа и средневековья Чечено-Ингушетии. Грозный, 1981, с. 62—95.

[18] Шейхов Н. Б. Женские головные булавки как признак локальной культуры Дагестана VII—X вв. н. э.—КСИИМК, 48, 1952, с. 129—135; Атаев Д. М. Нагорный Дагестан в раннем средневековье. Махачкала, 1963, с. 98—100; Бахтадзе Р. А., Деопик В. Б. Химико-технологический анализ раннесредневековых бус Северного Кавказа — МИА, 114, М. 1963, с. 150 и т. д.

гом продуктивными связями обитателей Северного Кавказа с южными соседями.

Дальнейшее исследование средневековых погребальных памятников по обе стороны Кавказского хребта, безусловно, откроет еще немало точек соприкосновения и взаимовлияния культур. В этой связи небезынтересным представляется предположение о закавказском (грузинском) происхождении такого, например, типа раннесредневековых украшений, как серьги с бусинными колонками, подобные найденным в Сацхвре-гора, погребение № 1[19]. Ничего не предрешая, хотим, однако, заметить, что в кобанских памятниках (Верхняя Рутха, Кобань, Казбеги)[20] встречаются бронзовые и золотые серьги, которые можно было бы посчитать хронологически более ранними, нежели закавказские находки, прототипами серег этого типа. Сказанное, однако, не исключает большого влияния грузинских образцов на окончательное оформление данных украшений.

Очевидна та роль, которую играют материалы горногрузинских некрополей в осознании специфического комплекса черт и признаков, характеризующих распространение христианства в зонах устойчивого «язычества», каковыми и являются, например, горные районы Северо-Восточного и Центрального Кавказа. Об этом мы уже упомянули выше. Но скрупулезно анализируемые Р. М. Рамишвили материалы Сионского могильника, наряду с другими, масштабно исследуемыми некрополями Мтиулетии (Жинвальский могильник, Накалакари и т. д.)[21] наглядно демонстрируют процесс дальнейшей эволюции погребального обряда в рамках формирования канонов этнизированного христианства — явления, четко отразившегося в средневековых погребальных памятниках ряда районов Северного Кавказа.

Хотелось бы подчеркнуть целесообразность дальнейшего применения методики сплошного обследования горных ущелий, что привело к выявлению ряда бытовых памятников верховьев Иори — поселений Чичоулеби, Багианеби и т. д. (В. А. Джорбенадзе).

Публикуемые материалы, особенно монографически проработанный Синский некрополь, важны еще и потому, что северокавказские археологи не избалованы подробными, выполненными на хорошем научном и оформительском уровне, публикациями грузинских могильников. В этой связи рецензентам и их многочисленным коллегам остается лишь с сожалением констатировать, что исследования в подавляющем большинстве случаев, как и анализируемые нами, издаются на грузинском языке (краткие резюме всей проблемы не решают), что неизбежно и заметно ограничивает круг их читателей.

В качестве общего пожелания можно высказать мысль об уже назревшей необходимости как-то попытаться унифицировать историче-

---

[19] Атаев Д. М. Указ. соч., с. 60—61; Деопик В. Б. Классификация и хронология аланских украшений VI—IX вв. — МИА, 114, М., 1963, с. 132.

[20] Крупнов Е. И. Древняя история Северного Кавказа. М., 1960, рис. 35, 17, 18; Абрамова М. П. Памятники горных районов Центрального Кавказа рубежа и первых веков нашей эры. — В кн.: Археологические исследования на юге Восточной Европы. М., 1974, рис. II, 9; МАК, VIII, М., 1900, рис. 155.

[21] См., например: Рамишвили Р., Джорбенадзе В., Гогелия Д., Глонти М., Чихладзе В., Робакидзе Н., Маргвелашвили М., Мухигулашвили Н., Рчеулишвили Г., Циклаури Д., Ломидзе Ц., Каландадзе З., Циклаури И., Церетели К. Археологические исследования в Арагвском ущелье. — В кн.: Полевые археологические исследования в 1978 году. Тбилиси, 1981, с. 129—143.

скую периодизацию средневековья в рамках кавказского региона. Ведь тот исторический отрезок, который в северокавказской литературе разделяется на два основных этапа — раннее и позднее средневековье, в закавказской литературе имеет значительно более дробное членение.

Вновь оговорим, что наш разбор не претендует на охват всех положительных сторон сериала о древностях Иорского ущелья. Однако даже сказанного довольно, чтобы уверенно оценить выход в свет данных монографий как значительное явление в кавказской археологии и как крупный успех советской археологической науки в Грузинской ССР.

В. Б. ВИНОГРАДОВ,
С. Л. ДУДАРЕВ,
Х. М. МАМАЕВ

საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

1984 წლის 10—12 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში ჩატარდა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, აგრეთვე ზუგდიდსა და გეგეჭკორში მომუშავე ისტორიკოსებმა.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარემ აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ მ ა. მან დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო კომისიის საქმიანობის მიზნებზე, აღნიშნა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში უკანასკნელ წლებში მოპოვებული ოვალსაჩინო წარმატებები და ხაზი გაუსვა წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის საქმეში პროფესიონალიზმისა და მეცნიერული პასუხისმგებლობის შემდგომი გაზრდის აუცილებლობას. სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის ქალაქკომის მდივანი დ. შ ა მ ა თ ა ვ ა. მან აღნიშნა, რომ ზუგდიდი ძველთაგანვე იყო ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. აქ დაცულია საინტერესო ფონდი წერილობითი ძეგლებისა და აღიზარდა არაერთი გამოჩენილი ისტორიკოსი, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარების საქმეში.

სამეცნიერო სესიის სამ სხდომაზე წაკითხულ 22 მოხსენებაში საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის სხვადასხვა მხარე იყო გაშუქებული. აქ წარმოდგენილი იყო წყაროთმცოდნეობის ზოგად-თეორიული და კონკრეტული თემატიკა, საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური წყაროების შესწავლის საკითხები, თხრობითი, დოკუმენტური, ეპისტოლური და ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის შედეგები, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია.

წყაროთმცოდნეობის თანამედროვე პრობლემებზე ისაუბრა რ. კ ი კ ნ ა ძ ე მ. მან აღნიშნა, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა წყაროთმცოდნეობითი პრობლემების დამუშავებას. აქ კვლევა-ძიება ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს — ზოგადთეორიული და კონკრეტულ-პრაქტიკული. ორივე ემსახურება ისტორიული წყაროდან სარწმუნო და სრულფასოვანი ინფორმაციის მიღებას, კის დამუშავებასა და ანალიზს. მომხსენებელმა წყაროთმცოდნეობა განმარტა როგორც ისტორიული მეცნიერების კომპლექსური დარგი, რომელიც ითვისებს სპეციალურ საისტორიო დისციპლინებს, განაზოგადებს მათ მონაცემებს და ქმნის ისტორიული წყაროს გამოყენების ერთიან თეორიას და მეთოდიკას. მოხსენებაში განხილული იყო აგრეთვე წყაროთმცოდნეობათა, ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის ისტორიული წყაროსადმი განსხვავებული მიდგომის საკითხები და ა. შ.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის საქმიანობა დაახასიათა მ. ა ბ ა შ ი ძ ე მ. მან აღნიშნა, რომ კომისია, რომელიც შეიქმნა 1974 წელს, კოორდინაციას უწევს საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლასა და გამოცემას მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. კომისიამ თავისი მუშაობა წარმართა სამი მიმართულებით: **1.** საისტორიო წყაროების პუბლიკაცია. კომისიის გრიფით გამოცემულმა წიგნებმა მაღალი შეფასება მიიღეს და არაერთი საპატიო პრემია დაიმსახურეს; **2.** საექსპედიციო საქმიანობა. კომისიას ჰყავს ქართული ფრესკული და ბერძნული წარწერების შემსწავლელი ორი მუდმივი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელთა მუშაობის შედეგად ახალი საყურადღებო მასალა გამოვლინდა; **3.** წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების ჩატარება. 1979—1983 წლებში გაიმართა ექვსი გამსვლელი სამეცნიერო სესია რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში.

ახალი მასალა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების ისტორიისათვის წარმოადგინა კ. მ ი ქ ა ი ა ძ ე. ამ

მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე სათანადო ზომები იქნა მიღებული სამუზეუმო ქონების დაცვისათვის. ზუგდიდის მუზეუმი უკვე 1921 წლის 1 მაისს გაიხსნა, ოფიციალური გახსნა კი მოხდა 1922 წლის 1 ნოემბერს.

გ. ალასანია შეეხო საისტორიო წყაროს ცნების ინტერპრეტაციას, შეჩერდა პრობლემაზე საისტორიო წყარო — გეოგრაფიული გარემო, საგანგებოდ იმსჯელა საისტორიო წყაროს, ისტორიული ძეგლის, პოტენციური წყაროს ცნებათა ურთიერთმიმართებაზე.

საისტორიო წყაროთა ზუსტი კლასიფიკაციისას ნაყოფიერია ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენება, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება წყაროთა დახასიათება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: ფორმის, შინაარსის, სტრუქტურისა და სხვა.

გ. ელიავამ დამსწრეთ გააცნო XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დამდეგის მოღვაწე იოსე ანჯაფარიძე, მისი ავტობიოგრაფიულ-მემუარული ნაშრომი. თავის მემუარებში იგი მშობლიური კუთხის სოფლის მეურნეობის, სოციალური ყოფისა და კულტურის მრავალ საინტერესო საკითხს ეხება. საყურადღებოა ცნობები დადიანთა სამთავრო კარის, უტუ მიქავას ხელმძღვანელობით სამეგრელოს გლეხთა აჯანყების, საგლეხო რეფორმის, გატარების შესახებ და ა. შ.

მ. სურგულაძის მოხსენებაში განხილული იყო ქართულ ისტორიულ საბუთებში დაცული დროისა და სივრცის კატეგორიების ამსახველი ფორმულები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბუთების სტრუქტურის დახასიათებისას გამოიყოფა მისი უცვლელი და ცვალებადი ელემენტები. მათზე დაკვირვებამ შესაძლოა გამოაელინოს დამატებითი მასალა ქართული ფეოდალიზმის განვითარების ზოგ თავისებურებაზე.

მ. მარსაგიშვილმა ძველი ქართული წყაროთმცოდნეობითი ტერმინოლოგიის შესწავლის საკითხები განიხილა. წერილობით ძეგლებში დაცული ძველი ქართული ტერმინების შესწავლა დროისა და ვითარების გათვალისწინებით ხელს შეუწყობს როგორც ტერმინოლოგიის დადგენას, ასევე წყაროთა სწორ ინტერპრეტაციას. ამასთან ერთად შესაძლებელი გახდება თანამედროვე საბჭოური წყაროთმცოდნეობითი ტერმინოლოგიის შევსება-დაზუსტებაც.

მ. ბერძნიშვილმა თავისი მოხსენება მიუძღვნა XVII—XVIII სს-ის ქართული ეპისტოლური მასალის შესწავლისა და გამოცემის საკითხს. თხრობითი და დოკუმენტური წყაროების გვერდით ეპისტოლური მემკვიდრეობა საუკეთესო მასალაა თანადროული ეპოქის შესწავლისათვის. ეს მასალა ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: კერძო და საქმიან წერილებად. განზრახულია ქართული წერილების კორპუსის გამოქვეყნება, რაც საშუალებას მოგვცემს ეს უნიკალური ისტორიული მასალა გამოყენებულ იქნას კვლევით პრაქტიკაში.

თ. ყაუხჩიშვილმა განიხილა სამეგრელოში დაცული ბერძნული ფრესკული ისტორიული წარწერები და აღნიშნა მათი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის. წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის XIV ს-ის ბერძნული წარწერა ადასტურებს, რომ ვამეყ დადიანს ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, შეეძლო კონსტანტინოპოლიდან მხატვრის მოყვანა ეკლესიის მოსახატად. ამავე ტაძრის მეორე, XVII ს-ის წარწერა ეპისკოპოს ევდემონ ჯაიანს ეხება. ხობის ღვთისმშობლის მონასტრის წარწერა ასახავს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ღვაწლს მისი ხობის ეპისკოპოსობის პერიოდში ყოფნისას. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს წარწერები მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, დათარიღებული XV—XVI სს-ით. აქ არის ცნობა აფხაზთა მეფეების კონსტანტინესა და გიორგის შესახებ და ა. შ.

ე. ვაშაკიძის მოხსენებაში ნაჩვენები იყო ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ წყაროებით სარგებლობისას საჭიროა მათი ყოველმხრივი ანალიზი, მათი შესწავლა თანამედროვე წყაროთმცოდნეობის კრიტიკის პრინციპების გათვალისწინებით, რის შედეგად მათი მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება კოლხეთის ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქება.

რომაულ-ბიზანტიური წყაროები ეგრისის შესახებ განიხილა ნ. ლომოურმა. მან აღნიშნა, რომ ქართულ წყაროებში ეგრისის შესახებ შედარებით მცირე ცნობებია შემონახული. რომაულ-ბიზანტიური წყაროების უპირველესობა მოვლენათა თანადროულია, ამდენად მათ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ, თუმცა მათი გამოყენებაც გარკვეული კრიტიკული მიდგომის გარეშე შეუძლებელია. რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში ეგრისი — ეგრები „ლაზიკისა“ და „ლაზების“ სახელწოდებით არიან წარმოდგენილი. ახ. წ. პირველი საუკუნეების (II—VI სს.) ეგრისის საშინაო და საგარეო ვითარების სურათის დადგენა შესაძლებელი ხდება რომაულ-ბიზანტიური წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის დახმარებით.

მ. სვანიძემ განიხილა XV—XVIII სს. ევპორული წყაროების ცნობები სამეგრელო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიისათვის. კათოლიკე მისიონერების წერილები, ვაჭარ-

მოგზაურთა ჩანაწერები, ოსმალებში მყოფი ევროპის სახელმწიფოების ელჩებისა და პოლიტიკური დამკვირვებლების რელაციები შეიცავენ სანდო მასალას, რომლის შესწავლის შედეგად შესაძლებელია სამეგრელოს ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიის არაერთი საკითხის გარკვევა.

XIX ს-ის უნგრელი მოგზაურის იანოშ ბეშეს ცნობებს საქართველოს შესახებ მიუძღვნა თავისი მოხსენება ა. ტუღუშმა. მან განიხილა ცნობები თბილისის, გორის, ქუთაისის რედუტ-კალეს (ყულევის) და საქართველოს სხვა პუნქტების შესახებ. საინტერესოა უცხოელის თვალით დანახული ქართველთა ზნე-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები.

ე. აბულაძისა და ნ. შენგელიას მოხსენება ეხებოდა თურქი ავტორის ნამის თხზულებას — „საქართველოს დაპყრობის წიგნი", რომელშიაც დაწვრილებით არის აღწერილი XVII ს-ის 60-იან წლებში ოსმალეთის საომარი მოქმედება დასავლეთ საქართველოში. ნამის ვინაობის გამო სპეციალისტებს შორის არსებობს აზრთა სხვაობა. მომხსენებელთა აზრით, მისაღები ჩანს მეჰმედ სურეიაა და აგაჰი ლევენდის შეხედულება, რომ თხზულების ავტორია ნიგდელი ყადი ნამი მეჰმედი.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფრანგულენოვანი მასალები განიხილა ნ. მიქაიამ. იგი კონკრეტულად შეეხო დავით ღევანის ძე დადიანის პერიოდს, სამეგრელოში მყოფი ფრანგების მასალებს, რომელშიც საქართველოს შესახებ საგულისხმო ცნობები მოიპოვება. განიხილა ფრანგების ხელნაწერი გაზეთი საინტერესო სათაურით „Le rambavia" (ქართული სიტყვიდან „რა ამბავია"), რომელშიც აღწერილია ზუგდიდის ახალი ამბები. ეს მასალა ახალი კუთხით აშუქებს საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობას.

ლ. დავლიანიძე თავის მოხსენებაში შეეხო სომეხი ავტორის ზაქარია აგულეცის ცნობას „დადიანის ქვეყანაში" ოსმალთა ერთი ბრძოლის შესახებ. სეხნია ჩხეიძეს ბრძოლის ადგილად იმერეთი აქვს დასახელებული. როგორც ჩანს, სადადიანოს ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ ზოგჯერ მთელ დასავლეთ საქართველოს ამ სახელით იხსენიებდნენ მეზობელ მხარეებში, რამაც განაპირობა ზაქარია აგულეცის ნაშრომში ბრძოლის ადგილად დადიანის ქვეყნის დასახელება.

მ. პაჭკორიამ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიისათვის და აღნიშნა წერილობითი ძეგლებისა და არქეოლოგიური მასალის კომპლექსურად შესწავლის აუცილებლობა.

ნიკო დადიანის (1780—1834) საისტორიო თხზულება — „ქართველთ ცხოვრება", როგორც სამხედრო ისტორიის წყარო განიხილა გ. ანჩაბაძემ. მან აღნიშნა, რომ თხზულების მესამე ნაწილი გადმოგვცემს დასავლეთ საქართველოს ისტორიის სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტებს XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის I მეოთხედში. ნ. დადიანი პირადად იყო მრავალი სამხედრო კამპანიის მონაწილე, ამდენად, თხზულება ფასდაუდებელი წყაროა დასავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის.

მ. ჩხარტიშვილმა მოხსენებაში აღნიშნა თ. ჟორდანიას (1854—1916) მიერ ქართული ჰაგიოგრაფიის, როგორც ისტორიული წყაროს გამოყენების ტრადიციის დამკვიდრება. თ. ჟორდანიამ თავის ნაშრომში „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა" (2 წიგნად) სხვა წყაროების გვერდით უხვად გამოიყენა ჰაგიოგრაფიული ძეგლების მონაცემები, მოგვცა მათი ზოგიერთი ცნობის კრიტიკული ანალიზი. მკვლევრის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა ამ კუთხით თვალსაჩინოდ წარმოაჩენს თ. ჟორდანიას, როგორც წყაროთმცოდნის ღვაწლს ქართველოლოგიაში.

კ. გრიგოლიას (1904—1982) მეცნიერული მემკვიდრეობა გააშუქა თავის მოხსენებაში გ. არახამიამ. მან აღნიშნა მკვლევრის დიდი დამსახურება „ქართლის ცხოვრების" წყაროთმცოდნეობით შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების, თამარის ისტორიკოსების ვინაობის, შოთა რუსთაველის ისტორიოგრაფიული მოღვაწეობის კვლევის დარგში და აღნიშნა, რომ კ. გრიგოლიამ მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში.

შ. ხანთაძემ დაახასიათა აპოლონ როგავას (1905—1976) არქეოგრაფიული საქმიანობა. ა. როგავას კვლევის სფერო XVIII ს-ის ქართლ-კახეთის ისტორიის საკითხებით განისაზღვრა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგი დაუღალავად ეძიებდა თავისი კვლევის სფეროს ირგვლივ უცნობ მასალებს. მან მიაკვლია რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლის ხელნაწერს, შეისწავლა და სამეცნიერო აპარატის დართვით გამოაქვეყნა არაერთი საყურადღებო წყარო, იკვლევდა ერეკლე II-ის მდიდარ ეპისტოლურ მემკვიდრეობას.

წყაროების ანალიზის რაოდენობრივი მეთოდი ირაკლი ანთელავას (1912—1978) ნაშრომებში განიხილა გ. მარგიანმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ XVIII—XIX სს-ის ქართული სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესწავლისას ი. ანთელავამ თავი მოუყარა დიდძალ მასალას, გამოიყენა წყაროთა რაოდენობრივი ანალიზი და გამოავლინა

შესასწავლი პროცესის ზოგადი კანონზომიერება, ამასთან დაასაბუთა საქართველოს სოფელში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების ახალი კონცეფცია.

ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა მ დაახასიათა შოთა მესხიას (1916—1972) ღვაწლი ქართული წყاروთმცოდნეობის განვითარებაში. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიის ფაქტების კვლევისას შ. მესხია მიმართავდა მეტად ნაყოფიერ კონკრეტულ ტერმინოლოგიურ ძიებას, აგრეთვე საგანგებოდ სწავლობდა და გამოსაცემად ამზადებდა ქართულ წერილობით დოკუმენტურ და თხრობით წყاروებს. მის მიერ განხორციელებული პუბლიკაციები ისტორიული წყاروების შესწავლისა და გამოცემის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

მოსმენილ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში (კ. მიქაია, მ. პაპკორია, ნ. შენგელია და სხვ.) საქართველოს წყاروთმცოდნეობის არაერთი საყურადღებო საკითხი იქნა წამოჭრილი. გამოითქვა აზრი, რომ წყاروთმცოდნეთა რესპუბლიკური შეხვედრების სხვადასხვა ქალაქში გამართვის ტრადიცია უაღრესად საჭირო და საინტერესოა.

სამეცნიერო სესიის შედეგები შეაჯამა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყاروთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა რ. კ ი კ ნ ა ძ ე მ. მან აღნიშნა, რომ წყاروთმცოდნეთა რესპუბლიკურმა სესიამ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩაიარა. აქ წარმოდგენილი იყო მოხსენებები წყاروთმცოდნეობის თეორიულ პრობლემებზე, მომხსენებლებმა დამსწრეთ გააცნეს საქართველოს ისტორიის ახალი მასალების შესწავლის შედეგები, დაახასიათეს რამდენიმე გამოჩენილი ისტორიკოსის წყاروთმცოდნეობითი მოღვაწეობა. საყურადღებო იყო ადგილობრივ სპეციალისტთა მიერ წაკითხული მოხსენებები. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ მუზეუმებში დაცული ხელნაწერი მასალების მოვლა-პატრონობას, აღწერასა და შესწავლას.

მარინე ქადაგიძე

სამეცნიერო კონფერენცია დუშეთში

არაგვის ხეობაში, იქ სადაც 1971 წლიდან მიმდინარეობს ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. რამიშვილი). ჟინვალის კომპლექსურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მრავალწლიანი მუშაობის დროს გამოავლინა და შეისწავლა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები: ნაქალაქარი, ნასოფლარები, ციხე-სიმაგრეები, ნახიდური, ეკლესიები, სამაროვნები და სხვა. მის მუშაობაში არქეოლოგების გარდა მონაწილეობენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები, ანთროპოლოგები, ენათმეცნიერები, პალეობოტანიკოსები და სხვ.

არაგვის ხეობაში გამოვლენილმა მასალებმა ექსპედიცია დააყენა ორი სამეცნიერო პრობლემის წინაშე: მთისა და ბარის და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობის საკითხები.

ამ პრობლემების მრავალმხრივი შესწავლის მიზნით ჟინვალის ექსპედიციის ინიციატივით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა მოიწვია I რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც ჩატარდა დუშეთში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 80-ზე მეტმა მეცნიერმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, კიევიდან, სიმფეროპოლიდან, მაიკოპიდან, გროზნოდან, მახაჩკალიდან, ბაქოდან, სოხუმიდან და თბილისიდან.

კონფერენცია გახსნა და მის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კპ დუშეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ჰ. კერესელიძე.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა აკად. ა. აფაქიძემ. მისივე წინადადებით კონფერენციამ თავის საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია აკადემიკოსები აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა და პროფესორი ვასილ აბაევი, რომლებთაც დიდი წვლილი მიუძღვით აღნიშნული პრობლემების შესწავლაში.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა მოხსენება „საქართველოს მთისწინეთის და მთის ზონის არქეოლოგიური შესწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში“.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოისმინეს

მოხსენებები: რ. რამიშვილის (თბილისი) „მთისა და ბარის ურთიერთობათა შესწავლის უმთავრესი პრობლემები“, ე. ვინოგრადოვის (გროზნო) „მთიანი კავკასიის სიძველეთა შესწავლა XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში“, გ. ღამბაშიძის (თბილისი) „ავარიის ქრისტიანობის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“.

კონფერენციის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს კონფერენციის წინა დღეებში გარდაცვლილ ცნობილ ქართველ არქეოლოგს ნინო ბერძენიშვილს და გამოჩენილ ლენინგრადელ აღმოსავლეთმცოდნეს ვლადიმერ ლუკონინს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 55 მოხსენება, რომლებშიც გაშუქებულია აღნიშნული პრობლემები არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, არქიტექტურისა და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით. მოხსენებების ანოტაციები დაიბეჭდა კონფერენციის წინ გამოცემულ კრებულში „დუშეთის სამეცნიერო კონფერენცია მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემებისადმი მიძღვნილი“.

პლენარულ და სექციურ სხდომებზე წაკითხული და განხილული იყო 43 მოხსენება. მოეწყო გამსვლელი სხდომა ჟინვალში, სადაც მოისმინეს მოხსენებები მიძღვნილი არაგვის ხეობაში ახლახან გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისადმი.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ჟინვალის ექსპედიციის მონაპოვრები დუშეთში, მილახვრიანთკარის ბაზაზე, მცხეთისა და ძალისის გათხრები. გარდა ამისა ნახეს დოკუმენტური ფილმი „ხევსურეთი“ და მხატვრული ფილმი „კაშხალი მთაში“, რომელიც ეხება მშენებლების და არქეოლოგების ურთიერთობას.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა სამეცნიერო ფორუმის კარგი ორგანიზაცია და განხილული პრობლემების აქტუალობა, გამოითქვა სურვილი, რომ კვლევა-ძიება ამ მიმართულებით გაგრძელდეს მომავალშიც. დაისვა საკითხი კონფერენციის მასალების გამოცემის და მისი რეგულარულად მოწვევისა.

ბესარიონ ჯორბენაძე

დავით გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ

(წინასწარი ანგარიში)

1984 წლის 8—20 აპრილს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტიდან გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის მიზნით მიელინებული ვიყავით სამი თანამშრომელი: დ. კლდიაშვილი, გ. ოთხმეზური (ქართული ეპიგრაფიკა) და თ. ოთხმეზური (ბერძნული ეპიგრაფიკა). მიელინებას დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ამოცანა იყო გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობების შემოწმება, ახალ წარწერათა გამოვლენა და მათი აღნუსხვა.

გამგზავრების წინ გარეჯის მრავალმთის მონასტრებისა და მისი ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ ლიტერატურიდან მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მივიღეთ.

ერთადერთი მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც გარეჯის მრავალმთის მონასტრებს ეხება არის გ. ჩუბინაშვილის „Пещерные монастыри Давид Гареджи“ (თბ., 1948)“. ნაშრომი კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი კომიტეტის მიერ 1921, 1929 წლებში მოწყობილი ორკვირიანი ექსპედიციების ანგარიშს წარმოადგენს, სადაც ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისითაა განხილული ლავრა, უდაბნო, ბერთუბანი, დოდოს რქა, ნათლისმცემელი და ჩიჩხიტური. გ. ჩუბინაშვილი გრაფიტების სიუხვეზე ხშირად მიუთითებს თაეის ნაშრომში და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისა და პალეოგრაფიისათვის.

1921 წლის ექსპედიციამ ზემოჩამოთვლილ მონასტრებში დიდი რაოდენობით, ასობით ქართულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე შესრულებულ ფრესკულ და ნაკაწრ წარწერებს მიაკვლია.

1921 წლის ექსპედიციაში ქართული ეპიგრაფიკული მასალის მონახაზების გადმოღება და შესწავლა შინდობილი ჰქონდა სარგის კაკაბაძეს, აღმოსავლურისა — ლეონ მელიქსეთ-ბეგს. საუწუხაროდ, ს. კაკაბაძეს ლავრის, უდაბნოს, ნათლისმცემლის, დოდოს რქისა და ბერთუბნის მრავალრიცხოვანი ქართული წარწერების შესახებ არაფერი გამოუქვეყნებია. ამ წარწერების გადმონაწერები და ასლები მის პირად არქივშია საძიებელი.

გარეჯის მრავალმთის მონასტრების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან დღესდღეობით გამოცემულია: გ. ჩუბინაშვილის მიერ ნათლისმცემლის მონასტრიდან VII ს-ის სტელის

შვიდსტრიქონიანი წარწერა, ბერთუბნიდან — 1314 წლით დათარიღებული ქერობინის გრაფიტი და XVII—XIX სს-ის 20-მდე წარწერა. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომიდან თ. ბარნაველმა ეს წარწერები უცვლელად შეიტანა წიგნში „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები„ თბ., 1961.

50-იან წლებში გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი მანამდე უცნობი ქვაბების ქოლაგირისა და მაღაზანის წარწერებს შეეხო მასწავლებელი დ. გონაშვილი (იხ. დ. გონაშვილი, ისტორიული მონასტრები ივრის ხეობაში, „სახალხო განათლება“, 1950, 9, VIII, № 32, ივრის ხეობაში, საბჭოთა ხელოვნება, 1964, № 2).

გ. გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნა გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქვაბიდან“ 1089 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ (იხ. 1089 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქვაბიდან“, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1976).

ვ. სილოგავას გამოცემული აქვს ბერთუბნის მონასტრიდან 1662 წლის ბარათაშვილის ერთი გრაფიტი (ვ. სილოგავა, ზემო სვანეთის გრაფიტები, კრ. სვანეთი, II, თბ., 1979).

გარეჯის მრავალმთის მონასტრების ფრესკული წარწერები მხატვრობასთან დაკავშირებით ნაწილობრივაა შესწავლილი ხელოვნებათმცოდნეების: გ. ჩუბინაშვილის, გ. აბრამიშვილის (იხ. დავით გარეჯის „უდაბნოს“ მთავარი ეკლესიის საქტიტორო წარწერა, „მაცნე“, 1962, № 3, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობის თარიღისათვის, „მაცნე“, 1970, № 5, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972); გ. ალიბეგაშვილის (Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979), ზ. სხირტლაძის (სამეფო ქტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში, საბჭოთა ხელოვნება, № 11, 1979); საბერების ფრესკული წარწერები, თბ., 1985) მიერ.

ამგვარად, გარეჯის მრავალმთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ფაქტობრივად შეუსწავლელია, გამოცემულია მხოლოდ 30-მდე გრაფიტი და ფრესკული წარწერების ნაწილი.

რაც შეეხება გარეჯის სომხურ წარწერებს, მათი შესწავლის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. 1940 წელს „ენიმკის მოამბეში“ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაბეჭდა წერილი „გარეჯის“ „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული“, სადაც შესწავლილი და გამოცემულია 1921—29 წლების გარეჯის ექსპედიციებში მოპოვებული სომხური წარწერები. მათი რიცხვი ოცს აღემატება. წარწერების უმრავლესობა დათარიღებულია და ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 1274 წლიდან XVIII—XIX სს. ჩათვლით.

გარეჯის სომხურ წარწერებს სპეციალურად შეეხო პ. მურადიანი ნაშრომში „Армянская эпиграфика Грузии (Картли и Кахети)“ (Ереван, 1985), სადაც ავტორის მიერ რამდენადმე ნაჩქარევი დასკვნებია გამოთქმული ვფიქრობთ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა გარეჯის მრავალმთის მონასტრების დაარსების, მისი კრებულისა და ამ მხარის ეთნიკური შემადგენლობის და კონფესიური მრწამსის საკითხი, უნდა გადაწყდეს ქართული ეპიგრაფიკის გათვალისწინებით.

ლ. მელიქსეთ-ბეგს კალკით გადმოუღია აგრეთვე 8-მდე ბერძნული წარწერა, 21-მდე სპარსულ-არაბულ-თურქული წარწერა, რომელიც დასამუშავებლად ა. ამირანაშვილისა და გრ. წერეთლისათვის გადაუცია.

ლ. მელიქსეთ-ბეგს აღნიშნული აქვს დაეით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და მისი ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის უდიდესი მნიშვნელობა. მისი სიტყვით: „...ხსენებული რაიონი არაჩვეულებრივად მდიდარია წარწერებით კედლის ნალესობაზე, როგორც ქართულსა და სომხურს, ისე ბერძნულსა და თითქმის ყველა აღმოსავლურ ენებზე. და ამ წარწერების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ ამ რაიონს, შეიძლება თამამად ითქვას, ტოლი არ ჰყავს მთელს საქართველოში, ისევე როგორც კედლის მხატვრობის სიმდიდრითა და მაღალხარისხოვნებით — სიძველით იგი ერთადერთია არამც თუ საქართველოს, არამედ მთელს ამიერკავკასიაში“ (ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158).

სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გარეჯის კომპლექსში შემავალი ლავრის, უდაბნოს, ნათლისმცემლის, დოდოს რქის და ბერთუბნის მონასტრებია განხილული, გარეჯის სამონასტრო უდაბნოთა რიცხვი კი გაცილებით მეტია.

დავით გარეჯა მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსაელეთით 60—70 კმ-ზე, მტკვრის პარალელურად გადაჭიმულ გარეჯის მთებსა და ივრის ხეობის ქვედა წელის მიდამოებში განლაგებულ ხრიოკ კლდეებში. იგი დარსებულია VI ს-ის პირველ ნახევარში, მისი განშტოებების რიცხვი დროთა განმავლობაში გაიზარდა. გარეჯა ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „გარეჯის მრავალმთის ათორმეტნი მონასტერნი“ (ქ^ც. II,

272). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „გარეჯის მთას არს მონასტერნი, კლდესა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით-გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარე წყლამდე“ პლ. იოსელიანი გარეჯაში ჩამოთვლის 12 მონასტერს: დავითის ლავრა, აღდგომის წამებული, ბერთუბანი, დოდოს რქა, იოანე ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრი სენაკები, მაღაზანა ანუ მღვიმე, ქოლაგირი, მოხატული, ვერანგარეჰჯა, და პირუკუღმართი.

თ. თოდუამ (ხელოვნების სახ. მუზეუმის სამეცნიერო-სარესტავრაციო განყოფილების გამგე), 1940—1947 წწ-ში გეოლოგიურ საძიებო ექსპედიციებში მონაწილეობისას, შეისწავლა კახეთის სამხრეთ ნაწილი, რომელიც მოიცავს გარეჯის უდაბნოების ტერიტორიას. მან მიაკვლია სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე უცნობ კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კომპლექსებს.

თ. თოდუას მიხედვით, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გარეჯის მრავალმთის მონასტრები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრ-სენაკები, დოდოს რქა, ლავრა, უდაბნო, აღდგომის წამებული, ბერთუბანი, მღვიმე||მაღაზანა (იგივე საბერეები), ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერანგარეჰჯა, პირუკუღმარი და პატარა ქვაბები.

თ. თოდუას აზრით, გარეჯის მონასტრების რიცხვი 15-ს აღწევს, მაგრამ ეს რაოდენობა უფრო გაიზრდება თუ მონასტრებად ჩავთვლით მღვიმედან (მაღაზანა) ქოლაგირამდე ბერების სერზე განაწილებულ 1—2 კმ-ით დაშორებულ ჯგუფებს. მისივე აზრით, გარეჯას უნდა უკავშირდებოდეს უჯარმიდან სამხრეთით, 3 კმ-ზე მდებარე გამოქვაბული XVII ს-ის მხატვრობით, რომელიც კედელშია ნაკვეთი. იგი პლატონ იოსელიანის სიაში დასახელებული „მოხატული“ უნდა იყოს (იხ. თ. თოდუა, გარეჯის მონასტერთა ლოკალიზაციისათვის, ძეგლის მეგობარი, № 31—32, თბ., 1973).

ზემოდასახელებული გარეჯის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამონასტრო ქვაბებიდან ჩვენმა ჯგუფმა დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ლავრაში, უდაბნოში, ბერთუბანში, დოდოს რქასა და ნათლისმცემელში. შედარებით უკეთესად შევისწავლეთ ლავრა და უდაბნო, რაც შეეხება ბერთუბანს, დოდოს რქასა და ნათლისმცემელს, ტრანსპორტისა და დროის უქონლობის გამო რამდენიმე საათიანი დაზვერვითი სამუშაოები ჩავატარეთ.

ჩვენ მიერ გარეჯაში ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. ლავრაში, უდაბნოში, ბერთუბანში, დოდოს რქასა და ნათლისმცემელში აღიწერა დაახლოებით 270 წარწერა; გაკეთდა 60-მდე ქართული და 19 ბერძნული წარწერის ასლი. ბერთუბნიდან და ნათლისმცემელიდან ინსტიტუტში დასაცავად ჩამოვიტანეთ ბათქაშის ნატეხები წარწერების ფრაგმენტებით. მათ შორისაა გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული XVII ს-ის დამლევის წარწერა ბერთუბნიდან ქვის მჭრელ პაპუასა და აფრიას მოხსენიებით, რომელთაც, ონოფრე მაკუტაძის წინამძღვრობაში, 7 წელი უმუშავიათ წმ. დავითის გალავნის ასაშენებლად (იხ. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 100).

ჩვენ მიერ აღწერილ წარწერათა რაოდენობა (~270) მხოლოდ ნაწილია ამ მონასტრებში არსებული ეპიგრაფიკული ძეგლებისა. გასათვალისწინებელია, რომ დროის უქონლობის გამო ბერთუბნიდან, დოდოს რქიდან და ნათლისმცემლიდან მხოლოდ წარწერათა ნაწილი (~40) აღიწერა.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო ქვაბების ეპიგრაფიკული ძეგლები ქართულ, სომხურ, ბერძნულ, თურქულ, სპარსულ და არაბულ ენებზეა შესრულებული. ეს მასალა ქრონოლოგიურად მოიცავს XI—XIX საუკუნეებს. გარეჯაში ეპიგრაფიკა ლაპიდარული და ფრესკული წარწერების სახითაა წარმოდგენილი. ლაპიდარული მასალიდან გამოიყოფა ამოკვეთით და ამოკაწერით შესრულებული წარწერები (ე. წ. გრაფიტები). ჩვენ მიერ აღწერილი წარწერების ძირითადი ნაწილი გრაფიტებია, რომლებიც კედლის შელესილობაზე წვეტიანი იარაღითაა ამოკაწრული გარეჯაში მისული მლოცველების მიერ. ეს გრაფიტები ჩვეულებრივ შეწყალების ფორმულას შეიცავენ, ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ხასიათის ცნობებსაც გვაწვდიან.

გარეჯის ეპიგრაფიკული წარწერები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ქართული ონომასტიკის, ტოპონიმიკისა და საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეთნიკური ისტორიის შესასწავლად. ამ მხრივ მათში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ზოგადი ჩამოთვლაც საკმარისია რათა გარეჯის წარწერების ღირებულებაში დავრწმუნდეთ. ჩვენ მიერ შეგროვებულ გარეჯის ეპიგრაფიკულ წარწერებში იხსენიებიან:

ს ა ს უ ლ ი ე რ ო პ ი რ ე ბ ი — კათალიკოსი იოვანე [იოანე VII დიასამიძე (1688—1691, 1696—1700)], ქართლის მთავარეპისკოპოსი რომანოზი (XVII ს.), ქუთათელი სვიმონ [ქუთათელი სვიმონ ჩხეტიძე (1660—1666)] და გე-

ნათელი მელქიზედ, ნინოწმინდელი ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი (1671—1673), ნინოწმინდელი არსენ (1690), ნინოწმინდელის მთავარდიაკონი იოვანე (1672, 1674), წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე (1744), წინამძღვარი ონოფრე მაჭუტაძე (1690—1733), მარიამწმინდელი ნიკოლავაზ (XVI—XVII), წინამძღვარი ივანე (XVII), საგარეჯოს სომეხთა მამამთავარი არუთინა.

სამეფო ოჯახის წარმომადგენლები: არჩილ II (1664—1675), ქეთევან დედოფალი [არჩილ II-ის თანამეცხედრე], ბატონიშვილი თომა [ვახტანგ V, შაჰნავაზის (1658—1675) ძის ლევანის ვაჟი], ერეკლე I, ნაზარალიხანი (1688—1703) ანა დედოფალი [ერეკლე I-ის თანამეცხედრე], იმამყულიხანი [დავით II (1703—1722)].

მოხელეები: ჯიზიჯის მოურავი რევაზა (XVII ს. დამლევი), კათალიკოზის სასლისხუცისშვილი მაღალაძე მდივანი რევაზ (XVII ს. დამლევი), მსახურთუხუცესი აბა; მოლარეთუხუცესი მანუჩარ; სვეტიცხოველის დეკანოზისშვილი საგარეჯოს ნაცვალი იესე და კათალიკოზის მემარნე პაპია მუჩიაშვილი (XVIII ს. II ნახ.), ბაინდურ მუშრიბი (1698 წ.), მუშრიბი დავით გასპარასშვილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გარეჯის გრაფიტების დიდი მნიშვნელობა ქართული პალეოგრაფიისათვის, რომლებიც ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობების ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ამ მასალის მნიშვნელობა ქართული პალეოგრაფიისათვის იზრდება იმ გარემოებითაც, რომ XIV—XVII სს-ის გარეჯის წარწერების უმრავლესობა თარიღიანია და უთარიღო წარწერებთან ერთად მხედრული დამწერლობის განვითარების გაბმულ სურათს იძლევა. ამ მხრივ აღსანიშნავია: თევდორე ჩარგასძის XI ს-ის წარწერა ნათლისმცემლიდან, ქერობინის 1314 წლით დათარიღებული წარწერები ბერთუბნიდან და უდაბნოდან, გიორგი თფილისელის 1352 წლის წარწერა უდაბნოდან, ვინმე იოვანეს 1361 წლის წარწერა უდაბნოდან, 1467 წლის „სომეხთა მოქალაქე" იოვანე ხუცესის ასომთავრულითა და მხედრულით შესრულებული წარწერები და სხვა.

გარეჯის გრაფიტები ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა ნაკაწრ გამოსახულებების: ხელი, ფრინველებისა და ცხოველების, სხვადასხვა სიუჟეტების განმარტებებს წარმოადგენენ (უდაბნო, ნათლისმცემელი). ეს განმარტებითი გრაფიტები პალეოგრაფიულად XIII—XV საუკუნეებისაა. ამ ტიპის კედლის ნაკაწრი მხატვრობა განმარტებითი წარწერებით მოიპოვება ვანის ქვაბებში, ატენის სიონში და ზემო სვანეთში. ანალოგიური ნიმუშები გვხვდება ამავე საუკუნეების ბიზანტიურ სამყაროში. ჩვენი აზრით, ნაკაწრი მხატვრობა და მისი განმარტებითი წარწერები ერთმანეთთან კავშირში უნდა იქნეს შესწავლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მნიშვნელობა გაურკვეველია.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ბერძნული წარწერების ასლები (8 ცალი), როგორც აღვნიშნეთ, ლეონ მელიქსეთ-ბეგს გრ. წერეთლისათვის გადაუცია. გრ. წერეთელს გარეჯის ბერძნული გრაფიტები არ გამოუცია. ამ მასალას ვერც მის პირად არქივში მივაკვლიეთ.

ჩვენ მიერ დავით გარეჯაში მიკვლეულია სულ 19 ბერძნული წარწერა (17 უდაბნოში, 2 — ნათლისმცემელში), გაკეთებულია 19-ვეს ასლი. ხელის მიხედვით ეს წარწერები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. მათში იხსენიებიან: თეოდოროსი, ლუკიანე, ნიკოლაოსი, იოანე და სხვები. ბერძნული წარწერების შესწავლა და დათარიღება გარეჯის ქართული და აღმოსავლური წარწერების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

წლევანდელი მივლინება გარეჯაში მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომელიც მიზნად ისახავს გარეჯის მრავალენოვანი ეპიგრაფიკული მასალის გამოვლენას, თავმოყრას, აღწერასა და დამუშავებას. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის 1985—1988 წწ-ის სამუშაო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 1985 წლიდან ექსპედიციების მოწყობა გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეპიგრაფიკული ძეგლების შესასწავლად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: დ. კლდიაშვილი, გ. ოთხმეზური, ზ. სხირტლაძე (ქართული ეპიგრაფიკა, სომხური ენოგრაფიკა), თ. ოთხმეზური (ბერძნული ეპოგრაფიკა) და ნ. ხუციშვილი აღმოსავლური ეპოგრაიკა).

ჩვენს მიერ ზოგადად წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, ცხადყოფს დავით გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების უახლოეს ხანებში შესწავლის აუცილებლობას. ერთი მხრივ, გარეჯის მკაცრი ბუნებრივი პირობები, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიული ძეგლების მიმართ ჩამსვლელთა უდიერი დამოკიდებულება (განსაკუთრებით ბერთუბანში, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა) ანადგურებს გარეჯის მხატვრობასა და ეპიგრაფიკულ ძეგლებს.

დ. კლდიაშვილი
თ. ოთხმეზური
გ. ოთხმეზური